

**3
2015**



**თეატრი
და
ცხოვრება**

თეატრი და ცხოვრება

მთავარი რედაქტორი
გურამ ბათიაშვილი
პასუხისმგებელი მდივანი
ნინო მაჭავარიანი

№3, 2015

მაისი, ივნისი

საკონსულტაციო საბჭო:
ნოდარ გურაბანიძე,
დავით დოიაშვილი,
ვასილ კიკნაძე,
ირაკლი სამსონაძე,
გიორგი სიხარულიძე,
რობერტ სტურუა,
თემურ ჩხეიძე

1910-1926

„თეატრი და ცხოვრება“

1950-1990

„თეატრალური მოამბე“

შემოქმედებითი კავშირი - საქართველოს თეატრალური საზოგადოება

UDC 792(479.22)

თ-391

აკაკი ხორავა — 120	3
გუბაზ მეგრელიძე — რაინდი-შემოქმედი	6
საუბარი ქართულ	
თეატრალურ კრიტიკაზე	9
ქართული პიესა უცხოეთში	14
სხვათა გამოცდილების შესწავლა	
სასარგებლოა (თამარ აბესაძის ინტერვიუ	
რეჟისორ დიმიტრი ხეთისიაშვილთან)	19
ნოდარ გურაბანიძე — სამყარო თეატრალის	
თვალით	23

სპეციაკლები

მაკა ვასაძე — ორი სპექტაკლის თაობაზე	32
ლაშა ჩხარტიშვილი — სახელმწიფო	
ინტერესები თუ პირადი ამბიციები?	40
გიორგი ყაჯრიშვილი —	
აურზაური ეფესოში	44
ირინა ლოლობერიძე — ქალბატონები	47
გუბაზ მეგრელიძე — რატომ გაგშიშვლდნენ	
რომეო და ჯულიეტა?	52
მერი გურგენიძე — მყრალი ყუთი	56
მანანა გეგეჭკორი — აეროპორტში	
გათამაშებული დრამატული ამბები	61

იუბილე

კახი კავსაძე — 80	64
ვასილ კიკნაძე — ჩვენი ეროსი 90 წლის	
გახდებოდა	67
ვასილ კიკნაძე — ჩვენი კულტურის ისტორიის	
ფრაგმენტები	71
გიორგი ერისთავის სახელობის კომედიის	
ფესტივალი — 2015	78
ლელა ოჩიაური — „თეატრალური იმერეთი“ —	
დღესასწაული მათთვის,	
ვისაც თეატრი უყვარს	80
მზია ჩიხლაძე -80	86

გამოთხვევა

ლემურა ჯაყელი	87
კოტე თოლორდავა	88

Akaki Khorava - 120	3
Gubaz Megrelidze – Knight –Creator	6
Talk about Georgian theatrical kritik	9
Georgian drama in foreign country	14
Tamnar Abesadze - It's good to learn other's experience (Interview with Dimitri khvtisiashvili)	19
Nodar Gurabaniidze - The World in the Eye of the Theater - goer	23

PERFORMANCES

Maka Vasadze – About Two Performances	32
Lasha Chkhartishvili - Personal ambitions or State Interests	40
Giorgi Khajrishvili – Much Ado in Efeso	44
Irina Gogoberidze – Ladies	47
Gubaz Megrelidze – “Romeo and Juliet” in Akhmeteli Theatre	52
Mary Gurgenidze – Stink box	56
Manana Gegechkori – Drama Stories at the Airport	61

UNNIVERSARY

Kakhi Kavaldze – 80	64
Vasil Kiknadze - Our Erosi supposed to be 90	67
Vasil Kiknadze – Fragments of our cultural history	71
Lela Ochiauri - “Theatrical Imereti” – Celebration for them who loves Theatre	80
Mzia Chikhladze - 80	86

OBITUARY

Lemura Jakheli	87
Kote Tolordava	88



მრავალი აღიარებული შვილი შობილა ოდიშის ატეხილ ჭალებში:
 მედეა — სიყვარულისა და მიმნდობილობის ტრაგედიის მსოფლიო ტიპი,
 ქუჯი — ოდიშელ ვაჟკაცთა გონიერების დასტური,
 ცოტნე დადიანი — ოდიშელთაგან მტრის მოთმინებით მძლეველის დიდი სახე,
 ვალერიან გუნია — დიდი მამულიშვილი, მოღვაწე, რომლის ცხოვრებამ და შემოქმედებამ
 ქართულ თეატრალურ კულტურაში დიდი კვალი გაავლო.



შალვა დადიანი — უძვირფასესი სახელი ქართულ თეატრალურ ხელოვნებაში, დრამატურგიაში, ქართული შემოქმედებითი, სამეცნიერო აზრის მრავალი პრნიტინვალე წარმომადგენელი. ყველას ჩამოთვლა შეუძლებელია მორს წაგვიყვანს.

და:

აკაკი ხორავა — ხმით ადამიანებზე ზემოქმედების დიდი ხელოვანი, მსოფლიო სახელებს სცენის გრძნეულად რომ მიაჩნდათ.

ალბათ, პირველად ამ მთებში მოსინჯა თავისი ხმა აკაკი ხორავამ. ამ მთებში დაიბადა და აგუგუნდა აკაკი ხორავას ხმა. ამ მთებიდან გასწვდა მსოფლიოს დედაქალაქებს. ექვს ივნისს კი სენაკის აკაკი ხორავას სახელობის თეატრში შეკრებილ სენაკის მოსახლეობას, ქართულ თეატრალური კულტურის მოღვაწეებს ეროვნული სიამაყის გრძნობას უძლიერებდა, ამ დარბაზში შეკრებილი ყოველი ადამიანი განმსჭვალული გახლდათ სიხარულით იმის გამო, რომ ვართ მოდგმა, სისხლი სისხლთაგანი და ხორცი ხორცთაგანი იმ ადამიანისა, ერთი ციცქა ოდიშიდან მსოფლიოს რომ გადასძახოდა.

აკაკი ხორავას დაბადების 120 წლისთვი, სენაკის მუნიციპალიტეტმა, აკაკი ხორავას სახ. დრამატულმა თეატრმა და საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ ჩაატარეს. საამისოდ დიდი შრომა გასწიეს სთს თავმჯდომარემ გოგი ქავთარაძემ, მისმა პირველმა მოადგილემ სანდრო მრევლიშვილმა, სთს პრეზიდიუმის წევრმა გიზო უორდანიამ.


6 ივნისს სენაკს სტუმრობდა ქართული თე-

ატრის მოღვაწეთა დიდი ჯგუფი არა მხოლოდ თბილისიდან, საქართველოს თითქმის ყველა ქალაქიდან..

სენაკის თეატრის მსახიობები მაყურებელს აცნობს აკაკი ხორავას ბიოგრაფიის ფურცლებს. საინტერესო გახლდათ თვალის გადავლება იმ შემოქმედის ბიოგრაფიაზე, რომელიც ამ ქალაქის დიდ მთებს შორის აღიზარდა და მისი ხმა ლამის მთელ თეატრალურ მსოფლიოს მისწვდა.

ეკრანზე აჩვენებენ აკაკი ხორავას ცხოვრებისა და შემოქმედების ეპიზოდებს.

საღამოს წამყვანი, თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარე, მსახიობი და რეჟისორი გოგი ქავთარაძე მიკროფონთან იწვევს სენაკის მუნიციპალიტეტის გამგებელს, ბ-6 გოჩა დგებუაძეს. გ. დგებუაძე სიამაყით საუბრობს ამ კუთხეში აღზრდილი დიდი ხელოვანის ცხოვრებისა და შემოქმედების თაობაზე და სიხარულს გამოთქვამს იმის გამო, რომ დღეს სენაკში აღინიშნება აკაკი





ხორავას 120 წლისთავი.

საიუბილეო საღამოს ერთი მნიშვნელოვანი ფურცელი გახლდათ ხალხისთვის ესოდენ საყვარელი, დიდებული ქართველი მსახიობის, თენგიზ არჩვაძის გამოჩენა. გოგი ქავთარაძე აქვეყნებს თეატრალური საზოგადოების დადგენილებას თენგიზ არჩვაძისათვის აკაკი ხორავას სახელობის პრემიის მინიჭების თაობაზე. ეს პრემია მიენიჭებათ ქართულ თეატრალურ ხელოვნებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის მსახიობებს, რომლებიც შემოქმედებითად იმსახურებენ ატარონ აკაკი ხორავას პრემიის ლაურეატის სახელი.

რასაკვირველია, ასეთი უზარმაზარი თეატრალური მოღვანის სახელობის პრემიის მინიჭება სასიხარულო გახლდათ თენგიზ არჩვაძისათვის, მაგრამ პრემიის მოწმობის გადაცემისას ცხადი გახდა, რომ პრემია სწორედ იმას მიენიჭა, ვისაც უნდა მინიჭებოდა, ამაში დარბაზის რეაქციამ დაგვარწმუნა — მაყურებელი ფეხზე ადგომითა და ხანგრძლივი ივაციით შეეგება ამ ცნობას.

პროფესორ გოგი დოლიძის, თეატრმცოდნე გუბაზ მეგრელიძის, რესპუბლიკის სახალხო არტისტების გიზო უორდანიას,

სანდორო მრევლიშვილის, დიმიტრი ჯაიანის (რომლის მიერ წაკითხულ შოთა ნიშნიანიძის ლექსს მაყურებელი ფეხზე ამდგარი უკრავდა ტაშს), დრამატურგ გურამ ბათიაშვილის გამოსვლები აღბეჭდილი იყო დიდი ქართველი ხელოვანის, აკაკი ხორავასადმი ლრმა მოწინებითა და პატივისცემით.

საღამოს მსვლელობაში მონაწილეობდნენ შესანიშნავი მომღერლები და მუსიკოს-შემსრულებლები: ლაშა კვარაცხელია, კოლხური ტრიო, დარეჯან ფაჩულია, ბელა ჯამადაძე, ეკა

კოლუა, თამარ ესებუა, რუსუდან მილიუტინა და სხვ.

აკაკი ხორავას სახელი ღირსეულად იქნა დაფასებული, ისე, როგორც ამას ეს უკიდეგანო ნიჭის შემოქმედი იმსახურებს. გარდასულთა ნარმოჩენა თანამედროვეთ მატებს ღირსებას.

თუმცადა... გულდასაწყვეტი იყო: ქართული თეატრის მეტ მოღვანეს უნდა მიეგო პატივი დიდი ქართველი მსახიობისათვის, ამათ, ვინც დღეს ამშვენებს დღევანდელ ქართულ სცენას. იგრძნობოდა, აშკარად იგრძნობოდა მათი ნაკლებობა.



რაინდი – შემოქმედი

აკაკი ხორავას ბიოგრაფიის ნაკლებად ცნობილი დეტალები

გურაზ მეგრულიძე

ჯერ კიდევ კიევის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე სწავლისას აკ. ხორავა აქტიურად მონაწილეობდა სტუდენტთა გამოსვლებში. ო. ბაქანიძის ნიგნში „კიევის უნივერსიტეტი ქართველი ახალგაზრდების განათლების კერა“ (თსუ, 2004), აღნიშნულია, რომ 1914 წელს ხელისუფლების მიერ ტარას შევჩენკოს იუბილეს აკრძალვის გამო გამართულ მიტინგში მონაწილეობისთვის აკ. ხორავაც დაუპატიმრებიათ. „პოლიცმეისტერი შეეკითხა მას: თქვენ უკრაინელი ხართ? არა, მე ქართველი ვარ. მაშ, რა გინდათ თქვენ, რა გესაქმებათ თქვენ, ქართველებს ტარას შევჩენკოსთან? ამაზე ხორავამ უპასუხა: ვიცავ რა შევჩენკოს, ვიცავ რა ჩვენი ძმების, უკრაინელების პატივსა და ღირსებას, მე ვიცავ ჩემს სამშობლოს — საქართველოს“. ამას გარდა, აკ. ხორავა ხელმძღვანელობდა წითელი ჯვრის ორგანიზაციას, სადაც პოლიტიკურ საქმიანობასაც ეწეოდა და სამედიცინო ფაკულტეტთან არსებულ „მამასახლისთა საბჭოს“ ხელმძღვანელობდა (რ. სურმანიძე „მფარველი ანგელოზები“, ბათუმი, 2005, გვ. 150-151).

* * *

1924 წლის აჯანყების შემდეგ, ინტელიგენციის მიმართ ყურადღება გამახვილდა. ეჭვის თვალით უყურებდნენ ყოველგვარ დაჯგუფებებისა თუ ორგანიზაციების შექმნას. ამიტომაც, პოლიტსამმართველოს ზედამხედველობის ქვეშ აღმოჩნდა რუსთაველის თეატრში შექმნილი კორპორაცია „დურუჯი“. იგი შემოქმედებით მიზნებს ისახავდა, მაგრამ მის საქმიანობას საზოგადოებრივი აზრის გამოცოცხლება მოჰყვა და მწვავე დებატები გამოიწვია. ასეთ ვითარებაში პოლიტსამმართველომ დაიწყო წამყვან მსახიობთა შესახებ პირადი საქმეების შედგენა. ყურადღებამისაქცევია ის გარემოება, რომ კორპორაციის ხელმძღვანელის შემდეგ დასახელებულია აკაკი ხორავა, რომლის შესახებაც ვკითხულობთ: „მენევევიკური პარტიის ყოფილი წევრი. სენაკის მაზრის გვარდიის ყოფილი შტაბის უფროსი. აქტიურ მონაწილეობას იღებდა კომუნისტთა წინააღმდეგ სამეგრელოს აჯანყების დროს. დაპატიმრებული იყო 1922 წელს. კიევის უნივერსიტეტის ყოფილი სტუდენტი.“ ამ ფაქტთან დაკავშირებით დღემდე უცნობ მასალას მივაკვლიეთ. რესპუბლიკის დამსახურებულმა უკრნალისტმა, ბატონმა ნიკოლოზ სირბილაძემ თავაზიანად გადმომცა შალვა ჯიქიას მოგონება: „1921 წელს, როდესაც სენაკს მე-11 არმიის ნაწილები მოუახლოვდა, ქალაქში პანიკა ატყდა. მეფის არმიის ყოფილი ოფიცირის, ხარისხონ ლაშხიას ხელმძღვანელობით შეიქმნა შეიარაღებული ფორმირება, რომლის კომისრად აკ. ხორავა დაინიშნა. არმიის შემოსვლის მოლოდინში მიტინგი გაიმართა, სადაც აკ. ხორავამ თქვა: „ვის სხეულშიც ქართული სისხლი სჩექფს, ყველა აღსდექით საძულველი ბოლშევიკების ნინააღმდეგ. საშუალება არ უნდა მივცეთ, რომ ჩვენი სამშობლო დაიბყრონ. ძირს ავრესორი ბოლშევიკები, გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს... ახლა ჩემს სიტყვებს განი მისცეს არტილერიამ. იქუჩეს ზარბაზნებმა.“

* * *

შსს საარქივო სამმართველოში მოვაკვლიეთ აკ. ხორავას დაპატიმრების დღემდე უცნობ საქმეს (ფ.6, საარქივო 22141, ტ. 1, ყუთი 28). 1922 წლის 9 მაისს ჩეკას მიერ გაიცა ორდერი 3608 აკ. ხორავას დაპატიმრების შესახებ, რომელიც ცხოვრობდა მლეთის შეს. 8. 10 მაისის ჩხრეკის ოქმით ამოღებულ იქნა: მიმოწერა, ბრომურები და 8 სხვადასხვა მოწმობა, 2514 ნიკოლოზის მანეთი. 10 მაისს შევსებულის პირად ანკეტაში 1844 ვკითხულობთ: „ხორავა აკაკი ალექსის

— ე, საბჭოთა საქართველოს მოქალაქე, ქართველი, მიწერით მცხოვრები ქუთაისის გუბერნიის, ახალ-სენაკის მაზრის, სოფელ ახალ-სენაკში, 27 ნლის, დაიბადა 1895 წლის აპრილში. დაამთავრა საშუალო სასწავლო დაწესებულება, გაიარა საქართველოს უნივერსიტეტის 3 კურსი. მამა ალექსი 60 წ. ტყის მუშაკი, დედინაცვალი ჩიჩი 35 წ. აკ. ხორავა 1918 წლიდან გარიცხულ იქნა მენშევიკური პარტიიდან. ამჟამად სტუდენტი, სარწმუნოებით ქრისტიანი. 1914-17 წლებში სწავლობდა კიევის უნივერსიტეტში. 1918 წლის დასაწყისში იყო გვარდიაში, მაგრამ არაკეთილგანწყობის გამო გარიცხეს. შემდეგ ჩააბარა საქართველოს უნივერსიტეტში. 1920 წლიდან მუშაობდა საქმის მნარმოებლად ტიფლისის საქალაქო სასამართლოში, 1921 წლის აგვისტოდან დღემდე სობპროფის ტიპოგრაფიის კორექტორად. უძრავ ქონებას არ ფლობდა. 1916 წელს დაპატიმრებულ იქნა ნიკოლაევსკში და სამი თვე იჯდა პოლიტიკური საქმანობისთვის.“

28 ივნისის დაკითხვის ოქმში ვკითხულობთ: „1915-19 წლებში ვმუშაობდი მენშევიკურ პარტიაში. 3 თვე ვიჯექი ლენის მუშების გამოსვლების გამო არალეგალური ფურცლების გავრცელებისთვის. საბჭოთა მთავრობას საქართველოში მე ვუცერი ლიონალურად. ვფიქრობ, რომ ის არის მუშური მთავრობა და საძირკველი მისი არსებობისა არის მუშები. რასაკვირველია, რევოლუციურ ხანაში დეფექტები არის, მაგრამ მთავარია, ჩემის აზრით, ვისი კეთილდღეობა ამოძრავებს მას — მას ამოძრავებს მშრომელთა კეთილდღეობა. გამოიხატება ეს ზრუნვა იმაში, რომ დღევანდელ პირობებში ეს მთავრობა პირველსაფეხურზე აყენებს მუშათა ინტერესს და ზრუნავს მათვის შესაძლებლობის ფარგლებში. არალეგალურად ბოლშევიკების ნინააღმდეგ არ მიმუშავნია. მე მათთან მუდამ ვმსახურებდი და ხშირად როდესაც სამსახური მოითხოვდა დამის 10-11-12 საათი ვრჩებოდი ხოლმე და ვმუშაობდი. არც მომავალში ვიმუშავებ ნინააღმდეგ. ჩემი საზრუნავია, როგორც უწინაც იყო, დავმთავრო უნივერსიტეტი და ამით მოუარო ჩემს თავს და ნგრევის პირზე მდგომ ჩემს ოჯახს დავეხმარო.“

რაც შეეხება წითელ ჯარს ვფიქრობ, უფრო მიზანშეწონილი იქნება, რომ არსებობდეს წითელი ჯარი საქართველოში და ეს ასეც უნდა იყოს. ხოლო ჯარის შემადგენლობა და განსაკუთრებით მისი საკომანდო შემადგენლობა უნდა იყოს მუშებისა და გლეხებისაგან. რაც შეეხება მუშათა მთლიან ფრონტს — ჩემის აზრით, საჭიროა შეიქმნას მთლიანი მუშათა ფრონტი სუსკელა სოციალისტური პარტიებისაგან, გარდა იმ პარტიებისა, რომელიც აშკარა ლიკვიდატორულ პოლიტიკას ანარმოებენ. ამით შეიქმნას ძლიერი მუშურ სოციალისტური ფრონტი უკვე დაწყებულ კაპიტალის შეტევისაგან თავის დასაცავად და იმავე კაპიტალის დასამარცხებლად.“

1922 წლის 4 ივლისის დადგენილებაში ვკითხულობთ: „მე, ჯგუფ 3 რწმუნებულის მოადგ-



ილემ, ამხ. ქურიძემ, განვიხილე რა მასალა საქმეში 1224 ბრალდებულ აკაკი ალექსის-ძე ხორავას მიმართ, 27 წლის, სტუდენტი, გლეხთა ფენიდან, უცოლო, ყოფილი მენშევიკ კონტრ-რევოლუციონერი და ვიღებ რა მხედველობაში სოუ-ს უფროსის განკარგულებას ვადგენ: ხორავა აკაკი ალექსის-ძე განთავისუფლდეს. მის მიმართ გამოძიება შეწყდეს, სხვებზე კი გა-გრძელდეს. ჩხრეკისას ამოღებული ნივთები და დოკუმენტები დაუბრუნდეს.“

საქმეში დევს იმავე ქურიძის 1922 წლის 6 ივლისს დასკვნითი დადგენილება, რომლის მიხედვითაც კონტრ-რევოლუციაში ბრალდებულ 14 პირიდან 12 გაათავისუფლეს, რომელთა უმრავლესობა უპარტიო, არა აქტიური ელემენტი იყო. განთავისუფლების ორდერ 1059 მიხედვით, აკაკი ხორავა 10 ივლისს გაათავისუფლეს. საინტერესო პარალელია, რომ იმავე პერიოდში, 1922 წლის 26 მაისს კონტრ-რევოლუციისა და ჯამშების ბრალდებით (საქმე 1242) დააპატიმრეს და 15 ივლისს გაათავისუფლეს სანდრო ახმეტელიც.

აკაკი ხორავა მუშაობდა გაზეთების „მუშასა“ და „სოფლის მუშას“ კორექტორად, აგრეთვე მონაწილეობდა მუშათა ცენტრალური კლუბისა და სახალხო სახლის წარმოდგენებში. სწორედ, სახალხო სახლის ხელმძღვანელმა შალვა დადიანმა შეამჩნია მისი სამსახურობო მონაცემები და სპეციალური განათლების მიღება ურჩია. ამიტომაც წერდა იგი: „მეც პირადად ვარ ის ადამიანი, რომელმაც პირველადვე „ხელი ვუბიძე“ მის ქართულ სცენაზე შემოსვლას“. 1922 წელს აკ. ხორავა შედის აკ. ფალავას მიერ დაარსებულ თეატრალურ ინსტიტუტში და მალევე მისი ბეჭირ რუსთაველის თეატრს უკავშირდება.

მოყვანილი მასალიდან ნათელია აკ. ხორავას ეროვნული ორიენტაცია საქართველოს და-მოუკიდებლობისთვის ბრძოლაში. სწორედ მსახიობთა ასეთი განცყობა ჰქონდა მხედველობაში ლ. ბერიას, რომელიც 1930 წელს, თავის მოხსენებით ბარათში გაგზავნილს კპ ცკ-ის პირველ მდივან ლ. ღოლობერიძის სახელზე აღნიშნავდა, რომ თეატრი ცდილობს შემოქმედებითი სახე გარეგნულად საბჭოთა თეატრად წარმოადგინოს. სინამდვილეში კი თეატრი ძველებურად ან-ტისაბჭოთა პლატფორმაზეა. სხვებთან ერთად მოყვანილია აკ. ხორავას მაგალითიც: „მსახიობი ხორავა საბჭოთა პოლიტიკას სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციისა და კულაკობის ლიკვიდაციის საკითხს აფასებს ასე: „ცკ სტალინის ხელმძღვანელობით, კულაკობის როგორც კლასის ლიკვიდაციის ლოზუნგის გადმოგდებისა და კოლმეურნეობათა შექმნისას, მოსახლეობის უმრავლესობის წინააღმდეგობას წააწყდა, რომელმაც ამ ღონისძიებას აჯანყებით უპასუხა. ცენტრალური კომიტეტი სტალინის სახით უკან იხევს და დაშვებულ შეცდომებში წვრილმან მოხელეებს ადანაბაულებს.“ აქვე აღნიშნულია, რომ აკ. ხორავა შედიოდა იმ ჯაფუტში, რომელიც მოითხოვდა ს. ახმეტელთან კონფლიქტში მყოფ კომუნისტთა განთავისუფლებას, წინააღმდეგ შემთხვევაში თეატრიდან წასვლით იმუქრებოდა. ასეთ „მხილებათა“ საფუძველზე კეთდებოდა დასკვნა რუსთაველის თეატრის საზღვარგარეთ გასტროლებზე გაშვების მიზანშეუწონლობის შესახებ.

ამ შეხედულების დასამტკიცებლად მოყვანილია 20 მსახიობის დახასიათება. მათ შორის აკ. ხორავასიც: „ხორავა აკაკი ალექსის ძე, დაიბადა 1895 წ. რუსთაველის თეატრის მსახიობი, მენ-შევიკური გვარდიის შტაბის ყოფილი უფროსი. გასაბჭოების შემდეგ, ენეოდა არალეგალურ ანტისაბჭოთა მუშაობას, რისთვისაც პოლიტიკამართველოს მიერ 1923 წელს დაპატიმრებულ იქნა. აქტიური წევრია არალეგალური, ანტისაბჭოთა ორგანიზაციისა „დურუჯი“. მის პინაზე ტარდებოდა ამ ორგანიზაციის არალეგალური შეკრებები. კულაკთა ოჯახიდან (მამამისს ჩამორთმეული ჰქონდა ხმის უფლება), საბჭოთა ხელისუფლების მიმართ განწყობილია უკიდურესად მტრულად.“ განა სხვა ბრალდება საჭირო იყო მოგვიანებით დაწყებული რეპრესიებისთვის? აკაკი მისსავე კოლეგამ, თამარ წულუკიძემ გაუხსენა კიდევაც ეს პატრიოტიზმი 1937 წლის 9 მაისის დაკითხვაზე, რითაც გასანირად გაიმეტა კიდეც: „....იყო შემთხვევა, როდესაც ნასვამმა ხორავამ, სადღეგრძელო წარმოთქვა 1921 წელს ბრძოლის ველზე დაღუბულთა მოსაგონებლად (ბოლშევიკების წინააღმდეგ ბრძოლაში)“... მე ვიცნობდი წარსულში ხორავას, რომელიც მენშევიკების დროს ეროვნულ გვარდიას მიეკუთვნებოდა. ამის შესახებ თვითონ მიყვებოდა“ (სუკის არქივი. „სანდრო ახმეტელის საქმე“, 3354, ტ. 6, გვ. 527). ამ დასმენის წყალობით აკ. ხორავას პატრიოტიზმის კიდევ ერთი მაგალითი შემოგვრჩა, რომელსაც იგი მალულად ატარებდა და ნოსტალგიას ხანდახან გამოავლენდა.


საუბარი ქართულ თეატრალურ პრიზის

1. უნევთ თუ არა ანგარიშს ქართულ თეატრალურ კრიტიკას?
2. რამდენად გეხმარებათ თეატრალური კრიტიკოსის შენიშვნა, მოსაზრება სპექტაკლის, როლის დახვენაში?
3. როგორ შეაფასებდით იმ ფაქტს, რომ თითქმის არ იწერება და არ იძეჭდება უარყოფითი რეცენზიები სპექტაკლებისა თუ როლების ირგვლივ. ნუთუ, ყველა სპექტაკლი, როლი დადებით შეფასებას იმსახურებს?
4. რომელი რეცენზია, თეატრალური კვლევა, შემოქმედებითი პორტრეტი დაგამახსოვრდათ ბოლო ორი წლის განმავლობაში და რატომ?



თემურ ჩხეიძე:

1. გააჩნია ვინ წერს, ვისზე წერს, მასალას გააჩნია. შესაძლებელია ჩვენი აზრები დაემთხვეს ერთმანეთს. მთავარი კი ისაა, რომ ყოველთვის გულდასმით ვყითხულობ და ყოველთვის მაინტერესებს კრიტიკოსის მოსაზრება.
2. თეატრალური კრიტიკოსის შენიშვნა გამოითქმება ხოლმე უკვე დასრულებული სპექტაკლის ირგვლივ. მე კი ძალიან იშვიათად შემაქვს ცვლილებები უკვე გამოიშვებულ სპექტაკლი. შეიძლება კრიტიკას დავეთანხმო კიდეც, მაგრამ ძირითადად არაფერს ვცვლი. ერთადერთი, მასესნებება პეტერბურგში დადგმული „მარიამ სტიუარტი“, რომელიც არა კრიტიკოსის შენიშვნის გამო, არამედ მე თავად შევცვალე, რადგან გამიჩნდა უქმარისობის გრძნობა ერთი ეპიზოდის გამო, რომელიც მას შემდეგ, რაც ეს მაყურებელმაც შენიშნა, ნახვარ საათში გადავაკეთე. მაყურებლებში, რა თქმა უნდა, დარბაზის მაყურებელს არ ვგულისხმობ.
3. არ ვიცი, ეს კითხვა ჩემი არაა. რამდენიც გნებავთ, იმდენი უარყოფითი რეცენზია ნამიკითხავს და არა მხოლოდ სხვების შესახებ. მე არ მაქვს იმის შეგრძნება, რომ არ იწერება უარყოფითი რეცენზიები ჩემს სპექტაკლებზე და თქვენ ნარმოიდგინეთ, ჩემს კარგ სპექტაკლებზეც კი, რომელსაც გამოხმაურება ჰქონდა, თითქმის ყველაზე მასესობს უარყოფითი რეცენზიები. იყო განსხვავებული აზრები, კაშათი შესაძლებელია, ზოგიერთი ვინმეს განაწყენებას ერიდებოდეს, მაგრამ ვფიქრობ, ინერება.
4. ორი წლის განმავლობაში თითქმის არაფერი ყოფილა დაწერილი ისეთი, რომ ის განსაკუთრებით დამმახსოვრებოდეს. ისე, თქვენი უურნალის აქტიური მკითხველი ვარ.



ონდარ გგალობლივილი:

1. არა.
2. როლის დახვენაში მე მტკირდება რეჟისორი და ამდენად, მეხმარება რეჟისორი. კრიტიკოსი კი, მე რომ საბოლოოდ ჩამოვყალიბდები და ბოლომდე დავამუშავებ როლს, მას მერე ეცნობა და აფასებს ჩემს ნამუშევარს. კრიტიკოსის აზრს არას დროს ვითვალისწინებ. როგორც დრამატურგი არის პიესის ავტორი, ისე რეჟისორი არის სპექტაკლის ავტორი. მე ამ ორ შემოქმედს ვალიარებ. რაც შეეხება დახმარებას, მე მასესნდება ჩემი სტუდენტობისდროინდელი სპექტაკლი „გუშინდელნი“, რომელსაც აკაკი ვასაძე დაგამდა ჩვენთან. მე ვთამაშობდი თავად კონიას. ერთ რეპეტიციაზე ბ-მა აკაკიმ მითხრა: არ დადიხია შენ სწორად. შენს გმირს გაცვეთილი წუღები აცვია და შენ კი ისე დადიხია, ასე ერთ დღეში გაეხევა, ფრთხილად იარეო. აი, აქ გავიგე როლი, აქ გამოიკვეთა თავადის გაჭირვებული მდგომარეობა და ამ დეტალმა მიმაგნებინა როლის მარცვალი. ამას უნდა უყურებდეს თეატრმცოდნე, როგორ იქმნება როლი 10 რეპეტიციაში.
3. კრიტიკა დღეს აღარ იწერება. კრიტიკოსებს ანალიზის უნარი არ გააჩნიათ. მათ შეუძლიათ მოწოდება ან არმოწოდება. ისინი აღწერენ მათვის საინტერესო სცენებს სპექტაკლიდან და ამით იფარებებიან. მე დღევანდელ კრიტიკოსებს ვურჩევდი ბ. ბელინსკის ნაკითხვას.
4. სად იწერება ასეთი რეცენზიები და პორტრეტები? განა შეიძლება სპექტაკლი გაარჩიოს

ადამიანმა, რომელმაც რეჟისურის ინჩიბინჩი არ იცის? ვისაც მხატვრობის, მუსიკის არაფერი გაეგება? დღეს თეატრისა და კინოს უნივერსიტეტიდან პირველ რიგში ხარისხიანი ჰედაგოგები დაითხოვეს და ახალი თაობა ვეღარ გაიზარდა. ადრე თეატრმცოდნები ესწრებოდნენ რეჟისურის, მსახიობის ოსტატობის, სცენური მოძრაობის ლექციებს, ესწრებოდნენ რეჟეტიციებს, გადიოდნენ სახვითი ხელოვნებისა და მუსიკის თეორიის სრულ კურსს. დღეს თეატრმცოდნებია მაღალკვალი-ფიციურ სამეცნიერო შრომებს კი არა, სპექტაკლის რეცენზიასაც ვერ წერს პროფესიულ დონეზე.



ნაცი ჩიტვინები:

1. პირვენებას გააჩნია — არიან კრიტიკოსები, რომელთაც გან-საკუთრებულ პატივს ვცემ. მაგრამ ზოგიერთი მათგანი სპექტაკლის გარჩე-ვის, მისი ანალიზის ნაცვლად შინაარსს ყვება და ნაცვლად იმისა, დაასაბუ-თოს, რატომ მოსწონდს ან არ მოსწონდს, „ეს კარგია“ ან „ეს ცუდიან“ აღნიშნავს და ამ პირადი მოწონება- არმოწონების დონეზე აფასებს სპექტაკლს. ასეთი თეატრმცოდნების აზრი არ მაინტერესებს.

2. მხოლოდ კრიტიკოსის ნათქვამი და დაწერილი როგორ დამეხ-მარება? რა თქმა უნდა, ვითვალისწინება ახლობლების, თეატრალების აზრს და შესაძლოა, შევასწორო კიდეც როლი, მაგრამ მხოლოდ კორექტირების დონეზე. ის, რაც გაკეთებულია, არასოდეს შემიცვლია.

3. თუ არ ჩავთვლით თქვენს უურნალს, სადაც იძეჭდება ხოლმე როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი რეცენზიები, სხვა უურნალებსა და გაზეუბები ძალიან ზოგადი აზრია გამოთქმული. არ არჩევენ, არ აანალიზებენ სპექტაკლებს. იძლევიან მხოლოდ ზოგად ინფორმაციას და სპექტაკ-ლის შინაარსის მოყლოლი იფარგლებანან. შესაძლებელია, ბევრი მათგანი ურთიერთობების გაფუ-ჭებასაც ერიდება. ხადასახან ინდივიდუალური ფაქტორიც გარკვეულ როლს თამაშობს — ზოგჯერ კრიტიკა პირად შეურაცხყოფაზე გადადის, რაც დაუშვებელია.

4. ამ ორი წლის წინ, სრულიად შემთხვევით, თუმცურის 70 წლისავთან დაკავშირებით, „საგარ-ეჯოს რეკინიგზაში“ დაიბეჭდა ლელა ოჩიაურის წერილი, სადაც მიმოხილული იყო მისი შემოქმედება ძალიან საინტერესოდ და საკამაოდ ღრმად. ჩვენ შემთხვევით წავიკითხეთ ეს სტატია, რადგან ლელა მორიდებული ადამიანია და არ გავუფრთხილებივართ, თუმცა, ჩვენ დავურეკეთ და მივულოცეთ კიდეც. ეს იყო ჩემთვის დასამახსოვრებელიც და სასიამოვნი მოვლენაც.



ნაცა ვაჩუაშვილი:

1-3. მტკიცნეულად, მაგრამ ვუწევ. საერთოდ, მინდა ობიექტურები იყ-ვნენ. ყველა მსახიობმა იცის, არის თუ არა კრიტიკოსი ობიექტური. მე მახსოვს, ადრე ძალიან კომპეტენტური რეცენზიები იწერებოდა. ვთქმული, თეატრმცოდ-ნების სწავლებაც სულ სხვანაირი იყო. ისინი უფრო მაღალი რანგის პროფე-სიონალები იყვნენ. იმდროინდელი რეცენზია მხოლოდ შეფასებას არ იძლეოდა — ის აანალიზებდა სპექტაკლს და გვიმტკიცებდა, რატომ მოეწონა, ან თუ არ მოეწონა ესა თუ ის ეპიზოდი თუ გმირის ცეკვა, სწვდებოდა მოვლენების არსს და გვახედებდა მასში. რეცენზია ამ ღრმა აანალიზის გარდა, გვიჩვენებდა, რომ რაღაც გამოგრჩა, რაღაც მნიშვნელოვანი ვერ გააკეთე. ეს კი ძალიან ბევრს ნი-შნავდა ჩემთვის.

ობიექტური კრიტიკოსისაგან მსახიობი იღებს შენიშვნებს. მე ვიღებ შენიშვნებს, მაგრამ ის ყვე-ლა მსახიობის მიმართ ობიექტური და სამართლიანი უნდა იყოს. თუკი ერთხელ მაინც კრიტიკოსი ჩაიდენს შეცდომას და გაალამაზებს წარმოდგენას, ან ნათამაშებ როლს, მე უკვე მეკარგება მის მიმართ ნდობა და ეჭვი მეპარება მის ობიექტურობაში. როდესაც კრიტიკოსი ტენდენციურა, მას არანაირი ლირებულება აღარ გააჩნია. არ უნდა გაყიდოს მას თავისი ლირსება რაღაც ცეკების გამო. კრიტიკოსი მიმიტომა არსებობს, რომ მისი სჯეროდება. მართალია, რეჟისორი დგამს სპექტაკლს, მა-გრამ კრიტიკოსაც თავისი დაინიშნულება აქეს. „წიჩარდ III-ში“ ყვავი რომ ეჯდა რობიკოს, არაჩვეუ-ლერივიად გაიშიფრა ეს სცენოგრაფიული დეტალი კრიტიკოსების მიერ. აბა, რისი თეატრმცოდნე ხარ, ეს თუ არ გაანალიზე. სწორედ ასეთი კრიტიკოსები ეხმარებიან მაყურებელს სპექტაკლის აღ-ქმასა და ღრმად გაანალიზებაში. თუ სწორად ამოხსნის სპექტაკლს, მე მჯერა, ასეთი კრიტიკოსის. მერე გნებავთ, დადებითი რეცენზია დაწეროს და გნებავთ, უარყოფითი.

ადრეულ რეცენზიებში ხშირად იხილავდნენ მსახიობის მიერ შესრულებულ როლს. ახლანდელ რეცენზიებში კი პიესის შინაარსს ყვებიან, სპექტაკლის ეპიზოდებს აღნერებ და არ შეიფრავენ სპექ-ტაკლის სათქმელს. მაყურებელი თეატრში იმისთვის მოდის, რომ რაღაც დასკვნა გამოიტანოს სახახაობისგან, ან მიბაძოს გმირს, ან გაკიცხოს. მთავარია, ყველაფრის მიმართ არ დარჩეს გულ-გრილი. რაღაც წაიღოს სპექტაკლიდან.

ყოფილა შემთხვევები (თუმცა არა ხშირად), რომ რეცენზიების ნათქვამი მომწონებია და გამო-მიყენებია როლის შემდგომ დახვეწანში. ნათელა არველაძემ ძალიან შემაქო სპექტაკლში „შეშლი-ლა, შეშლილი ახალი წელი“ და გახსნა როლი ჩემთვის — ამ კოსტუმში შეპელასავით ჰაეროვანია, ხელებს რომ გაშლისო პეპელასავით... მე მომეწობა ეს და როლის პლასტიკურ ნახაზში ეს აქცენ-

ტები დავსვი. დათო ბუხრიკიძემ კულარა ცახანასინის როლზე, რომელიც ვითამაშე „მეორედ მოსვლა ანუ ვიზიტში“ დაწერა, რომ ნანა ფაჩუაშვილი, რომელიც ლედი ანას თამაშობდა, ახლა უკვე რიჩარდ III-ის ნიღაბს ირგებს ამ როლშით და ეს ნათქვამი ძალიან საყურადღებო გახდა ჩემთვის. ასეთი პარალელები თვალს გიხელს და გაფიზზლებს, რაღაც სტიმულს გაძლევს მომავალ მუშაობაში და გრძნობ, რომ შენს თავში უფრო დარწმუნებული ხდები... ეს იმიტომ კი არა, რომ კარგი დაიწერა შენს შესახებ, არა, ეს რეცენზიები ახლებური თვალით შეგვახედებს ხოლმე ჩვენს მიერ შექმნილ სცენურ გმირზე. ეს კი ცოტა არ არის.

4. ლელა ოჩიურმა ისეთი რეცენზია დამიწერა, რაც არ მიფიქრია, ისიც კი ამოიკითხა ჩემს ნამუშევარში



ლელა ლელაძე:

1. კი, რა თქმა უნდა.
2. ტყუილი რომ არ ვთქვა, არა. სპექტაკლის მზადებისას ძალიან კრიტიკული ვარ ჩემი თავის მიმართ. ამ დროს შეიძლება კონკრეტული გამოთქმული აზრი ავიტაცო. ეს მომხდარა. რეპეტიციების დროს, რეჟისორი ხომ ღრუბელივითაა. ის ისრუტავს ყველაფერს — დადებით და უარყოფით მოსაზრებებსა და შეფასებებს და ხანდახან, ცუდი აზრიც კი გიჩევს ინსპირაციას.

3. როგორ არ იწერება? იწერება და იბეჭდება კიდეც. მახსოვს, 15-20 წლის ნინი ტალად იყო უარყოფითი რეცენზიების. ხშირად ისინი მტკვენეულად მიტქმედებინდნა და გულს ტკენდნებ რეჟისორებს (მე არა, სხვებს), რაც ძალიან არ მომწოდა და ახლაც არ მომწონს. კრიტიკოსების პრობლემა ისაა, რომ ხშირად სუბიექტურები არიან და რა გუნება-განწყობაც აქვთ მოცემულ მომენტში, ხშირად ამის მიხედვით წერენ სტატიებს. კრიტიკა ცუდი სპექტაკლისა, ერთი მხრივ, შეიძლება საჭიროა, მაგრამ კრიტიკოსები პირად შეურაცხყოფაზე გადადიოდნენ და მე ამას ნახევრად პროფესიონალიზმს ვუწოდებდი. ეს ცალკე პრობლემაა.

ბევრი მათგანი უხეშად გამოთქვამს თავის აზრს. მართალია, არ არის აუცილებელი იყოს თეატრმცოდნე გლამურული ადამიანი, მაგრამ მას აუცილებლად მოეთხოვება თავისი საქმის ცოდნა, პროფესიონალიზმი

4. რეცენზიის არ ვიცი, მაგრამ ამას ნინათ ქ-ნი ნათელა არველაძე ტელევიზიაში საუბრობდა სპექტაკლ „დეკამერონის!“ შესახებ და ძალიან გამიხარდა, რომ ზუსტად ამოიცნო ჩემი ნამუშევრის არსი. გამიხარდა, რომ გაიგო, რა უნდა ეთქვა რეჟისორს და მთელ შემოქმედებით დასს.

დასასრულს მინდა ალვნიშნო — ოთხი წლის ნინი თბილისში ჩვენს ერთ-ერთ ფესტივალზე ჩამოვიდა თეატრალურ კრიტიკოსთა მსოფლიო ასოციაციის თავმჯდომარე ჯონათან მილსი, რომელმაც უაღრესად საყურადღებო აზრი გამოთქვა ჩვენთან საუბრისას: თეატრმცოდნე თეატრში უნდა მიდიოდეს კარგის აღმოსაჩენად. არ შეიძლება ფრთები მოაჭრა ხელოვანს, ფრთები უნდა შეუსწორო მას.



ლადო გობერიძე:

1. რა თქმა უნდა, უუნევ ანგარიშს თეატრალურ კრიტიკას, თუკი ის პროფესიულ დონეზე დგას.
2. კომპეტენტური და საქმის მცოდნე კრიტიკოსის აზრი ყოველთვის გასათვალისწინებელია თეატრისათვის.
3. მართალი რომ ვთქვა, ვერ დავეთანხმები ამ მოსაზრებას. რა თქმა უნდა, იბეჭდება კრიტიკული რეცენზიები, რომლებიც უარყოფითად აფასებენ სპექტაკლს ან მსახიობების მიერ ძესრულებულ როლებს.
5. მე ვფიქრობ, ქართული თეატრალური კრიტიკა ჩართულია თეატრების შექმედებით პროცესებში. ჩვენი თეატრიც აქტიურად თანამშრომლობს მათთან და ყოველთვის ვცდილობთ, გავითვალისწინოთ მათი აზრი.



გიორგი შენელია:

1. არანაირ კრიტიკას ანგარიშს არ ვუწევ საერთოდ. აზრიან შეფასებებს კი ვითვალისწინებ და ანგარიშსაც ვუწევ. კრიტიკა მოგონილი რამება. მას შეუძლია, ხშირ შემთხვევაში, ამბის დამახინჯებული ფორმით დიფერენცირება, ამა თუ იმ მოვლენის უტრიორება, ობიექტის არასწორი შეფასება. არგუმენტაციის გარეშე კრიტიკა ხელოვანისათვის მომაკვდინებელიც კია.
2. ყველაზე შეტაც მე მეხმარება საკუთარი ინტიცია, რეჟისორის მითითება პორტრეტის აშენებს პროცესში, თუ შეიძლება ასე ვთქვათ. რაც შეეხება საერთოდ, რამის მცოდნეობას, ეს მცოდნეობა ძალიან ბევრ კითხვის ნიშნებს სვამს. ხელოვანს თავისი ინდივიდუალური სამყარო აქვს. ის თავისი დიდი არსენალით — არტისტული შესაძლებლობებით, ინტუიციით, ნიჭით, შეგრძნებებით ნარმოსახავს სცენური გმირის

კონტრუებს და განახორციელებს, ქმნის მას. ხელოვანს შინაგანი სამყარო მომარჯვებული აქვს, როგორც განსაკუთრებული იარაღი. მას საკუთარი შეგრძებები ახსნევინებს გმირის ხასიათს, მის სულიერ მდგომარეობას. მცოდნეობა კი არის მუშაობა გარედან, შეფასება. შეგრძნებების სამყარო ხელოვანისაა, დანახვის სამყარო კი — კრიტიკოსის. მაყურებლის. ამდენად, ისინი მე მხედავენ, მაგრამ შემოქმედებით პროცესში არანირად არ მეხმარებიან.

3. როგორ არ იწერება! უარყოფითის მეტი რა იწერება? შეიძლება ჰყავდეს კრიტიკოსი მუსიკათმცოდნე შონბერგს იმიტომ, რომ მისი მუსიკა მოდერნისტულია და მუსიკალური კანონიკის ნორმებში არ ჯდება. ასე თუ მიუვდებით საქმეს, რასაც კრიტიკა ჰქვია, ძალიან ეპატაჟურია, მაგალითად, მალევიჩის შავი კვადრატი და დიდი განსჯებია მის ირგვლივ. მაგრამ მალევიჩის შავი კვადრატი არსებობს და ხელოვნების ნიმუშების დიდ ჩამონათვალში თავისი განსაკუთრებული ადგილი უჭირავს.

სარტრმა თქვა, რომ ჯოკონდა უნდა დავწვათო. ეს იმიტომ, რომ მხატვრობაში ეს შედევრი იგულისხმება ათვლის ნერტილად და ეს ასე არ უნდა იყოსო. რა თქმა უნდა, ეს უტრირებული გამონათვამია. არსებობს გზები მოვლენათა შეფასებისა, რომელიც არ აწესებს ნგრევისა და განადგურების პროცესებს. ანუ არსებობს არასანრი სვლა- გზებიც ხელოვნების ნიმუშების შეფასებისას.

საერთოდ, რაიმეს მცოდნეობა არ განასხვავებს ხელოვანს კრიტიკოსისაგან და არ აძლევს ამ უკანასკნელს დამატებით უფლებებს შეფასების კატეგორიულობაში.

4. ასეთი მნიშვნელოვანი ჩემთვის იყო რომ ანდერსონის ბოლო ფილმები, რომელიც კანის ფესტივალზეც დაჯილდოვდა, მაგრამ ჯილდოს გამო არ აღვნიშნა. ასევე მნიშვნელოვანია ჩიჩერინის თეორიული კვლევა მოცარტის შესახებ. ჩემთვის არსებობს პრიმიტივიზმი, ნაივი, ისეთი ხელოვანი, როგორიცაც ფიროსმანი. ჩემთვის მუსიკაში, კანებატოგრაფიაში, მხატვრობაში, თეატრში არ არსებობს არანირობი ჩარჩოები — ეთოგრაფიული, დროის და ა.შ. რაიმეს შეფასებას რომ იწყებ, ჩემი აზრით, უნდა გახვიდე გრავიტაციული ველიდან...

რაც შეეხება კრიტიკას, გავიმეორებ, რომ ის ჩემთვის ბევრ კითხვას სვამს. მე არ მჭირდება კონტრესტების გახსნა და განსაკუთრებული მსჯელობა. კრიტიკაში არც სწავლების მომენტია და არც მეთოდოლოგიის. მის დიდაგეტიკურ ტონებსა და კატეგორიულობას მტკიცებებად არ ვდებულობ. ხანდახან ის სასამართლო ქრონიკა უფრო, ვიდრე ხელოვნებასთან მიახლოება.

ბოლო რომ წლის მანძილზე ჩემი ყურადღება არ მიუქცევია რაიმე განსაკუთრებულ მოვლენას. ეს ალბათ იმიტომ, რომ ამაოების შეგრძნებები უფრო მუშაობს ჩემს ფიქიკაში, ვიდრე დანახულით ტებობის მომენტები.



გორგა კაპანაძე:

1. პრინციპში, მეტი პროფესიონალიზმი რომ ჰქონდეთ ახალგაზრდა თაობის კრიტიკოსებს, ამას ვუსურვებდი. ხანდახან, რაც უნდა კრიტიკული ვიყო, ვიტყვი, რომ ზოგიერთი მათგანის მიერ დანერილი სექტანტის რეცენზია უფრო უურნალისტური ჰყავს და არ მოიცავს ღრმა თეატრმცოდნებობით ანალიზს, როგორიც უნდა იყოს მსგავსი შრომები. რა თქმა უნდა, ეს ყველას არ ეხება, მაგრამ უმეტესობა ასე ეწერს. შეინიშნება კლანურობა, შეინიშნება სუბიექტურობა დიდი დოზით და ასევე არცონა შიდა თეატრალური შემოქმედებითი პროცესებისა. სპექტაკლის ანალიზის ნაცვლად მათგან მოდის უფრო აგრესია, ვიდრე სურვილი დახმარებისა.

2. თუ ეს არის მიუკერძოებელი აზრი, რომელსაც შეიძლება არ ეთანხმებოდე კიდეც, მაგრამ ხვდებოდე, რომ ის დახმარებისათვის და წარმოდგენის უკეთ დახვენისათვის არის ნათევამი, მაშინ მისაღებია. როდესაც თეატრმცოდნის ლოგიკური აზროვნება გაძლევს რეჟისორული ანალიზის და ამა თუ იმ მოვლენის სხვა კუთხით დაახსნებას, ასეთ დონის მე რამდენჯერმე შეიმიტვლი კიდეც მიზანსცები და ფინანსი კი. მაგალითად, ე-ნ ნათელა ურუშაძის მიერ გამოთქმული შენიშვნის შემდეგ მთლიანად შევცვალე სუმბათაშვილის „ღალატის“ ორი სცენა და ამით სპექტაკლმა მოიგო კიდეც. კიდევ ერთი მაგალითი — ქ-ნი ნათელა არველაძის შენიშვნის საფუძველზე შევცვალე „გუშინდელინი“-ს ფინალი.

3. როგორ არ იწერება! ბევრი წამიკითხავს კრიტიკული ხერილი უარყოფითი შეფასებით თუნდაც ჩემი სპექტაკლების შესახებაც, მაგრამ უმეტესობა ჩემში იწვევს დიმიდს მათი არაპროფესიონალიზმის გამო. ამ ბოლო დროს კი თეატრმცოდნები შეიმჩნევა ახალი ტენდენცია ფავორიტი თეატრების, ფავორიტი რეჟისორების, ფავორიტი მსახიობების მხარდაჭერისა, რომლებიც ბოლო ხანს უკეთ თავად კარნახობენ რეცენზიის შინაარსს, აქცენტებს და ანალიზსაც კი ახალგაზრდა კრიტიკოსის ბევრად უკომპრომისო, ბევრად პრინციპული და სინდისიერი უნდა იყოს, პირველ რიგში, საკუთარ თავთან და პროფესიასთან მიმართებაში.

4. წინო მაჭავარიანის, ლელა ოჩიაურის, მანანა გეგეჭკორის, მაკა ვასაძის რეცენზიები.



გიორგი სიჩარულიძე:

1. აუცილებლად. რა იქნებოდა თეატრის შრომა, რომ ის არ შეფასდეს მაყურებლისა და მით უფრო, თეატრალური კრიტიკოსის მიერ. თუ არ იქნება მასზე საუბარი, მსჯელობა, მაშინ არაფერი გამიეთებია ღირებული. ძალიან მნიშვნელოვანია კრიტიკოსების ყურადღება. ისინი ხომ ის ადამიანები არიან, რომლებიც ვალდებული არიან გააშექონ და განიხილონ ვეელაფერი, რაც ხდება ქართულ თეატრში. ჯანსაღი ურთიერთობა მაშინ არის თეატრსა და კრიტიკოსს შორის, როდესაც რეჟისორი დადგამს სპექტაკლს და ელოდება კრიტიკოსის შეფასებას. ასე რომ არ იყოს, მაშინ რაღა საჭირო იქნებოდა მათი არსებობა. როდესაც მიხეილ თუმანიშვილის ჯგუფში ვსწავლობდი, მახსოვს, თეატრალური კრიტიკოსებიც სწავლობდნენ თეატრალურ ინსტიტუტში და მაშინდელი ჯანსაღი ურთიერთობა დღემდე მომყვება. მაგრამ იმ დროსა და დღევანდელობას ერთი აქვს საერთო — მაშინაც ინერებოდა და დღესაც ინერება არაბიეტური რეცენზიები. რაც შეეხება პროფესიულ დონეს, ადრე კრიტიკა უფრო მაღალ დონეზე იდგა ამ თვალსაზრისით. არაბიეტური კრიტიკა დღესაც ინერება.

2. სპექტაკლის შექმნის პროცესში კრიტიკოსის ჩართვა მიუღებლად მიმართდა. მით უფრო, მისი მოსაზრების გაზიარება. ამ დროს ის ალბათ, უფრო ხელს შემიჭმლიდა. საუბარია გამზადებული სპექტაკლის შეფასებაზე. ობიექტური შეფასება ჩემთვის ყოველთვის მისაღებია. არის შემთხვევები, რომ არ ვეთანხმები, კრიტიკოსის შენიშვნას ან გამოთქმულ აზრს, მაგრამ პატივს ვცემ მას, რადგან ეს მისი სუბიექტური მოსაზრებაა. ისეთი შემთხვევებიც მახსოვს, რომ რეცენზიის წაკითხვისას რომელიმე სცენის შეფასება და ანალიზი გაუკეთებია კრიტიკოსს, მე რომ არც მითიქირია.

3. ვერდავეთანხმები ამ მოსაზრებას. მე წამიკითხავს უარყოფითი რეცენზიები და მკვეთრად, რადიკალურად უარყოფითი რეცენზიებიც.

4. ბოლო წლებში წამიკითხავს ბევრი საინტერესო ნაშრომი, თუმცა, დავიცავ ერთგვარ პროფესიულ ეკუთხა და გვარების დასახელებისაგან თავს შევიცვებ.

აუცილებლად მინდა აღვნიშნონ ერთი სასიამოვნო ტენდენციის შესახებ. მივესალმები იმ ფაქტს, რომ კრიტიკოსები ხშირად გვსტუმრობენ რეგიონის თეატრებში. ახლაც, როდესაც ჩატარდა იმ-ერთის თეატრალური ფესტივალი, რვა თეატრალური კრიტიკოსი იჯდა დარბაზში და ეს ჩვენი შემოქმედებითი კოლექტივებისათვის დიდი სტიმული და მხარდაჭერა იყო. იყო წლები, როდესაც ჩვენ პრემიერებს არავინ ესწრებოდა დედაქალაქიდან.

დღეს ჩვენი თეატრის სპექტაკლებს დიდ ყურადღებას აქცევს თეატრალური კრიტიკა, კრიტიკოსები ხშირად გვსტუმრობენ და აფასებენ ჩვენს ნამუშევარს და თქვენი ურნალის მეშვეობით მაღლობას ვუხდი მათ.



მარინა კახიანი:

1. არაპროფესიული მიდგომაა, თუკი რეცენზიას პროფესიონალი თეატრმცოდნე წერს და მას სპექტაკლი მხოლოდ ერთხელ აქვს ნანახი. რეჟისორი და მსახიობები თვეობით მუშაობენ სპექტაკლის შექმნაზე და თუ რეცენზიენტი მის სერიოზულ შეფასებას და ღრმა ანალიზს აპირებს, ერთხელ მათი ნამუშევრის ნახვა საკმარისი არ არის. ამიტომ არის, რომ მათი უმრავლესობა სპექტაკლის შინაარსის მოყოლით შემოიფარგლება და არც კი ახსენებს წარმოდგენის კონცეფციას. გამონაკლისები, რა თქმა უნდა არსებოდს.

სამწუხარო ფაქტია ის გარემოებაც, რომ წანილს კრიტიკოსებისას, რომლებიც ჩვეულებრივა დამამინები არიან თავიანთი ნაკლოვანებებით, ჰყავთ საყვარელი არტისტები. მე ჩემს თავზე არ გამომიცდია, მაგრამ ხშირად შემინიშვავს, რომ

რაც არ უნდა გააკეთოს მსახიობმა, ისინი არ ხედავენ და არ აფასებენ მას, ხოლო საყვარელი მსახიობის ცუდებაც შესრულებულ შეიძლება უმაღლესი შეფასება მიანიჭონ.

2. მებმარება, მაგრამ, რა თქმა უნდა, არა როლის შექმნის დროს. თუ მართებულია, კრიტიკოსის შენიშვნებს ვითავალისინიერ და რაღაც ნიუანსები შეიძლება ყიდულება და სულაც, სხვა თვალითაც კი შევხედო ჩემს გმირს. მე მინდა გავიხსენო პირველი როლები, როდესაც ბება ნიდარ გურაბანიძემ გააკეთა თავისი შეფასებები, რამაც საკუთარი თავის რნენაშემმატა. ეს კი აუცილებელია ყოველი ხელოვანისთვის. არტისტი ხომ ყოველთვის ჭიდილშია საკუთარ თავთან.

3. რატომ? მე წამიკითხავს უარყოფითი გამოხმაურებები ამა თუ იმ სპექტაკლზე. ძალიან როტულია ამაზე საუბარი. კრიტიკოსს ხანდახან არ ვეთანხმები. ჩვენს პროფესიაში არ არსებობს რაღაც კრიტიკოსუმები, რითაც შეიძლება კარგი და ცუდი პროფესიული დონეები დაადგინო. მსახიობებშიც ასეა. მაგალითად, ხანდახან მსახიობმა, რომელსაც არცთუ კარგი მეტყველება აქვს, შეიძლება სანტერესო როლები შექმნას და აღფრთოვანებაც კი გამოიხვიოს და პირიქით, შესაბინავი პროფესიულ მონაცემები ჰქონდეს და ეს ვერ შეძლოს — ვერ დაბადოს ემოცია მაყურებელში. არ არსებობს სპექტაკლი ან თუნდაც მსახიობი, რომელიც უკლებლივ ყველას მოსწონდეს. აღნათ, ამითაც არის საინტერესო ჩვენი პროფესია. ყველას თავს ვერ მოაწონებ და ეს არც არის აუცილებელი.

4. ასე კონკრეტულად არ მახსენდება.

ქართული პიესა უცხოეთები

2014 წელს, საქართველოში ჩატარდა დრამატურგიის კონკურსი. ეს გახდავთ ქართულ-ავსტრიული პროექტი „საუბრები საზღვრების შესახებ“. კონკურსი უკვე 10 წელია ტრდება აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში, გასულ წელს ჩატარდა საქართველოში. კონკურსში წარდგენილი იყო 27 პიესა. გაიმარჯვეს ბასა ჯანიკაშვილის, დათა თავაძის და ლაშა ბულაძის პიესებმა. კონკურსის დებულება ითვალისწინებდა გამარჯვებული პიესების დადგმას „უცხოეთში უურნალი „თეატრი და ცხოვრება“ უკვე პიესის დადგმის შემდეგ ესაუბრა ერთ-ერთ გამარჯვებულ ავტორს, დათა თავაძეს, რომლის პიესაზე პროექტის ხელმძღვანელმა ქრისტიან პაპკემ განაცხადა: „ყველაზე ახალგაზრდა ავტორმა დათამ, ძალიან საინტერესოდ გადმოსცა ის ტკივილი, რომელიც საქართველოს ბოლო წლებში ჰქონდა, მთელი პიესის განმავლობაში გაქვს რაღაც მოულოდნელის, შეუცნობელის შეგრძნება. პიესა იმ ტკივილზეა აგებული, რომელიც ქართველ ერს ამდენი წელია დაყვება.“

— გვიამბეთ კონკურსის შესახებ, როგორ მოხვდით პროექტში?

— ეს არის თანამედროვე ავსტრიული კონკურსი, „საუბრები საზღვრების შესახებ“, რომლის ხელმძღვანელი ქრისტიან პაპკე ჩამოსული იყო საქართველოში. კონკურსის მიზანია ყოველწლიურად აღმოაჩინოს თანამედროვე პიესები, ახალი ტექსტები მთელ მსოფლიოში. კონკურსის თემა სათაურიდან გამომდინარე მეტნაკლებად განსაზღვრული იყო, პიესები მატერიალურ თუ არამატერიალურ საზღვრებზე, იმ ლიმიტებზე, რომელსაც ჩვენ ჩვენ, თავს ვუწესებთ, ან სახელმწიფო გვინესებს, ან პოლიტიკური რეალობა. როგორ მოქმედებენ საზღვრები ჩვენზე, ჩვენს ცხოვრებაზე, ურთიერთობებზე. ეს იყო კონკურსის ძირითადი თემები. 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ დავიწყე პიესა „დედაომის“ წერა Royal Court - თეატრთან ერთად, მათი ვორქშოფის დაკვეთით.



დაახლოებით 4 წლის მანძილზე ვაჭითარებდი პიესას, რომლის ოთხი რედაქცია არსებობს. ბოლო ვერსია 2012 წელს, პირველად წაიკითხეს კიევში თანამედროვე დრამის კვირეულზე, ანუ შესაბამისად ითარგმნა უკრაინულად, მანამდე ინგლისურად თარგმნა დონალდ დრეიფილდმა ჩემი, დათო გაბუნიას, ლაშა ბულაძის, ბასა ჯანიკაშვილის პიესები. კონკურსს „საუბრები საზღვრების შესახებ“ შეუერთდა ქალბატონი მანანა ანთაძის, კონკურსი „ახალი ქართული პიესა“. პროექტი ჩატარდა თუმანიშვილის ფონდის, ავსტრიის საგარეო საქმეთა სამინისტროს და საქართველოს კულტურის სამინისტროს მიერ. ჩემმა და ბასა ჯანიკაშვილის პიესებმა კონკურსზე აიღო პირველი ადგილი, მეორე ადგილი არ გაიცა, ხოლო მესამე ადგილი ერგო ლაშა ბულაძეს. ჩემი და ბასას პიესები დაიდგა გერმანიაში, ლაშას პიესა დაიდგმება უნგრეთში. ნიურნბერგში იყო ბასას პიესის პრემიერა, ხოლო „დედაომის“ პრემიერა გაიმართა თებერვალში, ქალაქ ციტაუში, გერმანიტკაუშინის თეატრში.

— თქვენ პირველი მონაწილეები იყავით საქართველოდან კონკურსის „საუბრები საზღვრების შესახებ“?

— კონკურსი ეწყობა ყოველ წელს სხვადასხვა ქვეყანაში და პირველად მოეწყო საქართველო-

ში, შესაბამისად, ჩვენ ვიყავით პირველი მონაწილეები.

— **როგორც ახსენეთ, 2008 წლიდან დაიწყეთ პიესის წერა, როდის მიეცით საბოლოო სახე?**

— ალბათ, 2012 წელს, როდესაც კიევში თანამედროვე დრამის კვირეულზე მოეწყო ამ პიესის კითხვა.

— **რაზე პიესა „დედაომი“?**

— სპექტაკლში არის 4 მოქმედი პირი. 3 ქალი და 1 კაცი, რომელიც აკავშირებს 2 მთავარ პერსონაჟ ქალს ომის რეალობასთან. მამაკაცი ასრულებს მაცნეს ფუნქციას, მას მოაქვს არაკონკრეტული ცნობები, იმიტომ რომ ამ პიესაში ომი, ისევე როგორც ყველა ომი, გასაიდუმლოებულია და ცნობილია, მხოლოდ ის, რასაც მთავრობა საჭიროდ თვლის იცოდე. მათ ისიც კი არ იციან, ვინ ებრძვით, ან სად არის ომი. ისიც კი არაა განსაზღვრული, რომ ომი მიმდინარებს მათ ქვეყანაში, იმიტომ რომ მნიშვნელობა არ აქვს სად არის ომი, რადგან ის ნებისმიერ შემთხვევაში წარმოადგენს საფრთხეს. ეს პიესა არის იმაზე თუ მოის დროს რამხელა ტვირთია საკუთარი სქესი ქალისთვის. ჩვენ ვხედავთ ქალს რეალობაში, რომელშიც ქალის ადგილი არ არის. რეალობაში, რომელსაც ქალი არ ირჩევს იქ, სადაც ქალი პირველი ოპოზიციაა. ეს პიესა გარკვეულიდად იმაზეა, როგორ აღიმება ეს სქესი იქ, სადაც შურისძიებაა, სადაც მკვლელობაა. „ტროელი ქალების“ დადგმის პროცესში ჩვენ პირადად შეეხვდით ომგამოვლილ ქართველ ქალებს იმისთვის, რომ მათგან ინტერვიუები აგვეღლო, რაზეც უნდა აგვეგო სპექტაკლი. აღმოვაჩინეთ, რომ სულით ხორცამდე, ყველა ეს ქალი იყო პაციფისტი თავისი არსით, მოის პირველი მონინააღმდეგე. მამაკაცებთან ვხვდებოდით ოდნავ განსხვავებულ რიტორიკას, რომელიც შურისძიების ელემენტებს შეიცავდა. „ჩვენ უნდა დავიბრუნოთ, რადაც არ უნდა დაგვიჯდეს სამართლიანობა აღვადგინოთ“, ქალბატონები არ ამბობდნენ სიტყვას: „რადაც არ უნდა დაგვიჯდეს“, იმიტომ რომ მათ უკეთ იციან სიცოცხლის ფასი. ერთმა ქალბატონმა ასეთი რამ გვითხრა: „იმდენად გაგონება არ მინდა ომის, რომჩემთვის ყველაფერი სულ ერთია, იმიტომ რომ აქვს მნიშვნელობა რაფასს ვიხდი იმისთვის, რომ დაგბრუნდე სახლში“. ეს საკმაოდ სერიოზული, ღრმა და დასაფიქრებელი აზრია, რადგან ყოველთვის აქვს მნიშვნელობა ომის, რაფასს ვიხდით კონკრეტული მიზნებისთვის. ეს მსხვერპლია დასათვლელი და გასაანალიზებელი.

„ტროელი ქალების“ ფინალში მარტო სალომე მაისაშვილი რჩება სცენაზე, რეპეტიციის ამ ეპიზოდში ვიკითხე, ნუთუ, აქ უნდა დავასრულოთ მეთქი... სალომემ მითხვა, „მეტი რაღა უნდა ვთქვათ“. მეც ვუპასუხე აქ თუ არ დავამთავრებთ, ველარასოდეს ველარ დავამთავრებთ-თქმი იმიტომ, რომ როცა ამ სცენას ვდგამდით მსოფლიოში იყო 20-მდე სამხედრო კონფლიქტი. დღეს კიდევ რამდენიმე შეემატა ამ ციფრს. „დედაომის“ ფინალში ჩამოთვლილია მსოფლიოს ყველაზე დიდი და მცირე ომების სტატისტიკა. პიესა მთავრდება ამ სიით. ჩემთვის ერთ ერთადერთი დასასრული, რომელიც ამ პიესას შეიძლება ჰქონდეს, იმიტომ რომ ომი არაფერზე არ არის, ვინ ებრძვით, ან სად არის ომი. ისიც კი არაა განსაზღვრული, რომ ომი მიმდინარეობს მათ ქვეყანაში, იმიტომ რომ მნიშვნელობა არ აქვს სად არის ომი, რადგან ის ნებისმიერ შემთხვევაში წარმოადგენს საფრთხეს. ეს პიესა არის იმაზე თუ მოის დროს რამხელა ტვირთია საკუთარი სქესი ქალისთვის. ჩვენ ვხედავთ ქალს რეალობაში, რომელშიც ქალის ადგილი არ არის. რეალობაში, რომელსაც ქალი არ ირჩევს იქ, სადაც ქალი პირველი ოპოზიციაა. ეს პიესა გარკვეულიდად იმაზეა, როგორ აღიმება ეს სქესი იქ, სადაც შურისძიებაა, სადაც მკვლელობაა. „ტროელი ქალების“ დადგმის პროცესში ჩვენ პირადად შეეხვდით ომგამოვლილ ქართველ ქალებს იმისთვის, რომ მათგან ინტერვიუები აგვეღლო, რაზეც უნდა აგვეგო სპექტაკლი. აღმოვაჩინეთ, რომ სულით ხორცამდე, ყველა ეს ქალი იყო პაციფისტი თავისი არსით, მოის პირველი მონინააღმდეგე. მამაკაცებთან ვხვდებოდით ოდნავ განსხვავებულ რიტორიკას, რომელიც შურისძიების ელემენტებს შეიცავდა. „ჩვენ უნდა დავიბრუნოთ, რადაც არ უნდა დაგვიჯდეს სამართლიანობა აღვადგინოთ“, ქალბატონები არ ამბობდნენ სიტყვას: „რადაც არ უნდა დაგვიჯდეს“, იმიტომ რომ მათ უკეთ იციან სიცოცხლის ფასი. ერთმა ქალბატონმა ასეთი რამ გვითხრა: „იმდენად გაგონება არ მინდა ომის, რომჩემთვის ყველაფერი სულ ერთია, იმიტომ რომ აქვს მნიშვნელობა რაფასს ვიხდი იმისთვის, რომ დაგბრუნდე სახლში“. ეს საკმაოდ სერიოზული, ღრმა და დასაფიქრებელი აზრია, რადგან ყოველთვის აქვს მნიშვნელობა ომის, რაფასს ვიხდით კონკრეტული მიზნებისთვის. ეს მსხვერპლია დასათვლელი და გასაანალიზები გერმანიიდან, პონერენის სახლში.

— პიესის დადგმაზე გვესაუბრეთ, როგორი იყო იგი, რა მოგცათ თქვენ როგორც ავტორს? როგორები იყვნენ მსახიობები?

— გერპარდტ პაუპტმანის თეატრს ჰყავს მსახიობების ძალიან კარგი ანსამბლი, პატარა დასი, თუმცა, ჩემი აზრით, საუკეთესო რაოდენობა მსახიობების ასეთი უნდა იყოს თეატრში. მხოლოდ 15 პროფესიონალი და შესაბამისად 15 დაკავებული მსახიობი ქართული შტატებისგან განსხვავებით. დასი შედგება გერმანიის სხვადასხვა ქალაქებიდან მონერეული მსახიობებისგან. ციტაუ არის გერმანიის სასაზღვრო ქალაქი, რომელიც ერთდროულად ესაზღვრება პოლონეთსა და ჩეხეთის რესპუბლიკას, ამიტომ ეს თეატრი გარკვეულიდად წარმოადგენს პოლონეთის, გერმანიისა და ჩეხეთის თეატრალური თანამეგობრობის სიმბოლოს. ყოველ წელს ისინი ატარებენ ფესტივალს, რომელსაც ჰქვია, „სამი ქვეყნის ფესტივალი“, სადაც ნარმოდგენილია სპექტაკლები გერმანიიდან,

პოლონეთიდან და ჩეხეთიდან. ასევე ყოველ წელს ჰყავთ ერთი მოწვეული, სტუმარი ქვეყანა. წელს ეს ქვეყანა იყო საქართველო და სამეფო უბნის თეატრის „ტროელი ქალები“. რაც შეეხება „დედაომს“, სპექტაკლი დადგა პოლონელმა რეჟისორმა, რომელიც ტექსტის ერთგული იყო, მიუხედავად იმისა, რომ ტექსტი მას ჰქონდა, როგორც ერთგვარი ჩარჩო, მაინც იძოვა თავის-უფლება ისე, რომ არ დაურღვევია დრამატურგიული ქარგა.

შემიძლია ყველაზე მეტი ვილაპარაკუ თავად მსახიობებზე. მინდა აღვნიშნო, რომ ეს იყო საუკეთესო ანსამბლი, რომელსაც ვისურვებდი ამ პიესისთვის. რა თქმა უნდა, ეს ძალიან დიდი გამოცდილებაა ჩემთვის. რასაკვირველია, ვისურვებდი, რომ ტექსტი მომესმინა ორიგინალში, ან იმ ენაზე, რომელიც მესმის, რადგან ჩემთვის რთული იყო ტექსტის ხარვეზების აღმოჩენა, იმის გარკვევა, როგორ მუშაობდა ტექსტი, ეხმარებოდა, თუ ხელს უშლიდა მსახიობებს, მაგრამ ისინი იმდენად კარგად თამაშობდნენ, გარკვეული ნიშნით ვგრძნობდი, რომ მათ კონფლიქტი არ აქვთ მასალასთან, რაც ან მხოლოდ მათი ტალანტის დამსახურებაა, ან ნიჭისა და ტექსტის ერთად. ხანდახან არ არის საჭირო გესმოდეს სიტყვები, იმისთვის რომ გაიგო ტექსტი, მით უმეტეს, რომ კარგად ვიცი, რაზეა საუბარი ამ პიესში. თუ ვინმეს სურს გაიგოს რამდენად წარმატებული იყო სპექტაკლი, შეუძლია წაიკითხოს ძალიან ბევრი კრიტიკული რეცენზია, რომელიც დაინტერა სპექტაკლზე საკმაოდ გავლენიანი გამოცემების მიერ. გერმანიის წამყვანი თეატრალური გამოცემა “Theater heute”-ე წერდა ამ სპექტაკლზე, რეცენზია დაიბეჭდა “Nachtkritiken”-ში, რომელმაც 4 ვარსკვლავი მისცა დადგმას და, ჩემი აზრით, პიესის ძალიან საინტერესო ანალიზი შემოგვთავაზა. ამით შეიძლება ვიმსჯელოთ რა გამოხმაურება მოჰყვა სპექტაკლს, რომელიც იწყებს მოგზაურობას მსოფლიოში, თეატრი უკვე იყო გასტროლზე უნგრეთში, შესაბამისად უნგრულად ითარგმნა პიესა. ეს სპექტაკლი დღესაც აგრძელებს ცხოვრებას, არის ხალხი, რომელსაც მოსწონს და პირიქით, რომელთაც არ მოსწონთ, იგი არის ცოცხალი დისკუსიის საგანი, რაც, ჩემი აზრით, თეატრის პირველი დანიშნულებაა. სპექტაკლის შემდეგ ფოიეში ჩემთან მოდიოდა ხალხი, არა კონკრეტულად მოლოცვისთვის, არამედ კითხვების დასასმელად, რაც ჩემთვის უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მოლოცვა, ან შექება, რადგან მათი რეაქცია იყო ძალიან რაციონ-

ალური და ინტელექტუალური. ყოველი ახალი კითხვა ჩემთვისაც კი იყო ახალი შთაბეჭდილება ამ პიესასთან დაკავშირებით. თავად გერმარტ ჰაუცტმანის თეატრი ძალიან აქტიურად მუშაობს. მათ სეზონზე ერთადერთ სცენაზე აქვთ მინიმუმ 14 პრემიერა. შარშანდელ სეზონზე ჩემი პიესა იყო მეტაური მსოფლიო პრემიერა. ძალიან მნიშვნელოვანია ის, თუ როგორი პოლიტიკა აქვს ამ თეატრს. ისინი არიან პირველები, რომლებიც ახალ ტექსტებს აცნობენ მაყურებელს. დღესასწაული, ის ატმოსფერო, რომელიც მათ თითოეული სპექტაკლის შემდეგ აქვთ, ძალიან დამაფიქრებელი იყო ჩემთვის.

— როდესაც თქვენ უყურებდით თქვენი პიესის გაცოცხლებას სცენაზე, აღმოაჩინეთ თუ არა მასში, რაღაც ისეთი, რაც თქვენც კი არ იცოდით?

— ასე უნდა მოხდეს უკეთეს შემთხვევაში. დრამატურგი წერს ტექსტს, რომელიც, რასაკვირველია, ქმედითი უნდა იყოს, მაგრამ ეს არის მაინც მხოლოდ ტექსტი. არ შეიძლება განვიხილოთ სპექტაკლი მხოლოდ ტექსტით, იმიტომ რომ ტექსტი არის შედეგი, რეზულტატი, შესაბამისად, მნიშვნელობა აქვს იმას, რა ხდება მანამ სანამ ლაპარაკს დავწინებთ, რა გვალაპარაკებს. ამ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, ყოველთვის სხვანაირია, როცა უყურებ შენი პიესის დადგმას, ეს ჰგავს იმ შეგრძნებას, როდესაც უყურებთ საყარელი ნოველის ან რომანის ეკრანიზაციას და ის არასდროს არ მოგწონს, იმიტომ რომ წარმოგედგინათ პირადად თქვენი სიყვარული, ან თქვენი საშინელება, ბედნიერება და ა. შ. როცა გვდებათ სხვისი ემოცია, ის იმდენ შთაბეჭდილებას ვერ ახდენს თქვენზე. ერთია, მე როგორ აღვიქვამ მოვლენებს, მეორეა, — თქვენ როგორ აღიქვამთ და მესამეა, — ფიზიკურად რა მოხდა. როცა მე გიყვებით ამბავს თქვენ წარმოგიდგენიათ ის სურათები, რომლებიც თქვენზე ახდენენ ზემოქმედებას. რაღაც თვალსაზრისით ეს გრძნობა მქონდა მთელი სპექტაკლის მანძილზე, განცდა, რომ მე „აქ“ სხვა რამეს ვიზამდი, თუმცა, მზად ვიყავი იმისთვის, რომ ეს არ შეიძლებოდა მომხდარიყო 100%-ით და თუკი 60%-ით, მაინც დამხვდება ის, რასაც მე ვიზირობ, ე.ი. ერთი მხრივ, გამომართლა, მეორე მხრივ, იქნებ, სწორად შევძელი იმის არტიკულირება, რისი თქმაც მინდოდა. იყო რამდენიმე ძალიან საინტერესო ეპიზოდი გადაწყვეტის მხრივ. დეკორაცია იყო გასაოცარი სპექტაკლში, სწორედ ეს იყო ჩემთვის მოულოდნელი. ძალიან გამიხარდა, რომ მათ აბ-

სოლუტურ ნატურალიზმს მიმართეს. მთავარი პერსონაჟი არის ეტიმოლოგი, ანუ იკვლევს მწერებს. პიესაში არის კალიები და სპექტაკულშიც, აკვარიუმში იყო 400 ნამდვილი კალია, ჩემთვის იყო ძალიან სასიამოვნო და გასახარი, მე ვღელავდი ამ მომენტზე. კალიები გამოსცემდნენ ხმებს, რომელიც გასდევდა მთელ სპექტაკლს, როგორც რიტმი, მუსიკალური გაფორმება. საერთოდ ნატურალისტური მუსიკა სპექტაკლში ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია, ვინაიდან, როცა ვსაუბრობთ მაყურებლისა და მსახიობის დიალოგზე, ეს დიალოგი კი გაფორმებულია ემოციური მუსიკით. გარკვეული ნიშნით ეს მაკარგვინებს კონტაქტის სამუალებას მსახიობათ, რადგან ვთვლი, რომ მისი სიტყვები მომენტალურად ხდება გამიზნული იმისთვის, რომ შთაბეჭდილება მოახდინოს ჩემზე.

განსაკუთრებით მსურს გავიხსენო ერთი მომენტი. „დედაომის“ აფიშაზე, ერთ-ერთი მსახიობის მიერ, გრაფიკული ესკიზის ფორმით, დახატული ქალი, რომელსაც ზურგით მიჰყავს მეორე, შედარებით სანში შესული ქალი. ჩემთვის ეს ძალიან მნიშვნელოვანი სურათია ქალის ომში, იმიტომ რომ გარკვეულ მომენტში, ემოციურად ამ პიესის გაგრძელებაა „ტროელი ქალები“. სწორედ „ტროელ ქალებში“ არის ეპიზოდი, როდესაც ქალები ერთმანეთს მიათრევენ ფიზიკურად. ჩემგან სრულად დამოუკიდებლად მოხდა აზრების ასეთი დამთხვევა. გულწრფელად გითხრათ, ჩემთვის, რომ ეკითხათ, რა შეიძლება იყოს პიესის იმიჯი, მე ალბათ, ასეთ ზუსტ მხატვრულ სახეს ვერ შევთავაზებდი მიუხედავად იმისა, რომ ასეთივე მხატვრული სახე ჩვენ შექმნილი გვაქვს.

— რა ხანგრძლივობისაა სპექტაკლი?

— 2 საათი და 20 წუთი, სპექტაკლი 2 მოქმედებად იყო, თუმცა, პიესა ერთ მოქმედებიანია. სასიხარულოა, რომ მაყურებელმა მოუსმინა ტექსტს, მსახიობებს. სპექტაკლზე თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ნარმატებული იყო ისე, რომ არ გავწითლდე, იმიტომ, რომ ეს არ არის ჩემი დამსახურება.

— თანხმდებოდა თუ არა თქვენთან სპექტაკლის დადგმის პროცესი?

— ზოგადად ეს არის შეთანხმების საგანი. არიან დრამატურგები, რომლებიც ძალიან ფიდი ყურადღებით აკვირდებიან თავისი პიესის პირველ განხორციელებას, რაც სწორია, რადგან საჭიროა დაიცვან სტილი, იმიტომ რომ ისინი პირველად აცნობენ პიესას მაყურებელს. მოხარული ვარ, რომ გერმანიაში, სანამ თე-

ატრმცოდნე ნახავს სპექტაკლს, მას ეგზავნება მთელი კომპლექტი, როგორც ფოტომასალის, ასევე ტექსტის. მე რეცენზიებში ვკითხულობდი იმასაც კი, რაც დადგმაში ხაზგასმული საერთოდ არ ყოფილა, მაგრამ ხაზგასმულია პიესაში. ეს ძალიან მნიშვნელოვანია იმიტომ, რომ რეცენზიები არ წერენ მხოლოდ დადგმაზე, წერენ პიესაზეც. შევათანხმეთ რამდენიმე საკითხი, მაგრამ საბოლოოდ, რადგან მე თავადვარ რეჟისორი და არ მესიამოვნება უკიდურესი ჩარევა ჩემს პროცესში, ვთქვი, რომ მსურს რეჟისორმა მიიღოს სიამოვნება პიესის დადგმით, ისევე, როგორც მე ვიღებ ხოლმე სიამოვნებას, როცა ვდგამ სპექტაკლს. ეს განსხვავებული შემთხვევაა. მე და დათო გაბუნია წლებია ვთანამშრომლობთ, ჩვენ გვესმის ერთმანეთის, ამიტომ ნებისმიერი მისი ქმედება, ჩემთვის არაფერია, დახმარების გარდა. ვიღლაცისთვის დრამატურგი ეს არის კლანჭებიანი ადამიანი, რომელიც თავზე ადგას, ყველაფერს, აკონტროლებს, რეაგირებს ყველა მის შეცდომაზე, წერვიულობს, მერე გარბის თეატრიდან და ყვება, რა ცუდი სპექტაკლი გამოდის და რა კარგი პიესა დაწერა თვითონ. ჩემს შემთხვევაში არ მინდოდა ასე მომხდარიყო და ვთქვით ეს როგორც ტექსტი. ვთვლი რომ, როდესაც დავასრულე პიესის წერა, მე დავასრულე ჩემი ფუნქცია. გადავწყვიტე, რომ არ ჩავრეულიყავი დადგმის პროცესში, მიუხედავად იმისა, რომ რამდენჯერმე იმპულსი მქონდა, თავი შევიკავე.

— თქვენ ესწრებოდით რეპეტიციებს?

— მე ვესწრებოდი რეპეტიციების ბოლო 10 დღეს, თუმცა, იმდენად სწრაფად იდგმება სპექტაკლები, შეიძლება ითქვას, რომ დიდ ნაწილს რეპეტიციებისას, დავესწარი. როულია, როდესაც ბოლო დღეს შემოდის ახალი ფიგურა, რომელმაც იცის იმის შესახებ, რის გამოცნბასაც შენ ცდილობ. როდესაც პირველად ვნახე რეპეტიცია და მსახიობებმა დამისვეს კითხვები, შევეცადე რეჟისორის მხარე დამეჭირა და იქედან გამოვსულიყავი, რაც ვნახე და არა, რაც დავწერე. თუ რაიმე შენშვნა მქონდა, ვცდილობდი დადგმიდან გამომდინარე გამჩენოდა და არა პიესის ინტერპრეტაციის გამო, ეს აუცილებლად შეიტანდა გარკვეულ დეკონსტრუქციას სპექტაკლში. საბოლოო ჯამში, ვფიქრობ, დასმა კარგად მიმიღო და მაინცდა-მაინც მტრად არ აღმიქვეს.

— იყო თუ არა ისეთი ეპიზოდი, რომელსაც შეცვლიდით, ან რომლის მიმართაც სხვა მოლოდინი გქონდათ?

— იყო რამდენიმე ეპიზოდი, რომელსაც სხვაგვარს ველოდებოდი და მეგონა, რომ სწორედ გერმანიაში გააკეთებდნენ ამას განსაკუთრებული თავშეკავებულობის გარეშე, თუმცა, სწორედ იქ მოხდა ის, რასაც ვენინააღმდეგები აქ. შენიდბებს და ა.შ. პიესაში არის მკვლელობის საკმაოდ აგრესიული სცენა, მინდოდა სპექტაკლშიც ასეთივე აგრესიული ყოფილყო, მაგრამ ეს მომენტი გამოხატული იყო ერთნიშნად ფორმალისტური გზით, რომელსაც მეტაფორასაც კი ვერ დავარქევ გარკვეულ-ნილად მხოლოდ მინიშნების დონეზე, რაც ჩემში არ იწვევდა არანაირ ემოციურ ზემოქმედებას. ბევრს ეს სცენაც მოეწონა, ამიტომ დიდი საწინააღმდეგო აქაც ვერაფერი მექნება, თუმცა, ნამდვილად ველოდი, რომ უფრო შორს წავიდოდნენ. ჩემი აზრით, მარტივი გამოსავალი იპოვეს, მაგრამ უმარტივესი გზა აირჩიეს: მინიშნების, პირობითობის, რაც თავისივე არჩეულ ფორმას არ უხდებოდა.

— **საბოლოო ჯამში სპექტაკლმა თქვა, გამოიცნო თუ არა ავტორის და პიესის სათქმელი?**

— ჩემი აზრით, კი, იმიტომ რომ ძალიან კარგად ითამაშეს მსახიობებმა და შეძლეს, შეექმნათ მოლოდინის ის აუტანელი შეგრძნება, რომელიც არის ამ პიესაში. ეჩვენებინათ ის ძალიან სევდიანი, სასიყვარულო და ამავე დროს, სასტიკი შეგრძნებები. სასიამოვნო იყო მსახიობთა დუეტზე დაკვირვება, ახალგაზრდა ნიჭიერი მსახიობის კატინკა მახეს და 70 წელს მიტანებული ქალბატონის, რომლებიც საოცარ ტანდემს ქმნიდნენ იმდენად, რომ არც კი იგრძობოდა რაიმე ასაკობრივი სხვაობა. შესაბამისად იმდენი კარგი რამ იყო სპექტაკლში, რომ ნაკლი არც მახსენდება, რადგან უფრო მეტი დადებითი შთაბეჭდილება მოახდინა იმან, რაც მომენტონა.

— **როგორი იყო მაყურებლის ემოცია?**

— ამას აკვირდები თუ არა, ტანით მაინც გრძნობ როგორ უსმენს ხალხი სპექტაკლს, ეს

ევროპელი მაყურებლისგან არ არის გასაკვირი, უსმენდნენ ბოლომდე და შემდეგ საკმაოდ თბილად გამოხატეს თავიანთი შთაბეჭდილება. მე ვერძნობდი მათ ინტერესს. ძალიან სასიამოვნო, ჯანსაღი რეაქცია და შეფასებები იყო. არც გადაჭარბებული მოლოცვა, არც უკიდურესად ცივი, რომ ვერ ხვდები მოეწონათ თუ არა. შუალედური, დისტანციის დაცვით და თან ისეთი, შენ პირად სივრცეს არავინ რომ არ ეხება და არ ძალადობს შეზნე, მარტო იმიტომ, რომ სპექტაკლი მოეწონათ, ან პირიქით, არ მოეწონათ.

— **მომავალი გეგმების შესახებ რას გვეტყვით?**

— გუშინ, 1 ივნისს ჩამოვედით ციტაუდან და ხვალ მივფრინავთ კარლსრუეში, სადაც არის ევროპის ახალგაზრდა რეჟისორების ფესტივალი, ყველა სპექტაკლს გადმოსცემს „Art“, გერმანულ-ფრანგული სახელოვნებო არხი. გაიმართება დისკუსიები, საჯარო ლექციები იმ სპექტაკლების გარშემო, რომელიც ნაჩვენები იქნება, ასევე საუბრები სხვადასხვა სათეატრო თემებზე. 4 დღე ვიქნებით იქ, ვითამაშებთ 2 სპექტაკლს მთავარ სცენაზე, ჩამოვდივართ 8 ივნისს და 12-ში მივფრინავთ რუმინეთში, სიბიუში, სადაც გაიმართება 2-ჯერ „ფრეკენ ული“ და 2-ჯერ „ტროელი ქალები“. ჩემთვის ეს ძალიან საინტერესო და ემოციურია იმიტომ, რომ იმავე პროგრამაში არის პეტერ შტაინის „კრეპის უკანასკნელი ფირი“ ბრანდაურით მთავარ როლში, და ბრუკის მსახიობის და ან რეჟისორის იოში იოდას სპექტაკლი, სადაც თვითონ თამაშობს. ამ პროგრამაში მონაწილეობა მართლა დიდი სიამოვნება და პატივია. შემდეგ ჩამოვდივართ თბილისში, ვთამაშობთ ძალიან ბევრ სპექტაკლს და ვხურავთ სეზონს.

— **გმადლობთ!**

— ნარმატებებს გისურვებთ.

ჩაიწერა თამარ აბესაძეა

სხვათა გამოცდილების შესწავლა სასარგებლოა

რამდენიმე წლიანი პაუზის შემდეგ თბილისის ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა თეატრი კვლავ მოხვდა თეატრალური სამართლების ცენტრში. ამის დასტური გახლავთ ის, რომ თეატრის ხშირად ინვევენ საერთაშორისო ფესტივალებზე, შეხვედრებზე. ამას ნინათ კი თელ-ავივსა და ბერლინში გამართულ შოუ-ქეისებზე მიინვიეს. 38 ქვეყნის ნარმომადგენელს შორის თბილისის მოზარდ მაყურებელთა თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი დიმიტრი ხვთისიაშვილიც გახლდათ, თელ-ავივისა და ბერლინის მოზარდთა თეატრების შოუექისების სტუმარი.

შეკრებილთა შორის ძირითადად იყვნენ საერთაშორისო ასოციაცია „ასიტეუსი“ წევრები. „ასიტეუსი“ ეს არის მსოფლიოს მოზარდ და საყმანვილო თეატრების საერთაშორისო ორგანიზაცია. სულ ნარმოდგენილი იყო 21 სპექტაკლი. იყო ისეთი ნარმოდგენებიც, რომელიც უფროსი ასაკის მაყურებელსაც შეეძლო ენახა.



— დავინცოთ ისრაელით, ჯერ იქ იყავით, მერე ბერლინში. როგორი შთაბეჭდილება მოახდინა თქვენზე ნარმოდგენებმა?

— დავინცებ იქიდან, რომ რაც შეეხება სპექტაკლებს, ვერ გეტყვით, რომ საერთო მაჩვენებელი ძალიან შთაბეჭდავი იყო, თუმცა, შემიძლია გამოვყო რამდენიმე ისეთი სპექტაკლი, რომელიც ნამდვილად ახდენდა შთაბეჭდილებას, როგორც პიესა, აზრი, ნანარმოები, იდეა, ასევე მოწოდების ფორმა და არაჩვეულებრივი საშემსრულებლო ხარისხი. ჩემი ყურადღება განსაკუთრებულად მიიქცია გამომსახველობითი ფორმების მინიმალიზმა, ვგულისხმობ სცენოგრაფიულ და არა მსახიობთა გამომსახველობით ფორმას. ნარმოდგენებში იყო ერთი სკამი, ერთი თეჯირი, ერთი ბალის სკამი. ერთ-ერთ მონოსპექტაკლში, უზარმაზარ სცენის ცენტრში იდგა ერთი პატარა სკამი და ახალგაზრდა ყმანვილი, რომელიც თავის პრობლემებზე მოგვითხრობდა, ამ სკამთან თამაშობდა. საინტერესოა, რომ მხოლოდ ერთადერთ სპექტაკლს ჰქონდა დეკორაცია. ეს იყო „ლომი ბიძლიოთეებში“, ისრაელელი ავტორის პიესა. ლომი აღმოჩნდება სამკითხველო დარბაზში, და დაინტერესდება

კითხვით. ეს იყო მოწოდება ბავშვებისკენ. ყურადღება მივაქციე, რომ მხოლოდ ამ სპექტაკლში იყო დეკორაცია, რასაც ვერ ვიტყვი ვერცერთ სხვა სპექტაკლზე, როცა ვიკიოთხე რატომ, მიპასუხეს, რომ ეს იყო ერთადერთი თეატრი, რომელსაც საკუთარი შენობა ჰქონდა და შესაბამისად, გააჩნდა დეკორაციის შესანახი ადგილიც. სპექტაკლები იყო სოციალურად დაუცველთა ფენაზე, ინვალიდ ბავშვებზე, როგორც ფიზიკურად ინვალიდებზე ასევე აუტიზმით დაავადებულებზე და მათ ინტეგრაციაზე საზოგადოებაში, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. ამ მიმართულებით ჩვენი თეატრიც მუშაობს. მათი ინტეგრაცია არ უნდა შემოიფარგლებოდეს, მხოლოდ იმით რომ, ისინი დაგასწროთ სპექტაკლებს, ან გავაკეთოთ პანდუსი, რომლის საშუალებითაც ეტლში მჯდომი ადამიანი დაესწრება ნარმოდგენებს. მათზე სცენიდან უნდა ვუამბოთ მათ თანატოლ ბავშვებს, და უფრო გასაგები გავხადოთ, რომ არ შეიძლება მათი საზოგადოებიდან გამიჯვნა. ამ მიმართულებით ძალიან სერიოზულად ვმუშაობთ და ვეძებთ შესაბამის ლიტერატურულ ნაწარმოებს, რასაც ისევ და ისევ მივყავართ დრამატურგიის პრობლემამდე. ჩვენ

შპრშან გამოვაცხადეთ კონკურსი, რომლის განმავლობაში, არც ერთი, ოდნავ ღირებული პიესა არ შემოსულა.

— ამ თემასთან დაკავშირებით?

— არა მარტო ამ თემასთან, ზოგადად საბავშვო თემატიკაზე, თემებზე, რომელზეც დღეს შეიძლება ბავშვებს ველაპარაკოთ. მე ვდგამ „მე ვხედავ მზეს“, ლევან წულაძე დგამს „რომეო და ჯულიეტას“, მაგრამ ეს ნანარმობები დიდი ხნის წინ დაიწერა. მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვეობაში სამი-ოთხი ავტორი ძალიან საინტერესოდ მუშაობს, უპირველესად ვიტყოდი: ლაშა ბუღაძეს, დავით გაბუნიას, ბასა ჯანიკაშვილს, დათო ტურაშვილს, ცოტა უფრო ზედა თაობაში თამრიკო ბართაია, მაგრამ გადახედეთ რეპერტუარს. თუმცა ჩვენი თეატრის მაგალითზე ძნელია ვილაპარაკო, რადგან ჩვენ სპეციფიკური მაყურებელი გვყავს, სალამოს სპექტაკლებს თუ არ ჩავთვლით, ძირითადად მოყავთ პატარები და მოჰყავთ ზღაპარზე.

— დავუპრუნდეთ ისევ ლონისძიებას, როგორც ახსენეთ, წელს პირველად იყავით მიწვეული საქართველოს სახელით, რა გახდა ამის მიზეზი?

— მრავალწლიანი პაუზის შემდეგ ჩვენი თეატრი განევრიანდა „ასიტეუში“. ადასანიშნავია, რომ ადრე საქართველო იყო „ასიტეუს“ წევრი, თუმცა, ყოველწლიური სანევროს არ ან ვერ გადახდის გამო, 4 წლის წინათ გაირიცხა, მას შემდეგ ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც მიგვინიერების ლონისძიებაზე. ასეთივე დათვალიერება იმართება, 17-21 აპრილს ბერლინში, იქ გერმანული თეატრების შოუექისია, სადაც მინვეული ვართ თეატრის ხელმძღვანელი და თეატრის საერთაშორისო პროგრამების მენეჯერი.

— რა პერიოდში მიმდინარეობდა ლონისძიება, რამდენი სპექტაკლი იყო ნაჩვენები, როგორ იყო ორგანიზაციული მხარე?

— ლონისძიება გაიმართა 24-29 მარტს, სულ წარმოდგენილი იყო 23 სპექტაკლი, მე დავესწარი 21 სპექტაკლს. ჩემდა სამარცხვინოდ, ორი სპექტაკლი გამოვტოვე, არ შემეძლო ისრაელში მყოფს, იერუსალიმი არ მენახა. თეატრის საერთაშორისო დღეს შეეხვდი თელ-ავიში. სწორედ იმ დღეს გავაკეთე ერთგვარი „შატალონ“, ვნახე დილის ნარმოდგენა და შუადლის სპექტაკლის სანცვლოდ, საქართველოს საერთო მომცა საშუალება ნავსულიყავი იერუსალიმში და მენახა წმინდა ადგილები. ვისარგებლებ შემთხვევით და დიდ მადლობას გადავუხდი საერთოს და კონსულს ქალბატონ ნატალია კორძაის. მსურს ალვინშნო, რომ მისგან აბსალუტური კეთილგანწყობა იგრძნობა.

შოუექისი იყო შესანიშნავად დაგეგმილი, ყველაფერი ზუსტად იყო განერილი, სხვაგვარად შეუძლებელი იქნებოდა, დღემი 5 სპექტაკლის ნახვა, ყოველგვარი დაღლილობის გარეშე. მონეს-რიგებული იყო გადაადგილება ავტობუსით, ლანჩი, დასვენების დრო.

— სად იმართებოდა სპექტაკლები?

— იაფოში თელ-ავივთან ახლოს, ეს ორი ქალაქი ფაქტობრივად გადაძმულია ერთმანეთზე და უკვე ერთ ქალაქზე იქცა. იქ არის ორი თეატრალური შენობა, რაც გვაძლევდა საშუალებას ერთ სივრცეში ვყოფილიყავით. ერთ სპექტაკლს ერთ თეატრში ვნახულობდით. შემდეგ გადავდილოდით, მეორე თეატრში და იქ უკვე იწყებოდა ახალი სპექტაკლის სამზადისი. რეალურად გვქონდა ეს ორი სივრცე, ბოლო ორი დღის მანძილზე დაემატა მესამეც. ასევე იაფოს პორტში, ძალიან ხალხმრავალ ადგილას, რომელიც იყო სახელდახელო კონსტრუქციით აგებული თეატრი. მე მივხვდი, რომ აქ იყო რამდენიმე სივრცე, იყო საცეკვაო დარბაზი, დიდი თეატრალური დარბაზი დიდი სცენით, ასევე თეატრალური დარბაზი მცირე სცენით, „პორტისპირა თეატრი“ თუ შეიძლება რომ, ასე ენოდოს, თუმცა, ეს არ იყო სახელმწიფო თეატრი. სპეციალურად იყო შერჩეული შენობები, რათა გაადვილებული ყოფილიყო გადაადგილება და არ დაკარგულიყო დიდი დრო, რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს კარგ ორგანიზებაზე. ისრაელში ფუნქციონირებს 22-23 თეატრი, კერძო თუ სახელმწიფო და თითქმის ყველა იყო ნარმოდგენილი.

— ახლახან ახსენებდით სამ სპექტაკლს, რომლებიც ყველაზე მეტად მოგეწონათ, რომელი იყო ეს სპექტაკლები?

— „ლა გაზეტა“, რომელშიც თამაშობდა სამი ქალბატონი, ისინი გადაადგილდებოდნენ ნაგავსაყრელზე, სადაც აგროვებდნენ მაკულატურას. მეორე იყო „დედოფალი და მანანნალა“, არჩევულებრივი მონო სპექტაკლი. ყველაზე დიდი შთაბეჭიდლება დატოვა თოჯინურმა სპექტაკლმა, რომელიც იყო ბალიშებით და ბამბებით გაკეთებული, ბამბის ურჩეული, ბალიშისგან გაკეთებული თოჯინა, ღრუბელისგან გაკეთებული საკერავი მანქანა. საოცარი სანახაობა და ამასთან ერთად, ძალიან შემცუნებითი აზრი იყო ჩადებული, რომ ყველა გოგონამ უნდა იცოდეს, კერვა, ქსოვა. ძალიან მცირე ასაკის მაყურებლისთვის იყო, მაგრამ ლამაზად იყო მონოდებული. ლილების დაკერებაზე, რომ მივიდა საქმე, თვითონ მსახიობმა მოირგო თოჯინის პარიკი. ერთი მაგიდა იყო, ორი მსახიობი და არაჩეულებრივი შემეცნებითი და საინტერესო სპექტაკლი.

— რამდენიმე ნლიანი პაუზის შემდეგ, თბილისის მოზარდ მაყურებელთა თეატრის გამოჩენამ შოუქეისზე, ხომ არ გაჩინა რაიმე პერსპექტივები?

— ჩვენი იქ ყოთნა მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ჩვენი თეატრისთვის. დაინტერესდნენ რუსეთიდან, ბულგარეთიდან, გერმანიდან, უკვე გაჩნდა კონკრეტული იდეები, მაგალითად, ქალბატონმა ირინა კუზმინამ, „ასიტეუს“ ნარმომადგენელმა, რუსეთის მხრიდან დიდი ინტერესი გამოიჩინა ჩვენი თეატრის მიმართ, გამომდინარე იქიდან, რომ მოზარდ მაყურებელთა თეატრი რუსულ-ქართუ-

ლი თეატრია და დასიც ორენოვანია. ლაიფციგი-ფან იურგენ ზიელინსკი, ლაიფციგის, იურგენის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი, რეჟისორი, რომელმაც გადმომცა სავიზიტო ბარათი, ბუკლეტი, სადაც მისი სპექტაკლებია და მთხოვა ასევე ჩვენი სპექტაკლებიც აფუტვირთო, მას სურს ურთიერთგაცვლა, და ამის ნიშნად ისრაელიდან ჩამოსულს დამხვდა კიდეც საკუთარ ფეისბუჭზე დამეგობრების თხოვნა... ძალიან საინტერესო შემოქმედია, განხილვებზე მისი გამოსვლები-დან გამომდინარე, საქმაოდ ღრმად გათვითცნობიერებულია საბავშვო თეატრების პრობლემებში და სხვადასხვა საკითხებში. ძალიან საინტერესო იყო ჩვენი შეხვედრა პლოვდივის საბავშვო და თოჯინური თეატრების დირექტორთან ვესელინ ბოჯდევთან. საერთაშორისო საბავშვო ფესტივალი „გავროში“-ს წარმომადგენელს მარინა რაიკინას სურს, რომ საერთაშორისო ფესტივალ „გავროში“ აღმოჩნდეს ქართული მოზარდ მაყურებელთა თეატრი თუ ჩვენ შევძლებთ, რომ მოვახდინოთ ამ ტიპის შოუექისის ორგანიზება, სადაც მხოლოდ საბავშვო და საყმანვილო სპექტაკლები იქნება წარმოდგენილი. აღსანიშნავია, რომ მარინა რაიკინამ ზედმინევნით კარგად იცის, ქართული თეატრი, ქართველი მსახიობები, ქართული სპექტაკლები, დიდი მონიშებით გადმოგვცა სამძიმარი ოთარ მელინეტუხუცესის გარდაცვალებასთან დაკავშირებით სრულიად ქართულ თეატრს.

— ამხელა დაინტერესების და შემოთავაზებების შემდგომ რა ხდება მოზარდ მაყურებელთა თეატრში, დაიწყო თუ არა მზადება და წარმოდგენილი გაქვთ თუ არა როგორი იქნება ქართული შოუ-ქეისი?

— პირველ რიგში, მე მსურს ლონისძიებაში ინტეგრირებული იყოს, როგორც ბათუმის მოზარდ მაყურებელთა თეატრი, ასევე სოხუმის, ქუთაისის თეატრები. ის თეატრები, რომლებიც ამ მიმართულებით მუშაობენ საქართველოში, სულ თითზე ჩამოსათვლელია, მე ხამდვილად არ მინდა მარტონი ვიყოთ წარმოდგენილი ამ კონკრეტულ შემთხვევაში. თუ ჩვენ დავგეგმეთ შოუექისი და ალბათ, არ გამოვრიცხავ, რომ ამ დათვალიერებაში ჩაერთოს ჩვეულებრივი სახელმწიფო თეატრები საბავშვო და საყმანვილო სპექტაკლებით. თითქმის ყველა თეატრს, რუსთაველის, მარჯანიშვილის, გრიბოედოვის, კინომსახიობთა თეატრს, მუსიკისა და დრამის თეატრს, ახმეტელის თეატრი მეორე მოზარდად იქცა იმდენი საბავშვო სპექტაკლი აქვს, რატომაც არა, ჩვენ სიამოვნებით თითო-თითო სპექტაკლით, ჩავრთავთ მათ დათვალიერებაში.

— დაახლოებით რა დროს იქნება შესაძლებელი შოუ-ქეისის მონცვობა?

— ყველაფერი დაკავშირებულია ფინანსებზე, აქედან გამომდინარე, ჩვენ ვფიქრობთ, რომ ზოგადად მომავალი წლის პირველი ივნისისთვის, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღისათვის, თუ

მოხერხდა ლონისძიების გამართვა იქნება შესანიშნავი. პირველად გავაუღერებ, რომ ოცნებიდან უკვე რეალურ, საქმიან ფიქრებზე ვართ გადასული, რომ საქართველოში დაგაფუძვნოთ საბავშვო და საყმანვილო თეატრალური ფესტივალი. ჯერჯერობით ამ მიმართულებით არ გვაქვს ალტერნატივა, მიუხედავად იმისა, რომ არსებობს ორი შესანიშნავი თეატრალური ფესტივალი, რომლებმაც უამრავი საინტერესო სპექტაკლის ნახვის საშუალება მოგვცა. იმედი მაქვს, მათ საბავშვო ფესტივალიც შეემატება.

ნათელია, რომ ორი წლის შემდეგ, როდესაც ჩატარდება ეს დათვალიერება ჩვენ ისევ მიგვინევენ, მაგრამ ახლა უკვე ჩვენი ინტერესია, რომ ჩვენც გავაკეთოთ რაღაც მსგავსი, ეს არ იქნება ახალი ველოსიპედის გამოგონება. ჩვენი მიზანია, დავაინტერესოთ ჩვენი ქვეყნით სხვადასხვა საპროდიუსერო ცენტრები, „ასიტეჟი“ ძალიან დიდი ორგანიზაციაა და ამ მიმართულებით მუშაობა, ვფიქრობ, ძალიან მნიშვნელოვანი იქნება თეატრისთვის.

— იყავით ბერლინის შოუ-ქეისზე, რომელიც გაიმართა 17-21 აპრილის ჩათვლით. რას იტყვით, როგორი წარმოდგენები იყო წაჩვენები ბერლინში?

— ისრაელისაგან განსხვავებული სიტუაცია იყო ბერლინში. აյ არ იყო მხოლოდ გერმანული თეატრები. ეს იყო ფესტივალი, სადაც ჩვენ, სპექტაკლები ვნახეთ მთელი მსოფლიოდან, იყო პოლონურ-გერმანული კოპროდუქციები, ჩინური სპექტაკლი, იტალიური, პარიზიდან იყო პატარა კოლექტივი, რუსეთიდან — ვორონეჟის თეატრი. ჩვენ წავაწყიდით ერთ სერიოზულ პრობლემას, რომელიც მე მგონა, ზოგადად არის ევროპული თეატრის პრობლემა, შეიძლება ფსიქოლოგიური თვალსაზრისით საინტერესო, მაგრამ კლასიკური გაგებით თეატრი ეს არ არის. ჩემთვის ეს უფრო ჰგავს დაბადების დღის ცენტრების გართობებს. ევროპაში დაწყებულია მოძრაობა, რომ ბავშვები, რაც შეიძლება პატარა ასაკიდან მივიღნენ თეატრში. ბავშვის ჩართულობა სპექტაკლის მსვლელობის დროს არის აუცილებელი პირობა, აქედან გამომდინარე, თეატრალური წარმოდგენა კლასიკური გაგებით: დასაწყისით, კულმინაციით, დასასრულით ნაკლებად არის, მე ვფიქრობ, ესაა ტენდენცია, რომ ბავშვებს შეაყვარონ თეატრი იმ გზით, რომ თავად შეუშვან სცენაზე. აი, მაგალითად: სიუჟეტსაც ვერ დავარქმებ, უსიტყვო დადგმა: ბიჭი არის წამონღლილი, მასთან მოდის უფროსი მამაკაცი, რომელიც ცდილობს ცუდ ხასიათზე მყოფი გამოიყვანის მდგომარეობიდან და აჩვენებს რომ იხტენაოს, მერე თვითონაც ხტის. შემდეგ დარბაზიდან ერთი ბავშვი, მეორე და საბოლოოდ მთელი დარბაზი ხტუნავს — ესაა სპექტაკლი. მე მომენტა ერთი ფრანგული წარმოდგენა დედა-შვილის ურთიერთობაზე, იყო ძალიან საინტერესო დიალოგი, მსახიობებიც

კარგად მუშაობდნენ, მაგრამ ბოლოს იმიტომ, რომ თვითმიზანია ბავშვები აიყვანონ სცენაზე, სპექტაკლს ლოგიკური ფინალი არ ჰქონია. მე ეს საქმის გაიოლება მგონია. საერთოდაც, ტენდენ-ცია შავ კვადრატში ორი სკამით, ერთი კუპით, არ მომწონს, მე ვფიქრობ, ბავშვებს უნდა მიანიჭო ფერადოვნება. ეს შეიძლება ძალიან მცდარი მო-საზრებაა, რადგან ამ ტენდენციას იზიარებენ სხ-ვადასხვა ქვეყნები, იმართება კონფერენციები, სიმპოზიუმები. ბერლინშიც იყო ასეთი კონფერ-ენცია, სადაც ჩვენც გამოვედით და ვთქვით, რომ ფაქტიურად ჩვენ სხვაგან მოვხვდით. კარგია, რომ აფართოვებ ასაკობრივ საზღვრებს, მაგრამ მაყ-ურებელი 0 ნლიდან თეატრში, მე გეუბნებით, რომ ეს არის გართობა, რასაც დიდი წარმატებით ართ-მევენ თავს ნებისმიერი დაბადების დღის ჯამბა-ზები. შარშანინ მე ვიყავი ლონდონში ანალოგიურ შეხვედრაზე, სადაც თეატრმა „იუნიკორნმა“, რო-მელიც ფაქტიურად არის ლონდონის ცენტრალ-ური მოზარდ მაყურებელთა თეატრი, საკუთარი სპექტაკლების შოუ-ქეისი მოაწყო. ის იყო ძალიან საინტერესო. წარმოდგენილი იყო ინტერაქტიული სპექტაკლები, სადაც ბავშვები იყვნენ ჩართული, მაგრამ იქ აუცილებლად იყო სიუჟეტი, ანუ იყო პრინციპულად საგანმანათლებლო პროექტი და წარმოდგენით მსახიობი ბავშვებს, რაღაც ძალიან მნიშვნელოვანზე უყვებოდა. ანალოგიური შეხ-ვედრა 6 ივნისს ჩანიშნული იყო პორტუგალიის დედაქალაქ ლისაბონში, თუმცა, მე პრაქტიკულად უარი განაცხადე ჩასვლაზე, რადგან ეს შეხვედრაც არის იგივე თემაზე, და მე კონცეპტუალურად არაფერი მაქს სათქმელი. მაგრამ გვითხრეს, რომ შემძეგი შეხვედრა იქნება ბუდაპეშტში, და ჩვენც შესაბამისად შევეცდებით, რომ მოვემზადოთ და ჩვენი დამოკიდებულება გამოვხატოთ, ან თუნდაც 2016-მდე მსგავსი რამ, პროექტის სახით მოვსინ-ჯოთ და ვნახოთ, რამდენად მისაღები იქნება ეს ტენდენცია ქართველი მაყურებლისთვის ან მშობ-ლისთვის. აღსანიშნავია, რომ ყველაზე მეტად რამაც მომხიბლა, ისაა, რომ ეს მიმართულება გუ-ლისხმობს აუცილებლად მშობლის და არა პედაგო-გის ჩართულობას. შეიძლება ამ ყველაფერში არის რაღაც სიმართლის მარცვალი, მაგრამ ჯერჯერო-ბით იმისთვის, რაც მე ვნახე ბერლინში, ქართველი მაყურებლის მზაობა, მგონია, რომ ნაკლებია.

— სად იმართებოდა და რამდენი სპექტაკლი იყო წარმოდგენილა?

— გერმანიის ჩათვლით იყო 7 ქვეყანა, სულ ვნახეთ რვა სპექტაკლი, რომლებიც პატარ-პატა-რა სცენურ სივრცეებში იყო წარმოდგენილი, ორი სპექტაკლი იყო მხოლოდ კლასიკური ფორმის სცენაზე, დანარჩენი იყო დიდ სარეპეტიციოში, ერთი სპექტაკლი იყო სპორტულარბაზში, იდგა სხ-ვადასხვა ზომის ხის კუნძები და ორი მსახიობი ჯოხებით ქმნიდა პოლიფონიას. რაღაც მომენტში ამ ჯოხებს ისროდნენ დარბაზში და თითქმის მთე-ლი დარბაზი იყო ჩართული ამ ჯოხების ბრახუნში.

მოგვიანებით აღმოვაჩინე, რომ ეს სპექტაკლი 19 საერთაშორისო ფესტივალზე იყო ნათამაშევი, ანუ ეს მიმართულება არსებობს და მუშაობს მთელ მსოფლიოში.

— ყველა სპექტაკლი ამ სპეციფიკით იყო წარ-მოდგენილი?

— აბსოლუტურად ყველა. ჩვენ ვნახეთ 8 წარ-მოდგენა 4 დღის მანძილზე. შემდგომ იყო კონფერ-ენცია, სადაც სწორედ ამ თემაზე იყო საუბარი ანუ რაც შეიძლება მეტ ჩართულობაზე, თუმცა, რო-გორც უკვე გითხარით, ჩემთვის ეს თეატრალურ ხელოვნებასთან ნაკლებად ასოცირდება.

— რამდენად დიდი იყო ჩართულობა მაყურე-ბლის მხრიდან, ერთია წარმოდგენების მიზანი, ხორციელდებოდა თუ არა ეს პრაქტიკულად?

— პრაქტიკულადაც ხორციელდებოდა, თუმცა კიდევ ერთხელ გამოირჩება, ჩვენი ეროვნული მენ-ტალიტეტიდან გამომდინარე, რასაც იქ მშობლები აკეთებდნენ, ის ყველაფერი ქართულ სინამდვილე-ში ცოტა ძნელად წარმომიდგენია.

— დაახლოებით რა ასაკის მაყურებელი იყო დარბაზში?

— მითითებული იყო ასაკი 0-დან 6 წლამდე. მინ-და გითხრათ, რომ 6 წლამდე ასაკის მე იქ არაფერი მინახავს. მაყურებლები იყვნენ 3 წლამდე. მათ შორის ჩვილებიც. მინდა გითხრათ, რომ ჩემი ბერ-ლინში ნასვლა დაემთხვა ჩვენი თეატრის ძალიან დიდ ტკივილს — კოტე თოლორდავას გარდაცვა-ლებას და სიმართლე გითხრათ, მთელი ჩემი გონ-ება აქეთ იყო მომართული, რადგან დაკრძალვისა და პანაშვიდის დღეებს ვერ დავესწარი.

— წინა საუბრისას ახსენეთ, რომ მსგავსი შოუ-ქეისი შეიძლება საქართველომაც წარ-მოადგინოს?

— ჩვენ გუშინ მივიღეთ ინფორმაცია, რომ „ასიტეუსი“ წარმომადგენლად დაინიშნა თეატ-რალური მოღვაწე სამხრეთ აფრიკიდან, რაც იმას ნიშნავს, რომ უახლოესი 3 წლის განმავლობა-ში მთავარი ოფისი იქნება სამხრეთ აფრიკაში, ხოლო 2017 წელს იქ მოენყობა „ასიტეუსი“ წევრი თეატრების, დიდი მსოფლიო დათვალიერება. ჩვენთანაცაა გამოგზავნილი მოწვევა, რომელშიც გვნერენ, რომ თუ ჩვენი სპექტაკლებიდან სა-ორგანიზაციო კომიტეტი რომელიმეს შეარჩევს, სპექტაკლით მიგვიწვევენ. სხვა შემთხვევაში მი-წვეული ვიქენებით ჩვენი წარმომადგენლებით, როგორც წევრი ქვეყანა. დათვალიერებასთან ერთად იქნება დიდი კონფერენცია, სადაც ვისაუ-ბრება პრობლემებზე, გეგმებზე.

— წარმატებებს გისურვებთ.

— გმადლობთ.

ჩაინერა თამარ აპასაძე

სამყარო თეატრალის თვალით

ცოდალ გურაგანიძე

„მის ცხოვრებაში ჰეიზრა ქალი“

დიად საბჭოთა ეპიკაში წარმოიდგენდა ვინმე, რომ სცენაზე ლენინს, ნახევრად შიშველს, ტეივილებისაგან შეწუხებულს, ყვირილი დაეწყოს, ტროცკის წინაშე მუხლებზე დაცემულიყოს, აცუნდრუებულ, პიკანტურ კლარა ცეტკინთან ეცეკვოს, სექსუალურად აღგზნებული ქალს დასტაკებოდეს და იატაცზე წამოექციოს?.. ეს ხომ გაუგონარი მკრებელობა იქნებოდა დიდი ბელადის, კაცობრიობის ამ გენის ძევფასი ხსოვნის წინაშე? სწორედ ასე იქცეოდნენ ლენინის როლის შემსრულებელი მსახიობები რ.სტურუას ორ სპექტაკლში — მ.შატროვის „ლურჯი ცხენები წითელ ბალახზე“ (რუსთაველის თეატრი. 1980.) და „ბრესტის ზავი“ (მოსკოვის ვახტანგოვის თეატრი. 1987-88წ.ნ. სეზონი).

რუსთაველის თეატრში ლენინის როლს სამი მსახიობი — ე.მაღალაშვილი, გ.ხარაბაძე და უ.ლოლაშვილი — ასრულებდა. ისინი ერთი ისტორიული პერსონაჟის სამ სახეს, ანუ სამ ჰიპოსტას წარმოგვიდგენდნენ. ლენინის სახის სამსახოვნება რეჟისორის ღრმა და ირონიული ჩანაფიქრის ნაყოფი იყო, ერთი მხრივ, ლენინი, რ.სტურუას მიერ „სამების“ — მამა ღმერთი, ქა ღმერთი, სულიზ-მინდა — განსახიერება იყო ანუ ჰიპერრეალისტურად გაზვადებული, იმდენად ამაღლებული, რომ მხოლოდ ირონიულ დიმილს ინვევდა, მეორე მხრივ — დამდაბლებული, კვარცხლბეკიდან ძირს დაშვებული, ექსცენტრიული, ჩვეულებრივი მოკვდავი ადამიანი იყო სცენაზე. ნელსზემოთ შიშველ ლენინს (ამ ეპიზოდს გ.ხარაბაძე თამაშობდა) სინჯავდა ექიმი — უ.ლოლაშვილი, რომელიც ორიოდ ნუთის წინ თავად იყო ლენინი. ჰაციენტის სხეულში ჩარჩნილი ორი ტყვია ტერორისტი ქალის, ანარქისტი, ესერთა პარტიის თანამგრძნობელი კაპლანის მიერ ნასროლი „ბრაუნინგიდან“, აუნერელ ტკივილებს ინვევდა და ექიმის ხელის ყოველ შეხებაზე დიდი ლენინი პატარა ბავშვივით ღრიალებდა.

სხვათა შორის, დღევანდელი რუსი მკვლევარები ამტკიცებენ, რომ კენედის მკვლელობა და ლენინზე თავდასხმა ძალიან ჰგავსო ერთმანეთს. ოსვალდიც და კაპლანიც (ფეიგა როიდმანი), ორივე ფსიქოპატიული პერსონა, მკვლელობისათვის უვარგისნი იყვნენ. ოსვალდი საშინლად ცუდად ისროდა, კაპლანი კი საერთოდ ვერ ხედავდა. თექვსმეტი წლისას ხელში აუფეთქდა თვითნაკეთი ბოძი და თითქმის დაბრმავდა. ხანგრძლივი მეურნალობის მიუხედავად, ძალზე უქირდა ორიენტირება სივრცეში. კითხულობდა გამადიდებელი შუშით. ლენინზე თავდასხმისას წისლიანი საძამო იყო, მიუხედავად ამისა, სამი გასროლიდან ორი მიზანში მოახვედრა, რაც გამორიცხულია. პირდაპირი მხილებანი არ არსებობდა. კაპლანს ადგილზე ნაპოვნი „ბრაუნინგიც“ კი არ წარუდგინეს, როგორც ნივთმტკიცება. გამოძიება საერთოდ არ ჩატარებულა. თავდასხმიდან მეოთხე დღეს კაპლანი კრემლის კომენდანტმა დახვრიტა, ხოლო ოსვალდი მესამე დღეს მოკლეს. რუსი უურნალისტების მტკიცებით ოსვალდიც და კაპლანიც, ორივენი, „ცრუ ფიგურები“ იყვნენ.

რასაკვირველია, მოსკოვში თეატრის გასტროლებისას სპექტაკლი „ლურჯი ცხენები წითელ ბალახზე“ პირველი წარმოდგენის შემდეგ მოხსნეს უმაღლესი პარტიული ხელმძღვანელების ჩარევით. გავიდა რამდენიმე წელი და სტურუამ ვახტანგოვის თეატრში დადგა ისევ მ.შატროვის პიესა „ბრესტის ზავი“. აქ იგი კიდევ უფრო შორს წავიდა და ეს პიესა — დოკუმენტური ქრონიკა — დადგა როგორც ტრაგი-ფარსი, რომელიც ალფროთოვანებით მიიღო როგორც მაყურებელმა, ასევე რუსულმა თეატრალურმა კრიტიკამ (პრემიერას სსრკ-ს პირველი პრეზიდენტი, მ.გორბაჩივი, დაუსწრო). ლენინის როლს ასრულებდა ბრწყინვალე მსახიობი, მ.ულაიანოვი. ეს სპექტაკლი მის საიუბილეოდ დაიდგა (60 წლის შესრულდა). იგი ამ დროს თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი იყო და სწორედ მისი ინიციატივა იყო რ.სტურუას მინვევა. ულიანოვი ღრმად სწვდებოდა ლენინის ცხოვრების უძმიმეს წუთებს, როცა მისი გონებრივი ძალმოსილება და შორსმჭვრეტელობა მისივე ფრამის საფუძველი ხდებოდა, მას განუდგნენ უახლოესი თანამებრძოლები და იგი მარტო რჩებოდა. აი, ასეთ ტრაგიკულ წამს, ლენინი ივინწყებდა თავის ბელადობას და ტროცკის წინაშე მუხლებზე მდგარი (სხვათა შორის ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა ტროცკი საბჭოთა სცენაზე უჩვენეს) ემუდარებოდა, ვიხსნათ რევოლუცია, მოვაწეროთ ხელი გერმანელებთან ზავსო. როგორც ვაცი, მიხეილ ულიანოვი ამგვარი მიზანსცენის სასტიკი წინააღმდეგი იყო, მაგრამ, ბოლოს დაეთანხმა რეჟისორს, მიუხედავად იმისა, რომ ტროცკი „ანტიიქრისტეს“ ფარსული განსახიერება იყო სცენაზე. სამაგიეროდ, არ უყოფმანია ერთი სარისკო სცენური ეპიზოდისას, როცა ლენინში იღვიძებდა მა-

მაკაცური ვნებიანობა და მიეჭრებოდა ულამაზეს ინესა არმანდს, თავდავინწყებით ეალერსებოდა, ეხვეოდა, ჰკოცნიდა „მის ცხოვრებაში შეიჭრა ქალი“, როგორც პოეტი იტყოდა.

ვინ იყო, ბოლოს და ბოლოს, ეს ქალი, რომელიც სპექტაკლის მხოლოდ ერთ ეპიზოდში გამოჩნდებოდა, მაგრამ ჩვენს მესხიერუებაში მკვეთრად აღიბეჭდებოდა მისი მშვენიერი პროფილი?

ინესა არმანდი (ქალიშვილობაში ინესა სტეფანი), დაიპარა პარიზში 1874 წელს (ცნობილი საოპერო მომძერლის (ტენორი) ოჯახში. მამის სიკვდილის შემდეგ საცხოვრებლად გადმოვიდა მოსკოვში, თავის დასთან ერთად ბინა დაიდო დეიდასთან, რომელიც იყო გარუსებული მდიდარი ფრანგი მრეწველს — ევგენი არმანდის, ოჯახის „გუვერნანტკა“. ცხრმეტი წლის ულამაზეს არმანდი ცოლად გაპყვა მრეწველის ერთ-ერთ შვილს. მასთან იცხოვრა ცხრა წელიწადი და გააჩინა ითხი შვილი. შემდეგ, მოძეზრდა ამ კაცთან ცხოვრება, მიატოვა იგი და მისთხოვდა საკუთარი მეუღლის ძმას, ვლადიმერს, რომელიც მასზე თერთმეტი წლით იყო უმცროსი. მასთანაც გააჩინა ერთი შვილი (კაში) და მიუხედავად იმისა, რომ უკვე ხუთი შვილის დედა იყო, უზადო სილამაზის ქალად მიიჩნეოდა — მწვანე თვალები, იშვიათი სილუეტის ფიგურა, სახის სტილი ნაკვთები, ვნებიანი ტემპერამენტი მას მოუგრიებელს ხდიდა. ბოლშევიკები ამბობდნენ: ინესა დიალექტიკური მატერიალიზმის ფორმულის — ანუ ფორმისა და შინაარსის ერთიანობის — განსახიერებათ. და აი, 1909 წელს ულიანოვების რჯახში შეიჭრა ეს საბედისწერო ქალი („როკოვა ჯენჟინა“). რევოლუციით გატაცებული ინესა-სათვის ლენინი იყო ღმერთი, ღვთით მოვლენილი არსება, რომელიც მოსწონდა აგრეთვე, როგორც მამკაცი. ცხადია, ლენინმა ვერ გაუძლო „ამხანაგ ინესას“ შემოტევებს და მათ შორის გაჩადა მგზნებარე რომანი. მის გვერდით ლენინის მეუღლე ნადევდა კრუპსკაია გამოიყურებოდა, როგორც უბრალო რუსი „კუხარკა“. შეყვარებულების ძალუების შეტოპეს. კრუპსკაიამ მეუღლეს ეჭვიანობის მძაფრი სცენები გაუმართა, მაგრამ, ამაოდ მაშინ გამოუცხადა ვლადიმერი ილიჩს: „მე მივდივარ შენგანონ“. ამ დროს იგი, იჭვიანობის ნიადაგზე, ძალის დაავადდა, აუცილებელი შეიქნა უმიმესი ოპერაციის ჩატარება. ლენინი შეკრთა და შეწყიტა არმანდთან სექსუალური ურთიერთობა და შეურიგდა ნადევდას, რაც რადიკალმა ბოლშევიკებმა არ მოუწონეს, ეგ რა მეშჩანური, ბიურგერული საქციელიაო, ეს არის სამარცხვინო კომპრომის ბურჟუაზიულ მორალთან. ინესას, ლენინისა და კრუპსკაიასაგან აპსოლუტურად განსხვავებული შეხედულება ჰქონდა რჯახზე, სიყვარულზე, საერთოდ ცხოვრებაზე. იგი თავისუფალი სიყვარულის და თავისუფალი სექსის თავგადაკლული პროცედურისტი იყო (მსგავსად ალექსანდრა კოლონტაისა, რომელიც, ასევე, გამორჩეულად ლამაზი იყო). თავის ყოფილ სატრფოს, ლენინი ურჩევდა — ამოიგდე თავიდან ეგ შენი იდეებიო. თებერვლის რევოლუციის შემდეგ, როცა ლენინი დაბრუნდა რუსეთში, იმ ვაგონში, სადაც იგი თავის უახლოეს თანამედროვებთან იყო, ინესა არმანდიც აღმოჩნდა. მეტოქე ქალები არა მხოლოდ შერიგდნენ, არამედ დამეგობრდნენ კიდევ. ინესა 1920 წელს გარდაიცვალ ტიფით. ლენინი თავზარდაცემული იყო. ყოველ საღამოს ცოლ-ქარი ესწრებოდნენ პანაშვიდს და ცხარედ დასტიროდნენ — ერთი — ყოფილ სატრფოს და მეორე — ყოფილ მეგობარს! ოთხი წლის შემდეგ ლენინიც გარდაიცვალა. თანამედროვეთა მოწოდებით, კრუპსკაიაზე მეუღლის გარდაცვალებას ისე მტკიცნეულოდ არ უმოქმედია, როგორც ცნობას ლენინის ბალზამირებისა და მავზილეუმში დასვენების შესახებ. მთელი თხუთმეტი წელი იტანჯებოდა ამის გამო. ნუ გააღმეროთებთ ლენინს, ნუ აქცევთ მას კერპადო — მოუწოდებდა პარტიულ ხელმძღვანელობას. ამან ძალიან გააბრაზა სტალინი, რომელმაც თქვა ისტორიული ფრაზა, აღსავს ცინიზმით: „Если Крупская будет раскольничать, мы дадим Ленину новую вдову“ (თანამედროვე სკაიპისტი უურნალისტი ქალების ენაზე რომ ვთარგმნოთ, ეს ფრაზა ასე გაუდევდება: „თუ კრუპსკაია კიდევ ბევრს გაატრაკებს, ჩვენ ლენინს ახალ ქვრივს დავუნიშნავთ“).

პროფესორი ზ.ბარსკი (რომელმაც ლენინს ჩატარა ბალზამირება) იგონებს: „სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე კრუპსკაია მოვიდა მავზოლეუმში, ნაღველითა და სევდით სავსე თვალებით იგი დიდხანს უყურებდა მეუღლეს. ბოლოს ამოიოხრა: „იგი ისეთივე, როგორიც იყო, მე კი დავბერდი“. ნადევდა კრუპსკაია თავის 70 წლისთვეზე გამართულ მოკრძალებულ სუფრასთან ძალიან ცუდად გახდა. ექიმი მოვიდა სამი საათის დაგვიანებით, აუცილებელი იყო მარტინი (აპენდიციტ-ვერიტონტი), რომელიც არ გაუკეთეს...

P.S.

რ.სტურუას სპექტაკლი ვახტანგოვის თეატრში თეატრალურ მოვლენად აღიარეს.

უურნალი „Театр“ (5, 1988):

„Роберт Струра не просто поставил так называемый историко-революционный спектакль. Шекспировским ‚Ключом‘ открыл он собственные наши коллизии, когда живая документальность поднимается до уровня шекспировских хроник...“

უურნალი „Театральная жизнь“ (8, 1988).

„Произошла шекспиризация сценического действия – Струра иначе не может!“

პოლემი ქალი ლოდონის სცენაზე

დათო ტურაშვილის პიესაში „დოდოს მოლოდინში“, რომელიც მე უკანასკნელ ხანს საქართველოში დაწყერილ პიესათა შორის ერთ-ერთ საუკეთესოდ მიმაჩნია, დიდი თანაგრძნობით (ვიტყოდი, თანალმობით) და იუმორით არის ნაჩვენები საბერძნეთში გადახვენილ ქართველ ქალთა ცხოვრება, აღსავსე ფათერაკებით, შიშით, იმედით, მოლოდინით, ყოველდღიური ჭირ-ვარამით და, ნარ-მოიდგინეთ, ოპტიმიზმითაც კი.

ბუნებრივია, ქართველი მწერლის დაინტერესება სამშობლოს, ოჯახს, ჩვენი ცხოვრების წესა და ტრადიციებს მოწყვეტილი, ეგზისტენციალურ სივრცეში გადასრული ქალის ცხოვრებით, მაგრამ თუ ინგლისური თეატრი დაინტერესდებოდა თანამედროვე კოლხი ქალის ბედით საბერძნეთში, ეს ჩემთვის დიდი მოულოდნელობა იყო. რეჟისორმა კვენ კრეველმა ლონდონის ნაციონალურ თეატრში დადგა ეკრიპტიდეს „მედე“ და ინგლისური თეატრის ბრნიცინვალე მცოდნეს, შექსპიროვან ა.ბარტოშვილის მიაჩნია, რომ ეს არის 2014 წლის საუკეთესო სპექტაკლი, მიუხედავად იმისა, რომ შექსპირის თეატრმა (სტრატფორდში) და ოლდ ვიკის მრავალი ლირსშესანიშნავი დაფგა განახორციელეს (მკითხველს შევახსენებ, რომ 2014 წელი შექსპირის საიუბილეო წელი იყო). ამ სპექტაკლზე გამოქვეყნებულ მრავალ მასალას გავეცანი და ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ კერი კრენკელმა კარგად იცის (შეიძლება სპეციალურად შეუსწავლია კიდევ) საქართველოდან საპერძეოთში გადმოხვენილი ქალების და საერთოდ, ემიგრანტი ქალების (უპირატესად, არალეგალურის) ცხოვრება მუდმივი შიშის ატმოსფეროში, როგა ყოველდღიური სარჩოს მოპოვება და ქუჩამ გასვლა შეიძლება საბედისნეროდ დამთავრდეს. სპექტაკლი მძაფრი ყოფითი სცენებით იწყება — ღარიბული სასტუმროს უფრო ღარიბულ ოთახში (როგორც დ.ტურაშვილის პიესაშია). აქ ყველაფერი ბანალურია და სიღარაკის ნიშნითა დაღდასმული. ეს საცხოვრებელი კი არ არის, უმაღლ თავშესაფარია, რომლის მსგავსი გვინახავს სირიდან თუ აფრიკის ქვეყნებიდან ლტოლვილთა ყოფის ამსახველ სატელევიზიო კადრებში. შთაბეჭდილება ისეთია, რომ მძეება და იაზონი, ეს თანამედროვე ხიზნები, აქედან მაღლ აიყრებიან და სადმე სხვაგან შეაფარებენ თავს. ავანსცენაზე მუცელზე წვანან თითქმის შიშველი ბავშვები, რომლებიც ტელევიზორს უყურებენ. სცენის სიღრმეში მოჩანს დაბურული, ველური, გაუვალი ტყე, რომელიც სახლს ებჯინება. ინგლისელ კროტიკოსთა აზრით, ეს არის მედეას შინაგანი სამყაროს მეტაფორა, მისი არქაული და ატავისტური ვნებებით სავსე. მედეას სცენაზე შინაურულად აცვია შარვალი, უბრალო კოფეტა. პირში გამუდმებით სიგარუტი აქვს გაჩრილი. თამბაქოს ბევრი წევისგან ხმაჩახლენილია. რასაკვირველია, ეს ქალი არ არის ინფერალურ ბოროტი, იგი თანამედროვე, ცხოვრებისაგან განამებული ქალის განსახიერებაა და მაყურებელს მოუთხრობს ერთ ბანალურ სიტორიას იმის შესახებ, თუ როგორ ტოვებენ ცოლებს ქმრები, რომელთაც მოხეზრდათ გაუთავებელი წუნუნი გადაუჭრელ პრობლემებზე და ათასგვარ უბედურებებზე. მეორე სართულზე რესპექტაბელური ბინაა. აქ მეცე კრეონი ზეიმობს თავისი ქალიშვილის, კრეუზას, ქორწილს იაზონთან. დიდი საბანკეტი მაგიდა მდიდრულადა განყობილი. იაზონი, ზომიერად ერთოტიული ცეკვით, ეალერსება ახალ მეუღლეს. მესამე სართულზე განლაგებულია ქალთა ქორო, რომელიც ძალზე ცოტას ლაპარაკობს, სამაგიეროდ, ბევრს მიძრაობს პლასტიკურად და ცეკვავს გახელებული, მაგრამ გულცივად, პინა ბაუშის ბალეტების სტილში. შემოდის ეგისთე, მოაქვს საჩუქრები ბავშვებისათვის და ერთი ბოთლი ღვინო მედეასათვის. ისინი წყნარად საუბრობენ და სვამენ ღვინოს. სტუმრის წასვლის შემდეგ, მედეა აძინებს ბავშვებს, საქმიანად ღესავს დანას, ეთხოვება მძინარე შვილებს, კოცნის მათ და... ყელს ჭრის ორივეს... მაგრამ, სპექტაკლის ყოფითი ტონალობა იცვლება და რეჟისორი უბრუნდება ევრიპიდეს, ახლა მედეა მითიურ არსებად გარდაიქმნება — იგი უკვე კოშმარული მევლელია, ჯადოქარი და სპექტაკლის ფინალში, ცეცხლოვან დრაკონზე ამხედრებული, გაფრინდება. მოქმედებაში რეჟისორი იყენებს ტყის იდუმალებას, რომელიც უკვე გარკვეულ აზრს იძენს. მედეა უცნაური ნახტომებით, ფრენით, სისხლიან ტომარაში გახვეული, გულში ჩახუტებული უმანკო ბავშვთა გვამებით, შემოქრება სცენაზე უდრანი ტყიდან და აფრინდება სცენიდან...

ნამდვილი „დეუს ექს მახინაა!...“

ქალი გვიპირდა

გალაკტიონის ორმა სტრიქონმა: „სარკოფაგიდან დგება მუმია, ჰაერი ლურჯი აბრეშუმია“, ერთი ეპიზოდი გამასხენა, ცნობილი რუსი პოეტის, ანა ახმატოვას, ამ დეკადენტური სალონების დედოფლის მოგონებებიდან ცნობილია, რომ ახალგაზრდობაში ა.ახმატოვა ძალიან გამხდარი იყო. მისი გარეგნობა, ჩამოქნილი სხეული, ბრტყელი მეტრი, კუპრივით შავი თმა, გამჭვირვალე ლურჯი თვალები, კეხიანი ცხვირი, გრაცია დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა თანამედროვებზე,

განსაკუთრებით, მხატვრებზე. პოეტი მარინა ცვეტაევა მის სილამაზეს „სატანურ სილამაზეს“ („ბესოვესკაია კრასა“) უწოდებდა. სწორედ ასე გამოიყურება იგი მრავალრიცხოვან ფერწერულ (მაგ. ამადეო მოდილიანის, მისი პარიზელი საყვარლის, ტილოზე), გრაფიკულ ჩანახატებში და ფოტოებზე. ამ სასნაულებრივი სიგამზდრის გამო, რაც მრავლის მიერ იდუმალების განსაკუთრებულ ნიშნადა აღიქმებოდა, ასეთი ხებიც დადიოდა, თითქოს, იგი არის სახელგანთქმული ლონდონელი მუჟია (ბრიტანეთის ეროვნული მუზეუმიდან), რომელსაც ცველასათვის უბედურება მოაქვს. ამგვარი ლეგენდა განსაკუთრებით პოპულარული იყო რუსეთის პროვინციაში, სადაც იგი ერთხელ, გაცოცხლებულ ეგვიპტურ მუჟიადაც კი მიიღეს. ა.ახმატოვა იგონებს: „1911 წლის ზაფხულში, პარიზიდან პირდაპირ ლეპნოვოში ჩავედი. ერობის უფროსმა (ვემსკი ჩატარა ბანკეტი გამართა. მაგიდასთან ერთმანეთის გვერდით ვისხედით. რატომლაც, ძალიან შებოჭილი, დარცხვენილი იყო და უხერხულობისაგან არ იცოდა რა ექნა და რა ეთქვა. ბოლოს, გაბედა და მითხრა „ეგვიპტის მერე თქვენ აქ, ალბათ, ძალიან გციგათ, არა?“)

მართლაც, ძველი ეგვიპტის მისტიკურობაში ჩაძირული კულტურა, უპირატესად, ქალთა არამინიერ, ინფერალურ თვალებში და განსაკუთრებულ გრაციოზულობაში ირეკლება და ანა ახმატოვას პროფილი ეგვიპტურ ფრესკებს ამ მხრივაც მიაგვადა.

ამ სახელოვანი, მაგრამ ტრაგიკული ბეჭდის მქონე ქალისადმი მიძღვნილ ლექსში ბორის პასტერნაკი წერდა:

Бывает глаз по-разному остер
По-разному бывает образ точен.
Но самой страшной крепости раствор –
Ночная даль под взглядом белой ночи.
Таким я вижу облик ваш и взгляд,
Он мне внушен не тем столбам из соли,
Которым вы пять лет тому назад
Испуг оглядки к рифме прикололи.

(1929)

გენიალური მხატვარი — პლოშარი

თემურ ჩხეიძის შესანიშნავ სპექტაკლში, „ART — ხელოვნება“, თანამედროვე ფერწერის ტრფიალი — კოლექციონერი პერსონაჟებით და სასოებით შესცეკრის მოზრდილ ჩარჩოზე გადაჭიმულ თეთრ ტილოს, რომელზედაც არაფერი არ არის გამოსახული, მაგრამ საკუთარ ხილვებში დანათექმული, იქ ბევრ რამეს ხედავს, ტკბება და სურს სხვებმაც გაიზიარონ მისი აღტაცება.

სწორედ ერთი საუკუნის წინ, ასეთი, „პერფორმანსი“ იხილეს ოსკარ ცადებინმა და ამადეო მოდილინმა, პარიზის გარეუბნის ერთ ძველ, ნახევრად ბენელ სარდაფში. სუფთა შოლებრტის წინ იდგა მთლად შიშველი ხამის სუტინი და ისეთი სიყვარულით და აღტაცებით შესცეკროდა ტილოს, თითქოს, მის წინ ულამაზესი მენატურე ქალი ან საყვარელი გოგონა იჯდა.

გაოცებული მხატვრების თვალწინ ხამმა აიღო ფუნჯი და ტილოზე სამჯერ მძლავრად მოუსვა, ეფექტურ უდიდესი იყო, თითქოს ტილოს დიდი სისხლის წვეთები დაეცა. მოდილიანმა აღტაცებისაგან შეჰქვირა. ხამმა უცებ ამ „წვეთების“ ირგვლივ ადამიანის სახე შემოხაზა, დაახურა რაღაც ცილინდრის ფორმის თავსაბურავი, რომელიც, მომდევნო წამს, მზარეულის ჩაჩად იქცა. ასე შეიქნა მისი განთქმული, მზარეული“.

ამ დღიდან დაიწყო მოდილიანისა და სუტინის შეგობრობა. ციურინის და უენევის მუზეუმებში მინახავს რუსეთიდან ლტოლვილი ებრაელი მხატვრის ფერწერა. ბევრი მისი შედევრი გამოფენილია პარიზის „პომპიდუს ცენტრის“ ერთ დიდ დარბაზში, სადაც მასთან ერთად არიან ექსპონირებული: შაგალი, მალევიჩი, კანდინსკი და რუსი მოდერნისტები, რომლებმაც მთელი ეპოქა შექმნეს მეოცე საუკუნის ათიანი და ოციანი წლების მხატვრობაში.

პატარა ტანის, გამხდარი, საცოდავი გამომეტყველების, მარად მშიერი და გალახული ხამმი, დაბადებული ბელორუსის ებრაელთა მიყრუებულ დასახლებაში, ულატაკეს ოჯახში გაზრდილი, მეთერთმეტე შვილი, ძმებისა და მამის მიერ დაჩაგრული, თავისი თანდაყოლილი გრანდიოზული ნიჭის წყალობით ერთ-ერთ უდიდეს მხატვრად იქცა იმდროინდელ ევროპაში. თოთხმეტი წლისა სახლიდან გაიპარა და მინსკში შეგირდად დაუდგა ფოტოგრაფს, რომელიც გაოცდა, ისე მაღლე აითვისა ბავშვმა ფოტოსურათის რეტუშის ხელოვნება. შემდეგ გადავიდა ვილნოში, მოსამსახურედ დაუდგა ცნობილ ადვოკატს, რუბინ ლახტს, თან სამხატვრო სკოლაში სწავლობდა. ერთხელ ადვოკატმა შემთხვევით წახა ხამის ჩანახატები და უმაღ მოიხიბლა მათი ორიგინალობით. მანვე, „ებრაელ მხატვართა წახალისების საზოგადოებას“ თხოვა, რომ ხამი პარიზში გაევზათ. 19 წლისა უკვე პარიზში აღმოჩნდა — უფულო, უპატრონო, უსახლკარო, ნამდვილი კლოშარი. ფრანგულის ინჩიბინჩი

არ გაეგებოდა (13 წლისამ ისწავლა რუსული, მანამდე იდიშზე ლაპარაკობდა), ფაქტიურად უწიგნური, თითქმის მათხოვარი. პარიზში გაიცნო მასავით მშერი და ღატაკი მხატვრები. დღისით ხან მენატურე იყო, ხან მტკირთავი, საღამოობით კაფე „როტონდაში“ დადიოდა. ცნობილ პუბლიცისტსა და რომანისტს, ილია ერენბურგს (რომლის მოთხოვის სათაური „Оппепель“, „დათბობა“, პოსტსტალინური ეპოქის აღმნიშვნელ ტერმინად იქცა), თავის მოგონებათა წიგნში („ლიდი, გობა, ჯიზნ“) ძალიან ცოცხლად და მახვილოვნულად აქვს აღნერილი კაფე „როტონდას“ იშვიათი კოლორიტულობით გამორჩეული ცხოვრება, იქ გამართული ორგიერტი მშეირ კუჭზე, დისკუსიები, ჩხუბი, მეძავ გოგონებთან ურთიერთობანი. აქ საღამოობით თავს იყრიდა შემოქმედებითი ზოპება, ფრანგი პოეტები და მხატვრები: უან კოკტო, უკობი, ლეჟე, ტოსკანელი ამადეო მოდილიანი, მექსიკელი დიეგო რივერა, რუსეთიდან ჩამოსულნი: შაგალი, ცადკინი, პოლონელი კისლინგი, იაპონელი ფუჟიტა (სხვათა შორის, ეს ფუჟიტა ახლდა „იაპონურ არმადას (ავიამზიდები, კრეისერები, წყალქვეშა ნავები), რათა ჩაეხატა ამერიკლთა მარცხი პორტ პერლ პარბორზე, შემდეგ, ახლომდებარე კუნძულზე განლაგებულ ბაზაზე). მეორე მსოფლიო მოსი დროს ამ ახალგაზრდა გენეროსებმა ჩამოაყალიბეს ე.წ. „პარიზული სკოლა“, რომელმაც განსაზღვრა XX საუკუნის ხელოვნების განვითარება.

ხამი თითქმის არ ერეოდა, ან როგორ ჩაერეოდა ბუნებით მორცხვი და მარტოსული, თან ფრანგულის არ მცოდნე, „როტონდას ბობიქარ ცხოვრებაში. იჯდა ბნელ კუთხეში სამადლოდ დასხმული ფინჯანი ყავით და შორიდან უყურებდა ამ ალიაქოთს. „განა ვინმე ღდეს სმე ნარმოიდგენდა — ნერს ი.ერებურგი — რომ საწყალი, ჭუჭყანი, მშერი ბიჭის სურათები მთელი მსოფლიოს მუზეუმებს სანატრელი გაუხდებოდა!“ „როტონდას“ მეპატრონეს, ფრანგ ბერუჟას, ლიბიონეს ძალიან შეუყვარდა ეს ჩამოძენილი, დარიბ-ღატაკი მხატვრები და ლიტერატურები და ხშირად ეხმარებოდა მათ ფულით (მცირდით, რასაკვირველია) და მწირი სადილით. ეს ფრანგი მედუქნე მე მაგონებს ედმონ როსტანის რომანტიკული კომედიის „სირანო დე ბერუჟაკის“ ერთ პერსონაჟს — მიკიტან რაგნოს, რომელიც უშუალოდ უმართავდა ხელს როგორც სირანოს, ასევე მის მეგობარ პოეტებს (თავადაც აცოდვილებდა კალამს, მაგალითად, ასე „საჭმელს მწვანილი აზიქებს გემოს, ისე ვით ლექსებს გამჭვილი რიტმი“, „სოუზს ჩაურთეთ ქინძის სტრიქნი და დაფნის ფოთლით გარითმეთ სუპი“ ანდა „მწვადის სონეტში არ დაგავინცდეთ პამიდორის და ხახვის სტროფები!“). გ.ლორთქიფანიძის საეტაპო სპექტაკლში რაგნოს როლს ბრნყინვალედ თამაშობდა დიდი კომედიურ-სახასიათო ნიჭით დაჯილდოვებული, უდრობდა ცვლილი რეზონ ხობუა, მოუსცენარი, სიცოცხლით და იუმორით სავსე, ცეცხლის შემნთები, პოლიტიკური ანეკდოტების შეუდარებელი მთხოვნები (რისთვისაც, მრავალგზის „დაამუშავეს“, „უშიშროების ორგანოებმა“), სულით ხორცამდე არტისტი.

მაგრამ თუ როსტანის რაგნოს ცოტა რამ მაიც გაეგებოდა პოეზის, როტონდელი ლიბიონი პროფესიი იყო ხელოვნებაში და ეს „ბუნტარები“ შეიყვარა, უპატრონა და ასე შევიდა მწერლობისა და მხატვრობის ისტორიაში. მას თამამად შეეძლო, უკვე ხსენებული, რაგნოს სიტყვების გამეორება.

**„პოეტი არ ვარ, მაგრამ ღებულები
მიყვარს და ფრანგულ პოეზიაში
მეც შემაქვს წვლილი, თუნდაც იმით, რომ
მშეირ პოეტებს უვამასპინძლდები“. (მ.ქვლივიძის თარგმანი)**

მინსკის ებრაელთა „მესტიჩებიან“ გამოქცეულმა ოსიც ცადკინმა (გრაფიკოსმა და მოქანდაკემ) ხამის გააცხო პიკასო, შემდეგ შოდილიანი. სწორედ მოდილიანი იყო პირველი, პარიზელ მხატვართა შორის, რომელმაც ხამი სუტინი გენიოს ფერმწერად გამოაცხადა. საოცარია ამ ორი მოდერნისტი მხატვრის მეგობრობის ამბავი. ერთი მხრივ, დახვეწილი, გულდია მოდილიანი, რომელიც ზეპირად კითხულობდა ფრაგმენტებს დანტეს პირმიდან, ვიონის, ბოდლერის, რემბოს შედევრებს და, მეორე მხრივ, უბირი, უცოდინარი, ფრანგულის ლერა-ლერა მცოდნე, სუტინი. ხამი აღმერთებდა ამადეოს, ამადეოს კი, უბრალიდ, უყვარდა იგი, მფარველობდა, კველაფერს ასწავლიდა, რაც იცოდა, ხოლო იცოდა ძალიან ბევრი. მან გააცნო შეძლებული, განათლებული რუსი, ისკარ მეშჩანინვი, რომელსაც უმდიდრესი ბიბლიოთეკა ჰქონდა. აქ დაენაფა ხამი რუსულ და ფრანგულ კლასიკურ ლიტერატურას. მოდილიანი ასწავლიდა საზოგადოებაში ქცევის მანერებს, დანა-ჩანგლის ხმარების წესაც კი (როგორც ახალგაზრდა პიპი თავის მცენებებს, დიკენის რომანში „დიდი მოლოდინი“ (GREAT EXPECTATIONS). სამწუხაროდ, მოდილიანმა სმაც „ასწავლა“, თითქმის გააღოთა. ერთხელ, ხამი იპოვეს ნაგვის ყუთში, გონდაკარგული. ყველას მკვდარი ეგონა. გამოფხილდა პოლიციაში. ციხეს ვერ ასცდებოდა, შემთხვევას რომ არ ეშველა მისთვის. ერთი ფინჯანი ყავის და ფუნთუშის ფასად დახატა პორტრეტი პოლიციის უფროსისა, რომელიც ხელოვნების მოყვარული აღმოჩნდა და საენიდან გამოუშვა. პარიზში ხმები დაირჩა გენიალურ მათხოვარზე. ეს ხმები მიწვდა მარკ შაგალის მფარველს, ადვოკატ ვინავერს, მან „მათხოვარს“ თვიურად ათასი ფრანკი სტიპენდია დაუუნიშნა. როგორც იქნა, ამოისუნთქა, განთავისუფლდა ლუქმა-პურის ყოველდღიური ძებისაგან და ფანატიკოსის გახელებით განაგრძო ხატვა. მხატვრობის დილერთა ლეგიონი შემოესია ყოველი მხრიდან, მან აირჩია ყოფილი მხატვარი და ნარმატებული გალერეისტი ზბოროვსკი, რომ-

ლის ლამაზი მეუღლე დასანახად ვერ იტანდა ხაიმს, სასტკიად არ მოსწონდა მისი გარეგნობა. ან რა ჰქონდა მოსაწონი? — ჰქონდა დაბალი კისერი (მხოლოდ მოდილიანის მიერ დახატულ პორტრეტში აქვს მაღალი კისერი). ასეთი იყო მხატვრის „ხედვა“ და სტილი), ვიწრო შუბლი, მასიური, მძიმე ნიკაპი, თითქოს პრეისტორიული ოსტატის მიერ ნაჯახით გამოთლილი, ხეშეში შავი თმა.

მოდილიანმა, ამ ქალის ჯინაზე, ზღოროვსის სახლის კარებზე ხაიმ სუტინის პორტრეტი დახატა. კარები, რასაკვირველია, ჩამოხსნეს და პოსტმოდერნიზმზე გადარეულმა ერთმა ტიპმა იყიდა. ათი წლის შემდეგ, არაბმა შეიხმა ამ კარებში 1000-ჯერ მეტი თანხა გადაიხადა. კიდევ ერთი კურიოზი: ხაიმს სახელოსნოში ენვია მომხნდლავი, ფეხმსუბუქი ქალი. ხაიმს ასეთი ჩვევა ჰქონდა, ნატურას ჯერ შიშვერს ხატავდა და მერე „მოსავადა“ ტანსაცმლი. ქალი ყველაფერზე თანახმა იყო, ოლონდ საჩუქრად მხატვრის რომელიმე ტილო მიეღო „შემდეგ. ხაიმმა მას აჩქეა ნამდვილი შედევრი „ქათამი“. შეურცხყოფილი ქალი წიგილ-კივილით გამოვარდა სახელოსნოდან, ეს რა მაკადროა. გამოხდა ხაიმ და ეს „ქათამი“ შეიძინა ერთმა მილიონერმა ამერიკელმა კოლექ-ციონერმა, რომლის ცოლი სწორედ ეს ქალი აღმოჩნდა.

მოდილიანის უეცარმა გარდაცვალებამ მთლიანად შეცვალა სუტინის ცხოვრების სტილი. აღარ სვამდა, დღედაღამ ხატავდა და კითხულობდა, სრულყოფილად შეისწავლა ფრანგული („ბერგ-სონს დედანში კითხულობ „წერდა მეგობარს“) და ასე იქცა ერთ-ერთ უგანათლებულებს, ღმად მოაზროვნე, უმდიდრეს ადამიანად. თუმცა, ეს სიმდიდრე და ბრწყინვალე აპარტამენტები მის-თვის არაერს ნიშნავდა. ცხოვრების წესი არ შეუცვლა, ბოლომდე მარტინსულად დარჩა, ერიდე-ბოდა საზოგადოებაში გამოჩენას. გაურბოდა ლამაზ ქალებს და სიმდიდრით გარემოცული, ისეთ პირობებში მუშაობდა, როგორც ცადკინის ნახევრად ბრძანები ჰქონდა ანუ სხვადასხვა ხლამისა და ხარა-ხურის გარემოცვაში. პიგალიდან მენატურებად მოჰყავდა მეძავი ქალები, ეტანებოდა ხანშიშესულ, ხორციან ქალებს, რომლებიც უმაღ მახინჯები უფრო იყვნენ, ვიდრე ულ-ამაზონი. მის სახლში გამუდმებით ცხოვრობდნენ გონებასუსტი, შეშლილი მოხუცი ქალები, მზა-რეულები, დამლაგებლები, მანანნალები, მათხოვრები. ეს იყო მის პანოპტიკური, პარიზის ფსკერის გალერეა. ერთხელ კოკი შანელი პოეტ მაკს ჟაკობთან და თავის მეგობრებთან ერთად ენვია სახ-ლში და დიდად განცვიფრდა იქ ნანახი სურათით. ეს გენიოსი ბოლომდე კლოშარად დარჩა. თავისი ფანატიზმით, მარტინსულობით, გრძნობათა სიღრმით, არყის სიყვარულით. მე იგი მაგონებს ფი-როსანს. ისიც სათქმელია, რომ „პერსპექტივა უკულმა“, რასაც სუტინი მიმართავდა თავის ბოლო ფერწერულ ტილოებში, ფიროსმანის მიერ უკვე „აღმოჩენილი“ იყო.

ერთხელ ხიმს ჰკითხეს.. „თქვენ ალბათ, ხშირად დალზედ უბედური იყავით, არა?“ სუტინმა ამგ-ვარ კითხვას ისე უპასუხა, როგორც (საფიქრებელია) უპასუხებდა ფიროსმანი..

„ასეთი რამის შეკითხვა როგორ მოგვიდათ თავში? მე მთელი ჩემი ცხოვრება ძალიან ბედნიერი ვიყავი!

სუტინი გარდაცვალა 1943 წელს, დაერძალეს მონპარნასის სასაფლაოზე. ძალიან ცოტა ხალხი აცილებდა, მათ შორის იყვნენ პაბლი პიკასო, უან კოკტო, მაკს ჟაკობი (მკითხველს შევახსენებ, რომ 1943 წელს პარიზი იკუპირებული იყო ნაცისტების მიერ).

გრავი ლუი სამონი — ფინასურული ფერწერი

ცნობილია, რომ დიდი სოციალური კატაკლიზმების, ეკონომიური კოლაფსების, გახშირებული მიწისძერების, საომარი კონფლიქტების შედეგად სასონარკეთილი კაცობრიობის წილიდან მრავალი წინასწარმეტყველი, მუცლით მეზღაპრე, მკითხავი თუ გულტმისანი გამოდის საზოგა-დოებრივი ცხოვრების ავანსცენაზე. ერთი მათგანი იყო გრაფი ხამონი, მომხიბლავი ავანტურის-ტი, რომანტიკული თავგადასავლების ტრფიალი, ხირომანტი, იოგა, პოეტი, წინასწარმეტყველი, რომელმაც თავისი პოპულარობით ნისტრადამუსი და კალიასტრო უკან მოიტოვა. არავინ იცოდა თვითმარქვია გრაფი იყო თუ კეთილშობილი ოჯახიდან (თვითონ ამტკიცებდა ირლანდიელი რაინ-დების შთამომავალი ვარო). მრავალი გამოგონილი სახელი ჰქონდა, მაგრამ, ბოლოს, გრაფი ლუი ხამონი არჩია ყველას. ათას რამეს თხზავდა, ხირომანტია და იოგობა ინდოეთში ავითვისეო, ხოლო მედიტაცია და წინასწარმეტყველი ტიპებმა ბერებმა შემასწავლეს (სინამდვილეში ადამიანის ხელისგულის კითხვა პირველმა ცოლმა, ბოშა ქალმა, ასწავლა, რომელიც ამ საქმეში დიდად იყო განაფული). თავისი ნიჭიერების, ფანტაზიის, დახვეწილი გემოვნებისა და გარეგნული სილამაზის წყალობით, მალე გამდიდრდა, თავისი კაპინეტი ლონდონში პატარა მუზეუმად აქცია, სადაც მრავ-ალი მინიატურული ქანდაკება, ვერცხლისა და ოქროს ნაკეთობანი, ხალიჩები თუ ფარდაგები გან-საკუთრებულ ატმოსფეროს ქმნიდნენ. მისი კლიენტები იყვნენ მნერლები (ოსკარ უაილდი, მარკ ტვენი) მსახიობები (ულამაზესი სტელა კემპელი, ბერნარდ შოუს უკანასკნელი საყვარელი და მისი „ეპისტოლარული რომანის“ გმირი, დიდი მსახიობი სარა ბერნარი), ბოლიტიკოსები (გლადსტონი, ჩემბერლენი) და თვითუმბერტო პირველი — იტალიის მეფე. თავის ამ ეგზომ მიმზიდველ კაბინეტში

მართავდა იგი სეანსებს. ლონდონის ე.ნ. მალალი საზოგადოების წარმომადგენლები მოხიბილული იყვნენ სპეციალურად ამ კაბინეტისათვის შეკვეთილი ავეჯით, იატაკზე დაფენილი სხვადასხვა ცხოველთა ტყავებით, ეგზოტიკური მცენარეებით, კედელზე და ჭერზე გაკრული უიშვიათესი ნოხებით. უმთავრეს უფერეს ის ქმნიდა, რომ ეს სილაბზე სტუმარს ერთიანებად კი არ ხვდებოდა თვალში, არამედ იგი თანდათანობით აცნობიერებდა ინტერიერის დახვეწილ სტილს. მართალია, მისა ბევრი წინასწარმეტყველება არ გამართლდა, მაგრამ ამით მისი ავტორიტეტი კარგა ხანს არ შერყეულა, რადგან ბევრი რამ ახდა მისი გონებამახვილობის წყალობით. მაგალითად, სარა ბერნარს ყველა მისი საიდუმლო უთხრა, სიძერეში მარტოობა და ავადმყოფობა უნინასწარმეტყველა. დიდი მსახიობი იმდენად არ შემფოთებულა თავისი ცხოვრების მძიმე დასასრულით, რამდენადაც იმ ინტიმურ საიდუმლოზე ფარდის ახდით, რასაც იგი ასე საგულდაგულოდ მაღავდა. მალე სარა ბერნარს ფეხი მოტყდა, რამაც ძალიან გაახარა უისტონ ოდენი. „თუ თბეულება სრულყოფილია, მაშინ იგი ნაკლებად იწვევს ურთორთგამომრიცხავ შეფასებებს და მასზე მსჯელობა რთულია. უცნაურია, რომ ყველა ცდლობს საკუთარი თავი ჰამლეტთან გააიგივოს. მათ შორის არიან მსახიობი ქალები. სარა ბერნარმა მოახერხა ჰამლეტის თამაში და მე მოხარული ვარ გაცნობოთ, რომ სპექტაკლის მსვლელობის დროს ფეხი მოიტეხა“ („ლექციები შექსპირზე“).

შექსპირის შემოქმედების წონისაზე მცოდნეს, ოდენს, არ მოსწონდა სარა ბერნარის მიერ შესრულებული ჰამლეტის როლი. სხვათა შორის, არც ბერნარ შოუ იყო აღტაცებული სარას თამაშით, მაგრამ სტელა კეპბელი სარას პარტნიორის იყო (ოფელისა თამაშიობდა) და ეს დაუნდობელი თეატრალური კრიტიკოსი და შექსპირისადმი სკეპტიკურად განწყობილი, საყვარლის ხათორი, ჩვეულებისამებრ, სპექტაკლს არ ანადგურებდა და სარა ბერნარსაც ინდობდა. სარა ბერნარისა და სტელა კეპბელისადმი მიძღვნილ მონოგრაფიებსა თუ ინგლისური თეატრის ისტორიის სახელმძღვანელობში დაბეჭდილი ფოტოები (სადაც სარა — ჰამლეტი და სტელა — ოფელია ერთად არიან გადაღებულნი) ნათლად მონმობენ, რომ ჰამტარა ტანის დიდი მსახიობი, მაღალქუსლიან ფეხსაცმელებზე შემდგარი, ცოტა არ იყოს კომიკურად გამოიყურება სტელას გარეგნული სიდიადის გვერდით.

განსაცვიფრებელი სიმშვიდით შეხვდა ოსკარ უაილდი, ლონდონისა და პარიზის ლიტერატურული თუ თეატრალური სალონების ეს თვალისწინი და ჯავარი, ლუის ხამონის წინასწარმეტყველებას — რამდენიმე წლის შემდეგ იძულებული გახდები დატოვო სამშობლო და მოკვდები ყველასგან მიტოვებული. ამ საშინელი სიტყვების მოსმენის შემდეგ, ი. უაილდს შთაბეჭდლების ნიგნში ჩაუწერია. „მხოლოდ ჩერჩეტი ადამიანები არიდებენ თავს გარეგნული ნიშნების მიხედვით დასკვნის გაკეთებას. სამყაროს იდუმალება მდგომარეობს ხილულში და არა დაფარულში“. ახდა ლუი ხამონის წინასწართქმული. როგორც ცნობილია, ოსკარ უაილდი გაასამართლეს ჰომილექსუალიზმის გამო. კარგა ხანს იყო რედინგის ციხის ჰამტიმარი (გავისენოთ მისი ავტობიოგრაფიული წოემა „რედინგის ციხის ბალადა“). განთავისუფლების შემდეგ დატოვა ინგლისი, წავიდა საფრანგეთში და იქ გარდაიცვალა.

ხამონის რომელი ყოფნისას იტალიის მეფემ თავის სასახლეში მიიწვია სახელგანთქმული ხირომანტი. როგორც კი მეფის ხელისგულს დახედა, ნახა, რომ „ცხოვრების ხაზი“ 55 ნიშნულზე წყდებოდა. იმ დროს მონარქი სტორედ 55 წლის იყო. ლუიმ ურჩია თავს გაუფრთხილდიო, მაგრამ მეფემ არად ჩაგდო ლუის წინასწარმეტყველება და ამის გამო დაისაჯა კიდეც. მალე, ჰამტარა ქალაქ მორცაში, ანარქისტები გაეტანი ბრეშამ ხალხმრავალ ქუჩაში მოელა.

ერთხანს მეითხოება მოხეზრდა (დღეში 20 სეანსს ატარებდა), დაჰკრა ფეხი და 1905 წელს, რუსეთ-იაპონიის ომში გაემგზავრა კორესპონდენტად (ამბობდნენ, ბრიტანეთის დაზვერვის დავალებას ასრულებდაო). ლონდონში დაბრუნებული ტრაბახობდა — ნიკოლოზ მეორემ მიმიღო და მე მას საშინელი აღსასრული ვუნინასწარმეტყველეო — რაც მისი ფანგაზის ნაყოფი აღმოჩნდა. გამდიღების სურვილმა პარიზში ამოაყოფინა თავი. აქ დაარსა საკუთარი გაზეთი და ბანკი (1909). როგორც განთქმულ წინასწარმეტყველს, ბევრი ენდობოდა. მის ბანკში ძალიან ბევრ მდიდარ ადამიანს შეჰქონდა ფული. კიდევ უფრო გამდიღებდა, ყიდულობდა სახლებს, ადგილ-მამულს, ვენახებს, ჯიშიან ცხენებს. ყოველ საღამოს პარიზის „გრანდ-ოპერის“ ლოუაში იჯდა. ყოველი სპექტაკლის შემდეგ კი უძვირფასეს რესტორნებში მასპინძლობდა ულამაზეს კურტიზან ქალებს, რათა შემდეგ სასტუმროს ნომერში დაემთავრებინა სიამოვნებათა ეს ციკლი. მალე შემოადნა ხელში უზარმაზარი ქონება. ვალებში ჩავარდა. საფრანგეთსა და ინგლისში კონფისკაცია უყვეს მის ავლა-დიდებას. კრედიტორებისგან თავის დაღწევის მიზნით ამერიკაში გაიქცა. აქ პირველი მსოფლიო ომის დაწყება ინინასწარმეტყველა, დაწერა ფანტასტიკური რომანები, მოგონებები. ისევ გამდიღებდა. ომის შემდეგ დაბრუნდა ინგლისში, რათა ახალი საქმე ნამოენყო (გამოიგონა ქვანახშირის დამზადების მეთოდი), მაგრამ ამ ნამოხყებამ ფიასკო განიცადა. კვლავ ამერიკას მიაშურა. კონსულტაციებით და წიგნების ჰონორარით გვარიანი ქონება დააგროვა, მაგრამ თავს დაატყდა, როგორც მთელ ამერიკას, „დიდი დეპრესია“ და უკაპიკოდ დარჩა. ჰოლივუდს მიაშურა. აქ უწინასწარმეტყველა ჩარლი ჩაპლინს, მერი პიკფორდს, ლილიან გიშს, ხოლო ახალგაზრდა სერგეი ეიზენშტეინს უთხრა:

ფიდხანს ვერ იცოცხელებ, მაგრამ კინომატოგრაფიის განვითარებაში დიდ წვლილს შეიტანო (რაც სრულიად ახდა, გარდაიცვალა 50 წლის).

დღიოთა ვითარებაში ნელ-ნელა ჩაქრა ლუისის ვარსკვლავური ბრწყინვალება. მას აღარ ენდობოდნენ, დაკარგა შეძლებული და სახელოვნი კლიენტები. მისი რეპუტაცია წულს გაუტოლდა. ბოლოს, ხელმოცარული იდგა ქუჩაში ბოჭა ქალივით, და გამვლელ გამომვლელს ეხვენებოდა, მომეცით თქვენი ხელი, ერთ დოლარად გიმიტხავებთო.

გარდაიცვალა სრულ მარტობაში (1936), დარიბ-ლატაკთა საავადმყოფოში.

პარადოქსის... კაცმა, რომელმაც ინინას სარმეტყველა პირველი მსოფლიო ომის დაწყება, პალეტინის ტერიტორიაზე ებრაული სახელმწიფოს აღმოცენება (რის გამოც თანამედროვეებმა სასაცილოდ აიგდეს, იმდენად ფანსტასტიკურ ამბად მიიჩნიეს), უამრავი სახელოვანი ადამიანის ბედიბალი ამოიცნო, ვერ განჭვრიტა საკუთარი მომავალი???

მავენერი როდამი და მისი ორი მუზიკა

ჭაბუა ამირეჯიბის უმშვენიერესი დის, როდამ ამირეჯიბის ორივე მეუღლეს, რუს მიხეილ სვეტოვსა და იტალიელ ბრუნო პონტეკორვოს რამდენიმეჯერ შევხედრია. ჯერ ის მინდა ვთქავა, რომ როდამზე ლამაზი ქართველი ქალი მე ჩემს სიცოცხლეში იშვიათად შემვედრია. იგი სრულყოფილების განსახიერება იყო არა მხოლოდ გარევნული მშვენიერებით, არამედ თავის გონიერებით, დახვენილი მანერებით, ჭეშმარიტი არისტოკრატიულობით და კლასიკური სისადავით. ორივე მისი მეუღლე სახელგანათქმული იყო, ორივე უწევეულოდ გორებამახვილი, ლალი და გულგახსნილი, მაგრამ ჩემი ზერელე დაკვირვებით, სათანადოდ ვერ გრძნობდნენ როდამის უნიკალობას... ერთი, როგორც ჭეშმარიტი რუსი, არაყს ეძალებოდა, მეორე, როგორც ჭეშმარიტი იტალიელი — ქალებს.

მ.სვეტლოვი ბრწყინვალე პოეტი იყო. საბჭოთა ხელისუფლება მას ხან ზეცაში ასტყორცნიდა (გარდაიცვალა 1964 წელს). 1967 წელს მიანიჭეს ლენინური პრემია, სიკვდილის შემდეგ) ხოლო, ხან ქვესკენელში მოისროდა, რადგან დალიან მწვავედ დასცინოდა საბჭოთა ბიუროკრატიას, შედროვეებას და კარიერისტებს. შემოქმედთა წრებში გავრცელებული იყო მისი აფორისტული გამოთქმები: „ჩვენში წესიერი ადამიანი ისაა, ვინც სისაძაგლეს სამავრცების გარეშე ჩადის“, „ამ კაცს პრეზიდიუმის განსაცვიფრებელი სუნი ასდის“. კვდებოდა (კიბი სჭირდა), მაინც ხუმრობდა. თავის მოწაფეს ლიდია ლეტერისტის კაიას (შემდეგ ცნობილი მწერალი გახდა) სიკვდილის წინ თხოვა, „გთხოვ, ლუდი მომიტანეო“. გაკვირვებულმა ქალმა ჰყითხა, „მარტო ლუდი?“, „დიახ, მარტო ლუდი, რადგან კიბი უკვე მაქვს“. მ.სვეტლოვი ქართველი პოეტების ლექსებსაც თარგმნიდა და ზოგიერთი მათგანი ორიგინალს სჯვდდა. თვითონ ირონიულად უყურებდა თავის პოეზიას და ლექსებს, რატობაც სამხედრო ჩინების მიხედვით აფასებდა მათ, მაგალითად, ლექსს „გრენადაზე“ ამბობდა, „მარშალიან“, მაგრამ დროა პენსიაზე გავიდესო. აქვე ავლინშნავ, რომ „გრენადა“, ერთ დროს, ყველაზე პოპულარული ლექსი იყო და მასზე დაწერილ სიმღერას თითქმის მთელი სსრკ-ს მოსახლეობა მდეროდა (ამ სიმღერას ბრწყინვალედ ასრულებდა თამარ გვერდნითელი). „კიდევ მყავს ორი გენერალიო, სხვა დანარჩენი ჩემი ლექსები რიგითი ჯარისკაცები არიან, უსწავლელი, გაუწვრთველინი“.

ბრუნო პონტეკორვო, სახელგანათქმული ფიზიკოსი, ასტროფიზიკოსი, აკადემიკოსი, ჩემი უახლოესი მეგობრის, აკადემიკოს ჯუმბერ ლომინაძის კოლეგა და მეგობარი იყო და თბილისში სტუმრობისას მასთან ხშირად შევხედრივარ აქ გამართულ წვეულებაზე (აქვე შევხედრივარ მსოფლიოში ცნობილ ფიზიკოსებს, აკადემიკოსებს საგდევესა და ველიხოვს).

ბრუნო, რომელიც ადრე მუშაობდა ინგლისში, ამერიკაში, კანადაში, ინგლისურად თავისუფლად ლაპარაკობდა, მაგრამ რუსულს მთლად კარგად ვერ ფლობდა, ამის მიუხედავად, სასაცილო ანერიფოტებს ჰყვებოდა რუსულად და თუმც კომუნისტი იყო, არ ერიდებოდა საბჭოთა ყოფის გამასხარავებას. (ამბობდნენ საბჭოთა დაზვერვამ იგი კანადიდან „მოიპარა“ და რუსეთში ჩამიყვანაო). სამუალოზე დაბალი იყო, ძალიან მოძრავი, მოუსვენარი, კეთილგანწყობილი, გამუდმებით კარგ ხასიათზე მყოფი. მოხდა ისე, რომ ერთხელ ბაჟურიანში, ცნობილ „ლიუბაზაზე“ („სათხილამურო ბაზა“ — იმ დროს შედარებით კომფორტული) გვერდი-გვერდ ვცხოვრობდით და საერთო აივანი გვქონდა. ბრუნო კარგად ფლობდა „სასიარულო თხილამურებს“ (სამთო თხილამურები სხვა რამაა) და ყოველ დილით გადიოდა სასრიალოდ. როგორც კი გარეთ გამოსულს დაინახავდნენ, მაშინვე აედევნებოდა თაყვანისმცემელ რუს გოგონათა მთელი რაზმი და იყო ერთი სიცილ-კისკისი, მხიარული შეძახილები და ხორხოცი. ბრუნო, როგორც ყოჩი, წინ მიუძღვდა ახუნტრუცებულ მოსრიალე გოგონებს... ძეირფასი როდამი კი არსად ჩანდა. ერთხელ, აივანზე გასულმა, ასეთი სურათი ვიხილე: დავინახე ოთახში, ფარდას ამოფარებული და აკანკალებული როდამი, ნერვიულად ექაჩებოდა სიგარეტს და თვალს არ აშორებდა თოვლით დაბურული ტყისაკენ მიმავალ მეუღლეს, რომელსაც ამ დროს, აღბათ, არც ანალვებდა ამ მშვენიერი ქალის ნერვიულობა და ეს გრძელდებოდა მთელი ორი კვირის მანძილზე. სათხილამურო ბაზის თხელი კედლები სულ მცირე ჩქამსაც ვერ ახშობდნენ

და მე, როდამისაგან წარმოთქმული ერთი ხმამაღალი სიტყვაც არ გამიგონია ამ ხნის მანძილზე... ბოლოს, გავიხსენებ მიხეილ სვეტლოვის ერთი ლექსის ფრაგმენტებს.. როდამისადმი მიძღვნილს.

Я введу тебя Сулико
В удивительные края
Это кажется далеко –
Там где юность жила моя.

Сулико ты моя любовь
Ты всю юность со мной была
И мне кажется – будто вновь
Ты из песни ко мне пришла.

პოლიგრაფიული „ტროფეი“

გასულ წელს დიდი ზარ-ზეიმით აღინიშნა საყოველთაოდ ცნობილი ჟურნალის, „პლეიბოის“, სამოცი წლისათვის. ერთ დროს მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე პოპულარული ამერიკული გამოცემა, რომლის ტირაჟის თითქმის შვიდი მილიონს აღწევდა, ჩვენ დროში თანდათან ჰყარგავს ძველ პოზიციებს ინტერნეტის ტირანის შემოტევის შედეგად (ახლა ჟურნალის ტირაჟი მილიონნახევარია). ამ ჟურნალის შემოტანა სასტიკად იყო აკრძალული სსრკ-ში. იშვიათად თუ ვინმე გაბედავდა „ტროფეის“ სახით მის შემოპარებას. ჩვენთვის ეს იყო ნამდვილი პოლიგრაფიული საინკრება, უმაღლესი სარისხის ცარცის ქაღალდი, ფრადი ფოტოები, ულამაზესი ქალების თამამი პოზები, ამერიკული ცხოვრების ბრწყინვალება. ჩანახატები და შესანიშნავი მოთხოვნები, ინტერვიუები პრეზიდენტებთან, პრემიერ მინისტრებთან, კულტურის, ხელოვნებისა და სპორტის გამოჩენილ მოღვაწეებთან. კომუნისტური პროპაგანდა ამ ჟურნალს უწოდებდა პორნოგრაფიულს, „ვუაიერიზმის“ (სექსუალური თემით უსაზღვრო ექსპლუატაცია) სენით დაღდასმულს, ამორალურს. ჟურნალის დამაარსებელი ჰიუ ჰეფრენი კი ყველას გასავონდა ამბობდა.. მე „პლეიბოი“ არასოდეს არ მიმაჩნდა სექსის ჟურნალად. ეს გამოცემა წარმოგვიდგენს ცხოვრების სახე-ხატს, სადაც სექსი არის მისი ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი”...

გასული საუკუნის 50-იან წლებში ამერიკაში მოგზაურობიდან დაბრუნებულმა პოეტმა ირაკლი აბაშიძემ საქართველოს რადიოში მისთვის დამახასიათებელი იუმორით და მახვილიტყვაობით მოგვითხრო თავის შთაბეჭდილებებზე და სხვა სახალისო ამბებთან ერთად, ასეთი რამ თქა:

— ამერიკაში წასვლამდე შეგონა „კოკა-კოლა“ რაღაც სამინელი ანტისაბჭოთა სასმელი იყო, რომელიც დალევისთანავე სულს აცხებინებს პატიოსან საბჭოთა ადამიანებს. თურმე, ჩვეულებრივი და ძალიან სასიამოვნო სასმელი ყოფილა, რომელსაც ჩვენი „ლალიძის წყლები“ არაფრით არ ჩამოვარდება თუ არ სჯობია კიდეც (სხვათა შორის, მაშინ, ბ-ნმა ირაკლიმ, პირველად მოასმენინა ქართველებს გასაოცარი მომღერლის, ჰარი ბელაფონტეს სიმღერები). ბევრ ჩვენთაგანს, სანამ ვნახავდით, „კოკა-კოლის“ არ იყოს, „პლეიბოი“ შესმითა და სიძულვილით საგვე ჟურნალი გვეგონა. სინამდვილეში კი აღმოჩნდა, რომ იგი ყოფილა შესანიშნავი ჟურნალი, რომელიც სამაგალითოდ უხამებდა ერთმანეთს ჰიკანტურ, უცნაურ ამბებს და სერიოზულ თემებს. აქ, სხვადასხვა დროს დაიბეჭდა ჰემინგუეის, ფიტცჯერალდის, აპდაიკის, ვონეგატის, ნაბოკოვის, იან ფლემინგის და სხვათა მოთხოვნები. მერლინ მონროს, ელიზაბეთ ტეილორის, პამელა ანდერსონის, სინდი კორუფორდის, ნაომი კემპბელის, კიმ ბესინჯერის ფოტო-სესიები.

მეოცე საუკუნის სამოცდაათიან წლებში, როცა გახშირდა „პლეიბოის“ „კონტრაბანდული“ შემოტანა სსრკ-ში, ასეთ ანეკდოტს მოისმენდით ჩვენში.. პატარა ბავშვი ათვალიერებს „პლეიბოის“ და გაოცებული ეკითხება მამამისა!

„რატომ არის ყველა ქალი შიშველი?“

— „ამერიკაში, შვილო, დიდი უმუშევრობაა და ქალებს კაბის საყიდელი ფული არა აქვთ, თან, არც კაბები იძოვება“. „პლეიბოი“ მხოლოდ 1995 წლიდან გახდა ჩვენთვის ლეგალური.

სპექტაკლები

ორი სპექტაკლის თაობაზე

მარა ვასაძე



„ყველაფერი ძველებურადაა,
ყველაფერი თავიდან იღება“...

რა უცნაური და ამოუხსნელი ფენომენია ადამიანი: სიყვარულით, სიცეთით, მიმტევებლობით, ბოროტებით, შურით, ღვარძობით, მომხვეჭელობით, - აღვსილო. „კოკასა შიგან რაცა დგას, იგივე წარმოდინდების“ - ძალაუნებურად შოთა რუსთაველის აფორიზმად ქცეული ნათქვამი გამახსენდა. ასეა ადამიანის ბუნება მოწყობილი, მასში ყველაფერი დევს, მარტივად რომ ვთქვა, კეთილი და ბოროტი ადამიანის არს-შია ჩადებული. იგი მუდმივად ებრძვის საკუთარ თავს, მასში არსებულ „ძალებს“. ეს ბრძოლა დანის პირზე გადის, ოდნავი გადაცდენა და ერთ-ერთი იმარჯვებს. არსებობენ ავთანდილები, თინათინები, თორნიკე ერისთავები, დონ კიბოტები და არსებობენ მაკეტები, ლედი მაკეტები, რიჩარდები... რომელი გადასწონის, რომელი გაიმარჯვებს? ისევ რუსთაველი მახსენდება: „ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია“. რა თქმა უნდა, აღზრდა, გარემო, სოციალური თუ პოლიტიკური ვითარება - განსაზღვრავს ფასეულობებს პირვნებად ჩამოყალიბების პროცესში. თუმცა, აკაკი წერ-ეთელმა „გამზრდელში“ თქვა: „მაგრამ მარტო წვრთნა რას უზამს, თუ ბუნებამც არ უშველა“?!

ადამიანი, ჩვენს სამყაროში მოაზროვნე არ-სება, ხშირად ბოროტებას ირჩევს. სამწუხაროდ, არცუუ იშვიათად, მისი ქცევა, ქმედება ცხოველისაზე უარესია... ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ადამიანები ადვილად იმეტებენ ერთმანეთს მოსაკლავად და ამის მიზეზი სხვადასხვაა, ხშირად აბსურდულიც კი. კაცობრიობის ისტორიის განმავლობაში ისინი განუწყვეტლივ ომობენ... უმეტესწილად ერის, ქვეყნის, ლვთის სახელით... ომობენ ქვეყნები, ქალაქები, სოფლები და ა.შ. ყველაზე საშინელი მაინც, ალბათ, სამოქალაქო ომია, როდესაც მეზობელი მეზობელს, ამხანაგი ამხანაგს, ნათესავი ნათესავს, ნაცნობი ნაცნობს კლავს, ანადგურებს საკუთარ ქალაქს, ქვეყანას ანგრევს. არც ერთი იდეა არ ღირს ადამიანის სიცოცხლედ. მით უმეტეს, თუ ბრძოლას, ომს ქვეყნისა თუ ღვთის სახელით, ბავშვების, მომავლის სიცოცხლე ენირება.

უკვე თხუთმეტი წელია, რაც XXI საუკუნე დადგა. XX საუკუნიდან მოყოლებული, კაცობრიობაში ცივილიზაციის განვითარების, თამამად შეიძლება ითქვას, უმაღლეს საფეხურს მიაღწია, მაგრამ სამწუხაროდ, ადამიანის ფსიქიკაში, ძა-

ლადობისკენ, ბოროტებისკენ მიღდეკეილება არ შეცვლილა. ის, რაც დღეს ხდება სირიაში, კენიაში, უკრაინაში, სულ ცოტა ხნის წინ ხდებოდა აქ, ჩვენს ქვეყანაში (და სხვა ქვეყნებში), ყველა ნორმალურად მოაზროვნე ადამიანისთვის მიუღებელია, ალმაშფოთებელია, შესაზარია... ამ ბოლო დროს, სოციალურ ქსელებში გავრცელებული ვიდეო და ფოტო მასალა, ღვთის სახელით როგორ უსწორდებიან პატარა ბავშვებს სირიაში, სულ ერთი ციდა, ალბათ ორ წლამდე ბავშვის თავზე მიძჯვნილი ავტომატები - ადამიანთა მოდგმაზე გაფიქრებინებს და გათქმევინებს: „კაცია - ადამიანი?!“ „ფურთხის ღირსი ხარ“ შენ - ადამიანო! ყველაზე საზარელ მხეცზე უარესი ხარ შენ - ადამიანო!!! სწორედ, იმ დღეს, როდესაც სოციალურ ქსელებში გავრცელებულ თავზე ავტომატებმიძჯვნილ ბავშვის ფოტოს გადავაწყდი, საღამოს, ილიაუნის თეატრში ვნახე რუსუდან კობიაშვილის მონისაბეჭარი „სეზარი და დრანა“. ნეგატიური ემოციებით აღსავსე, ფიქრით გადაღლილი წავედი თეატრში, იქიდან კი იმედინი, კარგ განწყობაზე დავბრუნდი. საოცარი ძალა აქვს ხელოვნებას — სულიერად დაცლილს, ემოციით გამოწვეული ფიქრი აგავსებს, დაგმუხტავს, კათარზის განგაცდევინებს. ამის ძალა ხელოვნების ნებისმიერ სფეროს შესწევს, მაგრამ ყველაზე მეტად, ალბათ, თეატრს - ყველაზე უფრო „ცოცხალ“ დარგს ხელოვნებისა. სათეატრო ენის უნიკალურობა სწორედ იმაშია, რომ ჩუმი დიალოგი სცენაზე მყოფ პერსონაჟებსა და მაყურებელს შორის, მთელი სპექტაკლის განმავლობაში მიმდინარეობს. რუსუდან კობიაშვილის და ლილი ხურითის (დრონას როლის შემსრულებელი) ნამუშევარი ზუსტად ეხმიანებოდა ჩემს განწყობას, ემოციებს, და, არა მარტო ჩემს ფიქრებს, სათქმელს, არამედ მსოფლიოში არსებულ დღევნდელ სიტუაციას.

„სეზარი და დრანა“ ქართულ სცენაზე პირველად იდგმება. რუსუდან კობიაშვილმა დრამის რეჟისორის მაგისტრატურის სადაბლომო ნამუშევრად (გიზო შორდანიას სახელოსნო) იზაბელ დორეს პიესა აირჩია. „სეზარი და დრანა“ შესულია თეატრმცოდნე ირინა ლოლობერიძის თაოსნობით გამოცემულ კრებულში „თანამედროვე ფრანგული თეატრი“ (2005 წ.). წინასიტყვაობაში ირინა ლოლობერიძე ავტორთა არჩევანს განგვიმარტავს და ამბობს, რომ მკითხველს კრებული შეიძლება ეკლექტურად მოეჩვენოს, მაგრამ ეს არის მოკრძალებული მცდელობა, თანამედროვე ფრანგულ სათეატრო მწერლობაში არსებული მიმდინარეობების სურათის შექმნისა. კრებულში, როგორც თავად ამბობს, აბსურდის თეატრის, გათანამედროვებული კლასიკის, ბულვარული აბსურდის, პოეტური თეატრის ნიმუშები წარმოაჩინა. ბეკეტით

იწყებს, ვინაიდან მიაჩნია, რომ „ბეკეტი ისეთი რადიკალური დემარშით შემოიჭრა თანამედროვე ლიტერატურაში, რომ მის გვერდით ამავე სტილის ნებისმიერი ავტორი მისი შემოქმედების ფერმიხდილ იმიტატორად გამოჩნდებოდა.“

თანამედროვე ფრანგი კანადელი ავტორის იზაბელ დორეს პიესა საინტერესოა არა მარტო თემითა და პრობლემატიკით, არამედ, იმითაც, რომ პოეტური თეატრის სტილისტიკით დაწერილი დრამატურგიის ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუშია. იზაბელ დორე მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებული ქალბატონია. მან შემოქმედებითი კარიერა მსახიობობით დააწყო. თეატრისა და კინოს დრამატურგია, რეჟისორია, ფოტოგრაფია დღეს იზაბელის მოღვაწეობის სფეროებია. ნერდა რადიოპიესებს, „სეზარი და დრანა“ სცენისთვის შექმნილი წარმატებული დებიუტია. მიღებული აქვს პრემიები, ითარგმნა და დაიდგა სხვადასხვა ქვეყნის თეატრებში, რადიოპიესადაც გადაკეთდა. ნანარმოები იმდენად პოპულარული გახდა, რომ 2004 წ. ანსამბლმა „I Musici de Montreal“ პიესის მუსიკალური ვერსიაც კი შექმნა.

რუსუდან კობიაშვილის შემოქმედებითი ბიოგრაფია რაღაცით ჰგავს იზაბელ დორესას. რუსუდანიც მსახიობი იყო. მისი სამსახიობო კარიერა ათეულობით როლს ითვლის. შარშან კი, გიზო შორდანიას ხელმძღვანელობით, დაამთავრა მაგისტრატურა დრამის რეჟისორის განხრით. სპექტაკლის პირველი სამი ჩვენება „თეატრში ათონელზე“ გაიმართა. ერთი წლის მერე, რეჟისორი ისევ მიუბრუნდა ამ პიესას, გადამუშავა, დახვენა და 2015 წ. აპრილის მეორე ნახევარში „ილიაუნის თეატრში“ შედგა აღდგენილი სპექტაკლის პრემიერა. რუსუდან კობიაშვილის სარეჟისორო დებიუტი წარმატებულია. ვფიქრობ, კიდევ ერთი საინტერესო რეჟისორი შეემატა ქართულ თეატრს. არ ვიცი მიზანმიმართულად თუ შემთხვევით, რეჟისორმა სპექტაკლის შემოქმედებითი ჯვაფი ქალებისგან შეკრა: მხატვარი - თამარ კობიაშვილი, მუსიკა - მაია გოგსაძე, ტექნიკური რეჟისორი - მაკა მეტრეველი, სპექტაკლის მთავარი და ერთადერთი პერსონაჟი - ლილი ხურითი.

რეჟისორმა სამკაციანი პიესა, როგორც ზევით აღვნიშნე, მონისპექტაკლად აქცია. დორესთან სამი პერსონაჟია: მთავარი მოქმედი პირი დრანა, დრანას დედა კეჯა და ქმარი - ტიხელი. ძირითადად დრანას მონოლოგად აგებულ პიესაში კეჯა და ტიხელი ორჯერ ჩნდებიან. დრამატურგმა, მცირე ზომის ნანარმოებში ბოშა ქალის თვალით დანახული სამყარო წარმოაჩინა. სიცოცხლის ბოლო საათებში დრანა განვლილ ცხოვრებას იხსენებს. მას ცხენი, სახელად სეზარი, უკვდება. ცხენი, რომელიც დაბადები-

დან მთელი მისი ცხოვრების თანამდევია. ცხენი ერთგვარი სიმბოლოა სიყვარულის, სიკეთის, მეგობრობის, თავდადების, ერთგვულების. დრონას არ სურს დაიჯეროს სეზარის სიკვდილი, ჰერონია, რომ დაიღალა, შესცივდა და ამიტომაც დაეცა. მის ფეხზე დასაყენებლად, გასამხნევებლად იწყებს ერთად განვლილი ცხოვრების მოგონება-მოყოლას. თხრობის დასასრულს კი დრანას ხელისგულებიდან ხაზები ქრება, დრანაც გარდაიცვლება. დრამატურგმა ბომბათ მომთაბარე ცხოვრების წესი გამოიყენა და გეოგრაფიულად სხვადასხვა ქვეყანა მოიცვა. ამით გვაჩვენა, რომ ადამიანის არსი, ერისა თუ სარწმუნოების განსხვავებულობის მიუხედავად, ერთია. სიკეთე თუ ბოროტება, სიყვარული თუ სიძულვილი, თანალმობა თუ ძალმომრეობა ყოველ ადამიანშია, არა აქვს მნიშვნელობა, უნგრეთის, რუსეთის, გერმანიის, საფრანგეთის, კანადის, თუ სხვა ნებისმიერი ქვეყნის შვილია.

რუსუდან კობიაშვილმა სწორად განსაზღვრანარმოების ძირითადი სტრუქტურა. ტექსტი შეამოკლა, გააკეთა კუპიურები, კეჯა და ტიხელიც, როგორც ყველა სხვა, დრანას წარმოსახვით მოგონებაში გადაიტანა. ორი ძალის დაპირისპირება, კეთილისა და ბოროტის, სცენოგრაფიასა და კოსტიუმებშიც აისახა. ძირითადად ორი ფერია გამოყენებული - თეთრი და შავი. ერთადერთი, რაშიც რეჟისორსა და მხატვარს არ ვეთანხმები, ბოლო პერიოდის მსოფლიო თეატრში, ესოდენ მოდური ვიდეონინსტალაციის გამოყენებაა. დროდადრო, დრანას მონილოგისას, სცენის უკანა კედელზე დაუმთავრებელი ტრასის კადრები ჩნდება მასზე დატანებული სხვადასხვა მიმართულების ისრებით. სიმბოლურ, მეტაფორულ, პოეტურ ენაზე შექმნილ სპექტაკლში ასეთი პირდაპირი მითოთება ძალიან „უხეშად“, ზედმეტად მომეჩვენა. შეიძლება ვცდები, მაგრამ ტრასა სპექტაკლის საერთო ნახაზიდან, ქარგიდან, რეჟისორის ხელწერიდან ამოვარდნილია. ეკლექტურობა კარგია, თუ ის გამართლებულია, ჩანაფიქრისთვის, კონცეფციისთვის აუცილებელია და მხატვრული მთლიანობის აღქმაში არ გიშლის ხელს.

მუსიკალური გაფორმება რეჟისორის კონცეფციის გამომხატველია. პიტერ ბრუკი „ცარიელ სივრცეში“ წერს, რომ მუსიკა სპექტაკლის ერთ-ერთი განმსაზღვრელი კომპონენტია და ცალკე ნანარმოებად არ უნდა აღიქმებოდეს, ორგანულად უნდა ერწყმოდეს სპექტაკლს, მაყურებელს ეხმარებოდეს სათქმელის უკეთ აღქმაში. სწორედ ეს გაითვალისწინეს რუსუდან კობიაშვილმა და მაია გოგსაძემ, სპექტაკლის მუსიკა განწყობას უქმნის მაყურებელს.

„ტექსტი, უპირველეს ყოვლისა, სუნთქვაა. მსახიობის ხელოვნება იმაში მდგომარეობს, რომ გაუთანაბრდეს პოეტს, თავისი რითმა

აუწყოს მის სუნთქვას და დროგამოშვებით საერთო შემოქმედებით აღმაფრენად აქციის იგი“. ცნობილი ფრანგი რეჟისორისა და მსახიობის ლუ უვეს ეს სიტყვები ზუსტად განსაზღვრავს დრანას როლის შემსრულებლის ლილი ხურითის ნამუშევარს. მსახიობს ტექსტი, რომელიც დადგმაში უმნიშვნელოვანესია, ბოლომდე აქვს გათავისებული. ხმა, მეტყველება, პლასტიკა, უსტიტულაცია მათემატიკური სიზუსტით დამუშავებული და გათვლილი აქვთ შემსრულებელსა და დამდგმელს. ლილი ხურითის დრანა, ხან სასონარკვეთილი მოხუცია, ხან ახალგაზრდა მშვენიერი, ენერგიით სავსე, შეყვარებული ბოშა ქალი, ხან პატარა ბავშვია, რომელიც სამყაროს გაცნობას იწყებს, ხან ცელქი მოზარდია, ხან ბეჭდიერი ცოლი და მრავალშვილიანი დედა, ხან კი შვილის დაღუპვით გამწარებული ქალი. გასაოცარია მისი გარდასახვის უნარი. მსახიობი ისე ხატოვნად, სიმართლით გადმოსცემს პერსონაჟის ცხოვრებას, რომ სხვადასხვა ეპიზოდები მაყურებლის ნარმოსახვაში თვალნათლივ ცხადდება.

რეჟისორის კონცეფციას ერწყმის სპექტაკლის სცენოგრაფია. დეკორაცია, ატრიბუტიკა მარტივი და სადა, მხოლოდ ერთი სამგზავრო ფურგონი დგას სცენაზე. ეს თეთრი ფერის ფურგონი დრანას ცხოვრების მეტაფორაა. სიმბოლურია, რომ ამ ფურგონშია მოთავსებული მთელი მისი ავლა-დიდებაც. მკრთალ, ბურუსისებრ ტონალობაშია გადაწყვეტილი სპექტაკლის განათებაც. ლილი ხურითის სახეობრივად გათამაშებული აბების მსვლელობისას, ფურგონის კარკასს გარშემორტყმული პატარ-პატარა ნათურები ხან ინთება და ხან ქრება. გაჩნია, რას იგონებს დრანა, რას ახსენებს თავის ერთგულ მეგობარ სეზარს - სიყვარულით, სიკეთით აღსავსე მოგონებებია, თუ, სევდიანი, ტრაგიკული. სპექტაკლის დასაწყისში გრძელი თეთრი, სუდარის მსგავსი ნაჭერი ნელ-ნელა შემოსრიალდება სცენაზე. ეს დრანას განვლილი, გრძელი გზის მეტაფორაა. ამ სუდარიდან გამოიკვეთება თეთრი ფურგონიც, ეს სუდარა დრანას საყვარელი მეგობრის, მისი ცხენის გამოხატულებაცაა, სპექტაკლის ბოლოს კი, როდესაც სულები, ურსიტორიები(ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობის განმსაზღვრები) მოელანდებიან (პიესაში ისინი სცენაზე ჩნდებიან) და იგი მიხვდება, რომ მისი ამქვეყნიური ცხოვრება დასრულდა, თეთრი სუდარა ზევით აიტყორცნება და უცაბედად ახალშობილის აკვისი ფორმას მიიღებს. მეტაფორა სავსებით ნათელია, ადამიანი კვდება, მაგრამ იქვე სხვა ადამიანი იბადება, სიცოცხლე გრძელდება.

ემოციურად დატვირთული, ურუანტელის მომგვრელი ეპიზოდია, როდესაც დრანა, მეორე მსოფლიო ომის ტრაგიკულ მოვლენებს

და შვილის დაღუპვის ამბავს უყვება სეზარს. ლილი ხურითი ჯიბიდან პატარა ფეხსაცმელს ამოიღებს, და თითოეულ ომისდროინდელ საზარელ ამბავზე, ფეხსაცმლის ხელზე დარტყმით, რიგმს ქმნის. „იცი, რას ვფიქრობ? ჩემი აზრით, ომი ხელახლა რომ დაიწყოს, ყველაფერი ზუსტად ისე განმეორდება, როგორც მაშინ! [...] საბრალო ფეხმძიმე სერაფინას ისევ მოკლავენ თავის ექვსი წლის გოგონასთან ერთად. ფეხებს განდაგან გაამლევინებენ და ხეზე მაგრად მიაბამენ. მის ქვემოთ კი ორმოს გაათხრევინებენ, რომ ბავშვი, გაჩენისთანავე, იქ ჩავარდეს და ცოცხლად დაიმარხოს“.

სპექტაკლში, პიესისგან განსხვავებით, დრანა და სეზარი მდევრებს გაურბანინ, იმალებიან. - ადექი, სეზარ, თუ დაგვეწევიან, ფურგონს დაწვავენ, შენ მოგელავენ. - ამბობს შეშინებული დრანა. რეჟისორმა სპექტაკლის დასაწყისშივე ძალადობის თემის შემოტანით კიდევ უფრო გაამწვავა დრამატურგის სათქმელი. საათსა და 10 წუთში გათამაშებული, ერთი კონკრეტული ადამიანის, ბოშა ქალის პერიპეტიიბით აღსავსე ცხოვრება, ნებისმიერი მცირე ერის ტრაგიკულ ისტორიად შეიძლება აღიქვა. მძიმე ცხოვრების მიუხედავად, ლილი ხურითის დრანას სიც-

ოცხლის სიყვარული არ განელებია. მისი ბოლო სიტყვები კი მაყურებელს მომავლის იმედს უტოვებს: „ოპ! შეხედე, სეზარ! მოვარეს ახედე! სედავ? ! ხედავ, რა ხდება მოვარის დაჩრდილულ მხარეს? ! ეს ხომ, შენ ხარ, სეზარ... ნინ შენ მიდიხარ, მიფრინავ, სეზარ! რა ამაყი იერი გაქვა! რას მიაჭენებ? ! მე მიყურებ... მე კი, შეხე, უკან მოგვყები, ფურგონს ვმართავ! ყური დაუგდე! გესმის ჩემი ყვირილი? ! ეს მე გაქეზბა... ჭენება არ შეანელო! სეზარ, გასწი... გაქუსლე... გაფრინდი!... ხედავ, ყველაფერი ძველებურადაა, ყველაფერი თავიდან იწყება, სეზარ“...

სოციალურ ქსელებში გავრცელებული ინფორმაციით დავიწყე, არ ვაპირებდი, მაგრამ უნებურად, ისევ სოციალურ ქსელში, ჩემი მეგობრების შვილის, 11 წლის ქეთი ყანჩაველის გვერდზე გამოქვეყნებული ტექსტით ვასრულებ სპექტაკლზე ნერას. თუ რატომ, ამას თავად მეითხველი მიხვდება. „დღეს დედამინის დღეა, ამიტომ ყველას გთხოვთ 20:00 საათიდან 21:00 საათამდე ყველანაირი ელექტროენერგია გამორთეთ, რადგან დედამინამ ერთი საათით მაინც შეძლოს დასვენება! (გულ) წინასწარ გიხდით მადლობას. (ლიმილი).“

„შევხვდებით ჰააგაში“



ქართულ სათეატრო სივრცეს კიდევ ერთი გამორჩეული სპექტაკლი შეემატა - „ვინ გატეხა ქოთანი“.

ხელოვნებას საოცარი ძალა აქვს - მაღალმხატვრული ნაწარმოები არასდროს გავინიშვდება, მუდამ თან გდევს მის მიერ აღძრული ემოცია

თუ ფიქრი. ცნობიერად თუ ქვეცნობიერად, შენში ჩემი: წაკითხული წიგნი, მოსმენილი მუსიკა, ნახატი, ძეგლი, ვიდეონისტალაცია, არქიტექტურული ნაგებობა, ფოტო, ფილმი, და, რა თქმაუნდა, სპექტაკლი — ყველაზე უფრო სინთეზური და ცოცხალი ხელოვნება.

ნოველისტისა და დრამატურგის ჰაინრიხ ფონ კლაისტის კომედია „გატეხილი ქოთანი“, რომლის მიხედვითაც დაიდგა სპექტაკლი, გერმანული თეატრის ოქროს ფონდშია შესული. კლაისტი უნიჭიერესი მწერალი, ტრაგიული პიროვნება (სიცოცხლე 35 წლის ასაკში თვითმკვლელობით დაასრულა.) მისმა თანამედროვებმა არ მიიღეს, არ დააფასეს. თომას მანი თავის ლიტერატურულ წერილებში გოვთეს (რომელიც მისი კერძი იყო) „საყვედურობს“ კლაისტის „გერ დანახვას“, „ვერ დაფასებას“. „ის იყო ერთოთ უდიდესთაგან, გაბედულთაგან, ყველაზე სახელგანთქმულ გერმანულებრივან მწერალთაგან, შეუდარებელი დრამატურგი - ზოგადად უბადლო, როგორც პროზაიკოსი, როგორც მთხოვნელი, - სრულიად განუმეორებელი, ამოვარდნილი ყოველგვარი ნორმებიდან თუ წესებიდან, სიგიურემდე, ისტერიამდე რადიკალური - ექსცენტრიული სიუჟეტებით გატაცებაში, - ღრმა, თუმცა, უზომოდ უბედური“ - წერს თომას მანი წერილში „ჰაინრიხ ფონ კლაისტი და მისი ნოველები“. ამ რამდენიმე წინადადებაში ნათლად ჩანს კლაისტი: პიროვნება, შემოქმედი, ადამიანი.

გერმანულ სამხედრო დიდგვაროვანთა ოჯახში დაბადებული კლაისტი ტრადიციისამებრ აგრძელებს სამხედრო კარიერას, მონანილებს რამდენიმე ომში. 21 წლის ასაკში თავს ანებებს სამხედრო საქმეს. განათლების მიღების მიზნით უნივერსიტეტში შეისწავლის ფიზიკას, მათემატიკას, შემდეგ საფუძვლიანად — ფილოსოფიას. იმანულ კანტმა მთლიანად შეცვალა მისი მსოფლმხედველობა. სწორედ ფილოსოფიის კარგად შესწავლის შემდეგ იწყებს წერას. 27 წლიდან 35 წლამდე, სულ რაღაც 8-9 წლის განმავლობაში, ქმნის 8 პიესას, 8 ნოველას, რომანს - ორტომეულს (სამწუხაროდ, დაკარგულია), შესანიშნავად დაწერილ ანეკდოტების ციკლს, ლიტერატურულ სტატიებს, რომელთაგან აღსანიშნავია წერილი „მარიონეტების თეატრის შესახებ“, თომას მანის მოსაზრებით „ესთეტიკური მეტაფიზიკის შედევრი“.

ბორის პასტერნაკის მიერ თარგმნილი კლაისტის მოთხოვნებისა და დრამების რუსული გამოცემის (Генрих Фон Клейст, Драмы. Новеллы, 1969 გ. ინდ. «Художественная литература») შენიშვნებში ერთ საინტერესო ფაქტს გადავანგუდი. კომედია „გატეხილი ქოთანი“ კლაისტმა, შეიძლება ითქვას, „შემთხვევით“ დაწერა. იგი ბევრს მოვზაურობდა და სხვადასხვა ქვეყანაში გარკვეული ჰერიონდ (ცხოვრობდა კიდეც-შვეიცარიაში ყოფნის დროს მეგობრობდა ჰაინრიხ ცხოვესა და ლუდვიგ ვილანდთან. ცხოვეს ბინაში, ოთახში ეკიდა ნახატი, რომელზეც გა-

მოსახული იყო სოფლის მცხოვრებთა სასამართლო დავა გატეხილი ქოთანის გამო (დღემდე დაუზუსტებელია მხატვრის ვინაობა). მეგობრებმა გადაწყვიტეს ამ სიუჟეტზე ლიტერატურული ნანარმოებების შექმნა: ვილანდს სატირა, ცშოვეს მოთხოვნებისა კლაისტს კი კომედია უნდა დაეწერა. (ცხოვე მოგონებებში აღიარებს, რომ სამი მეგობრის ლიტერატურულ შეჯიბრში, კლაისტმა პირველობა მოიპოვა).

თელავში „გატეხილი ქოთანის“ დადგმის იდეა, მსოფლიოში სახელგანთქმულ რეჟისორს რობერტ სტურუას ეკუთვნის. დადგმის ხელმძღვანელმა სპექტაკლის განსახორციელებლად, როგორც ყოველთვის, არაჩვეულებრივი შემოქმედებითი ჯგუფი შეკრა: თანადამდგმელი ნიკოლოზ ჰაინრიხიძე, მხატვარი - მირიან შველიძე, ქორეოგრაფი - ცისია ჩოლოყაშვილი, კოსტიუმების მხატვარი - ქეთი ნარეკლიშვილი და რეჟისორის თანაშემწე - მაყვალა ძამუკაშვილი. რა თქმა უნდა, პერსონაჟებს, ძირითადად, თელავის თეატრის მსახიობები ასახიერებენ. ევას როლს კი, რუსთაველის თეატრის მსახიობი, მანანა აბრამიშვილი თამაშობს. რუსთაველის თეატრიდან არის მიწვეული აგრეთვე ბექა სონღულაშვილიც, რომელიც ლიპტის როლზე ზურა ლომიძის ღუბლიორია.

რობერტ სტურუა სპექტაკლზე მუშაობას დრამატურგიული ტექსტის შექმნით ინწყებს. ყოველთვის, პირველ რიგში, ტექსტზე მუშაობს, ე.წ. „კლასიკურ“ თარგმანებსაც კი (მაგალითად, შექსპირის თარგმანებს), გადაამუშავებს ხოლმე და თავისი სპექტაკლის ტექსტს ქმნის. ტექსტს სხვადასხვა მთარგმნელთან, ფილოლოგთან, ლიტერატორთან ერთად აკეთებს, ჩამონათვალი შორს წაგვიყვანს (აյ არ ვგულისხმობ, მის მუდმივ დამხმარეებს - ლილი ფოფხაძესა და ნინო კანტიძეს). ამჯერად, კლაისტის „გატეხილ ქოთანზე“ ლიანა ტატიშვილთან ერთად იმუშავა.

რატომ აირჩიეს რობერტ სტურუამ და ნიკოლოზ ჰაინრიხიძემ კლაისტის „გატეხილი ქოთანი“? რით არის ეს პიესა საინტერესო თანამედროვეობისათვის? რისი თემა სურდათ რეჟისორებს? მეთვრამეტე-მეცხრამეტე საუკუნეების მიჯნაზე მოღვაწე შემოქმედმა თავის დროს წინ გაუსწრო. ცნობილი ფაქტია, რომ კლაისტი კლაისტური ნოველის უანრის ერთ-ერთი შემქმნელია. თომას მანი კლაისტს მიიჩნევს უბადლო მთხოვნებელად და თვლის, რომ მისი თხოვნის სტილი სიახლის აღმნიშვნელი სიტყვა „ნოველის“ ბუკალურად ამსახველია. „ცხება გატაცება მჭიდროდ კავშირშია ცნებასთან თხობა. [...] გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას: იგი გატაცების ნამებად ქცევის



ოსტატია - და, აღწევს იმას, რომ ჩვენ ამისთვის
მადლობას ვუხდით". კლაისტის მიერ „დროის
გადასწრებაზე" მეტყველებს თუნდაც ის, რომ
ნიცხედან მოყოლებული, დაუსრულებელი კვ-
ლევის საგნად ქცეული მითის გათანამედროვე-
ბა, ახლებურად გადამუშავება, რომელიც პოსტ-
მოდერნიზმის ეპოქიდან დღევანდელ დღემდე,
ლიტერატურაში, დრამატურგიაში (სხვა
სახელონებო დარგებშიც) ასე უხვადაა, უკვე
გვხვდება კლაისტთან. მაგალითად, „გატეხილ
ქოთანში". გარდა ამისა, კლაისტის ეპოქისთვის
შეუფერებელი პერსონაჟების სამეტყველო ენას
და პერსონაჟთა ორბუნებოვნებას, ორმაგ სახეე-
ბს ვხვდებით. უფრო მეტიც, მის პიესაში საგნები
მოქმედი პერსონაჟების ფუნქციას იღებენ. „გა-
ტეხილ ქოთანში" კლაისტმა ადამისა და ევას
ბიბლიური მითი გადაამუშავა. სხვასთან ერთად,
ეს პერსონაჟთა ჩამონათვალშიც პირდაპირ
გაარცხადა. დაარღვია ინტრიგის ჩახლართვის
ტრადიციული წესი, ინტრიგა დასაწყისშივე
გახსნა და შემდგომ ჩახლართა. პერსონაჟების
ხასიათები, ცოცხალი სახეები არ არის მკვეთ-
რად დაყოფილი ე. წ. დადებით და უარყოფით
გმირებად. ყოველი მათგანის საქციელს თავისი
ახსნა, გამართლება აქვს. დღეს ასე მოდური
სოციალური პრობლემატიკაც დევს მის კომე-
დია - ფარსში. სიმბოლურია ისიც, რომ მან პიესა
13 მოვლენად დაყო. სამყარო, ადამიანი, სო-

ციალური გარემო, მისტიკა და რეალობა, ფარი-
სევლობა, დოგმატიზმი, სახელმწიფოში კანონის
უზინაესობის აუცილებლობა - კლაისტის „გა-
ტეხილი ქოთანის" პრობლემატიკაა. კლაისტის
გენიალობა, ალბათ, სწორად იმაშია, რომ მან ეს
სერიოზული თემები, ერთი შეხედვით, მსუბუქ,
კომედიურ ჭანრში გადმოსცა.

რობერტ სტურუამ და ნიკოლოზ ჰაინე
შველიძემ პიესის ტექსტის სპექტაკლის ტე-
ქსტად გადამუშავება სათაურიდან დაიწყეს, წარმოდგენას, როგორც ზევით აღვინიშნე, „ვინ
გატეხა ქოთანი" უწოდეს. შეამოკლეს ტექსტი,
გააკეთეს კუპიურები, ზოგი რამ ჩაამატეს კი-
დეც. მოკლედ რომ ვთქა, დრამატურგიული
ტექსტი გაათანამედროვეს, საკუთარ ინტერ-
პრეტაციას, კონცეფციას მოარგეს. ამისდა
მიუხედავად, კლაისტის პიესის სტრუქტურა
და მთავარი სათქმელი შეინარჩუნება. კლაის-
ტის პერსონაჟთა ხასიათებს თავისი შტრიხები
დაუმატეს. მაგალითად, მანანა აპრამიშვილის
ევა ჰაეროვან, რომანტიკულ შეყვარებულად
აქციებს. შეიძლება ამით იმაზე მიგვანიშნეს, რომ
კლაისტი რომანტიზმის ეპოქის წარმომადგენ-
ლია, თუმცა, მის ნაწარმოებში ეს ნაკლებად
შეიგრძნობა.

მირიან შველიძის სცენოგრაფია რეჟისორთა
კონცეფციას ნათლად გამოხატავს. მოქმედება
ვითარდება ტრიპტიზის ფონზე. მხატვარმა

იერონიმუს ბოსხის ცნობილი ტილოს „ქრისტე ჯვრის ტვირთვისას“ (*De Kruisdraging, Christ Carrying the Cross*) ფრაგმენტების ციტირებით შექმნა კარედი. ბოსხის ტილოს გამოყენებას რამდენიმე ახსნა შეიძლება მიღუსადაგოთ: ბოსხის შემოქმედება (კლაისტის მსგავსად) დროს უსწრებს; ბიბლიური (უფრო სწორად, სახარების) სიუჟეტის გადამუშავება, საშინელი ბრბოს, რომელმაც ქრისტე ჯვარს აცვა, ასახვა; კლაისტის კომედიის მოქმედების ადგილი პოლანდია, ბოსხი ნიდერლანდური მხატვრობის ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენელია; კლაისტთან გატეხილი ქოთანი ადამიანთა სულიერი რღვევის სიმბოლოა, ბოსხთან ქრისტეს ჯვარცმა ადამიანთა სულიერი რღვევის გამომხატველია (რაც მათ სახეებზე აისახება). აღსანიშნავია, რომ ბოსხთან ქრისტეს ცენტრალური ფიგურა სპექტაკლის სცენოგრაფიაში, თუ შეიძლება ასე ითქვას, მეორე პლანზე გადადის. რა თქმა უნდა, ეს რეჟისორთა კონცეფციიდან გამომდინარეა. ბრბოს, მასის ფსიქოლოგიის ასახვა სპექტაკლში, სხვადასხვა სცენაში, რამდენჯერმე წათლად არის მითითებული. მაგალითად, სასამართლოს დაწყების ეპიზოდში, როდესაც მოსამართლეთა შემმოწმებელი ვალტერის (თემურ ხუნაშვილი) დაუინებული მოთხოვნით, ვანო იანტებლიძის სოფლის მოსამართლე ადამი იძულებულია პროცესი დაიწყოს, სცენაზე, დაცვის ბიჭების გადათელვით, ბრბო შემოცვიდება. ფინალურ სცენამდე კი, ადამის გამოაშვარავების შემდეგ, გაშმაგბული ბრბო მიცვივდება დამნაშავე ადამს, რომ ცოცხლად ჩაქოლოს. სწორედ ამიტომაც, რეჟისორებმა და მხატვარმა ბოსხის ქრისტე, მართალია, კარადის ცენტრალურ ფიგურად, მაგრამ სადღაც მიჩქმალულად, მოსამართლე ადამის სავარძლის უკან ასახეს. მეტაფორა წათლია, ადამიანმა ადამიანური სახე დაკარგა. სწორედ ამიტომაც ქრისტე, რომელიც სიყვარულის, მიტევების, თანალმობის სიმბოლოა, თუ კარგდა არ დააკვირდი, არ ჩანს. ქრისტეს ჯვარცმის გზაზე მდგომი ხალხი კი, ბოროტების, სიძულვილის სიმბოლო, გამადიდებელი შუშის პრიზმაშია გამოხატული. კარადის თავზე ფანჯრის ჩარჩინა ჩამოკიდებული. კლაისტთანაც და სპექტაკლშიც ირკვევა, რომ მოსამართლე ადამი სწორედ ფანჯრიდან გაქცევისას წამოედება მართას ქოთანს, ჩამოაგდებს და ქოთანი გატყდება. ქოთანი ხომ ამ, თითქოსდა ერთი შეხედვით, კომიკური, აბსურდული დავიდარაბის მიზეზია. გარდა ბოსხისა, მხატვარმა და რეჟისორებმა მარკ შაგალის ციტირებაც გააკეთეს. მისი სიურრეალისტური წახატის „ძროხა ქოლგით“ ფრაგმენტის გამოყენება სცენოგრაფიაში, აბსურდამდე მისული, გატებ-

ილი ქოთნის გარშემო ატეხილი დავიდარაბის გარდა, კლაისტის პიესის მისტიკური მოტივების ამსახველია. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქეთი წარეკლიშვილის კოსტიუმები რეჟისორთა კონცეფციის გამომხატველია. ისინი ყველა დროსა თუ ეპოქას შეიძლება მიღუსადაგოთ.

კლაისტის პიესა, მასში დასმული პრობლემების მიუხედავად, წმინდა წყლის კომედია. სპექტაკლი კი უფრო სატირაა. საათსა და ათ წუთში მოაქციეს რეჟისორებმა კლაისტის საკმაოდ გრძელი წარმომედი. წარმოდგენის ტემპო-რიტმი თავბრუდამსვევია. ეს მიღწეულია არა მარტო ტექსტის შემოკლებითა თუ კუპიურებით, არმედ რეჟისორების მიერ მსახიობებისთვის მიცემული ამოცანების ზუსტად განხორციელებითაც — ცისია ჩოლოყაბვილის ქორეოგრაფიული წახაზით, სპექტაკლში გამოყენებული გია ყანჩელის, რიუიტი საკამოტოს, მიქაელ კამენის მუსიკალური ფრაგმენტების, მხატვრული განათების (თელავის თეატრის ტექნიკური აღჭურვილობის სიმწირის მიუხედავად) მეშვეობით.

რეჟისორებმა სპექტაკლი ე. წ. კაბარეს სტილისტიკაში გადაწყვიტეს. სპექტაკლს კონფერანსიე — ვენერა ფეიქრიშვილი იწყებს, რომელიც წონა ხუმარაშვილთან ერთად მოსამართლე ადამის ერთ-ერთი მოსამსახურე ქალის პერსონაჟსაც ანსახიერებს. მისკენ მიმართული განათების ქვეშ იგი გამოდის ავანსცენაზე და მაყურებელს ჯერ გერმანულად, ხოლო შემდეგ ქართულად ამცნობს გასათამაშებელი პიესის სახელწოდებას და ავტორის ვინაობას. ამ მომენტიდან დაწყებული, რობერტ სტურუას ეკლექტური სარეჟისორო ენისთვის დამახასიათებელი, პოლისტილისტური ფორმით შექმნილი სანახაობა თამაშდება. აქვე აუცილებლად მინდა აღვნიშნო თელავის თეატრის მსახიობთა პროფესიონალიზმი. მათ არაჩვეულებრივად აუდეს ალღო რეჟისორთა ხელწერას, ზუსტად გაიგეს დასმული ამოცანები და განახორციელეს თავიანთი პერსონაჟები. ამ გარემოებას ხაზი გაეუსვი, ვინაიდან, რობერტ სტურუასთან და ნიკოლოზ პაინ-შველიძესთან, როგორც რეჟისორებთან, მათ პირველად იმუშავეს.

ვანო იანტებლიძის ადამი არ არის სწორხაზოვანი, მკვეთრად უარყოფითი პერსონაჟი (ასევე კლაისტთანაც). გარეგნულად ტანსრული, რობერთა, რაღაც თვალსაზრისით სიმპათიური, შუახენის მამაკაცია. ჩვეულებრივი ადამიანია, რომელიც „ამა სოფლის“ ცდუნებებმა ერთ-ერთი პროვინციის დავების მომვარებელ უპატიოსნო მოსამართლედ ჩამოაყალიბეს. იგი ხელმრუდი, ავხორცი ფარისეველია, მაგრამ ამისდა მიუხედავად, მის მიმართ სიბრალულის,

უფრო მეტიც, სიმპათიის გრძნობა უჩნდება მაყურებელს. თემურ ხუნაშვილის უტრეხდიან, ე. წ. რეგიონული ცენტრიდან, შემოწმებაზე მივლიხებული რევიზორი-მოსამართლე, კანონის უზენაესობის დამცველი სახელმწიფო მოხელე, ტიპური „ჩინოვნიკია“. ზურა ლომიძის სასამართლო საქმების მნარმოებელი, „პატიოსანი“ ლიპტი, სინამდვილეში მოსამართლის სავარძელზე „მეოცნებე“ პერსონაჟია. იგი მზად არის კვანტი დაუდოს, დანაშაულში გამოიჭიროს და ზემდგომ ინსტანციებში დააბეჭდოს თავისი უფროსი. უფრო მეტიც, შვილების ნათლია ადამიც და მისი თანამდებობა მოიპოვოს. მართას როლის შემსრულებელი ნინო კურტანიძე სოფელში მცხოვრებ ქალთა ტიპაჟს განასახიერებს. ნინაპრებისგან დარჩენილი ქოთანი მისთვის წმიდათაწმიდაა. რეჟისორების მიერ არაჩვეულებრივად არის გადაწყვეტილი სცენა, როდესაც მართა სასამართლოზე გატეხილი ქოთნის ისტორიას ყვება. პიესაში ძალიან სასაცილო, მაგრამ საკმაოდ გრძელი მონოლოგია. სპექტაკლში მართა იწყებს მოყოლას. ძირითადი ამბის გადმოცემის შემდეგ აჩქარებული, მუნჯი კინოს პრინციპზე აგებული კინოკადრების ხერხია გამოყენებული, რა თქმა უნდა, ეს ეფექტი განათების, მუსიკის და პლასტიკის მეშვეობით მიიღწევა. რომანტიკულობის ელფერით შებურული, შეყვარებულთა წყვილის, მანანა პარამიშვილის ევასა და ლექსო რაზმაძის რუპრეზტის პლასტიკაშიც მუნჯი კინოსთვის დამახასიათებელი მოძრაობები აისახება. ამასთანავე, ლექსო რაზმაძის პერსონაჟი „გაუთლელი“ გლეხის ტიპაჟს მოგვაგონებს. ეთერ დეისაძის მამიდა ბრიგიტა, რომელიც პიესაშიც და სპექტაკლშიც „დახლართული კვანძის“ გამხსნელია, რეჟისორებმა ლვილისმოსავ მონაზვნად წარმოაჩინეს. სწორედ მისი გამჭრიახი გონების და დედუქციური აზროვნების მეშვეობით ნაპოვნი პარიკით დგინდება მოსამართლე ადამის დანაშაული - ქოთნის გატეხვა და ნათელი ეფინება ყველა მის „ცოდვას“. სპექტაკლში რე-

ჟისორებმა უფრო მეტი დატვირთვა მიანიჭეს მოსამართლე ადამის მოახლეებს. პიესაში, ყოველ შემთხვევაში, ბორის პასტერნაკის რუსულ თარგმანში, მათ სახელები არ აქვთ. სპექტაკლში ნონა ხუმარაშვილის პერსონაჟს - ლიზა, ხოლო ვენერა ფეიქრიშვილისას - მარგარიტა დაარქვეს. მალხაზ ჩიდრაშვილი და გიორგი გელაშვილი კი ტიპურ „დაცვის ბიჭებს“ განასახიერებენ.

რობერტ სტურუას სათეატრო ენისათვის დამახასიათებელ კიდევ ერთ დეტალს გამოყოფ. მის მიერ დადგმულ თითქმის ყველა სპექტაკლში, ამა თუ იმ დოზით, ყოველთვის არსებობს სხვადასხვა ხერხით გამოხატული ადამიანის ძალაუფლებისკენ ლტოლვის თემა. თუკი, რეჟისორის მიერ შექმნილი სპექტაკლის იდეა, ძირითადად, ამ თემის ნინა ბლანზე წამოწევას არ ემსახურება, მაშინ იგი დეტალებში გამოისახება ხოლმე. მაგალითად, სცენოგრაფიაში, რეკვიზიტში, კოსტიუმებში და ა. შ. „ვინ გატეხა ქოთანის“ შემთხვევაში, რეჟისორთა ჩანაფიქრი მხატვარმა მოსამართლის საგარძლის ცენტრალურ ფიგურად წარმოჩენაში ასახა. ზევით აღვნიშნე, რომ კლასტითან გატეხილი ქოთანი ადამიანთა სულიერი რღვევის სიმბოლოა, მოსამართლის პარიკი — კანონის უზენაესობის, მოსამართლის საგარძლი კი, რეჟისორთა ჩანაფიქრით, ძალაუფლების აღმნიშვნელ სიმბოლოდ იქცა. სპექტაკლში ამაზე მინიშნება რამდენჯერმეა. ფინალში კი აშკარად გამოხატულია, რომ ადამიანის სწრაფვა ძალაუფლების მოპოვებისაკენ დამლუპველია. მხილებული ადამის „ჩაქოლვისას“ სცენაზე ლუკი იხსნება და დამნაშავე მოსამართლე თავის სავარძლიანად „ქვესკნელში“ გაუჩინარდება, რათა შემდეგ კვლავ მოგვევლინოს იმავე ლუკიდან და სცენაზე მდგომ პერსონაჟებს თუ მაყურებელთა დარბაზში მყოფ ადამიანებს კლაისტის კომედიაში არარსებული, რეჟისორთა მიერ ჩამატებული ფრაზით მიმართოს: „შევხდებით ჰაგაში!“. სპექტაკლი დასრულდა, მაგრამ გატეხილი ქოთნის გამო ატეხილი დავა გრძელდება.



სახელმწიფო ინტერესები თუ პირადი ამბიციები?

ლაშა ჩხარტიშვილი

უან ანუის „ანტიგონეს“ სცენური ინტერეტაცია კვლავაც რჩება ქართული (და არა მხოლოდ) თეატრის ინტერესის საგანი. ქართულ თეატრში ამ პიესის განხორციელების დიდი ტრადიცია არსებობს, რომელიც ხშირ შემთხვევაში წარმატებასთან არის დაკავშირებული, თუმცა, ტრაგედიის განხორციელებისას გარკვეული სტერეოტიპი უკვე შეიქმნა, რაც პირველ ყოვლისა, მთავარი გმირების - ანტიგონესა და კრეონის მხატვრული სახის გააზრებაში ვლინდება. ოზურგეთის თეატრში ვასილ ჩიგოგიძის მიერ დადგმული სპექტაკლი კი ამ სტერეოტიპების წინააღმდეგ ერთგვარი გალაქქრება. რეჟისორი გვთავაზობს უან ანუის პიესის ახლებურ, განსხვავებულ და ორიგინალურ სცენურ ვერსიას, რომელიც ამ მრავალნახენაგოვანი პიესის და შესაბამისად, მასში დასმული პრობლემების სხვა რაკურსით დანახვისა და გააზრების შესაძლებლობას იძლევა. სადადგმო ტრადიციების იგნორირება რეჟისორის თვითმიზანი კი არ არის, არამედ არსებული რეალობიდან გამომდინარე იმ სურათის დახატვა, რომელიც პირველწყაროს ანუ ანუის ტექსტს ეფუძნება.

ვასილ ჩიგოგიძის ახალ სპექტაკლში არაერთ

ახლებურად გააზრებულ ეპიზოდს წააწყდებით, სხვა რაკურსით და განსხვავებული აქცენტებით დანახულს. ვასილ ჩიგოგიძის ანტიგონე სულაც არ არის ემოციებსა და გრძნობებს აყოლილი ბავშვი — ის ზრდასრული და მოაზროვნე ახალგაზრდა ქალია, ისე როგორც კრეონი სისხლისმელი ტირანი, რომელიც ყველას წინ გადაუდება ტახტის შენარჩუნებისთვის. რეჟისორი ამ ორი პერსონაჟის მეტამორფოზის რთულ და გრძელ გზას გვაჩვენებს.

საინტერესო აქცენტებია დასმული სპექტაკლში ქალების უფლება-მოვალეობების შესახებ. ახლა, როცა აქტუალურია ქალის როლი სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებაში, მით უფრო მნიშვნელოვანია რეჟისორის მხრიდან ამ აქცენტების ახლებური და თანამედროვე კუთხით დასმა. ერთ მხარეს დგას ანტიგონე — ძლიერი ქალი, რომელსაც ვერავინ და ვერაფერი შეარყევს და მეორე მხარეს — ისმენე, რომელიც თავს არიდებს ზედმეტ პასუხისმგებლობას.

ვასილ ჩიგოგიძის სპექტაკლში მკვეთრად ჩანს მისი მოქალაქეობრივი პოზიცია, რომ ყოველგვარ პირად ინტერესებზე მაღლა სახელმწიფოებრივი ინტერესი დგას და რომ

სახელმწიფოს ჩამოყალიბებაში და სამოქალაქო საზოგადოების შექმნაში უდიდესი წვლილი სწორედ მმართველ გუნდს, მათ თვითშეგნებას მიუძღვის, რომ სახელმწიფო მოხელე უნდა იყოს სამაგალითო და რომ კანონი უნდა კანონობდეს. ამბობს კიდეც კრეონი ხაზგასმით: „მე კანონის მონა ვარ“. აი, ეს ფრაზა არის ამოსავალი კრეონის ხასიათის. რეჟისორი თანმიმდევრულად გვიამბობს შემზარავ ისტორიას და ორივე პოზიციას თანაბრად გვიჩვენებს...

ანტიგონეს თამარ მდინარაძე ასრულებს. ჩვენს წინ წარმოდგება როგორც მოაზროვნე, ბევრ ტანჯვა-წამება გამოვლილი გამხდარი ქალი, მოკლედ შეჭრილი თმით, თავისუფლად ჩაცმული და თეთრი კედებით. მსახიობის ასეთი ვიზუალი და ჩაცმულობა პერსონაჟის ხასიათსაც კვეთს. დამოუკიდებელი, მებრძოლი და თავისუფლების მოტრფიალე ანტიგონე თავისი იდეალების დამკვიდრებისთვის იბრძვის, რომელსაც კრეონისაც კი არ ეშინია. მას კარგად აქვს გააზრებული და მოფიქრებული სამოქმედო გეგმა. ამიტომაც ეთხოვება ყველას და პატივებასაც ითხოვს, თუმცა, საიდუმლოს გულში ბოლომდე ინახავს და არავის უმხელს. თამარ მდინარაძის ანტიგონე არ არის იმპულსური, ის ჭკვიანი ქალია, რომელმაც იცის, რაც მოპყვება მის მიერ ჩადენილ ყველა საქციელს. ის შეგუებულია იმას, რომ კარგავს ყველას, ლირსების შეგრძნების გარდა.

საინტერესოდ ასრულებს ისმენეს როლს შორენა გვეტაძე. მსახიობი გულწრფელი და მიამიტი ისმენეს სახეს ორიგინალურად ხატავს. ის არ არის მონოდებით გმირი და ამას არც მალაქს, მას სურს სიცოცხლე, ისე როგორც ანტიგონეს, მაგრამ იცის, რომ ძმის დამარხვისთვის, დაისჯება და ამით ძმასაც ვერ უშველის, რადგან ცხედარს კვლავ ამოთხრიან. შორენა გვეტაძის ისმენე უფრო რაციონალური ტიპის ადამიანია, მისი აზროვნება პერსექტივისკენ არის მიმართული, უფრო კონსტრუქციულია, განსხვავებით მისი დისგან - ანტიგონესაგან. მართალია, ის გმირი არ არის, მაგრამ არც ჩირგვისა ჩამალული და არ მალავს თავის პროგესტს. მას უკან არ დაუხევია უსამართლობის წინააღმდეგ ხმის ასამაღლებლად, მაგრამ ოდნავ დააგვიანა.

შეყვარებულ წყვილს კრეონი და მისი კანონები უპირისპირდება. მსახიობი ალექსანდრე ლომიძე მთლიანად არღვევს შექმნილ სტერეოტიპებს კრეონის ირგვლივ. მისი კრეონი, პირველ ყოვლისა, არ არის ტირანი მეფე, წინააღმდეგ შემთხვევაში ის არ გამართავდა ვრცელ დიალოგს ანტიგონესთან და არ შეეცდებოდა კანონდარღვევის ფაქტის მიჩქმალვას. ალექსანდრე ლომიძის კრეონი განონასწორებული მეფეა, რომელიც მაქსიმალურად ცდილობს არ დაემორჩილოს ემოციებს, თუმცა, ოჯახის წევრებთან ზოგჯერ ვერ მალავს კიდეც სენტიმენტებს. თვითმკვლელობათა ჯაჭვის შემდეგ, როდესაც ახლობელი აღარავინ დარჩა — იქცევა ტირან მეფედ — ის არ გადადებს საპქოს სხდომას და საბოლოოდ სწირავს თავს ქვეყნის სამსახურს. ალექსანდრე ლომიძე მაქსიმალურად გაურბის პათეტიკურობას და ცდილობს, მისი პერსონაჟი მაყურებლისთვის იყოს მაქსიმალურად ახლობელი და რეალისტური. ალექსანდრე ლომიძის კრეონი სახელმწიფო ინტერესებს წირავს ოჯახს, საყვარელ და ყველაზე ახლობელ ადამიანებს. მისი კრეონი იწვევს სიბრალულს მაყურებელში და მის თანადგომას.

სიყვარულით და სითბოთია გაუდენთილი ანტიგონესა (თამარ მდინარაძე) და ჰემონის (გიორგი დოლიძე) შეხვედრის სცენა. თუ ანტიგონე ცხოვრებისეულად გამოცდილი ქალია, გიორგი დოლიძის ჰემონი უცოდველი ჭაბუკია, რომელსაც წინ აქვს დიდი მომავალი, თუმცა ანტიგონეს გადაწყვეტილება, რომელსაც კრეონი სრულ რეალიზაციაში მოიყვანს, ამ მიზნებს ხელს უშლის. გიორგი დოლიძის ჰემონი გულწრფელი, რეალისტური, ყოფითი გმირია, რომელიც ოდნავ მეოცნებება და რომანტიკოსი. გარეგნულად ამ წყვილში თითქოს შეუთაგსებლობაა, მაგრამ რეალისტურად სავსებით ლოგიკურია — ჰემონს ძლიერი ქალი შეყვარებოდა. ამ წყვილის ანალოგებიც ბევრია ჩვენს რეალობაში. ძლიერი ქალი, რაციონალური, პრაგმატული და ყმაწვილი კაცი, ოდნავ მეოცნებება და რომანტიკოსი. სპექტაკლში ეს პასაჟი განსაკუთრებით გამოკვეთილია და ცხადი. გასაკვირი არ არის ანტიგონეს დეპრესიული, ოდნავ ნერვიული და ექსცენტრული ხასიათი. მისთვის ეს გენეტიკურიც არის (ამას არაერთხელ უსმივამს ხაზს კრეონი მასთან საუბარში) და ბუნებრივიც, რადგან მის დეპრესიულ ფონს ხელს უწყობს ატმოსფერო, რომელშიც სპექტაკლის პერსონაჟები ცხოვრობენ.

საინტერესო მხატვრულ ტიპაჟს ქმნის სპექტაკლში მცველი უონა, რომელსაც გენადი ნიკოლაიშვილი ასახიერებს. მსახიობი გვიჩვენებს ერთი რიგითი მცველის ტიპაჟს, რომლის მიღმაც საზოგადოების დიდი წანილი არის ამოფარებული. მსახიობის მიერ შემოთავაზებული ტიპაჟი სასაცილოა და ამავდროულად ტრაგიკულიც. ტრაგიკომიკურ პრიზმაში დან-



ასული პერსონაჟი უკეთ ავლენს მისი ადგილის (საზოგადოებაში) და მიზნების (ოჯახის შენახვა და სიცოცხლის შენარჩუნება) ღრმა შრეებს. მსახიობი იმდენად საინტერესოდ ხატავს მცველს და იყენებს გამომსახველობითი საშუალებების მრავალ ხერხს, რომ მის მიერ დახატული სახასიათო გმირი არ ავიწყდება მაყურებელს და რჩება მის მეხსიერებაში, ისე როგორც პაჟი (მარი ხანთაძე). მას მხოლოდ რამდენიმე ფრაზა აქვს საცეკვაკლში, ის სულ თან ახლავს კრეონს მდუმარედ, მაგრამ ფინალში მისი გაყინული სახე ეტაპობრივად ლლვება და ცრემლიც კი გადმოუვარდება. მცველებს შორის ასევე გამოიჩინა ტიპიაჟს ქმნის ზაზა ჯინჭარაძე, რომელიც არა მხოლოდ მჭექარე ხმით ამახსოვრებს თავს მაყურებელს, არამედ კარგად მოფიქრებული ტიპაჟით, რომელიც მიმიკებში მულავნდება.

ქოროს, იგივე ავტორის, უან ანუის როლში ახალგაზრდა მსახიობი ლევან საღინაძე მოგვევლინა. იგი წინასწარ განგვანწყობს მოსალოდნელი ტრაგედიის საცეკერლად. მსახიობი მკვეთრად გამოხატული მკაფიო მეტყველებით გვიამბობს გმირების და სიტუაციების შესახებ. იგი ერთგვარი მთხოობელია, რომელიც იშვიათად, მაგრამ მაინც გამოხატავს თავის პოზიციას.

ძიძის სახასიათო სახეს ქმნის ბელა კიკვაძე, რომელიც, ერთი მხრივ, სასაცილო მოხუცია, მაგრამ ტრაგიკული პერსონა, რომელმაც ანტიგონეს აღზრდას შესწირა მთელი ცხოვრება. ის ყველაზე მეტად გრძნობს და აღიქვამს ანტიგონეს მოსალოდნელ ტრაგედიას. მსახიობი სახასიათო, სანდომიანი მოხუცის მხატვრული სახის შესაქმნელად იყენებს საინტერესო ხერხებს, რათა მისი გმირი დაამახსოვრდეს ყველას, როგორც სიკეთისეკნ მოწოდებული პერსონაჟი. საინტერესო ტიპაჟებს და ხასიათებს ძერნავენ ივანე ჩხაიძე (მცველი), ზაირა თოთიბაძე (ევრიდიკე), ვახტანგ ჩხარტიშვილი (მაცნე)... ისინი ამ ტრაგიკული ისტორიის მნიშვნელოვანი და აუცილებელი შემადგენელი ნაწილები არიან, რომლებიც ქმნიან ატმოსფეროს სპექტაკლში.

მხატვარი გია გვიჩია ერთი მხრივ, მინიმალისტურ დეკორაციას ქმნის, რომელშიც მიზანმიმართულად კი არ არის უარყოფილი მოწუმენტალიზმი, კლასიკურობა და ტრადიციები, არამედ სცენური სივრცის გადაწყვეტა ანუისეული მსოფლებელითა და ოზურგეთის თეატრის მცირე სცენის კამერული ატმოსფეროთი არის ნაკარნახევი. სცენა მაქსიმალურად განტვირთულია და სივრცეს შვიდი (საკრალური ციფრი,

რომელიც ბედისწერას უკავშირდება, ხოლო ანტიკური მითი წარმოუდგენელია ბედისწერის გარეშე) წითელი სკამი „ავსებს“, რომელთაც გარდა სიმბოლურ-კონცეპტუალური დატვირთვისა, სხვადასხვა ეპიზოდში განსხვავებული ყოფით-საყოფაცხოვრებო დანიშნულება აქვს. ამ სპექტაკლში თითოეული პერსონაჟი ძალაუფლებისთვის იძრძვის, სპექტაკლში ერთ-მანეთს სხვადასხვა მსოფლმხედველობის ადამიანები უპირისპირდებიან. მათი ბრძოლა ინდივიდუალური იდეებითა და იდეალებით არის გამსჭვალული და მიზანი გამარჯვებაა. წითელი ფერის სკამების გათამაშება სწორი გზა აღმოჩნდა ამ პიესის სცენური გადაწყვეტისთვის. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ სკამები წითელი ფერისაა და არა ნაცრისფერი, ან შავი, როგორც ეს სხვა სცენურ ინტერპრეტაციებში გვხვდება. წითელი ხომ ენერგიის, სიცოცხლის, სიყვარულისა და ვწებს, მოძრაობისა და აგრესის ფერია. ამ ფერის მოყვარული ადამიანი არის მოუსვენარი, ენერგიული, სავსე ახალახალი იდეებით. პერსონაჟთა სრული უმრავლესობაც ამ ფერის სიმბოლიკური გააზრების კონცეფციაში ლოგიკურად თავსდება. რაც შეეხება კოსტიუმებს, გია გვიჩიამ ისინი ეპოქების მიხედვით მიზანმიმართულად აამდვრია, რათა ხაზი გაესვა პერსონაჟთა მარადიულობაზე და მათი პროტოტიპების არსებობაზე ყველა ეპოქაში.

საინტერესოდ იმუშავეს სცენურ მოძრაობაზე მარიკა ქვეითაიამ და სპექტაკლის მუსიკალურ გაფორმებაზე — გოგა მახარაძემ. სპექტაკლში არ ვხვდებით არც ერთ ქორეოგრაფიულ ნახაზს, თუმცა, მსახიობები მოძრაობენ ქორეოგრაფიუ-

ლი კომპოზიციის პრინციპზე. მათი გადანაწილება და დაზვენილი მოძრაობები სცენაზე (გარკვეული ეტიკეტების დაცვით) პერსონაჟთა ხასიათის ორგანულ ნაწილს წარმოადგენს. სპექტაკლში ნაკლებად ცნობილი მუსიკალური თემები უღერს, რაც კიდევ უფრო აშორებს ამ სპექტაკლს ქართულ თეატრში დაგროვილ სტერეოტიპებს. მუსიკალური კომპილაცია სპექტაკლის ხასიათის ორგანული ნაწილია და არა მხოლოდ დამხმარე კომპონენტი მსახიობთათვის. ამავდროულად, გოგა მახარაძე იყენებს არა მხოლოდ მელოდიას, არამედ ე.წ. მუსიკალურ ხმოვან რიგს და ხმაურებს, რომელიც პერსონაჟთა მეტაფორული გააზრების გასაღებიც კი არის.

ოზურგეთის თეატრი ერთადერთი სახელმწიფო პროფესიული თეატრია გურიის მხარეში, რომელიც ცდილობს მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავოს არა მხოლოდ მთელ რეგიონში, არამედ საქართველოს სათეატრო რუსაზე. ამ მიზნის მისაღწევ გზაზე მნიშვნელოვანი ნაბიჯი უკვე გადაიდგა, რაც კლასიკურ დრამატურგიაზე შექმნილი პიესების დადგმაში გამოხატება. როგორც თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი ვასილ ჩიგოგიძე ირწმუნება, კლასიკზე ორიენტირებული რეპერტუარის შექმნა კვლავაც გაგრძელდება, რაც, პირველ ყოვლისა, თავად თეატრს დაეხმარება პროფესიულ ზრდასა და დაოსტატებაში, ხოლო მაყურებელს მიეცემა ფიქრისა და განსჯის საშუალება, რაც, უწინარესად, სამოქალაქო საზოგადოების შექმნას უწყობს ხელს. თანამედროვე თეატრის ამოცანაც კი სწორედ ეგ არის.

აურზაური ეფესომი

(„შედეონათა კომედია“ მარჯანიშვილის თეატრის სარდაფში)



გიორგი ყაჯირიშვილი

თეატრის უფარდო სცენას თავისი უპირატესობა აქვს. სპექტაკლის დაწყებამდე შეგიძლია დააკვირდე იმ მიკროსამყაროს, სადაც წარმოდგენა უნდა გათამაშდეს. უილიამ შექსპირის „შეცდომათა კომედია“ რთულად დასადგმელ ნაწარმოებს განეკუთვნება, თუმცა, არსებობს ლეგენდა, რომ იგი შექსპირის მოღვაწეობის დროს დაიდგა (1576 წ.). მარჯანიშვილის თეატრის სარდაფში რეჟისორ გურამ ბრეგაძის მიერ დადგმული სპექტაკლი ერთგვარად იმეორებს შექსპირისდროინდელ სცენოგრაფიას — „გზაჯვარედინზე სათამაშოს“ და მოქმედება ხდება ეფესოს მთავარ მოედანზე, რომელიც პატარ-პატარა მინის სახლები დგანან. ეს სახლები ერთდროულად საპატიმროს საკუნძბიცა და საცხოვრებელი ბინებიც (სცენოგრაფი ლომგულ მურუსიძე).

ამ სპექტაკლში შექსპირი ყველგანაა - იატაკზე, შემსრულებელთა კოსტუმებზე მოხატული, ზონგებში „ო, უილიამ, უილიამ!“ და, რასაკვირველია, იმ ბრწყინვალე ტექსტებში, რომელიც სცენიდან გვესმის.

ეს კომედია, სათაურის მსგავსად „შეცდომათა კომედიის“ უნდა მივაკუთვნოთ ასეთი რომ არსებობდეს. ისე კი მას განსაზღვრავენ როგორც გარემოებათა კომედიას, რომლის პირველწყაროს რომაელი დრამატურგის პლავტის „ორი მენება“ წარმოადგენს. შექსპირის მიერ

დამატებით მეორე ტყუპი წყვილის შემოყვანამ უფრო დახლართა სიუჟეტი და რომ არა განსაზღვრება „სარაკუზელი“, „ეფესელი“, „აუცილებლად აურევდა მკითხველს გზა-კვალს.

პიესის ასეთი კონსტრუქცია დამატებით სიძნელეებს უქმნის დამდგმელ რეჟისორს. თავისთვად ამან განაპირობა ის, რომ ამ პიესის უფრო კინოვერსიებია ცნობილი (მაგ. რეჟისორ ვადიმ გაუზნერის) რამაზ ჩხიკვაძის (მოხუცი მსახიობი), სოფიკო ჭიაურელის (კურტიზანი ქალი) და მიხეილ კოზაკოვის (ანტიფოლე) მონაწილეობით, ვიდრე თეატრალური წარმოდგენები.

აქვე უნდა აღვნიშნო, რომ ახალგაზრდა, მაგრამ უკვე საკმაოდ გამოცდილმა რეჟისორმა გურამ ბრეგაძემ წარმატებით გაართვა თავი ამ სირთულეს ვიდეოინსტალაციებითა და ეკრანების შემოტანის გზით მან მოახერხა ის, რომ ორი ანტიფონე და ორი დრომიო სცენაზე ერთმანეთში ერევათ მხოლოდ პიესის სხვა მოქმედ პირებს და არა მაყურებელს.

ტრაგიკულია ეგეონის, სარაკუზელი ვაჭრის ბედი, რომელსაც მთელი სპექტაკლის განმავლობაში მსახიობი ინისე ინიანი გვიხატავს. შეიძლებისა და მეუღლის საძებნელად ეფესოში ჩამოსული საპყობილეში აღმოჩნდება, როგორც სარაკუზელი და მხოლოდ ეფესოს მთავრის (ზურაბ ინგოროვა) კეთილგანწყობა,

მისი ბედით და გასაჭირით დაინტერესება, ყურადღება და, თუ გნებავთ, მხარდაჭერა გადაარჩენს მას უცილობელი სიკვდილისგან. ორი მეზობელი ქვეყნის დაპირისპირებამ შეიძლება ბევრი ადამიანი შეინიორს, მათ შორის ისინიც, რომელნიც მხოლოდ თავისი პროფესიით არიან დაკავშირებული მტრულად განცყობილ ქვეყნასთან და ამ ქვეყნის მიმართ განსაკუთრებული სიყვარული არ აკავშირებს - ვაჭრები, კომერსანტები, მსახიობები, მხატვრები და ხელოვნების სხვა მოღვაწენი და იმედია ისინ ეშაფოტზე არ დაისჯებიან და მათ ისევე არ ემუქრებათ ჩამოხრჩობა, როგორს ეგეონს ან თუნდაც რეჟისორებს რობერტ სტურუას, ლევან ნულაძეს ან გურამ ბრეგაძეს, რომელთაც სპექტაკლის დასაწყისში ეკრანზე „ჩამოხრჩვალებს“ ვხედავთ.

ეგეონი (ო. ონიანი) მოსთქვამს თავის უბედურებაზე რაც მას თავს გადახდა. სავარძელში მოკალათებული, ელეგანტურად გამოწყობილი ეფესოს მმართველი (ზურაბ ინგოროვა) ყურადღებით უსმენს საცოდავ ტყვეს, რომელსაც სიკვდილისაგან მხოლოდ ასი მარკა თუ გადაარჩენს. მთავარი კეთილშობილია და გულკეთილი, რომელიც ბოლო შანსს აძლევს ეგეონს, რომ „საჭირო თანხა დაისესხოს, დაიხსნას თავი“, უფრო მეტიც, არ ტოვებს მას ამ გაჭირვებაში უკან დაყვება და კვებავს კიდეც („მაკდონალდის“ რბილი ჰოთდოგებით“!).

რეჟისორი პარალელური სამყაროების შექმნის მიზნით სცენების უმეტესობას ორ-ორჯერ

იმეორებს. ასე მაგალითად, ეგეონის მონათხრობი, ცოლისა და ცოლისდის სცენები, ელენეს გამოსვლა (სამჯერ) და აშ.

ვიდეოინსტალაციითა და ტექნიკური საშუალებით ორიგინალურად და ლამაზადაა გადაწყვეტილი ანტიფოლეს და დრომიო სარაკუზელს ოკეანის ტალღებიდან ამოსვლა ეფესოში.

სცენაზე ერთდღოულად ორი სხვადასხვა ხასიათის, თუნდაც გარეგნულად იდენტური პერსონაჟის განხორციელება საქმაოდ როულია. თუნდაც იმიტომ, რომ მაყურებელმა სწორად აღიქვას ამა თუ იმ ბერსონაჟის ხასიათი და მისი ქმედების არსი და მოტივაცია. ამ როული ამოცანის წინ აღმოჩნდა ორი მსახიობი: დათო ხახიძე, ზაზა იაკაშვილი და, უნდა ითქვას, რომ მათ შესანიშნავად გაართვეს თავი ამ ამოცანას.

ანტიფოლე სარაკუზელი კეთილშობილი ვაჭარია, ადვილად შეფის ადამიანებთან კონტაქტში, მიუხედავად იმისა, რომ უცხო ქვეყნიდანაა ძმის საძიებლად ჩამოსული. ერთადერთი რაც აოცებს, ისაა და ვერაფრით ვერ ხვდება რატომ უცინიან და ესალმებიან უცხო ადამიანები, რატომ ჩუქნიან ფელსა და ოქროს ყელსაბამს, რატომ ეპატიუებიან უცხო სახლში და რატომ იჩემებს უცხო დიდგვაროვანი ქალბატონი მის მეულლეობას.

ანტიფოლე ეფესელი თავდაჯერებული ვაჭარია, სარგებლობს მაღალი რეპუტაციით, მდიდარი და ლალია, უხვად არიგებს საჩუქრებს, მეოჯახეა, თუმცა, მფარველობს და მეგობრობს ცნობილ კურტიზან ქალთან - ელენასთან (ეკა



ნიუკარაძე).

ზაზა იაკაშვილის დრომიო ეფესელი მოქნილი თვალთმაქცია, ცოტა თავხედი მსახური, მსახიობშა მეორე დრომიოსგან განსხვავებით ამ პერსონაჟს ენაბლუობა შესძინა, რითაც იგი კიდევ უფრო განსხვავდება დრომიო სარაკუზელისაგან. დრომიო სარაკუზელი კი უფრო დამჯერია, უფრო მეტად მორჩილი, მხიარული და იუმორიანა. იგი ზედმინევნით ასრულებს ბატონის დავალებებს და უფრო მეტიც, მისი ერთგული მეგობარია, ყოველთვის მზადა იხსნას იგი გამოუვალი და გაუგებარი სიტუაციდან, თუნდაც მაშინ როცა მას დაატყვევებენ.

ედრიანა (ზაზია არბოლიშვილი) თითქოს მორჩილი მეუღლეა, მაგრამ მაინც მზადაა აუმხედრდეს მეუღლეს თუნდაც, იმიტომ რომ კაცებს უფრო მეტი უფლებები გააჩნიათ. არც იმითავ კამაყოფილი, რომ ანტიფონე მარტო სეირნობას უკრძალავს.

6. არბოლიშვილის ედრიანას შენუხებას საზღვარი არა აქვს და ვერც მის დას ლუსიანას (ზაზა სანაია) შესწევს მისი დამშვიდება. ქმარზე ეჭვიანობით აღსავს, ძალზე განიცდის, რომ მეუღლემ მის მიმართ ინტერესი დაკარგა, სხვა ქალებში ერთობა, აღარც შეპირებული საჩუქარი - ოქროს ყელსაბამი ალელვებს, იმდენად დამძიმებულ განწყობაზეა და ეჭვიანობასაა აყოლილი.

მეორე ანტიფოლეს გამოჩენის შემდგომ ეფესოში სიტუაცია იძაბება. ამას ხელს უწყობს ისიც, რომ დრომიოც ორია. რეჟისორი და მსახიობები გრიმისა და კოსტუმების მონაცევლეობით (მზატვარი ქეთი ციცულშვილი) აღნევენ მაქსიმალურად განასხვავონ ისინი ერთმანეთისგან, მაგრამ შეინარჩუნონ ის ინტრიგა რაც შექსპირისეულ დრამატურგიულ ტექსტშია ჩადებული.

ანჯელო (ჯაბა კილაძე) გაქნილი და გაიძვერა ოქრომჭედელია, რომელიც მევახშეებისგან ალებული ფულით ეწევა ბიზნესს და თავისი ეშმაკობით ყოველთვის ახერხებს უმძიმესი სიტუაციიდანაც კი თავის დაღწევას. ჯაბა კილაძის ანჯელო ყველასგან გამოიჩინევა ჩაცმულობით საუბრისა და ქცევების მანერებითა და მანერულობით, „სელფების“ ოსტატი ჯანსაღ სიცილს იწვევს მაყურებელში და მისი ანჯელო აშკარად ახალისებს წარმოდგენას.

რეჟისორის მიერ შემოთავაზებული პიესის ვერსია სინთეტური თეატრის პრინციპზეა აგებული: იგი დიდ დატვირთვას აძლევს მუსიკას (გამფორმებელი ზურაბ ინგოროვა), ზონგებს, ცეკვასა და პლასტიკას (ქორეოგრაფი გია მარლანია), თუნდაც ერთი ელენეს (ეკა ნიუკარაძე) გამოსვლა მთელ სპექტაკლად ლირს.

განსაკუთრებული სიზუსტით და საოცარი პლასტიკითა დადგმული მასობრივი სცენები - სავარაუდოდ, ბერძნული ქოროს მსგავსად, სადაც დაკავებული არიან ახალგაზრდა მსახიობები (ნოდარ ძონენიძე, გიორგი ხურცილავა, გიორგი კიკნაძე). რეჟისორმა ამ ქოროს დიდი ფუნქცია დაკავისრა, ისინი ერთდროულად ზედამხედვებები, ბოქაულები, ამაღა, მსახურნი და ასევე ეფესოს მაცხოვრებლები და მოვლენათა განვითარების შემფასებლებიც არიან.

ედრიანასა და ანტიფოლე სარაკუზელის შეხვედრა კვლავ იწვევს დიდ გაუგებრობას. უცოლო კაცისოთვის იმის მტკიცება, რომ ედრიანა მისი მეუღლეა, საერთოდ უფრო მეტად დააბნევს ანტიფოლე სარაკუზელს, რომელსაც უცაბედად ლუსიანა ჩაუგარდება გულში. სხვის სახლში, სხვისი მეუღლის მიერ სადილად მიწვეული ანტიფოლე სარაკუზელის გაკვირვებას არაა აქვს საზღვარი.

განსაკუთრებული კომიზმითაა დატვირთული სცენა ანტიფოლე ეფესელის სახლის ნინ - როდესაც მეუღლე შეგვიანებულ ანტიფოლეს კარსაც კი არ უღებს - განსაკუთრებით აქტიურობენ გლობუსივით მრგვალი მოახლე ლუსია (ქეთი კანტიძე) და დრომიო სარაკუზელი.

გაუგებრობა გაუგებრობას ემატება და თითქმის ყველა პერსონაჟი და მაყურებელიც უკვე ძალიან დაბნეული არიან ვინ ვინ არის.

მხოლოდ რამდენიმე მომენტში, როცა ანტიფოლე და დრომიო სარაკუზელები ან ეფესოელები ერთად აღმოჩნდებიან სცენაზე ხდება მოქმედებათა ლოგიკისა და ჭეშმარიტების აღდგენა.

გულისტკეივით მინდა ალვინშნო, რომ ის ბედნიერი ფინალი, რაც უილიამ შექსპირის ამ კომედიაშია, გურამ ბრეგაძის მიერ დადგმულ სპექტაკლში არ გამოიკვეთა. ცხადია, აქ, ამ წარმოდგენაშიც ყველაფერი კარგად თავდება და ყველა გაუგებრობას თავისი გასაღები მოეძებნა, მაგრამ ის, რომ ეგვენმა თავისი მეუღლე ემილია (იმმა ბერიანიძე) იპოვა, რომელიც მონოზნად იყო ალვეცილი და ტყუპმა ძმებმაც ბოლოს და ბოლოს იპოვეს ერთმანეთი, ფინალში ცხადად არაა გამოკვეთილი. მაშინ რა აზრი ჰქონდა ემილიას მოქმედებაში ჩართვას მისი პომპეზური შემოსვლებითა და გასვლებით?

სავარაუდოა რეჟისორმა ჩათვალა, რომ ყველაფერი ცხადზე ცხადი იყო. თუმცა, ისიც გასაგებია, რომ საერთო ზემით ტექნიკურად ვერ შედგებოდა, თუნდაც იმიტომ, რომ ერთი მსახიობის მიერ ერთდროულად ორი როლის განხორციელების გამო. და აქაც ისევ ვიდეო და კომპიუტერული ტექნიკა მოგვევლინა მხსნელად.

ქალბატონები

ირიე ღოლოგარიძე

სამეფო უბნის თეატრში იქვეს მაისს უან უენეს პიესის „მოახლეები“ პრემიერა გაიმართა (რეჟ. ნიკა თავაძე). წერილის სათაურით სპექტაქლის სათაურის გადამღერება ან შეცვლა, არც მიღიქრია. უბრალოდ, სამი მსახიობისთვის დაწერილ უენეს ალბათ, ყველაზე პოპულარულ და წარმატებულ პიესას, პირველი პრემიერიდან დღემდე ყოველთვის და ყველგან მხოლოდ ვარსკვლავები თამაშობდნენ. სამეფო უბნის თატრის სცენაზეც სამი არტისტი იდგა. „უცნაური, რთული, გულისამრევად ოდიოზური, მაგრამ ფრამატურგიულად კარგად გამართული და მაინც შეთაბეჭდავი პიესის“ პერსონაჟებს ბაია დევალიშვილი, ნინო კასრაძე და ნატა მურვანიძე ასახიერებდნენ. ამ წერილის სათაურიც სწორედ მათ - ქართული სცენის სამ ქალბატონს, ეხმი-ანება, მაგრამ...

ვინაიდან „მოახლეებში“ კიდევ ერთი, ვიტყოდი, ვიოტუალურ-მითიური პერსონაჟა (ბატონი) და სწორედ მის გამო ვიღებ მოულდნელად აწყობილ ვინანლს. სპექტაკლზე საუბარსაც სხვ, მაგრამ არანაკლებ, მითიური ბატონით დავიწყებ, რომელმაც აციონალურად მოწესრიგებული ფრანგული თანამედროვე დრამა და არანაკლებ აწყობილი ფრანგული საზოგადოებაც ერთნაირად შეძრა. მხედველობაში მყავს ავტორი - ქართულ თეატრალურ სივრცეში პირველად შემოსული უან უენე (1910-1986), რომელსაც ნებისმიერ ენციკლოპედიაში, ლიტერატურულ ცნობარსა თუ სახელმძღვანელოში უპირველესად პოეტად, დრამატურგად ან რომანისტად მოიხსენიებან. თუმცა, კონტრასტებითა და ურთიერთგამომრიცხავი მოვლენებით სავსე მის ცხოვრებასაც ეხებიან. შერჩევით და ფრთხილად, მაგრამ მაინც. ცდუნებას შეც ავყვები და მის ამბავს მოკლედ მოგახსენებთ: უან უენე პარიზის არიბ უბანში დაიბადა, მამა უცნობია, დედამ კი შეიდი თვის ასაქში მიატოვა და საფრანგეთის საყოველთაო დაზღვევამ იგი სპეციალურად შერჩეულ ოჯახში გააძვილა. ბავშვობა, როგორც თვითონ იხსენებს, ულრუბლო ჰქონდა, მაგრამ უან უენემ უკვე ათი წლის ასაქში იქურდა და სახლიდან გაიქცა; ცამეტი წლისა კი კვლავ ქურდობისა და გაცეცევის მცდელობისთვის შეტრეის გამოსასწორებელ კოლონიაში მოხვდა, კოლონიიდან თვრამეტი წლისა გამოვიდა, უცხოეთის ლეგიონში ჩაენერა და სამხრეთ აფრიკასა და ახლო აღმოსავლეთში გაემგზავრა. პარიზში დაბრუნებისთანავე კვლავ ქურდობისა და უკვე ჰომოსექსუალიზმშიც ბრალდების სასჯელით საფრანგეთის მრავალი ციხე მოიარა, მათ შორის ცნობილი სანტელდა ფრესნეი, სადაც 1942 წელს

1 უან ტარდიე, გაზ. „ფიგარო“, ივნისი 1947.

პირველი ლექსების და რომანის „სიკვდილმის-ჯილი“ წერა დაიწყო. პირველს რამდენიმე ავტობიოგრაფიული რომანიც მიაყოლა და „სიკეთის გზასაცდენილი ავტორი“ ფართო საზოგადოების თვალსაზიერმა მოექცა. თუმცა, ციხის პოეტის ნანერები ცენზურამ წნეხში გაატარა, რომანები პორნოგრაფიულად მონათლა და მათი გავრცელება აკრძალა. აქ უკვე, საქმეში უენეს ნატიფი ლიტერატურული სტილით მოხიბლული პარიზის ინტელექტუალური ელიტა ჩაერთო და მის დასაცავად დაირჩაზმა. უან კოკტებ იგი „სიტყვის მოტრფიალე პერფექციონისტად“ მონათლა და სამუდამო პატიმრობას² გადაარჩინა; უან-პოლ სარტრმა 1952 წელს „მარგინალ და მეამბოხე პოეტზე“ სქელტანიანი და, თვითონ პოეტს თუ დავუჯერებთ, „ძალიან მოსაწყენი“ წიგნი დაწერა სათაურით „მშინდა უენე: კომედიანტი და წამებული“. ციხიდან საბოლოოდ გამოსული უენე პრაქტიკულად ალარაფერს წერს. მოგვიანებით, ერთ-ერთ ინტერვიუში ის იტყვის: „თითქმის ყველაფერი ციხეში დავწერ. ვწერდა იმიტომ, რომ იქდან გამომდომა. უკვე გამოსულს წერის მიზეზიც აღარ მქონდა. ჩემმა წიგნებმა ციხიდან გამათავისუფლეს, ამის მერე რაღა უნდა მეთქვა“ და მართლაც, მთელი მისი ენერგია, დადებითი და უარყოფითიც, პოლიტიკური თუ სოციალური პრობლემების მხილებაზეა ორიენტირებული. ის თანაუგრძნობს და მხარს უჭირს ალუირის დამოუკიდებლობისთვის ბრძოლას, პალესტინელებს, ჩრდილოეთ ამერიკაში „შავი პანტერების პარტიის“ პროკომუნისტურ მოძრაობას, გმობს კლასობრივ ანგაზონიზმს და საზოგადოებას „თეთრებად და შავებად“ ან „მწვალებელთა და წამებულთა“ პრინციპით ახარისხებს. სწორედ ამ პათოსით შეიქმნა მისი ბოლო ორი რომანი და მრავალი პუბლიცისტურ-კრიტიკული წერილი. მემარცხენე რადიკალიზმი უან უენეს პრაქტიკულად მთელ შემოქმედებას წითელ ზოლად გასდევს, მაგრამ განსაციიფრებელია ის ფაქტი, რომ ყველაფერი, რაც მან შემოქმედებასა თუ პირად ცხოვრებაში ყირამალა დააყვენა, ასევე მისი პიესებისა თუ რომანების, ხმერად სკანდალური სიუჟეტური ქარგა, პერსონაჟთა სისასტიკე თუ მანვიერებანი, აღნერილი და მოწესრიგებული აქვს უმდიდრესი და უკიდურესად დახვეწილი კლასებური ფრანგული ენით. „ოქვენ მადანაშაულებთ, რომ კარგი ფრანგულით ვწერ?“, ჰყითხა მან ერთ-ერთ ინტერვიუერს, „მტრების სისტემის რაც სათემელი მქონდა, მათთვის გასაგებ ენაზე უნდა მეთქვა

2 საფრანგეთის იმდროინდელი კანონმდებლობით ერთი და იგივე მუხლით მრავალჯერ ციხემის-ჯილ პირს სამუდამო პატიმრობა ემუქრებოდა.



ნინო კასრაძე — სოლისტი

და არა სლენგზე; მწვალებლებთან მათივე ენით უნდა მელაპრაკა. მართლწერა და გრამატიკა სკოლაში მასწავლეს... თხუთმეტი წლის ასაკში კი, უკვე მეტრეის კონცენტრი, შემთხვევით ხელში ჩამივარდა რონსარის სონეტების კრებული, დამატებული და მომინდა, რომ ჩემი ხმა რონსარს გაეგო. პიერ რონსარი კი სლენგს ნამდვილად ვერ აიტანდა..”

უან უენებ სულ რვა პიესა დაწერა, აქედან ორი („სპლენდიდ'ს“ და „ის“) განსაკუთრებულად სკანდალური სიუჟეტის გამო მხოლოდ მისი გარდაცვალების შემდეგ და ისიც უცნობი სპონსორების დაფინანსებით გამოქვეყნდა. არცაა გასაკვირი, რადგან - პირველის შოქმედება ბორდელში ხდება, ხოლო მეორესი - ვატიკანში, მისი უშმინდესობა რომის პაპის ირგვლივ. „ის“ თეატრში ოფიციალურად არ დადგმულა, „სპლენდიდ'ს“ პირველად სტანისლას ხორდეი მხოლოდ 1995 წელს გაასცენიურებს. სკანდალი არ დაკლდა არც ალჟირთან ომის დროს, ოდენის თეატრში წარმოდგენილ „შირმებს“ (რეჟ. როჟე ბლენ, 1966). პრემიერას ისეთი ხმაურიანი გამოსვლები მოჰყვა პარლამენტსა და პარიზის ქუჩებში, რომ მწერალმა ანდრე მალრომ, იმ დროს კულტურის მინისტრმა, თეატრისა და შემოქმედებითი თავისუფლების დასაცავად სენატში ისტორიული სიტყვა წარმოთქვა. „კულტურული რევოლუციის“ შემდეგ (1969), სკანდალები უენეს ირგვლივ ხელ-ნელა ჩაცხრა, კრიტიკაც წაკლებ ბობრექონბდა. უენეს პიესების დადგმას (ცნობილი რეჟისორების მთელი კოპორტა იწყებს. მათ შეირის პიტერ ბრუკი, პიტერ შტაინი, ბობ ვილსონი... მის ლექსებს, რომანებით ამოღებულ ნაწყვეტებზე შექმნილ სიმღერებსა და კომპოზიციებს ცნობილი შანსონიე და ჯაზმენები ასრულებენ; მსახიობები მარია კაზარესი, უერარ ფილიპი, უანა მორო, მოგვიანებით ანუკ ემე და სხვ. მის ტექსტებს რადიოში კითხულობენ. საფრანგეთის ცნობილი, უკვე დაფასებული, მაგრამ „არასრულფასოვანი მოქალაქე“, რომელსაც არჩევნებში მონაწილეობის

უფლებაც არ დაუბრუნეს, რადგან ორწლიანი სასჯელი არც მიიხდილი და არც ამნისტირებული ჰქონდა, 1983 წელს ლიტერატურის დიდი ნაციონალური ჯილდოს მფლობელი გახდა. სამი წლის შემდეგ უან უენე გარდაიცვალა. ის თავის „მწვალებლებს“ არ შერიგებია. სამაგიეროდ, მან იცოდა, რომ პიერ რონსარმა მისი ხმა გაიგო.

„მოახლეებს“, რომელსაც, სავარაუდოდ, საფუძვლად დაედო საუკუნის დანაშაულად კვალიფიცირებული „დები პაპენების საქმე“ (1933.), დღესაც ყველაზე ხშირად დგამენ, ამ პიესამ, თამაბად შეგვიძლია ვთქვათ, მსოფლიოს ყველა კონტინენტი მოიარა. პირველი პრემიერა 1947 წელს, პარიზის „ატენეს“ თეატრში გაიმართა. სპექტაკლი ფრანგული სცენის ცნობილმა რეჟისორმა და მსახიობმა, ლეგენდარული „ოთხთა კარტელის“ წევრმა ლუი უევემ დადგა, დეკორაციები „დიაგლიუს ბალეტების სეზონის“ და იმ დროს ყველა რეჟისორის საოცნებო მხატვარ-დეკორატორმა კრისტიან ბერარმა შექმნა, ხოლო კოსტუმები არანაკლებ სახელგანთქმულმა კუტიურიმ უან ლანვენმა შეკერა. მას აქეთ „მოახლეების“ დადგმა განახორციელეს „ლივინგ თეატრში“ ჯორჯ ბერმა, გერმანიაში – თომას ენგელმა, ინგლისში კრისტიფერ მაილშმა, პარიზიში ვიტორ გარსიამ, ლიუკ ბონდიმ, სანდრინ ბონერმა, უან ვენსეიმ, ფილიპ ადრიენმა... შევდი კომპოზიტორი პიტერ ბენგსტონი ერთაქტიან ოპერას ქმნის, კლოდ შაბროლი იღებს ფილმს „ცერემიონია“, სადაც მოახლეებს სანდრინ ბონერი და იზაბელ იუპერი თამაშობდნენ. უახლესი დადგმებიდან აღსანიშნავია შარშან მანჟეტენზე, ლინკოლნ ცენტრის ფესტივალზე წარმოდგენილი და, პრესას თუ დავუჯერებთ, „მყირალა და ვულგარული“ სპექტაკლი, სადაც მოახლეები ქეით ბლანშეტმა (კლერი) და იზაბელ იუპერმა (სოლანჟი) განასახიერებს. ბოლო პრემიერა 2015 წლის აპრილში საბერძნეთში, ეროვნული თეატრის „მცირერექსის“ სცენაზე შედგა. სპექტაკლი, ნლების მანძილზე პიტერ ბრუკის თანაშემნებრეჟისორმა ბრიუს მაიერმა დადგა.

„მოახლეების“ კონტექსტში აღსანიშნავია ისიც, რომ პერსონაჟებს უკვე გვიანდელ დადგმებში ხშირად მამაკაცი მსახიობებიც თამაშობდნენ. ამ ხერხს, ალბათ, უენეს არატრადიციული ორიენტაციის, სპექტაკლისტოვის სკანდალური აურის შესაძნად ან მკვეთრად ხაზგაშემული პრეციზოზული და კონკრეტულად ამ პიესის, შემთხვევაში უფრო ნატიფი, ვიდრე „გადაპრანებული“ სტილისტიკის გამო იყენებდნენ. როი ასეთი და საკმაოდ ზედაპირული სპექტაკლი, გრენობლის და ტორინოს მცირეფორმატიან ევროპულ ფესტივალზე წანახიც მაქს. ვერც ერთმა ვერ დაბარნმენ! მოახლეების ტრავესტირება, ვფიქრობ, ყველაზე გამართლებული და ესთეტიურადაც კარგად მორგებული ვიქტორ ვიკტორიუს მიერ, პიტერ ფილიპ დადგმულ სპექტაკლში წანახიც მაქს. ვერც ერთმა ვერ დაბარნმენ! მოახლეების ტრავესტირება, ვფიქრობ, ყველაზე გამართლებული და ესთეტიურადაც კარგად მორგებული ვიქტორ ვიკტორიუს მიერ, პიტერ ფილიპ დადგმულ სპექტაკლში წანახიც მაქს. ვერც ერთმა ვერ დაბარნმენ! მოახლეების ტრავესტირება, ვფიქრობ, ყველაზე გამართლებული და ესთეტიურადაც კარგად მორგებული ვიქტორ ვიკტორიუს მიერ, პიტერ ფილიპ დადგმულ სპექტაკლში წანახიც მაქს. ვერც ერთმა ვერ დაბარნმენ! მოახლეების ტრავესტირება, ვფიქრობ, ყველაზე გამართლებული და ესთეტიურადაც კარგად მორგებული ვიქტორ ვიკტორიუს მიერ, პიტერ ფილიპ დადგმულ სპექტაკლში წანახიც მაქს. ვერც ერთმა ვერ დაბარნმენ! მოახლეების ტრავესტირება, ვფიქრობ, ყველაზე გამართლებული და ესთეტიურადაც კარგად მორგებული ვიქტორ ვიკტორიუს მიერ, პიტერ ფილიპ დადგმულ სპექტაკლში წანახიც მაქს. ვერც ერთმა ვერ დაბარნმენ!

პირობითობა შესძინა: კაცი თამაშობს ქალს, რომელიც თამაშობს მოახლეს, რომელიც, თავის მხრივ, საკუთარი იღენტობის ძიებაში „უცხოს“ სახის მორგებასაც ცდილობს. ამ ურთულეს და მაცდურ სქემას, სპექტაკლის აბსოლუტურად ადეკვატურ მხატვრულ გარემოცვაში (დეკორაცია, კოსტუმები, მუსიკალური გაფორმება), უმდიდრესი პლასტიური თუ ემოციურ-ინტონაციური პალიტრის მქონე მსახიობები ასახიერებდნენ: არკადი რაიკინი (სოლანუ), ნიკოლაი დობრინინი (კლერ), ალექსანდრ ზუევი (მადამ) და სერგეი ზარუბინი ბატონის უწინმვნელო როლში, რომელიც ვიკტიუმა, ვერ გავიგე რისთვის, სპექტაკლის პირველ ვარიანტში შემოიყვანა.

ჩვენ სპექტაკლში რეჟისორი ნიკა თავაძე უნეს სტილისტური ხელწერით დაცულ კლასიკურ და უფრო ნარმატებულ ტრადიციას მისდევს. და არც უსაფუძლოდ, რადგან თვითონ ავტორს შეპარულად მაინც რომ შემოყვანა ტრავესტიმსახიობის (კაცი-შასახიობის) იდეა, მოახლეებს ქალურ-კაცური უდერადობის სახელებს მაინც დაარქებულა. მერნმუხეთ, ეპროაულ ენებში, კონკრეტულად კი ფრანგულ-შიც, მრავალი მსგავსი ომრინმიკა არსებობს, მიშელ, მაგალითად, ან რენე, ანდრე, სიმონ და სხვ.

სპექტაკლის შინაარსს პრინციპულად არ ვეხები ხოლმე, მაგრამ პრემიერის შემდეგ ფონები ერთ-ორი ჩუმი რეპლიკა შემომესმა, ამბავი გაუგებარიაო (?!). ამიტომაც სიუჟეტს, ამჯერად, იმის იმედით, რომ ვინმე ნაიკითხავს, სკემატურად მაინც მოყვები. მით უფრო, რომ სიუჟეტის მოყოლის პრაქტიკა ქართულ თეატრმცოდნეობაში, ალბათ, სპექტაკლის დოკუმენტირებისა და პიესის გაცნობის მიზნით, ყოველთვის მისაალმებლად ითვლებოდა,

სახლში მარტო დარჩენილი ორი მოახლე, ორი და – კლერი და სოლანუ თავს სასტიკი თამაშით ირთობენ. კლერი ქალბატონის ტანსაცმელს და როლს ირგებს, სოლანუ კი – მოახლე კლერისას. გათამაშებული სცენებიდან ირკვევა, რომ სოლანუს უყვარს ბატონი, რომელიც კლერმა პოლიციაში დაასმინა. კლერისა და სოლანუს აგონის ყოველი რეპრიზა ქალბატონის მკვლელობით უხდა დამთავრდეს. სახლში დაბრუნებული ქალბატონი შეიტყობს, რომ ბატონის დაასაული არ დაუმტკიცდა და მასთან შესახვედრად გარბის ისე, რომ მოახლეების მომზადებული, მონაბლული ნაყინის დალევას ვერ ასწრებს. მოახლეებს დასმენაში მხედვება ემუქრებათ; კლერი და სოლანუ ფატალურ თამაშს განაგრძობენ...

დეკორაცია (მხატვარი ქეთი ნადიბაიძე) მდიდრული პინის სანოლ ითახს ნარმოგვიდგენს: მარჯვნივ სანოლია, რომელსაც დები თავიანთი „თამაშების“ კულმინაციურ მომენტებში ხან ალაგებენ, ხან სიკედილის სარცელად აქცევენ; მარცხნივ ტუალეტის მაგიდა სარკით, სადაც ქალბატონი მოსაკონტავებლად, დები კი მორგებული იდენტობის (სახის, როლის) ავთენტურობას ამონმებენ. იქვე, გამჭვირვალე კედლის მიღ-

მა, ძირიფასი ტანსაცმლით სავსე გარდერობი მოჩანს; შუაში, ავანსცენასთან ახლოს, პატარა დივანი-კანაპეები მოთავსებული კაბების მისაგდებად, გამორჩეულად ელეგანტურ პოზაში ჩამოსაჯდომად, ქალბატონის ირგვლივ საფუსაფუსოდ, ფინალური სცენის საბოლოო წერტილის მოსანიშნად. სიღრმეში, სიმეტრიულად შუაში, დიდი ფრანგული ფანჯარაა, რომელიც აივანზე გადის და სპექტაკლის დასაწყისა და ბოლო სცენაშია მხოლოდ ფართოდ გაღებული. ყველა ნივთი ფუნქციონალურია, ყველაფერი სადა, „მოტებილ“ თეთრ ფერშია გადაწყვეტილი. ერთი შეხედვით, ეს არის შეძლებული ბურჟუას ბინის ჩვეულებრივი ინტერიერი ფრანგული „ბულვარული კომედიიდან“. აქ, მართალია, ავტორის რემარკის თანახმად, ლურ XV-ს ავეჯი არ დგას, მაგრამ ფუფუნებას და ორაზროვანი იდუმალებას ამ ოთახს ყრუ ვერცხლისფრად მოლივლივე კედლები და უამრავი ყვავილი სქენს – თეთრი გლადიოლუსები, სისხლისფერი ვარდების თაგიულები და... უან უქნეს ორაზროვანი, მაცდური ტექსტის მოლოდინი და იმის ცოდნა, რომ სამი უნიჭირესი მსახიობი არასადროს დადგება სცენაზე ერთად იმისთვის, რომ ჩვეულებრივი, უნინიშვნელო პრივატურიად გაასახიერონ.

ამგვარად, სპექტაკლის დეკორაციაში აპერად იგრძნობა ყოველგვარი ზედმეტობის გარეშე გაცოცხლებული უქნეს თეატრის კონტრაპუნქტი – მარტივი რეალობის თეატრალიზაცია, რომელშიც აივნის გავლით შემოაბიჯებს ოპერის დივა – ქალბატონის სახემორგებული კლერი (მსახიობი ნატა მურვანიძე). მას ხმოვან ძლიერდა მოცყვება კონტრ-ტენორისთვის დანერილი ქსერქსეს³ არის ლარგო „OMBRA MAI FU“ (არცერთი ჩრდილი...) ჰენდელის იგივე სახელნიდების ოპერიდან. ნატა მურვანიძე მსუბუქად და ორგანულად ითავისებს მუსიკალურ თანხლებას, მისი „გამოსვლა“ საოპერო ესთეტიკით მუსიკის ხასიათზე და რიგმზე ანყობილი პლასტიკით არის ნარმოდგენილი; ნერვიული მოძრაობით დახურული ფანჯარა, საგანგებოდ შერჩეულ პოზაში, ზურგით მაყურებლისკენ, ჩამოჯდომა, ზიზონარევი ინტონაციით ნასროლი პირველი რეპლიკა („ეს ხელთათმანები... ნაიღე ეს სველი ძონძები...“) და მორჩილ-მოკრძალებული მოახლე კლერის ნიღაბმორგებული სოლანუს (ნინო კასრაძე) შემოსვლა და „თაბა-შის თამაშში“ მყისიერი ჩართვა ისეთი დაძაბული მუხტით კრავა მოახლეების და ზოგადად, უქნეს სამყაროს, რომ უნებურად გიჩნდება კითხვა, როგორ შეინარჩურებენ მსახიობები დასაწყისშივე ალებულ საოპერო მაღალ რეგისტრს და ზეანეულ პირობითობას. შეინარჩუნეს! უფრო

³ ქსერქსე – სპარსეთის მითიური იმპერატორი (480წ.ჩ.წ.-მდე), რომელსაც, გადმოცემით, შეუყვარდა და სამკაულებით შეამკი აღმოსავლეული ჭადრის ხე. გეორგ ფრიძრი ჰენდელმა თავის პერას (1738) ფარსულ-სატირული შეფერილობა შესძინა. ქსერქსეს პარტიას ადრე კასტრატები, დღეს მეცო-სიპრანოს რეგისტრში, უმეტეს წილად, ქალები სარულებენ.

მეტიც, ყოველ ხელახლა დატრიალებულ, მევ-ლელობაზე მომართულ, დამანგრეველ ცერემონიას, არტისტებმა ახალი წარმატების დატოვების დროის მარტინი თუ აზრობრივი დატვირთვა შესძინება.

სპექტაკლის საოპერო ფორმის სრულყოფას ხელს უწყობს, აგრეთვე, მისი მუსიკალური პარტიტურა. ორი, კონკრეტულად, შინაარსობრივი დატვირთვით შერჩეული, კლასიკური წარმატების გარდა (ჰენდელის ლარგო, როსნის ოპერის „ქურდი კაჭაჭი“ უვერტურა), სპექტაკლში უღერს კომპოზიტორ ნიკა ფასურის მიერ ვივალდის თემებზე, სახიერი მუსიკალური ფრაზებით შექმნილი კომპოზიციები.

„მოახლეების“ პირველი პრემიერით უკმაყოლო უან უენებ მეორე გამოცემას ერთგვერდიანი შესავალი წაუმდლვარა სათაურით „როგორ ვითამაშოთ მოახლეები“. ავტორის რეკომენდაციები იწყება წერტილდასმული ერთი სიტყვით „შეფარვით.“ და იქვე განმარტებას აკეთებს: „უცილებლობად ჯერ ეს სიტყვა უნდა იქცეს. მოახლეების როლის შემსრულებელი არტისტების თვატრალური თამაში შეფარული უნდა იყოს.“ შეფარვით თამაში სიტყვისა და პლასტიკის ორაზორვანი მრავალშრიანობა არის ნაგულისხმევი; მოქმედების სისასტერის საწინააღმდეგოდ შექმნილი დახვენილი და, შესაძლოა დამტიმებული რეპლიკა წარმოთქმისას სიმსუბუქით და სხვა, არა სასტიკა, არამედ ირნიულ ან სარკასტულ, ან ყალბი თანაგრძნობის ან სხვა ემოციური ბუნებით უნდა გაუდერდეს. სიტყვის, ფრაზის მოქმედების სიმძაფრესთან მიმართებაში საგანგებოდ შექმნილი კონტრასტულობა განსაკუთრებულ ფრაზიებას და პლასტიკას მოითხოვს. სპექტაკლში მსგავსი სცენები მრავლად არის. იგივე კლერი - ქალბატონის გამოსვლა; დების ფრთხილი, ერთგვარად გაუცხოებული პლასტიკა და ფერსა და ემოციას მოკლებული, ჩვეულებრივად ყოველდღიური ინტიმურია სცენაში, სადაც ისინი, „მსხვილ პლანში,“ ავანსცენაზე მდგარნი მსჯელობებ რამდენი აბი ლუმინალი უნდა ჩაყარონ ნაყენში, რომ ქალბატონი მოკვდეს; ასეთია ქალბატონის ელეგანტური, საცეკვაო რიტმზე აგებული მოძრაობა; ჯოაჟინო როსნის ოპერის „ქურდი კაჭაჭის“ უვერტურის ფონზე თავისი გაზრდების თხრობა და სასტიკად, ქედმალლურად, ზიზლით და ა.შ. ჩართული სასტიკი, რაზოვანა რეპლიკები - ჩემს საწილს სიკვდილის სარცეცლივით რთავთ; გინდა მომკლა ამ ნაყენით... სამივე ქალბატონი „შეფარვით თამაშის“ ურთულეს ამოცანას ზედმიწევნით ასრულებს და არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, ეს ტექნიკა თავად დასახეს, რეჟისორის მითითება შესარულეს თუ უნენს რემარკების, ან ტექსტის ინსპირირებით გაითავისეს. მთავარი ის არის, რომ შეფარვით თამაშის ხერხი მოძებნებს, გონებასა და სხეულში გაატარეს და მაყურებელში ხელშეუვლები და ნახევარ ტონებში გაუდერებული ძლიერი ემოციური წაკადით გაავრცელეს. დაუბრუნდათ კიდეც! დარბაზის გარიზდებით, ყურადღების

აბსოლუტური მობილიზაციით, პერსონაჟებთან თანხევდრი სუნთქვით. ჩვენს თეატრში მსგავსი მომენტები, ამ ბოლო დროს, იშვათობად გვექცა. სპექტაკლის წარმატება კი, დამეტანიშებით, სწორედ რომ ასეთი კამერტონით უნდა მოწმდებოდეს.

სამიდან ორ პერსონაჟზე საუბარს ერთ კონტექსტში ვაპირებ და ამის მიზეზსაც ქვემოთ მოგახსენებთ. თავდაბირველად, ქალბატონზე შევჩერდები, რომელსაც მსახიობი ბარბარე დვალიშვილი ასახიერებს. ქალბატონი სცენაზე შეუბნება. ალწერილ ინტერიერში ის არა საოპერო პრიმადონასავით, არამედ ჩვეულებრივად შემოდის. თუმცა, ჯოაჟინო როსნინის ოპერის „ქურდი კაჭაჭის“ უვერტურა მის, ფორმისეულად მაინც საოპერო შემოსვლას, სარკასტულ და ორაზროვან ელფერს სქენს. სამყარო, რომელშიც მოახლეები შეურით, ზიზლით, დანაშაულის ჩადენის სურვილით თუ მოწინებით მოძრაობენ, დაბადებიდან და ორგანულადაც ქალბატონს ეკუთვნის, კაბები სპეციალურად მისთვისა შეკერილი, ავეჯი მისი გეოვნებითა განლაგებული, სამზარეულო, „საშინელმა სუნმა“ რომ არ შეაწუხოს, საანადო მანძილითა მოშორებული, დიდი აივანი კი სხვებთან ლალად საკონტაქტო სივრცეა, ვიდრე მეორე კედელი, რომლის გახსნას მოახლეები მხოლოდ სიკვდილის პირს გახდებავენ. ცხოვრებით განებივრებული, ფუფუნებას შეჩვეული და, თითქოს, არაფრის მაჟნისი ქალბატონი ამ სივრცეში პეპელასავით შემოფრინდება. მისი სავარელი ბატონის დაჭრა და სავარაუდო გადასახლებაც კი თამაშის საგნად აქვს ქცეული, რადგან ტექება იმის შეგრძებით, რომ მის დანაშაულს გაიზიარებს და ცხოვრებას შეცვლის. თავის უწყვეტ, სიტყვამოგვალ, ერთგვარად ეპატაჟურ სცენა-მონოლოგში ის მოახლეებსაც ძალიან ორგანულად რთავს და აგრძნობინებს, რომ ყვე-



ნატა მურვანიძე — კლერი



ბარბარე დვალიშვილი — ქალბატონი

ლაფერს ხვდება, ყველაფერი იცის. ქალბატონის სცენა შეფარულად თუ რეალურად, პოეზიით შეზავებული ირონიით თუ ორმაგი თამაშის ხერხით გვიჩვენებს იმ კლასობრივ ანტაგონიზმს, რომელიც უნებ თანამედროვე საზოგადოებას ვერაფრით აპატია. ბაია დვალიშვილი თავის პერსონაჟს ყოველგვარი უტრიორების გარეშე, იუველირული სიზუსტით ძერნავს. ქალბატონის შემოსვლამ, უფრო ზუსტად გამოსვლამ ჩემში კიდევ ერთი საპერო „ნომრის“ ასლიცაცია გამოიწვია. რატომლაც მანრიკოს „სტრეტა“ გამახსენდა ვერდი „ტრუბადურიდას“. სწორედ სტრეტას რიტმით და ხასიათის ცვალებადით იყო გაუღერებული. მის მონოლოგში მოძრაობა, შეფასებები, ხაყნის დალევა-არდალევის სცენა და სხვა, უფრო რეალურზე მორგებული ემოციური მუხტით ჩართული რეპლიკები — „უერთგულესი მსახურები მყავხართ“... „ჩემთან ძალიან უბედურები ხომ არ იყავით...“ და ქალბატონის ინტონაციით, მკაცრად ნასროლი რეპლიკა — „გაიტანეთ ეს ყვავილები“ — ნინასნარმეტყველებს ზიზღა და ხიბლს შორის მოქცეული და საბოლოოდ სახედაკარგული მოახლეების ტრაგიკულ ფინალს.

კლერი და სოლანჟი სპექტაკლში და პიესაშიც სიამის ტყუბებივით არიან ერთმანეთზე გადაჯაჭვული. თუ ცალ-ცალკე ისინი ავსებენ ერთმანეთს, ერთი ვნებით, ერთი ზიზღით, ერთი შურით არიან შეცყრობილი. ისინი, უნეს სიტყვები რომ გავიმოროთ, „ქალბატონისადმი სიძულვილისაც ერთმანეთში ცლიან“; ჯავრსაც ერთმანეთზე იყრიან და ალერსი თუ ემოციური ტონუსიც ურთიერთგაცვლადი აქვთ. სოლანჟი დასაწყისში უფრო ძლიერი და აქტიურია, კლერი — გესლიანი, მაგრამ ლმობიერი და აქედან გამომდინარე, ალბათ, უფრო სუსტიც. „არასადროს მზად არა ხარ და ვერ გქლავ“, საყვედურით მიმართავს მას სოლანჟის მაგარი ლმობიერი კლერი სასტიკი ვნებით ატაცებული სოლანჟისაგან მათი ტენდემის გონებაც არის:

„თამაში სახიფათო ხდება, სოლანჟ, ქალბატონი ყველაფერს მისვდება“. და, როცა ქალბატონი, თითქოს (უნეს ტექსტში დაკონკრეტებულად მართალი მხოლოდ არაფერია!) მართლაც, ყველაფერს ხვდება და მისი რეალურად მოკვლაც გარდაუვალია, სწორედ კლერი მოუღებს ბოლოს მათი ფატალური მკვლელობის ცერემონიას და საბედისნერო ნაყენს თვითონ დალევა. „გაალე ფანჯარა... ყველამ მოგვისმინოს, ყველამ გვიყუროს“, ამბობს იგი და დები თავიანთ ცოდვილ, ჰერმეტულ სამყაროში არა მარტო თავისუფლების ჰაერს შემოუშებენ, არამედ მაყურებელსაც. შეოთხე კედელი დამსხვრეულია და მოთვალთვალე კი არა, მონმენიც სტირდებათ. განმეორებადმა, რიტუალივით ზუსტად გათვლილმა ცერემონიამ დებს მათი ისედაც მყიფე სამყარო, ურთიერთობები, ცონბიერება, გაუნადგურა, მაგრამ იდენტობა ვერ მოაძებნინა, რადგან თამაში კლერის სიკვდილის შემდეგ უფრო სასტიკ განზომილებაში გაგრძელდება. „შენ მე საკუთარ თავში შემნახავ...“ ამბობს კლერი და კვლავ ქალბატონის საოპერო პლასტიკასა და ინტონაციის უბრუნდება — „გაიმეორე, ქალბატონი ცაცხვის ნაყენს დალევს“. ამის შემდეგ ფინალი და მხოლოდ დუმილი, რომელმაც რაღაცის კვლავ გაგრძელების დაძაბული მოლოდინის შეგრძნებით სტურუას „მეფე ლირის“ პაზუბა გამახსენა.

„მოახლეებმა“ სამივე მსახიობმა საოცარი პარტიინირობის მასტერკლასი ნარმოგვიდგინეს, მაგრამ ნინო კასრაძისა და ნატა მურვანიძის სახიობა ამ თვალსაზრისით მაინც განსაკუთრებული იყო, თუნდაც იმიტომ, რომ მცირე და უმნიშვნელო დეტალებშიც კი გააზრებული თუ ქვეცნობიერი იმპულსებით იყო შეკრული. „შეფარვით თამაშსაც“ ისინი სხვადასხვა, მაგრამ ისევ ურთიერთშესხებადი ხერხებით ნარმოგვიდგენდნენ. ნინო კასრაძე, ვფიქრობ, სიტყვით უფრო „ოპერირებდა“, ნატა მურვანიძე კი პლასტიკით, რაც სულაც არ ნიშნავს, რომ პირველს პლასტიკა არ უვარგოდა ან მეორეს ფრაზირება თუ ინტონაცია. უბრალოდ კასრაძის სოლანჟს „მოახლის ტყავში“ ყოფნა (თავისი და კლერის) უფრო ხშირად უხდებოდა, ნატა მურვანიძის კლერი კი ქვეცნობიერადაც ქალბატონზე იყო ორიენტირებული. ამგვარად მათი პლასტიკაც და სიტყვაც შესაბამისად ცვალებადი, ხშირად არარგანული, სენსუალური, გროტესკული თუ პარადოქსული ყოველთვის უან უერთდებოდა, თარაზოვანი პირობითობით არის გათამაშებული.

ნიჭი — თქვა უან უნებ — არის თავაზიანობა მოცემულობის მიმართ და მდგომარეობს იმაში, რომ სიმღერად აამეტყველო ის, რაც მანამდე უთქმელი იყო“. ეს სიტყვები, ვფიქრობ, პირდაპირ ეხმიანება სამეფო უბნის თეატრში ნარმოდგენილი სპექტაკლის შემოქმედებით ჯგუფს და, განსაკუთრებით, სამ ქალბატონს, რომლებმაც ქართულ სცენაზე უან უნეს „მოახლეები“ აამეტყველეს.



რატომ გამიგვლდნენ რომეო და ჯულიეტა?

გურაზ მიგრელიძე

თბილისის თეატრებში ბოლო ორი სეზონის განმავლობაში შექსპირის პიესები აქტიურად იდგმება. რეჟისორები ეძებენ, როგორც ახალ გამომსახველობით ფორმებს, ასევე ნაწარმოებთა განახვავებულ ინტერპრეტაციას. სპექტაკლების გადაწყვეტაში ჩანს შექსპირული ეპოქის თანამედროვე გარემოში გადმოტანის ტენდენცია. მაგალითად, მოზარდ მაყურებელთა თეატრში რეჟისორმა ლევან წულაძემ შუა საუკუნეების ორი გვარის დაირისპირება თანამედროვე მაფიის ზარმომადგენელთა ინტერესთა მტრობად წარმოსახა. სულ სხვა თვალით დაინახა ახმეტელის თეატრში რეჟისორმა ირაკლი გოგიამ ამ პიესის პრობლემა. ამის შესახებ სპექტაკლის პროგრამაში ვკითხულობთ: „მოქმედება სპექტაკლში სხვადასხვა ეპოქასა და სივრცეში ვითარდება. სპექტაკლის მთავარი გმირები ეტაპობრივად თანამედროვე პიებისა და მუნჯი კინოს ეპოქაში ცხოვრობენ, წარმოდგენის დასასრულს კი მაყურებელი ისევ მე-16 საუკუნის ვერონაში ინაცვლებს. სპექტაკლში გათამაშებული ამბავი ორი მოქიმბე გვარის მტრობაზე კი არ მოგვითხრობს, არამედ ხელმოცარულ და სიყვარულში იმედგაცრუებულ ადამიანებზე. რეჟისორი ცნობილი პიესის აქამდე უცნობ აქცენტებს სვამს და დღემდე ყურადღების მიღმა დარჩენილ პრობლემატიკას წარმოაჩენს, რითაც სიყვარულის ისტორიას კიდევ უფრო მძაფრად, ორიგინალურად და თანამედროვედ მოგვითხრობს“. ასეთი თამამი განაცხადი, მართლაც, საინტერესოა, რადგან მრავალგზის დადგმულ კლასიკურ პიესაში უცნობი პრობლემების ამოკითხვა მისასალმებელია. ამასთანავე, გასათვალისწინებელია ის

გარემოებაც, თეატრის მიერ შემოთავაზებული პრობლემა მართლაც ანუხებს თუ არა ქართულ საზოგადოებას.

სპექტაკლში პიესის 26 გმირიდან, 90 წუთის განმავლობაში, მხოლოდ 11 გმირი მოქმედებს. წინა პლანზე ბერ ლორენცოსა და ჯულიეტას ძიძის ფიგურებს ვხედავთ. სწორედ ისინი წარმართავენ მოქმედებას, კომენტარს აკეთებენ და საკუთარ დამოკიდებულებებს, ემოციებს გამოხატავენ მიმდინარე სცენებისადმი, რითაც მაყურებლამდე რეჟისორის მიერ შემოთავაზებული კონცეპტუალური გადაწყვეტა მოაქვთ. მოქმედებიდან ამოღებულია მონტეგისა და კაპულეტის გვართა ოჯახების უფროსები, მონტეგის მეულლე და დატოვებულია მხოლოდ ჯულიეტას დედა — ქალბატონი კაპულეტი. რომეოს მეგობარ ბენვოლიოს შეთავსებული აქვს რომეოს მსახურის, ბალთაზარის, ფუნქციაც. ბერი ლორენცო ითავსებს გუნდის ტექსტსაც და სპექტაკლის წამყვანად გვევლინება. მოქმედი პირები მოქალაქეებსა და ნიღბოსნებსაც განასახიერებენ, რითაც ფარისევლური საზოგადოების არსებობაზე მიგვანიშნებენ.

სპექტაკლს იწყებს თანამედროვე ტანსაცმელში გამოწყობილი ლორენცო, რომელიც გუნდის ტექსტის წარმოთქმისას კათოლიკე ბერის მანტისას გადაიცვამს. ამით მინიშნებულია ის გარემოება, რომ თეატრი მაყურებელს შექსპირის პიესის ხილვას თანამედროვე პოზიციით სთავაზობს. ამის შემდეგ სპექტაკლი პიესის მეორე მოქმედებიდან გრძელდება, სადაც გუნდის ტექსტს ლორენცო და ძიძა გაითამაშებენ. ალარაფერს ვამბობთ ტექსტის შემოკლებებსა და ჩამატებებზე.

ეს გახლავთ პიესაში შეტანილი ძირითადი ცვლილებები, რომლებმაც გამომსახველობითი ფორმა სპექტაკლში შეიძინა. რა თქმა უნდა, შეიძლება მიიღო ან სადავო გახადო რეჟისორული კონცეფცია, მაგრამ სპექტაკლის გადაწყვეტას თავისი განვითარების ლოგიკა აქვს. საბჭოთა ეპოქაში ყოველთვის არსებობდა დავა კრიტიკასა და დამდგმელ კოლექტივს შორის, თუ რამდენად ახლოს იდგა სპექტაკლი პიესის ესულ ვერსიასთან. ამჟამად კი ხელოვანი უფრო თავისუფალია. მას არც ოფიციალური ცენზურა ამონტებს და კრიტიკოსებიც რეჟისორულ ჩანაფიქრს ლოიალურად იღებენ. ამდენად, შემოქმედისთვის ხელშემწყობმა პირობებმა უფრო თამამი გახადა გადაწყვეტის ფორმები (სწრაფვა პიესის ახალი გადაწყვეტითა და გამომსახველობითი საშუალებების ძიებით) და საზოგადოებამდე მისატანი პრობლების განსხვავებული წარმატება.

ეს კარგიცაა, მაგრამ უდიდესი პასუხისმგებლობაც ახლავს თან, რომ მაყურებლმა ნდობა არ დაკარგოს და ყოველთვის ესწრაფვოდეს ახალი დადგმის ნახვას. ეს გარემოებები ნამდვილად არსებობს თანამედროვე ქართულ თეატრში, რომლის ობიექტური შეფასება მნიშვნელობას იძენს ტრადიციისა და ნოვატორობის განსაზღვრისას. ამ გარემოებაზე იმიტომ გავამახვილე ყურადღება, რომ ბოლო დროს მომრავლებული, ერთი შეხედვით, „ახლებური“ სპექტაკლები ზუსტ ანალიზს მოითხოვენ, რომ განისაზღვროს მათი მხატვრული ღირებულების მნიშვნელობა. ამ შემთხვევაში გვერდს ვერ აცუვლით სპექტაკლებში გამოყენებულ უხამს მეტყველებას, გინებასა და არაესთეტიკურ სცენებს, რომლებსაც ნამდვილ შემოქმედებასთან არაფერი აქვთ საერთო და „ცხოვრების ესული სიმართლის“ პრეტენზით მაყურებლის მდარე გემოვნებაზე გათვლილი. ხშირად თამამი სცენებით გადაწყვეტილ სპექტაკლებს ნოვატორულ ძიებებს ეძახიან, რაც არასწორად მიმაჩნია და კრიტიკოსიც ვალდებულია ასეთი შემთხვევები რადიკალურად გაძიჯნოს, რაც იშვიათად ხდება. ამას ემატება სპექტაკლის შესახებ მასმედიაში არაპროფესიულად გაშექებული მასალა, რომელიც ხშირად აბსურდამდეც მიდის. უკვე ჩვეულებრივ მოვლენად იქცა და მხოლოდ რეჟისორისა და მსახიობების გამონათქვამების განმეორება, ვინაიდან ჟურნალისტს ნარმოდგენაც არა აქვს დადგმის მნიშვნელობასა და მხატვრულ ღირებულებაზე. არსებულ პრობლემებზე საუბარი ქართულ თეატრში არსებულ ტენდენციებს ეხება, რაც ახმეტებლის თეატრშიც მეტ-ნაკლებად ვლინდება („ჩრდილოეთის ციალი“, „ტრუსები“) სხვა კარგ სპექტაკლებთან ერთად.

რეჟისორ ირაკლი გოგიას პოზიცია, რომ

სპექტაკლში ნაჩვენებია გაბოროტებული და ცხოვრებაში შეუმდგარი ადამიანების ვნება-თაღელვა, დღევანდელი საზოგადოებისთვის აქტუალურია. ასეთ პირთა არაპროფესიონალი მნიშვნელობის მზარე ხვედრი ადამიანებმა, სამწუხაროდ, უკვე იგემეს. მათ ხელში მართლაც შეიძლება დაიღუპოს მომავალი თაობა, გაიწიროს წესიერი ადამიანების ნამდვილი გრძნობები, რამაც შეიძლება ხელი შეუწყოს ქვეყანაში ბეჭედი ძალების აღზევებას. მოქმედებისთვის დროის ფაქტორი გამოკვეთილად იყითხება. სცენის უკანა მხარეს საათის მექანიზმია გამოხატული, ხოლო ბორბალსაც ასეთივე კბილანები აქვს, რომელზედაც გმირებს უხდებათ მოქმედება (სცენოგრაფი მარიკა კვაჭაძე). თანამედროვე და წარსულ დროთა მონაცვლეობა ითვლის გმირთა არსებობას, მათ ურთიერთობებსა და ცხოვრების ხანგრძლივობას... ხოლო მოძრავი ფიცარნაგი გმირთა გრძნობების ამალებასა და დაცემაზე მიანიშნებს. ამავე დროს, გმირები ნიტბოსნება-დაც გვევლინებიან, რომლებიც მოქმედებას ერთსახოვნად, უემოციოდ ადევნებენ თვალს და თავიანთი პასიურობითა და გარყენილებით ხელს უწყობენ ბოროტების გამარჯვებას. ამიტომაც ჯულიეტას სიკვდილის სცენა აბაზანაში აღიქმება, როგორც განპანვა უზნეო საზოგადოებიდან. ამაზე მიანიშნებს ქალბატონ კაპულეტისა და მისი მომავალი სიძის — პარისის ინტიმური აქტიც, რომელსაც თვალს ადევნებენ საათის თოჯინებივით მოძრავი ადამიანები.

სიმბოლურ დატვირთვას იძენს მოძრავ ფიცარნაგზე არსებული ბორბალი, რომელსაც საათის კბილანები აქვს. მასზე ტრიალებს ყველაფერი — სიყვარული, სიძულვილი, ადამიანთა ვნებათაღელვა, აქ უყვართ ერთმანეთი რომელსა და ჯულიეტას და აქვე განმორდებიან სიცოცხლეს. ეს მუდმივი მოძრაობის სიმბოლო ცხოვრების ამაობის განმსჯელად და ფინალში გმირთა ეშაფოტად (იგი წმინდა გიორგის წამების იარაღის ასოციაციასაც აღძრავს) გვევლინება. კიდევ ერთი დეტალი — რომელსა და ჯულიეტას პირველი სასიყვარულო სცენა ბორბალზე ხდება, რომელიც მაღლა ადის, იგივე მეორდება ფინალში, ოღონდ უკვე ორივენი გარდაცვლილი არიან. ესეც მეტაფორულად გამოხატავს მათ ამალებულ გრძნობებს გარემონცველი სამყაროს ბოროტებაზე. აგრეთვე, მათ მიერ ტანსაცმლის გახდა ამავე იდეუზრ დატვირთვას ემსახურება, მაგრამ რომელს მხოლოდ თეორ საცვალში ნარმოდგენა უხერხეულ შთაბეჭდილებასაც ტოვებს და მათი სიყვარულის ასე ნატურალურად გამოხატვა სპექტაკლს ახალი და საინტერესო შერიხებით ვერ ავსებს.

ლორენცი თავის გამოსვლას ამ სიტყვებით ამთავრებს: „და თუ რამეს ვერ მიმხვდარხართ ჩვენს წინათქმაში, თვალი ადევნები მოქმედე-

ბას, მიხვდებით მაშინ“. ეს გახლავთ თეატრის პოზიცია მაყურებლისთვის საკუთარი ვერსიის შესათავაზებლად. ლორენცო ფარდას ეფარება, რომლის გახსნისას გმირებს თბილისის, შეიძლება სხვა ქალაქის ან ქვეყნის თანამედროვე ბარში ვეძედავთ. ისინი ცეკვავენ და სურათებს იღებენ (თითქოს დროის მსვლელობას აფიქ-სირებენ). რომეო და ჯულიეტაც აქ გაიცნობენ ერთმანეთს და სხვა გმირებიც პერსონაჟებად გარდაისახებიან. მათ უკომპლექსო, თამამ ცეკვაში იკვეთება მათ შორის არსებული კონფლიქტიც. ლორენცოს თავისი ახალგაზრდობის პერანგი უჭირავს, ხოლო ძიძა ჯულიეტას თეთრ კაბას ირგებს. ისინი სიყვარულსა და სრულყოფილ ურთიერთობებზე იცნებობენ, რაც რეალურად აკლიათ. ამ განწყობას აძლიერებს მთვრალი ძიძის მიერ რომეოსა და ჯულიეტას სასიყვარულო სცენის ირონიული ღიმილით შეფასება. ფინალში ლორენცო პრინცის სიტყვებით: „ან სამწუხარო სხვა ამბავი იქნება განა, რომეოსა და ჯულიეტას ამბავისთანა?!“ ამთავრებს თხრობას, სამწუხაროდ, არ ჩანს მისი დამოკიდებულება. მაყურებელი უნდა გრძნობდეს მის დამწუხრებულ, ირონიულ, თუ სხვაგვარ შეფასებას, თუ მარტომ მოიმოქმედა ყოველივე... სხვადასხვა ეპოქის დროის ფაქტორზე მიუთითებს ტიბალტისგან დაჭრილი მერკუციოს მიერ არის შესრულება ვებერის როკ-ოპერა „კატები“-დან, ხოლო ბენვოლიონ და მერკუციონ გაითამაშებენ სცენას ძევირელის ფილმიდან „რომეო და ჯულიეტა“, რაზეც ძიძა იტყვის — ეს ფილმი ნანაზი მაქვსო. აგრეთვე, ტიბალტის მოკვლის შემდეგ, რომეოს განდევნის ამბავი ამერიკული რეგთამისი მუნჯი კინოს გადაღების ფონზე მიმდინარეობს, რომელიც, ქალაბარნ კაპულეტისა და პარისის შეთანხმებით, ჯულიეტაზე დაქორწინების გადაწყვეტილებით მთავრდება, გმირებიც კამერის წინ პოზიორობენ. ამ ამბის თხრობასთან მიმართებით ეს სცენები სხვადასხვა ეპოქის ირონიულ დამოკიდებულებასაც, მათ გადაფასებასაც გამოხატავენ, მაგრამ მოქმედების განვითარებას შინაგანად და ლოგიკურად სრულყოფილად ვერ ერწყმიან. გაუმართლებელია ლორენცოს მიერ ჯულიეტას სხეულზე მოფერების ეპიზოდი. ეს არასრულფასოვნების სინდრომია, ჯულიეტასადმი რაიმე გრძნობა, თუ მისი „ნუგეშისცემა“ რომეოს განდევნის გამო.

ლორენცო, გიორგი გასვიანის შესრულებით, გაორებულია ლვთიურ სამსახურსა და ადამიანურ ვნებებთან ბრძოლაში, სადაც ბუნებრივი სისუსტეები იჩენენ თავს. საკუთარი ქვეცნიბიერი წარმოსახვების დაფარვას ბერის მანტიით ცდილობს, მაგრამ რეალურად ეს გამოვლინება მისდა უნებურად ხდება. მისი დამოკიდებულება რომეოს პერანგისადმი აშკა-

რად მგრძნობიარეა, მაგრამ უხერხულობას გრძნობს, როდესაც ამ პერანგს უბიდან ჯულიეტა შემთხვევით ამოუღებს და მის საიდუმლო გრძნობას აღმოაჩენს. ამიტომაც ჯულიეტას ნამდვილ საწამლავს აძლევს.

ლორენცოსა და რომეოს სცენაში, როდესაც რომეო ჯულიეტასადმი სიყვარულში უტყდება, გასვიანის გმირი მონოლოგში ბოროტებაზე ამახვილებს ყურადღებას: „შმაგ გატაცებას მუდამ მოსდევს მძვინვარე ბოლო, და მაშინ კვდება, გამარჯვებას როცა მიაღწევს“. ერთი მხრივ, ლორენცო ხელს უწყობს მათს დაქორწინებას, მეორე მხრივ, ამ კავშირს მათივე მკვლელობით სპობს. ეს არის კარგად ორგანიზებული მკვლელობა — იგი ნამდვილ საწამლავს აძლევს ჯულიეტას, რომელსაც ეჭვი ეპარება, მაგრამ, ნდობის გამო, მაინც სვამს („ან საწამლავი ხომ არ არის? იქნება ბერმა გაიძვერულად შეამზადა, რომ მომაკვდინოს... მაგრამ არა, ეს არ მოხდება! მას ყველა იცნობს, როგორც წმინდა, უმნიკვლო მოძღვარს“), ბენვოლიოს ატანს რომეოსთან ნერილს, რომელსაც ბენვოლიო ხელში კუჭავს და წვავს. ამის საფასურად კი ლორენცოს უბიდან ფულის ქისას უდებს. მეაფთიაქე, რომელიც რომეოს საწამლავს მიჰყიდის, ლორენცოს შეგირდია და მას, როგორც მოწმეს, ლორენცო თავისი ხელით კლავს. აკლდამაში თავად ანესრიგებს გარემოს — რომეოს ჯულიეტას გვერდით ანგენს და თვალებს უხუჭავს, რომ მათი ბუნებრივი სიკვდილის შთაბეჭდილება შექმნას.

მოქმედების ასეთი განვითარებისას გიორგი გასვიანის ლორენცო უფრო მეტად უნდა გამოხატავდეს თავის დამიკადებულებას მოვლენებისა და პერსონაჟებისადმი. ვინაიდან იგი ერთფეროვნად რჩება, თავიდანვე შემოთავაზებული სახე საინტერესოდ აღარ ვითარდება, აკლია მრავალპლანიანობა თავისი ბოროტი განზრახვისა და მოჩვენებითი სიკეთის, ერთგულების გამოსახატავად. ამისთვის კარგი იქნებოდა ტრაგიკომიკური ელემენტების, ირონიის, მკვეთრად ჩვენება, რაც ლორენცოს ახლებურად გააზრებულ სახეს მეტ დამაჯერებლობას მისცემდა, რითაც უფრო მოქნილი გახდებოდა შინაგანი სამყაროს, განცდა-შეფასებების გადმოცემა.

თათული ედიშერაშვილის ძიძა თანამედროვე ქალია, რომლისთვისაც უცხო არ არის ქალური ვნებები, მაგრამ, პირადი ცხოვრების მოუნესრიგებლობის გამო, შეუმდგარი ცხოვრება მის შინაგან სამყაროში გარკვეული კომპლექსების ჩამოყალიბებას იწვევს. ამიტომაც ირგებს ხოლმე ჯულიეტას კაბას, ირონიულად უყურებს რომეოსა და ჯულიეტას სიყვარულს, ემოციებს ვერ მალავს ბენვოლიოსა და მერკუციოსთან შეხვედრისას, მაგრამ მათ ყურადღებას ვერ

იმსახურებს. მისი შეფასებები ემოციურია, ვინაიდან მოვლენების განვითარების თანამონაცილეა, მაგრამ ვითარების გამოყენებას თავის სასარგებლოდ ცდილობს. იგი ჯულიეტას სიყვარულს კი არ უწყობს ხელს, არამედ თავისი პატრონისადმი მოვალეობის შესრულებითაა დაკავებული. ამიტომაც არაგულწრფელი განცდით შეიცხადებს ჯულიეტას სიკვდილს, რომლის გარშემო გმირები ნიღბებით ცეკვავენ, რაც ფარისევლური გარემოს დამლუპველობას ნარმოაჩენს. ლორენცოც, საკუთარი ცოდვების შესანიღბად, სხვებს ადანაშაულებს.

ლორენცოსა და ძიძის დანიშნულებას რეჟისორი კიდე ერთი სახიერი მეტაფორით წარმოსახავს: რომეოსა და ჯულიეტას ისინი აცმევენ შექსპირისეული ეპოქის ტანსაცმელს და აშორებენ მათ ლოგინებს, როდესაც ისინი საქორნინო სარეცელზე წვანან. ამიტომაც არა უწყობს განცდით შეიცხადებს ჯულიეტას სიკვდილს, რომეოსა და ჯულიეტას ისინი აცმევენ შექსპირისეული ეპოქის ტანსაცმელს და აშორებენ მათ ლოგინებს, როდესაც ისინი საქორნინო სარეცელზე წვანან.

კიდევ ერთ პასუხისმგებლობას გაურბიან ლორენცო და ძიძა — ეს არის რომეოსა და ჯულიეტას ფარული ჯვრისენერის ხელშეწყობა, რაც მათთვის სახიფათო ხდება ჯულიეტასა და პარისის ქორწინების შემთხვევაში. ამიტომ ახალგაზრდების დაღუპვა ორივეს ხელს აძლევს. ფინალში მათ გარშემო დანარჩენი გმირები ერთიანდებიან — ცხოვრება ჩვეულებრივად გრძელდება...

სხვა პერსონაჟებისგან განსხვავებით, მთელი მოქმედების განმავლობაში ბენვოლიოს შუა საუკუნეების კოსტუმი აცვია. ამით მინიშნებულია მისი დანიშნულების საჭიროება ყველა ეპოქაში. სპექტაკლში მისი სახე, პიესისეულ გმირთან შედარებით, შეცვლილია და მეტი ფუნქცია აკისრია. იგი „ერთგულია“ მევობრებისადმი და ასევე წარმატებით მოქმედებს მათ წინააღმდეგ და ტიბალტსაც უხრის ქედს. მსახიობი გიორგი ცხადაძე გულწრფელად წარმოსახავს თავის გმირს მერკუციონსა და რომეოსთან დიალოგებით, მაგრამ შემდგომში, ლორენცოს დავალებების შესრულებისას, ველარ ავლენს გმირის სხვა თვისებების — პირადი ინტერესების, ბერისადმი ერთგულების, რომეოს დალატის შინაგან გამართლებას. იგი უფრო ერთფეროვანი ხდება, როგორც მოქმედებით, ასევე შეფასებებით, რაც აუცილებლად უნდა იცვლებოდეს მოქმედების გართულებასთან ერთად. უნდა ჩანდეს, რომ იგი ყველა ეპოქას ერგება და მუნჯი ფილმის რეჟისორადაც გველნება.

სრულიად გაუმართლებელია ქალბატონი კაპულეტის (ვერიერ კალანდარიშვილი) სახის გააზრება. ამის მინიშნება არც პიესაშია და მოქმედებასთანაც არ არის დაკავშირებული. რომეოსა და ჯულიეტას ჯვრისენერისას მერკუციონსთან, ჯულიეტას ქორწინებაზე საუბრისას და ჯულიეტას სიკვდილისას პარისთან სექსუ-

ალური აქტები, სპექტაკლს არაფერს სძენს. თუკი რეჟისორს გარყვნილ საზოგადოებაზე უნდოდა მითითება, ამისთვის სპექტაკლში არსებული სხვა გარემოებებიც საკმარისი იქნებოდა. სხვა მოტივები კი მოქმედებიდან არ გამომდინარეობს. ასევე მოტივირება სჭირდებოდა ძიძას მსახურ პიეტროს სცენაზე გამოჩენას, რომელსაც გაგა მახათაძე ცისფერად წარმოსახავს. გიორგი ჭუმბურიძის პარისი საკუთარ თავში დაჯერებულია, რადგან სასიდედროსთან ინტიმური კავშირით, დარწმუნებულია ჯულიეტასთან ქორწინების მიღწევაში. მასში დიდი სიყვარულის ნაცვლად, უფრო ჯულიეტას ხელში ჩაგდების ინტერესი ჩანს, რაც პირადი პატივმოყვარეობიდან გამომდინარეობს. იუკა ვასაძის მეაფთიაქე არა მარტო მატერიალური გაჭირვების გამო მიჰყიდის საწამლავს რომეოს, არამედ იგი ცხოვრებით გაბოროტებულია იმის გამო, რომ სხვის ხარჯზე უძღება არსებობა, ხან ლორენცოს ქიმიურ ლაბორატორიაში იმალება მაგიდის ქვეშ, რომ წამლების კეთების საიდუმლო გაიგოს, ხან ბერის დავალებების შემსრულებელია, რაც მას არ აკმაყოფილებს. ახდრია გველესიანის მერკუციორ რომეოსა და ბენვოლიოს ერთგული მეგობარია. მისთვის უცხოა ღალატი, გაუტანლობა და ვერ იტანს უსამართლობას, თავხედ ადამიანებს და ამიტომაც უკომპრომისოდ შეებრძოლება ტიბალტს, რომლისადმი არც შიში აქვს და გამარჯვებაზეც ფიქრობს, თუმცა, რომეოს წყალობით, უბედური შემთხვევის მსხვერპლი ხდება. მისი დამოკიდებულება გმირისადმი ირონიულია, ვინაიდან მსგავსი ადამიანები არცერთ ეპოქაში თავიანთ ადგილს ვერ პოულობენ.

რომეო და ჯულიეტა გიგი მიგრიაულისა და სოფიო სებისკვერაძის შესრულებით, საერთოდ არ არიან თავდავინყებულად შეეცარებულები (როგორც ეს პიესაშია), მათი გრძინები ახალგაზრდული ვნებათალელვიდან მომდინარეობები. ისინი თავიანთი მიმდობი ხასიათის, სხვებისადმი გულწრფელი დამოკიდებულების მსხვერპლი აღმოჩნდებენ. მათ უღალატეს უახლოესმა ადამიანებმა — ლორენცომ, ბენვოლიომ, ძიძამ. საზოგადოებაც ინდიფერენტული აღმოჩნდა, მაგრამ მაინც ასეთ გარემოცვაზე ამაღლდენ და სიკედილით გაიმარჯვეს. ასეთია ადამიანთა ბედი ზნედაცემულ სამყაროში, სადაც ყველაფერი შესაძლებელია და ფარისევლურ საზოგადოებას არაფერი შეცვლის.

ასეთი უჩვეულო ინტერპრეტაციის სპექტაკლი შესთავაზა თეატრმა მაყურებელს, რომელსაც შეიძლება დაეთანხმო, ან არ გაიზიარო, მაგრამ დამდგმელი კოლექტივის ახლებური ხედვის ჩანაფიქრი და სურვილი ნამდვილად ჩანს.

მყრალი ჭუთი

მისი გურგანიძე



მამათა და შვილთა ბრძოლა — ამ სახელით დამკვიდრდა ქართულ ცნობიერში თაობებს შორის არსებული გაუგებრობა და კონფლიქტი. პრობლემებს ბუნებრივია მხოლოდ ასაკობრივი განსხვავებულობა არ განსაზღვრავს და ვერც განსაზღვრავს ბოლომდე. ძალზე მარტივია და ზედაპირული მხოლოდ ამ კუთხით განიხილო მათ შორის ჩატეხილი ხიდის პრობლემა.

და მართლაც რა განაპირობებს საკუთარი სისხლის და ხორცის ჯანყს — გაზრდა? აღზრდა? ტენიკური პროგრესი? ფასეულობათა გადაფასება? სად ან როდის ხდება, ერთი შეხედვით, უმნიშვნელო შეცდომის დაშვება, რომელიც შემდგომ ცხოვრების დრამად გადაიზრდება ორივე მხარესთვის. მოყვრად გაზრდილი რის შემდგომ იქცევა მტრად? მეტი სიყვარული როდის იქცევა სხვისი გულგრილობის, ინდიფერენტულობის, სისასტიკის, დაუნდობლობის საფუძვლად?

და მართლაც... რაა შეცდომა, სად და როდის, რომელი გრძნობის, რომელი შეგრძნებების გაცემის, თუნდაც გალების საფუძველზე წარმოიშვება განსხვავებულობა, რომელიც შობს გაუგებრობას, გაუგებრობა კი ქმნის საბო-

ლოოდ კონფლიქტს. კონფლიქტს ორ ერთსა და იმავე ენაზე, ერთსა და იმავე გრძნობებით მცხოვრები ადამიანებისთვის, ერთ ცის ქვეშეთში, არა, უფრო მეტიც — ერთ ჭერქვებს.

ინერგებოდა დიდაქტიკური ჟანრის ნანარმოებები, იყო პროზაშიც და იყო პოეზიაშიც რჩევები, დარიგებები. ფილოსოფიასთა და ფსიქოლოგთა ანალიზები. იყო მათი დასკვნები, მზა რეცეპტები, მაგრამ ყოველ ეპოქაში, ყოველ თაობაში ისმებოდა კითხვები და რჩებოდა გაუცემელი პასუხები.

ვიცით, რომ იდგმებოდა ქართულ სცენაზეც თაობათა შორის, მამათა და შვილთა პრობლემების გადაჭრის გზები. ვიცით, მაგრამ მახსოვეს ცუდად, რადგან ქართული თეატრი დიდი ხანია გაექცა ადამიანის სულში არსებული მსგავსი შეგრძნებებით დაინტერესებას. ქართულ თეატრს დღეს სამყაროს აბსურდულობა უფრო ადარდებს და ამ ქაოსისგან გამოწვეული დეგრადირებული ადამიანის ყოფა ფარსით და გროტესკით გამოხატული, ვიდრე უბრალოდ ყოფაში ყოფა.

თუმც, პირველ შემთხვევეში უჩვეულო თავისი მოზღვავებული, მომეტებული ინტერესით

იმდენად ჩვეულებად იქცა და ჩვეულებრივი გახდა, რომ ჩვეულებრივი უკვე თავისი გადაჩვევით, უჩვეულოდ გვეჩვენება.

სწორედ ასეთი უჩვეულო, არა-ჩვეულებრივი სპექტაკლი დაიდგა რუსთავის თეატრის ექსპერიმენტულ სცენაზე.

თანამედროვე ქართველი პროზაიკოსის კოტეჯანდიერის მოთხრობის „საოჯახო ქრონიკის“ მიხედვით ახალგაზრდა რეჟისორის გიორგი ქანთარიას მიერ დადგმული ამავე სახელწოდების სპექტაკლი ამ უჩვეულობის არაჩვეულებრივი გამოხატულებაა.

ჩვეულებრივია აქ ყველაფერი — ოთახის შუაგულში მრგვალი მაგიდა თეთრი სუფრით. მაგიდის გარშემო თეთრი ჩუქურთმებიანი სკამები და იატაკზე საოცრად ესთეტიურად მიმოფენილი პატარა ნერილები. მარჯვენა მხარეს საკერავი მანქანა იატაკზე გადმოვჭერილი უკვე გაკერილი თეთრი ნაჭრით, მარცხენა მხარეს პატარა ტუმბო ტელეფონით, იქვე იატაკზე მოთავსებული პატეფონი. სცენის სიღრმეში ახდილი ფორტებიანო და ხის ტანსაცმლების საკიდი. ამალებულ ფიცარნაგზე ბარის „როლიკებიანი“ შავი და როიალის თეთრად გადადებლი სკამი. ფიცარნაგის ქვევით კუთხეში აყუდებული გიტარა და სცენის სიღრმეში განათების ელემენტი — ერთ-ერთი პერსონაჟის პროფესიის აღმნიშვნელი. თუმც, ეს რამპა ჩემთვის სიმბოლურ ელემენტს იძენს, მაგრამ ამაზე შემდგომ.

ჩვეულებრივი, ტიპიური 70-80-იანი წლების ინტერიერი (მხატვარი-ლომგულ მურუსიძე), თავისი ცნობილი „გორკებით“ და „სტენკებით“, რომელიც თუმც სცენაზე არ დგას, მაგრამ ასოციაციით ზუსტად იმ წლების ოჯახს გახსენებს ანკეტის გრაფაში სოციალურ სტატუსად მოსამახურედ რომ მოიხსენიებდნენ.

ამ ჩვეულებრივ გარემოში მცხოვრები ადამიანები — ბებია (ლარისა ხაჭაპურიძე) გაჭალარავებული თმით, ყელზე თეთრი არშიით, ოჯახური საქმეებით დატვირთული, ენერგიული, ლოიალური, შვილიშვილების დამცველი, ხოლო შვილთან და სიძესთან მუდმივად საყვედურების მთქმელი. ის ყოველთვის მოუნიდებს ოჯახს გაერთიანებისკენ და მათი თავშეყრის მიზანად ხან ბატის შენვას, ხან ახალ წელს, ხან რას და ხან რას იმიზეზებს და იგონებს.

შვილი დიანა (ეკატერინე ქვრივიშვილი). ქალი, რომელიც მართლაც ცდილობს ოჯახის გაერთიანებას. ზრუნავს შვილებზე, აფორიაქებულია, შენუხებულია მათზე, სულ მოძრაობაშია მათვის. მაგრამ შვილებისთვის ჩადენილი საქციელი მისავე ფიქრებს არასადროს სცილდება. კონკრეტულ მომენტში, კონკრეტული პრობ-

ლემის ნინაშე მდგარი ყოველთვის ქმარზე ამყარებს იმედებს და მას სთხოვს ყოველთვის დახმარებას. საკუთარი თავის გამართლების მიზეზად კი სამსახურში გამოძახებას და შოუცლელობას ასახელებს. ეს მისი ერთგვარი თავდაცვის მომენტია, რომელსაც საკმაოდ გვიან აცნობიერებს თვალცრემლიანი დედის ნინაშე მდგარი. სწორედ, იმ დედის, რომელიც მის მოფერებასაც კი ვერ ბედავს და მხოლოდ ნემსით და ძაფით ტანსაცმლის გაკერვით გამოხატული ზრუნვით და შორი მანძილიდან თავზე ხელის გადასმით კმაყოფილდება.

ქმარი — სახელად ქრისტეფორე, თანამდებობით რედაქტორი. ერთი შეხედვით, განონასწორებული, მშვიდი, რაციონალური, დადებითი, ოჯახზე მზრუნველი, მშრომელი, პატიოსანი, მყარი ტრადიციების, საზოგადოებრივი აზრის პატივისმცემელი და ანგარიშს გამწევი ადამიანია.

ქრისტეფორეს, რომელსაც არასდროს ავინყდება მადლობა გადაუხადოს სიდედრს გემრიელი სალათის გამო, მოიხადოს ბოდიში და გვიანების შემდეგ, შვილს — ნიკოლოზს ყოველ დილით გაახსენოს რომ რძე ჯამშია და დალიოს, მაგრამ ამავე დროს ჩაიდინოს ყველაზე გაუმართლებელი საქციელი — საკუთარი შვილი, დასჯის მიზნით, სხვა ქალაქში ნათესავებთან გაამგზავროს, მიზეზად კი მისი ცუდი ნიშნები და უსწავლელობა დაასახელოს.

შვილი მირცა (ნათია მელაქე). მისი ყოველი საქციელი ანერვიულებს დედას და აღიზიანებს ქრისტეფორეს, მის მამინაცვალს. საკუთარ თავში ჩაეტილი ყოველთვის დამოუკიდებლად იდებს სწორედ ისეთ გადაწყვეტილებებს, რომელიც ზუსტად იცის, რომ მისი ოჯახისთვის მიუღებელია. თუ დედა თავისი გადმოსახედიდან, შეხედულებებიდან, თავის აზროვნების ფორმიდან და რწმენიდან ცდილობს მაინც შეინარჩუნოს ოჯახიდა ამის გამო, ხანდახან შვილებისთვის არასასარგებლო და არასამართლიან გადაწყვეტილებასაც კი იღებს, მირცა საერთოდ არ ცდილობს საერთო ენის გამოძებნას. პირიქით, ყოველი მისი საქციელი, ყოველი დანერილი სიტყვა კიდევ უფრო აღრმავებს მათ შორის არსებულ უფსკრულს. ის ხშირად ბრუნდება გვიან სახლში, შეყვარებულია მასზე უფროს ცოლგანაშვებ მამაკაცზე, რომელიც დედას ისეთ სიშმაგეში აგდებს, რომ ხელითაც კი შეეხება მირცას, რაც ბუნებრივია მირცას სახლიდან საბოლოო ნასვლით სრულდება.

ნიკოლოზი (თემო რევოლუშვილი) დედ-მამის დახასიათებით „უსაქმური“ ადამიანი, რომელმაც ინსტიტუტშიც კი ვერ ჩააბარა და კინოსტუდიაში მუშაობს გამნათებლად. მას ოთახი ყოვ-

ელთვის არეული აქვს, სიგარეტის ნამწვავები მიყრილ-მოყრილი, უყვარს თავისზე უფროსი ქალი, რომელსაც ქრისტეფორე ვერაფრით შეურიგდება.

ერთი შეხედვით, მართლაც ჩვეულებრივი ოჯახი. ოჯახი, სადაც მშობლები შვილებისგან სულ მუდმივად რაღაცას მოითხოვენ, სულ დარიგებების და შენიშვნების რეჟიმში აცხოვრობენ და შვილებიც, მშობლების ასეთი გამუდმებული ყურადღებით და მზრუნველობით გადაღლილები, უფლება ჩამორთმეულები პროტესტის ფორმას — დუმილს მიმართავენ.

მაგრამ ეს არ არის ჩვეულებრივი ტრადიციული დუმილი. უფრო სწორად, დუმილი როგორც ზოგადად უთქმელობა. პირიქით, მთელი ხიბლი კ. ჯანდიერის ამ ნაწარმოების, მთავარი აზრი, საოცრად ღრმა და საინტერესო, ქვეტექსტიც და ტექსტიც, არატრადიციული, მაგრამ პრობლემის ფსკერზე არსებული მიზეზის ყველაზე ზუსტი ახსნაც და განმარტებაც, ამ დუმილის სხვაგვარობაში დევს.

ნაწარმოების პერსონაჟები არ დუმან, ჩუმად არ არიან. პირიქით, თითოეული მათგანი საკუთარ ნაფიქრს ახმოვანებს, ოღონდ წერილობით. წერილების წერით ერთმანეთში საუბრობენ, წერილების კითხვით ერთმანეთს პასუხობენ. სულ წერენ, კითხულობენ, ისევ წერენ, ოღონდ წერილებს, მხოლოდ წერილებს.

ის, რაც კ. ჯანდიერთან პერსონაჟთა აზროვნების ფორმას და ნაწარმოების მხატვრულ სტილს წარმოადგენს, გიორგი ქანთარია თამაშის ხერხად აქცევს და ნაწარმოებში მონოლოგის სახით არსებული წერილები, სპექტაკლში დიალოგის სახეს იღებს.

მაგრამ, აქ არის ერთმანეთში დიალოგი, ესეც გ. ქანთარიას უჩვეულო და საინტერესო ხედვაა. აქ არ მიმართავენ ერთმანეთს. ადრესატის ვინაობა რეჟისორული კონცეფციით მხოლოდ მსახიობის შეგრძენებით, მისი ემციერებით, ობიექტისადმი საკუთარი დამოკიდებულების გამოხატულებით, ხმის ტემპრით, სახის მიმიკით, მხოლოდ მისადმი დამახასიათებელი უქსტიკულაციით განისაზღვრება. უწვრილმანეს დეტალებამდე გააზრებული და დამუშავებული გმირის სულიერი სამყარო, ხასიათის უჩვეულობა, საქციელთა რიგი და ეს ყველაფერი მინიმალისტური ფორმებით, და ფორმებში გადმოცემული. სპექტაკლში ვერ ნახავთ გარეგნულ ეფექტებს, მკვეთრ და უხეშ მონასმებს, ტექნიკურ გამომგონებლობებს, მეტაფორებს. აქ, გარეგნული ფორმა არ ბატონობს შინაარსზე. სპექტაკლის ყველა დეტალში პარმონიული სისადავე და ბანალურობამდე დასული სიმარტივეა. ეს ის შემთხვევაა,

როდესაც შეიძლება ითქვას, რომ სპექტაკლი „საოჯახო ქრონიკა“ ბანალური ჭეშმარიტებაა. არა, უფრო სწორად, ჭეშმარიტება, რომელიც ყველთვის ბანალურია.

ხო, ჭეშმარიტება ბანალურია და ვფიქრობ, რომ ნაწარმოების სათაურიც ამ ბანალური ჭეშმარიტების ხაზგასმაა. ქრონიკა, როგორც წარსულის სურათების მიმოხილვაც და განხილვაც. ყველაფერი ერთში და ერთი ტკივილი ყველაფერში. ადამიანთა ურთიერთობის ისტორია დასაპამიდან დღემდე არსებული სათაურით საოჯახო ქრონიკა. და სწორედ ამიტომ, სპექტაკლის პერსონაჟები გ. ქანთარიას სცენის სიღმეში მდგარი განათების მეშვეობით შემოჰყავს სპექტაკლში და ამბის მოქმედების დასახუის წარსულის ფოტოებივით იწყებს. სტოპ-კადრი, განათდა სახე და პირველი შემომსვლელი ბებია გახლავთ. პირველი ბების გამოჩენა არც ნაწარმოებში და არც სპექტაკლში ამიტომ არაა შემთხვევითი. თითოეული ოჯახის წევრის ფოტოესესია საოჯახო ალბომის დათვალიერების ასოციაციის იმიტაციას წარმოშობს, სადაც ყველი სტოპ-კადრი მათი პორტრეტის ძირითად შტრიხს ფართო პლანით გამოყოფს.

მაგრამ ტკივილი არ არის ბანალური. ტკივილი, რომელიც სპექტაკლის გმირებმა დუმილში გაცვალეს.

გასაგებია, რომ დარღვეულია მათ შორის კომუნიკაცია. მოშლილია ნდობა, არარსებულია ურთიერთგაებების სურვილიც კი. გასაგებია, რომ ეს პრობლემა არ ახალია, ძველია, მაგრამ მიზეზი თუ რატომ ჩნდება, რატომ ხდება ოჯახის წევრებს შორის ურთიერთობის ასეთი ფორმა, ვფიქრობ, რომ ახალიცაა, საინტერესოც და რაც მთავარია აქამდე გაუმნელელი, გაუბედავი და უთქმელი სიმართლეც.

ორი დღე საკუთარ სხევნზე ფეხშექცევით მწოლიარე და-ძმას ქრისტეფორე თავზე დაადგება. ორი დღე მოუკითხავი შვილების შემდეგ, ამ სურათის მნახველ ქრისტეფორეს სიბრაზე ახრჩობს. მაგრამ მამა სიბრაზის რეალურ მიზეზს, რა თქმა უნდა, არ ასახელებს და გაკვირვებულ შვილებს კიდევ უფრო გაკვირვებულს ტოვებს.

მაინც, რატომ ან საიდან იშვება ქრისტეფორეში ეს ბინძური, შემზარავი აზრი. ნუთუ მხოლოდ მირცას გერობა განაპირობებს ამ აზრის შობას, რომ შემდგომ, საკუთარი სისუსტის, მოუცლელობის, უყურადღებობის და გულგრილობის გასამართლებლად სხვა დამნაშავედ გამოაცხადოს და სწორედ ასე და ამით გამაყაროს საკუთარი შემზარავი აზრის არსებობა.

და მართლაც ახასიათებს მშობლებს დანაშაულის გრძნობის გაღვიძება საკუთარ შვილე-

ბზე მათთვის მოუწონებელი და მიუღებელი საქციელის გამო. არა აქვს მნიშვნელობა ამ შემთხვევაში რა განაპირობებს დანაშაულის კომპლექსს ქრისტიფორესავით ბინძური აზრები თუ დედამისისთვის მამის საყვარლის გამხელის ამბავი, ინსტიტუტში ჩაუბარებლობა თუ ცუდი ნიშნები. შეიძლება ეს იყოს ძალზედ უმნიშვნელო ფაქტი ან ამბავი. მოკლედ, ყოველივე ის, რაც მშობლის მიერ შვილებისთვის მოფიქრებულ სამომავლო გეგმასა და აღმზრდელობით ნორმების უგულვებელყოფას ან თუნდაც ცოტაოდენ გადაცდენას მოიცავს.

და მაინც, რას აშავებენ შვილები? რა დააშავეს მირცამ და ნიკამ — ის, რომ ორი დღე ყველას-გან მივიწყებულნი, და ეს არ იყო როგორც ჩანს, პირველი შემთხვევა, ერთმანეთთან დაას-ლობას შეეცადნენ? ის რომ, მონაგრებულნი მშობლების სიყვარულს და მზრუნველობას ერთმანეთში დაინწყეს ამ გრძნობის ძებება? ის, რომ არ მოსწონდეს ნიკას და არ უყვარდეს თუნდაც რძე, რომელსაც ყოველდღე მასზე ზრუნვის ფა სიყვარულის სახელით ქრისტეფორე ჯამში რომ უსაბამს? დანაშაულია საკუთარ სივრცეში დაუკითხავად შემოჭრის არ მოწონება, როდესაც ბებია მირცას გადამალულ წერილებს ყველას ნააკითხებს?

იატაკზე ფეხებმორთხმით მჯდარი ნიკა ცნობილი თამაშის მსგავსად ბოთლს წრეში ატრიალებს და მისი წარმოდგენით ბოთლი აუცილებლად დამნაშავესთან შეჩერდება. ვის დაადო ნიკამ ხელი და ვის აკიდა ეს ცოდვა თუ დანაშაული სპექტაკლში რეჟისორის მიერ მკვეთრად გამოხატული არ არის, რადგან ნიკას თვალში ამ საქციელის ჩამდენი თავისუფლად შეიძლება თითოეული ოჯახის წევრი იყოს.

და მართლაც... დანაშაულია შვილებს გააჩნდეთ თუნდაც საკუთარი საიდუმლო, გემოვნება, ხედვა, აზროვნების სტილი — მოსწონდეთ და უყვარდეთ მათზე ასაკით ბევრად უფროსი ადამიანი, თუნდაც მშობლისთვის მიუღებელი, როცა არ არიან მკვლელები, ქურდები და ბანდიტები, მაინც დანაშაულია?

მიღებული და დაგენილი წესებიდან გადახვევის შემთხვევაში, ქორნინებამდე მამაკაცთან ურთიერთობის გამო, შეიძლება ამ მამაკაცს მშობელმა დაცინვის და აგდების მიზნით შეარქეს „ცოლის გაცილებული მედუდუკე?“ სადარბაზოსთან იდგეს დედაფიანა მეგობართან ერთად ნახევარი დღე, რომ შვილი-მირცა „უსირცხვილო“ საქციელში გამოიჭიროს? დაიმახსოვროს მანქანის ფირმა და ნომერი, რომელშიც საკუთარი შვილი ჩაჯდა და განერვიულებული, აღზნებული და გაანჩხლებული ე. ქვრივიმვილის დიანა სახლში მი-

სული ქმარს წერილობით ამ საქმის გამოძიებას თხოვდეს? ეს მშობლის მხრიდან ნორმალურია?

მაგრამ, ეს ნორმაა დიანას გმირის გადმოსახედიდან. უფრო მეტიც, ტრადიციების და ოჯახის პატიოსანი სახელის დაცვაა, რომ არ გახდეს სხვათა სალაპარაკე.

მაგრამ რეალური მიზეზი თუ მხოლოდ ესაა, მაშინ მირცა გათხოვდა, თუმც, არც ამ შემთხვევაში შერიგებია დიანა და არც სიძის გასაცნობად მისული მათთან სახლში. მხოლოდ ბებია იყო მისალოცად მისული და მრგვალ მაგიდასთან შუაში მჯდარი ლარისა ხაჭაპურიძის ანა აღფრთოვანებით ყვება ახალი სიძის დადებით თვეშებებს, რომელსაც, რა თქმა უნდა, არც ერთი სხვა ოჯახის წევრი არ უსმებს. ფორტეპიანოსთან მჯდარი მირცა აკორდებით ამძიმებს ბებიის ხალისიან და ამაყი მზერით, ღიმილით მოყოლილ ამბავს.

ეს მძიმე აკორდები სწორედ ის ემოციური ფონია, რომელიც ზოგადად ოჯახში და მათ სულში ტრიალებს.

მისი მისამართით ნათქვამ ყველ პრალებას, ყოველ არასწორად გაგებულ აზრს თუ ქმედებას, ყველაფერს მშვიდად და მოთმინებით იტანდა მირცა, მაგრამ როდესაც მთელი ეს სიბინძურე მის ქმარსაც უთხრეს, გაავებული ნათია მელაძე, დაჭრილი ცხოველის ხორხიდან ამოსული ხრიალით გლეჯს სუფრას, წერილებს ჰაერში აფრიალებს და თითქოს სახეში აყრის და ახლის ქრისტეფორეს მთელ სიმართლეს, წლების განმავლობაში დაგროვილ ტკივილს, აქამდე მხოლოდ უურცლებზე გამხელილს, ამჯერად კი ხმამაღლა ნათქვამს. მთელ პროტესტს, გამწარებულ და ჩამწარებულ ბავშვობას. სუფრის ალაგების მომენტში, გაშეშებული ლანგარზე მოთავსებული ყავის ჭიქებით ხელში, ამის შემხედვარე დიანა იმავე პოზაში იყინება.

დამთავრდა დიანასთვის ყველაფერი. „აყალმაყალის ატეხას და ყველაფერის დანგრევას ნიკოს დროებით მოცილება“ რომ ამჯობინა, თურმე სულ ამაოდ. მაინც დაენგრა ოჯახი, ვერც შვილები შეინარჩუნა და ვერც ქმრის სიყვარული დაიბრუნა. ქრისტეფორეს გვერდით მდგარი, მოსიყვარულე თვალებით მალულად აპარებს მისკენ თვალს. ქრისტეფორე გრძნობს მის მზერას, მაგრამ არ თანაუგრძნობს. უფრო მეტიც, როგორც კი დიანა მისკენ მოფერების მიზნით ხელს მხრისკენ გააცურებს, ისე უხეშად გამოხედავს ცოლს, რომ დიანა შეცბება და ადგილზე გაშეშდება.

კოჯორეთად ექცათ ცხოვრება, თითქოს როლები შეიცვალა და დამნაშავე შვილები უცებ მშობლების მსაჯულებად იქცნენ. „მე დავამახინჯე, თუ ეგეოები დაიბადნენ?“ კითხულობს

სასონარკვეთილი დიანა და პასუხი თავადვე ბრნყინვალედ იცის.

მაგრამ როგორც არ უნდა ექებო დამნაშავე, ვისაც არ უნდა დაადო ხელი, საუბედუროდ, ეს ის პრობლემაა, როდესაც ერთდროულად ორივე მხარე შეიძლება იყოს დამნაშავეც და მსხვერპლიც.

„მე ხომ ის მყრალი ყუთი ვარ, რომელშიც ყრიან დაგროვილ ნაგავს“ — წერს ნიკა მირცას ერთ-ერთ წერილში და ეს ამ პრობლემის აპსოლუტურად ზუსტი ფორმულირებაა... საუბედუროდ.

და მართლაც საუბედუროდ, ეს სიტყვები სრული ჭეშმარიტებაა.

შვილები, რომლებშიც მშობლები თავიანთ აუხდენელ სურვილებს, განცდებს, მიზნებს და ოცნებებს დიდი დოზით ყრიან არა შვილებზე ფიქრით, არა მათზე ზრუნვით, არამედ საკუთარი თავისადმი ეგოისტური დამოკიდებულებით, საკუთარი თავის შეცოდებით, საკუთარი შეცდომების გამართლებით, საკუთარი კომფორტის მოსაპოვებლად.

მშობლები შვილის განცდებს, გრძნობებს, გონებას და ტვინის უჯრედებს მთლიანად იყავებენ და ამიტომ შვილების არასწორ, არაგეგმაზომიერ გადახვევას, ერთგვარ იმპროვიზაციას, თუ ფანტაზიის გამოვლენას, მშობლები ასე მტკიცნეულად აღიქვამენ და უფრო მეტიც, დალატის, დანაშაულის სახელითაც კი რაცხავენ.

ამიტომ დადიან ამდენი უდანაშაულო დამნაშავე შვილები ამ ქვეყნად, რომლებსაც მშობლებმა ყოველი მათი აუხდენელი ოც-

ნება კომპლექსად უქციეს. პატარაობიდან ისე შთაგონეს და გაუმდაფრეს მშობლის მიმართ შეუსრულებელი სურვილებით გამოწვეული დანაშაულის გრძნობა, რომ დიდობაშიც ვერ მოიშოროს ეს აზრი, ვერ მოინელოს ჩაუდენებული სირცევილის არსებობა, რომელიც ნიკას შემთხვევაში ყოველი დალევის შემდეგ ფანჯრიდან თვითმკვლელობის სურვილში გამოიხატებოდა.

და ერთხელაც, გამოფრინდა ნიკა ფანჯრიდან და დარჩა მხოლოდ სიცოცხლის ანაბარა სმენა და მხედველობა დაქვეითებული. რა იყო ამჯერად მისი ეს გაფრენის სურვილი-განთავისუფლება სინდისის ქეჯნის სურვილისგან, იმ ბყრალ ყუთში დაგროვილი აზრებისგან, რომელიც მთელი ცხოვრება თავისი სხეულით ატარა?

არა, ნიკას ჯერ კიდევ არა აქვს წაკითხული მირცას სიტყვები არ ჩადენილი დანაშაულის და მისი უდანაშაულობის შესახებ.

ნიკა, როგორც მყრალი ყუთი ისე აპირებს ცხოვრების დასრულებას, მაგრამ დეა, რომელიც ბოლომდე ათვითცნობიერებს ამ ყუთში თავისი უამრავი ჩადებული და დაგროვილი ნაგვის სიმრავლეს და სიმძაფრეს, დუმილის უფლებას იტოვებს. ოთახში იკეტება, მაგრამ დაწერს წერილებს?

ან ვინ იქნება შემდეგი მყრალი ყუთი? მირცა? რომელიც სპექტაკლის დასაწყისში ჩემოდნით შემოდის სცენაზე და მთელი ეს ამბავი მისი გახსენებაა. თუ მირცა ოჯახში დაბრუნდა ეს იმას ნიშნავს, რომ პრობლემა გაგრძელდა.

ამროკორტში გათამაშებული დრამატული ამბები

მანანა გეგეჩაორი

სპექტაკლი „სამშობლო“, „რომელიც თანამე-დროვე ხელოვნების განვითარების ცენტრშა, თემურ ჩხეიძის სახელოსნომ და სამეფო უბნის თეატრმა წარმოვიდგინეს, 5 ერთმოქმედებიანი პიესისგან შედგება. თავდაპირველად 6 პიესა უნდა ყოფილიყო, მაგრამ მსახიობის ავადმყოფობის გამო ერთი პიესა ვერ წარმოადგინეს. სპექტაკლის აგების პრინციპი ასეთია: თემურ ჩხეიძის სახელოსნოში 3 დრამატურგი (მაკა კუკულავა, დათა ფირცხალავა, ალექს ჩილვინაძე) და 6 რეჟისორია (გურამ ღონიძე, იოანე ხუციშვილი, ნინი ჩაკვეტაძე, თათა პოპიაშვილი, სოფიო ქელბაქიძი, გორგი ქათამაძე). დრამატურგებმა ორ-ორი პიესა შექმნეს. ეს ნანარმოებები რეჟისორებმა განახორციელეს სამეფო უბნის თეატრის სცენაზე. ცხადია, ერთ მთლიანობად ისინი თემურ ჩხეიძემ შექრა.

სპექტაკლში სხვადასხვა თაობის მსახიობები მონაწილეობენ. შედარებით უფროსები — ლილი და ნანა ხურითები, ალექს მახარობლიშვილი, ახალგაზრდები — ნინო ჭილაძე, პოლონ კუბლაშვილი, გიორგი ზანგური, მაგდა ლებანიძე, გაგა შიმინაშვილი, იაკონ ჭილაია, შაკო მირიანაშვილი, პაატა ინაური და თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტები — ანასტასია ჭანტურაია, ლევან სარალიძე, ივა ქიმერიძე, ბექა ხაჩიძე. სტუდენტთა შორის გარკვეული სასცენო გამოცდილების მქონე რეჟისორებიც არიან. თეატრალური ხელოვნებით დაინტერესებულ ქართველ მაყურებელს იოანე ხუციშვილის, ნინი ჩაკვეტაძისა და თათა პოპიაშვილის სპექტაკლები უნახავს. ახლა ისინი თავიანთი ოსტატობის სრულყოფას ისახავენ მიზნად. ალბათ ამიტომ ჩააბარეს თემურ ჩხეიძის სახელოსნოში.

თ.ჩხეიძე: „ალბათ გახსოვთ, რამდენიმე წლის წინაც მყავდა ასეთი ჯგუფი, რომელიც რეჟისორებისა და დრამატურგებისგან შედგებოდა. სპექტაკლიც დავდგით სახელწოდებით „აქ, ამ სავანეში.“ იმ შემთხვევაშიც ყველა ერთაქტიანი პიესის მოქმედების ადგილი არ იცვლებოდა. ეს იყო ბაღის სკამი. მეორე ჯგუფშიც

ივივე პრინციპით ვმუშაობ. ცხადია, ვითვალისწინებ წინა ჯგუფთან მიღებულ გამოცდილებას, მაშინ დაშვებული შეცდომების გამოხორცებასაც ვცდილობ.

ჩემთვის მთავარია, დრამატურგებმა პიესის აგება ისნავლონ, რეჟისორებმა — სპექტაკლისა; ამბის გადმოცემა თეატრალური ქმედების ენაზე. დრამატურგის კანონები ხომ ცხოვრებაშიც მოქმედებს. ჩვენც სწორედ რეალური ცხოვრებისეული მოვლენებიდან ამოვდივართ, მათ ვეყურდნობით და მათ საფუძველზე ვცდილობთ შევმნათ კონფლიქტური სიტუაციები პიესასა და სპექტაკლში. ამ შემთხვევაში ჩვენი მთხანი იყო, მცირე დროში მომხდარიყო რაღაც ექსტრემალური, თუ გნებავთ, შოკის მდგომარეობასთან მიახლოებული ამბავი, რომელიც ადამიანის მომავალ ცხოვრებას არსებითად ცვლის. დროში შეზღუდულობა ართულებს ამოცანას, თუმცა კიდევ უფრო საინტერესოს ხდის მას. გვინდონდა ერთ გარემოში მოვგექცია სხვადასხვა ხასიათისა და ბიოგრაფიის ადამიანები. ასე გაჩნდა აეროპორტის იდეა.

ახალგაზრდებთან მუშაობის პროცესი ჩემთვის საინტერესო იყო. დრამატურგები ბევრ რამეს არა იმდენად პიესის წერის, არამედ მისი სცენაზე განხორციელების პროცესში ხვდებოდნენ. იყო შემთხვევები, როდესაც დაწერილ სცენაზე ვეუბნებოდნი, რომ მისი შინაარსი ან ფუნქცია არ შესმის. ზოგჯერ ჩემს შენიშვნას ეჭვის თვალით უყურებდნენ, მაგრამ შემდეგ, სარეპეტიციო პროცესში, პიესის სცენაზე პრაქტიკული განხორციელების დროს, თვითონ ხვდებოდნენ ბევრ რამეს. ვიმედოვნებ, ასეთი სახის ლაბორატორიული სამუშაო მომავალში გამოადვეკათ.“

„სამშობლოს“ ხუთივე პიესის მოქმედება აეროპორტში ხდება, ნახევრად გამჭვირვალე კედლებით შემოსაზღვრულ სივრცეში, სადაც რამდენიმე რეინის სკამი დგას. მეტი არაფერი. სრულიად ასეეტური გარემოა. არც მუსიკა ჟღერს სპექტაკლში. ყველაფერი მსახიობებზეა კონცენტრირებული, უფრო სწორად, პერსონაჟთა ურთიერთობაზე, მათ წარსულ კონფლიქტებსა და დღევანდელ უთანხმოებზე. ზოგი სამშობლოს ტოვებს, ზოგიც — უბრუნდება. რეჟისორები არანაირი სასცენო ეფექტით არ „ეხმარებიან“ არტისტებს, არ ცდილობენ გმირთა ურთიერთობის ხაზგასმას ან ჩანაცვლებას სინათლის, მუსიკალური, თუ პლასტიკური გამომსახველი საშუალებებით. ასეთი მიზანი დაუსახა მათ მასწავლებელმა — სახელოსნოს ხელმძღვანელმა თემურ ჩხეიძემ. პერსონაჟები თავიანთი რთული, არაერთმნიშვნელოვანი ურთიერთობებით, თითქმის ცარიელ სცენაზე,

თთქმოს ხელისგულზე აშიშვლებენ თავიანთ გრძნობებსა და სატკივარს. არც ერთ პიესაში არ არის კონკრეტული პასუხი ან მზა რეცეპტი, არც ერთი პერსონაჟია ყველაფერში მტყუანი ან სრულიად მართალი, იქნება ეს ორი თანაკლასელი (მაგა კუკულავას „გოგოები“, რეჟ. გურამ ღონდაძე, მონაწილეობენ ლილი და ნანა ხურითები), სკოლაში რომ კარგი მეგობრები იყვნენ, შემდეგ რატომძაც დაშორდნენ, თთქმოს გაუცხოვდნენ კიდეც, მაგრამ იქნებ, მათი შემთხვევითი შესვედრა აეროპორტში მათი ურთიერთობის შემბობუნების პუნქტად იქცეს? ან ახალგაზრდა ოჯახის დრამა (დათა ფირცხალავას „მესამე“, რეჟ. იოანე ხუციშვილი, მონაწილეობები: ნინო ჭოლაძე, გიორგი ზანგური, აპოლონ კუბლაშვილი), ოჯახისა, რომელიც ქმრის ხანგრძლივმა არყოფნამ დაახგრია, ცოლი მათ საერთო მეგობარს მიჰყება, ან ორი ექსტრავაგანტული ახალგაზრდის „უცნაური ურთიერთობა (ალექს ჩილვინაძის „ნითელქუდა“, რეჟ. ნინი ჩაკვეტაძე, მონაწილეობები: გაგა შიშინაშვილი, შაკო მირიანაშვილი, იაკო ჭილაია), რომელიც აეროპორტში შემთხვევით შესვედრილმა მღვდელმა იქვე, იმპროვიზიზორებული ჯვრისწერით დააგვირგვინა. ან დიდი ხნის განყვეტილი მამა-შვილობა, რომლის აღდგენაც თთქმის შეუძლებელია (დათა ფირცხალავას „ალიბი“, რეჟ. თათა პოპიაშვილი, მონაწილეობები: ალეკო მახარობლიშვილი, მაგდა ლებანიძე, პაატა ინაური). ანდა ამერიკაში მამასთან ნასასვლელად გამზადებული ახალგაზრდა ყმანვილის გადაწყვეტილება, საქართველოში დარჩეს, რადგან შეიტყო, რომ მის გასამგზავრებლად ბებიამ სახლი უნდა გაყიდოს (მაგა კუკულავას „ქალალდის თვითმფრინავი“, რეჟ. სოფო ქელბაძიანი, მონაწილეობები: ანასტრასია ჭანტურაია, ლევან სარალიძე, ივა ქიმერიძე, ბექა ხაჩიძე). ყველა პერსონაჟის ქცევა მოტივირებული, დამაჯერებელი და გასაგებია, ხუთივე ლიტერატურული ოპუსის სიუჟეტი დრამატურგიულად გამართულია. თითოეულში რაღაც ამბავი იწყება, ვითარდება და მთავრდება. ერთი შეხედვით, ეს ასეც უნდა იყოს, მაგრამ ამის მიღწევა ადვილი საქმე არ არის. თანამედროვე ქართული დრამატურგიის ერთ-ერთი უმთავრესი ხარვეზი სწორედ ესაა — ყველაზე მეტად სიუჟეტის სწორად აგება უჭირთ, ამბის მოყოლა ქმედებით დატვირთული დიალოგების საშუალებით, იმ ენაზე, რომელიც სასცენო ხელოვნების კუთვნილებაა. არაერთხელ ნამიკითხავს დლევანდელობის ამსახველი პიესა, სადაც დრამატურგი ექსპოზიციას თითქმისდა ნორმალურად თხზავს, კვანძის შეკვრამდეც მიღის, შემდეგ კი ისე იბნევა საკუთარი სიუჟეტის ხლართებში, რომ იქიდან გამოლწევა თავადვე უჭირს. ხშირად პიესა მხოლოდ ადამიანთა ურთიერთობის შედეგებს

წარმოგვიდგენს და არა პროცესებს. სცენაზე კი სწორედ პროცესია საინტერესო — კონფლიქტის აღმოცენება, განვითარება და გადაწყვეტა. თემურ ჩხეიძე, როგორც თეატრის პრაქტიკოსი, გამოცდილი რეჟისორი და პედაგოგი, ცდილობს სწორედ ეს ასწავლოს დრამატურგებს. მისი სახელოსნოს დაკომპლექტების პრინციპიც ამ მიზანს ემსახურება — პიესის მზერლებმა კარგად უნდა გაიცნონ და შეიგრძნონ თეატრი შიგნიდან, ჩანვდნენ სინთეზური ხელოვნების არსა, ბუნებას, სპეციფიკასა და თავისებურებებს. დრამატურგი ხომ თეატრალური ანსამბლის წევრია. ცხადია, თ.ჩხეიძის თეატრალური სახელოსნოს უმთავრესი მიზანი რეჟისიროთა პროფესიული დაოსტატებაა, მაგრამ, ვთიქრობ, დღეს ჩვენთვის არანაკლებ მნიშვნელოვანია დრამატურგიაში არსებული შემოქმედებითი დეფიციტის შევსება. კარგი პიესები ქართულ თეატრს ჰაერივით სჭირდება. არ ვიცი, დარჩება თუ არა „სამშობლო“ სამეფო უბნის თეატრის რეპერტუარში. როგორ გადაწყვეტება ამ საკითხს თეატრისა და სახელოსნოს ხელმძღვანელები. ვთიქრობ, სპექტაკლმა მომავალშიც უნდა იცოცხლოს. იგი მაყურებლის ინტერესს უდაოდ გამოიწვევს. სხვას ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ნამდვილად დასანანია, რომ ნარმოდებენის მონაწილე მსახიობთა საინტერესო ნამუშევრები მაყურებელმა სულ 2-3-ჯერ იხილოს. მარტო ლილი ხურითის არაჩვეულებრივად კოლორიტული პერსონაჟი რად ღირს. მომიტევონ სპექტაკლის სხვა მონაწილეებმა. თითოეული მათგანის ნამუშევარი დაწვრილებითი ანალიზის ღირსია, რის საშუალებასაც წერილის მცირე ფორმატი არ მატელებს.

თ.ჩხეიძე: „სწავლების პირველ ნებს სტუდენტებთან მარტო მე ვმუშაობდი. ბატონმა ლევან ბერძენიშვილმა ჩაუტარა რამდენიმე საინტერესო ლექცია ანტიკური დრამატურგიის შესახებ. ამას გარდა, თეორიულად ვიმუშავეთ უილიამ შექსპირისა და ანტონ ჩეხოვის დრამატურგიაზე. სწავლების ბერე წელს, ასევე თეორიულ სფეროში ვიმუშავეთ ულტრათანამედროვე დრამატურგიაზე, რომელიც, ჩემი ღრმა რწმენით, იმავე კანონებს ეფუძნება, რომელებსაც ანტიკური ან ნებისმიერი სხვა ეპოქის სცენაზე დასადგმელი ნანარმოები.

ძალიან დიდი მადლობა მინდა გადავუხადო სპექტაკლში მონაწილე მსახიობებს, რომლებმაც ჩინებულად იმუშავეს, კეთილსინდისიერად, პროფესიულად, თავდაუზოგავად.

მჭიდრო შემოქმედებითი ურთიერთობა გვაქვს გიორგი ალექსი-მესხიშვილის დიზაინის სკოლასთან. მათთან კონტაქტი სამომავლოდ უფრო ინტენსიური გახდება.

ჩვენთვის მეტად მნიშვნელოვანია ის, რომ



ჩვენი იდეების ხორციელების საშუალება გვაქვს სამეფო უბნის თეატრის სცენაზე, თანამე-დორვე თეატრალური ხელოვნების განვითარების ცენტრში.

სტუდენტებთან მუშაობისას ვცდილობ არ მოვახიოთ თავზე ჩემი სარეჟისორო ესთეტიკა. მინდა, რომ თეატრალური ხელოვნების უმთავრეს კანონებს დაეუფლონ, იმას, რის გარეშეც სასცენო შემოქმედება არ არსებობს. ხშირად ვუბრუნდებით ანბანურ ჭეშმარიტებებსაც. თუ ხელოვნების ანბანი იცი, მასზე დაყრდნობით ნებისმიერი სტილისა და ჟანრის სპექტაკლს დადგამ.

ძალიან კარგი ახალგაზრდები არიან – საქმიანი, წიგნიერნი, პასუხისმგებლობის კრძნობით აღსავსენი. უყვართ თავიანთი საქმე. მინდა, რომ მუდმივად იფიქრონ იმაზე, რა აღელვებს დადევანდელ საზოგადოებას. ამისათვის საგანგებო დაფაც გვაქვს, სადაც რეგულარულად ჩნდება თანამედროვეობისათვის ამაღლევებე-

ლი თემები. იქნებ, მათ საფუძველზე თანდა-თან ჩამოყალიბდეს ის სათქმელი, პრობლემათა სფერო, რომელიც ასახვას ჰქოვებს დრამა-ტურგთა სამომავლო ნამუშევრებში. მათ ხომ მომავალ წელს თითო ორიგინალური პიესა და თითო ინსცენირება უნდა შექმნან. ამ 6 ნანარ-მოებს, ტრადიციულად მათი თანაკურსელი რე-ჟისორები განახორციელებენ სცენაზე.

მინდა, რომ საინტერესო ცხოვრება ჰქონდეთ. თუ საშუალება მომეცემა, რამდენიმე უცხოელი რეჟისორის მოწვევა მაქსი განზრახული მასტერ-კლასების ჩასატარებლად.”

ვუსურვოთ თემურ ჩხეიძესა და მის სტუ-დენტებს წარმატებით განეხორციელებინოთ თავიანთი სურვილები და იმედი ვიქონიოთ, რომ ერთი წლის შემდეგ ქართულ თეატრს შეე-მატება პროფესიულად დაოსტატებული რამ-დენიმე რეჟისორი და დრამატურგი. ეს ძალზე მნიშვნელოვანია.

იუბილე

პახი პავსაძე — 80



რესაუბლიკის სახალხო არტისტის ბ-ნ პახი პავსაძეს

ძვირფასო მეგობარო,

საქართველოს თეატრალური საზოგადოება თავისი მრავალრიცხოვანი წევრების სახელით სულითა და გულით მოგესალმება დაბადების 80 წლისთავთან დაკავშირებით.

შენ ქართულ თეატრში მეტად საინტერესო შემოქმედებითი გზა გაიარე, გზა ჩინებული არტისტისა, ეროვნული თეატრის მოღვაწისა, პიროვნებისა, რომელიც სწორედ ქართული პატიოსნებით, ერთგულებით ემსახურებოდა და ემსახურება ეროვნულ კულტურას. მიყურებელს დღესაც ახსოვს შენს მიერ თუნდაც 30-40 წლის წინათ შესრულებული ჩინებული სცენური სახეები. ამის დასტური გახლავთ მსახიობისა და მაყურებლის ნათელი, შესაშური ურთიერთობა — კახი კავსაძე საქართველოს რომელ კუთხემი, რომელ სოფელსა, თუ ქალაქშიც არ უნდა გამოჩნდეს, ბედნიერი მაყურებელი სიხარულით ეგებება მას.

ძვირფასო კახი, მივესალმებით რა შენი დაბადების საიუბილეო თარიღს, გისურვებთ ჯანმრთელობას, ხანგრძლივ სიცოცხლეს. შენი სიცოცხლის, შემოქმედების ყოველი დღე ქართული თეატრის ახალ მიღწევათა განმაპირობებელია.

იმხნევე და იდლეგრძელე, ძვირფასო მეგობარო!

საქართველოს თეატრალური საზოგადოება

ძნელია ერთ პატარა წერილში ჩავატიო ის აღფრთოვანება და სიყვარული, უდიდეს პატივისცემასთან ერთად, რასაც განვიცდი ჩვენი დროის ერთ-ერთი უბრნყინვალესი არტისტისა და შესანიშნავი პიროვნების, ბატონი კახი კავსაძის მიმართ, შევეცდები კი.

ბატონი კახი ქართული ჯიშისა და გენის გამომხატველი, დაუდეგარი, ბობოქარი, ტემპერამენტიანი, ბავშვივით გულწრფელი და გულუბრყვილო, უკიდურესად სამართლიანი, მიმტევებელი, ერთგული, ენერგიული, სიცოცხლითა და სიყვარულით აღსავსე, სამაგალითო შვილი, მეუღლე, მამა, ბაბუა, ძმა.. მამამთილი, სიმამრი, ბიძა, მეგობარი.

ამავდროულად, ბატონი კახი უკიდურესად სევდიანი, ხშირად იმედგაცრუებული, ხშირად ნოსტალგიური. დამაინც მომავალზე ორიენტირებული და მუდამ მხნე - მზადყოფნაში დახმარებისთვის, გამოცდილების გაზიარებისთვის, რჩევისთვის, კარგი მოსმენისთვის და გვერდში დგომისთვის.

ა რ ტ ი ს ტ ი და კ ა ც ი !!!

იგი 80 წლის შესრულდა! კითხულობდა, რას მიღოცავთო? დაბერებას თუ სიკვდილთან მიახლოვებას? ან იქნებ იმას, ამდენ ჭირ-ვარამს როგორ გავუძელიო? ან იქნებ...

ბატონო კახი! მე ვფიქრობ, ყველაზე მეტად საკუთარ თავს ვულოცავდით იმას, რომ თქვენი თანამედროვები ვართ, გვიხარიდა, რომ ასეთი სოლიდური ასაკის მიუხედავად, კვლავ ჩვეულ შემოქმედებით ენერგიას ასხივებდით საიუბილეო საღამოზე სპექტაკლში „მოხუცი ჯამბაზები“, იმასაც გილოცავდით, რომ თქვენთვის უძვირფასესი და ყოველთვის სათაყანებელი მაყურებელი სიყვარულისა და სიხარულის (ცრემლებს აფრქვევდა თქვენი შემხედვარე.... ამ ქვეყანაზე, ალბათ, ყველაფრის დადგმა შეიძლება გარდა მაყურებლის აღფრთოვანებისა. ნახევარ საუკუნეზე მეტი გავიდა იმ დღიდან, რაც თქვენი სახელი და გვარი ჩაინერა რუსთაველის თეატრის აფიშაში და არ განელებულა თქვენით დაინტერესება და დიდი სიყვარული, რასაც ყოველი ფეხის ნაბიჯზე გრძნობთ. ასეთი აღიარება ერთეულთა ხედრია და თქვენ სრულიად დამსახურებულად ხართ ამ ერთეულთა რიგებში. ყველაფრეს რომ თავი დავანებოთ, მხოლოდ ეს არ იქმარებდა არტისტისთვის მოსალოცი მიზეზი რომ გამზდარიყო?

ასე დიდი მადლობა იმისათვის, რომ ამშვენებთ ქართულ საზოგადოებას, დიდი მადლობა რომ არსებობთ, ქმნით, მაგალითს იძლევით პროფესიონალიზმისა და კაცობისა.

ლირსეულად განვლილ ოთხმოც წელიწადს გილოცავთ იმის ღრმა რწმენით, რომ კიდევ დიდხანს ვიამაყებთ თქვენი თანამედროვენი თქვენთან ნაცნობობითა და მეგობრობით. ქართველ მაყურებელს კი, თქვენთან ხშირი შესვედრის სიამოვნებას ვუსურვებ, როგორც სცენაზე, ისე ეკრანზე...

ნინ მრავალი მხატვრული სახეა შესაქმნელი...

დიმიტრი ხვთისიაშვილი

პახი გავსაძე — არტისტი და არა მსახიობი

თეატრალურ ფიცარნაზე მოღვაწე ადამიანებს ქართველები ორი, ერთი და იგივე პროფესიის აღმნიშვნელი სიტყვით მოიხსენიებენ, ესენია: მსახიობი და არტისტი. მსახიობი ბევრია დღევანდელ სცენის მოღვაწეთა შორის, არტისტები კი ძალიან ცოტა. ერთ-ერთი ყველაზე გამოკვეთილი და ღირსეული ამ არტისტებს შორის კახი კავსაძე გახლავთ. რომ გადასხვავოთ ბატონი კახის ბიოგრაფიას, აუცილებლად გაგიჩნდებათ კითხვა, როგორ მოასწრო ერთმა ადამიანმა ამდენი: თეატრი, კინო, ესტრადა და რაც მთავარია, ყოფილიყო ღირსეული მეუღლე, მამა და პიროვნება. ძნელი მოსახებისი მეორე ქართველი მსახიობი, რომელსაც იმდენ ფილმში ჰქინდეს მონაბილეობა მიღებული, რამდენშიც კახი კავსაძეს, ქართულ კინოში მან სამოცდათექვსმეტი პერსონაჟი განასახიერა, საერთოდ კი ასრულ ფილმს მისი კინობილოგრაფია, რაც დამტანებებით, რეკორდული მაჩვენებელია ქართველ მსახიობთა შორის. გასაოცარია ის ფაქტიც, რომ მის მიერ განსახიერებული როლები, როგორც თეატრში, ასევე კინოში დიდი სიყვარულითა და პოპულარობით სარგებლობები მაყურებელთა შორის, რაც უმთავრესად კახი კავსაძის აქტიორული ნიჭის დამსახურებაა.

ხშირად უთქვამთ ადამიანზე ნიჭიერია. მავანზე უთქვამთ უნიჭოა, მოდით ახლა ჩვენ დავადგინოთ თუ რას ნიშნავს აქტიორული ნიჭი და ეს ნიჭი დავყოთ შემადგენელ ნაწილებად. მაშ ასე, იმისათვის, რომ არტისტი (და არა მსახიობი) იყოს საუკეთესო, მას უნდა გააჩნდეს შემდეგი თვესებები: მუსიკალური სმენა, სასცენო პლასტიკა, გარდასახვისა და იმპროვიზაციის უნარი, იუმორი, გადმოცემის უნარი, ზომიერების გრძნობა და გემოვნება. კახი კავსაძე კი ყველა ამ თვისების მატარებელი ხელოვანია, რაც აგრძელება და იშვიათია ჩვენში. ყოველივე ამის დამსახურებაა ის, რომ კახი კავსაძე საზოგადოებისთვის ერთ-ერთი ყველაზე საყვარელი მსახიობი.

ძნელია თეატრი ისე განვლო შემოქმედებითი გზა, რომ გულაბტკენი ან მოშურნე ადამიანი არ გყავდეს. არ მეგულება თეატრალური მოღვაწე, რომელსაც აუგი ეთქვას ბატონ კახიზე, თუმცა

თავად ბევრჯერ ატკინეს გული.

„მონუცი ჯამბაზების“ რეპეტიციების დროს ველოდებოდით შესვენებას, რათა ბატონი კახის ნაამბობისთვის მოგვესმინა. მის გვერდით იყრიდა თავს, ყველა თაობის ადამიანი და მონუსული უსმენდა ამ შესანიშნავი მთხოვობელის მოყოლილ იუმორისტულ მოგონებებს, იმის შესახებ თუ როგორ იცეკვა სტრიპტიზი პოლონებში და როგორ გადარია ნანა ხატისკაცი და სოფიკ ჭიაურელი. ერთ-ერთი შესვენების დროს დავუსვი შეკითხვა, რომელიც კახი კავსაძის თეატრალურ წარსულს შეეხებოდა. უცბად თვალები აუცრემლიანდა და მითხრა, ხვალ მოდი ჩემთან სახლში ისე, რომ თავისუფალი დრო გქონდეს, ამ ამბის მოსაყოლად ერთი საათი და ორმოცდაშვიდი წუთი დამტკირდება. ეს თქვა და საუბარ სხვა თემაზე გადაიტანა. მეორე დღეს მართლაც ვესტუმრე ბატონ კახის. შემიყვანა სამუშაო თოახში, პატარა მაგიდაზე დამიდგა ერთი ჭიქა წითელი ღვინო (რომლის მსგავსი არსად გამისინჯვავს) და ხილი. თვითონ ადგა, გამორთ მობილური და დაინყო თხრობა. უცბად მივხვდი, რომ აღმოვწინდი თეატრში, რომელსაც ერთი მსახიობისა და ერთი მაყურებლის თეატრი ჰქვია. წინასწარ მომზადებული დეკორაცია, საგანგებოდ შერჩეული რეკვიზიტი, შესაფერისი კოსტუმი და გენიალური მთხოვობელი — ჰქმნიდა იმის განცდას, რომ მართლაც საოცარ სპექტაკლს ვუყურებდი. დაინყო, მაგრამ რა დაინყო, უცბად თვალწინ გადამიშალა რუსთაველის თეატრის 60-იანი წლები, საბჭოთა პერიოდი, კახის და ბელას სასიყვარულო ისტორიები და ამ დროის პარალელურად მომხდარი ერთი არასასიამოვნო ისტორია, რომელმაც მსახიობს დიდი ტეკივილი მოუტანა. პირველად ვნახე ბატონი კახი ასეთი სევდიანი, დავინახე მისი უსაზღვრო სიყვარული თეატრის მიმართ და თვისება რაც ძალიან ცოტა ხელოვანს აქვს, მოვლენების ობიექტურად შეფასება. არ ვიცი როგორ მოახერხა და თხრობისათვის მართლა ერთი საათი და ორმოცდაშვიდი წუთი დასჭირდა, ესეც ხომ არტისტისათვის აუცილებელი თვისება - დროის შეგრძნება. დამშვიდობებისამ მითხრა — ამ ამბავს ნურსად ნუ დაწერ, უბრალოდ შენთვის იცოდე და გახსოვდეს თუ რა საოცარი სამყაროა თეატრი. ვუსრულებ ამ სურვილს ბატონ კახის და არ ვწერ თუ რაზე ვისაუბრეთ იმ დღეს — რომელიც არასოდეს დამავიწყდება ცხოვრებაში.

ქართულ თეატრს ბევრი დიდი არტისტი ჰყოლია და ბევრიც ეყოლება, მაგრამ ისეთი დიდი სიყვარული ხალხისა, როგორიც დაიმსახურა კახი კავსაძემ მხოლოდ ერთგულებს ერგოთ. სწორედ ამიტომ დიდხანს სიცოცხლეს გისურვებთ, ბატონო კახი! ღმერთმა ნურც თქვენ და ნურც ჩვენ მოგვმალოს ეს ბედნიერება.

ნიკა წულუკიძე

ბატონ კახი კავსაძე!

ბატონი კახი თითოეულ ქართველში უდიდესი სითბოს, სიყვარულის, სიკეთის და დიდი არტისტის სიმბოლოს წარმოადგენს (ალბათ, ამას რომ წაიკითხავს, დიდხანს იცინებს და იტყვის: რაებს ამბობს ეს ბოვშიო). მე მას სტუდენტობის პერიოდიდან ვიცნობ, ვეთაყვანები და ყიველთვის ვოცნებობდი მასთან ერთად მუშაობაზე. ამ მხრივ უზომოდ გამიმართლა და ბედნიერი ვარ, რომ ბ-ნი კახი დამთახხმდა „მოხუც ჯამბაზებში“ მონაწილეობის მიღებაზე. დაინყო რამდენიმეთვიანი „ჯოჯოხეთური რეპეტიციები“, რომელიც ბ-ნი კახის და მისი კოლეგების წარმატებით დაგვირგვინდა.

ბატონო კახი! დიდი მადლობა თქვენ იმ ყოველი წუთის, საათის, დღისა და წლისათვის, რომელიც მე თქვენს ოჯახთან და თქვენთან ერთად გამიტარებია. ბევრი რამ ვისნავლე თქვენგან, ძალიან ბევრი... და უპირველესად ერთი რამ — როგორ ერთგულად და უანგაროდ უნდა ემსახურო სამშობლოს, ოჯახს, თეატრს. თქვენზე ამბობენ, დიდი არტისტია. მე კი ამ ნათქვამს დავამატებდი: თქვენ ჭეშმარიტად სახალხო არტისტი ბრძანდებით!

გოჩა კავანაძე

ჩვენი ეროსი 90 წლის გახდებოდა

ვასილ კიკაძე



ეროსი მანჯგალაძეს აკაკი ხორავა თავის მემკვიდრედ თვლიდა.

შემოქმედებით მემკვიდრედ.

ეროსისაც ძალიან უყვარდა ბატონი აკაკი.. ეროსის არ უყვარდა გასვენებებში და პანაშვიდებზე მისვლა, საშინლად ნერვიულობდა, განიცდიდა, თითქოს ალერგია ჰქონდა. არ მავიწყდება მისი აფორიაქებული სახე ხორავას გასვენების დღეს. არ შემიძლია, სიტყვით ვერ გამოვალო - მეუბნებოდა, გრძნობდა, რომ გამოუსვლელობაც არ შეიძლებოდა. სიტყვის ტექსტი დანერილი ჰქონდა. წამავთხა, მოვუნინე, შევაქე, მაგრამ მაინც ვერ დამშვიდდა. გამოსვლის წინ შუბლზე უფლობა დასხა...»

ეროსი საოცრად მოკრძალებული კაცი იყო, საუბრის დროს თვალებში არ გიყურებდა, სულ აქეთ-იქით გაურბოდა მზერა. ცხოვრებაში იშვიათად შემხვედრია ასეთი მორიდებული ადამიანი.

მსახიობის ხელოვნება მითოსურია თავისი ბუნებით, მსახიობი ჩამოვა სცენიდან და მისი ხელოვნება უმალ კვდება, მის გარეშე აღარ არსებობს, რჩება მითები და ჩვენი წარმოდგენები თუ სხვათა ნააზრევი. უძნელესია მსახიობის საიდუმლოებით მოცული სამყაროს სიღრმეებში შეღწევა, ვერ ჩავწვდებით სულის სიღრმეე-

ბის შრეებსა და ნიუანსებს, - უფსკრულივით უძიროა იგი...

ეროსი თავისი აქტიორული თაობის ლიდერი იყო, მიუხედავად იმისა, რომ იმ წლებში რუსთაველის თეატრში არაერთი ნიჭიერი მსახიობი იყო.

ეროსიმ თეატრალური ინსტიტუტი 1947 წელს დაამთავრა. ერთი სეზონი ცხინვალის თეატრში იმუშავა, 1948 წლიდან რუსთაველის თეატრში დაიწყო მოღვაწეობა.

ეროსის მდიდარი არტისტული მონაცემები ჰქონდა. ჰქონდა არჩევულებრივი ხმა და ძლიერი ტემპერამენტი. მისი ხავერდოვანი ხმა ყველა ხმისგან გამოირჩეოდა, ამიტომ სკოლის დამთავრებისთანავე რადიოკომიტეტში მიინვიეს.

ეროსი ფართო დიაპაზონის მსახიობი იყო. მას შეეძლო წარმატებით ეთამაშა დრამატული და კომედიური როლები. საკმარისია დავასახელოთ მისი რეპერტუარიდან მთავარი როლები: ივანე მრისხანე და ზიმზიმოვი, ოიდიპოს მეფე და ლოპესი, ოთარ ბეგი და ფანტიაშვილი, გვადი ბიგვა და ბოცო.

ასე კონტრასტული და მრავალსახოვანი იყო ის სამყარო, რომელიც ეროსიმ შექმნა.

ეროსი პიროვნულადაც ფართო ბუნების კაცი

იყო, ყველას მხარში ედგა, ეხმარებოდა. პატარა უბის წიგნაკი ჰქონდა, ყოველდღიურ განრიგს იწერდა, ვისთვის რა უნდა გაეკეთებინა, სხვებზე ზრუნვაში ატარებდა დღეებს, ყველას იმ-ედი იყო!...

მუდამ ვგრძნობდი, რომ მარტოობის განცდა ტანჯავდა, განსაკუთრებით როცა თეატრში საქმე არ ჰქონდა, მისთვის აუტანელი იყო სალამო — ამ დროს ხომ საგრიმიოროები იქსებოდა მსახიობებით...

არ მავიწყდება ის ემოცია, რაც პირველად განვიცადე ეროსისთან ურთიერთობის დროს. ეს იყო 1954 წელი. რუსთაველის თეატრში დავიწყე ლიტერატურული ნაწილის გამგედ მუშაობა. ნავედით „ბიჭები“ ეროსის სახლში, კოტე მესხის ქუჩაზე ხუთ ნომერში ცხოვრობდნენ. სუფრა იყო გაშლილი. მოკრძალებულად ცხოვრობდა ეროსის ოჯახი. ეროსიმ სპეციალური ჭიქა მოიტანა, დალია დაკარგული ძმის სადღეგრძელო. არ მახსოვს რამდენი წუთის დამსხდარნი ვიყავით, დედამისის სადღეგრძელო რომ დალია. გავედით, მეორე ოთახში, სადაც ეროსის დედა იწვა. ეროსიმ დედას შუბლზე აკოცა, რაღაც გაერუმრა და ისევ დაუბრუნდა მაგიდას. მე მანამდე არაფერი ვიცოდი ეროსის დედის ავად-მყოფობის შესახებ, გურამ საღარაძეს ვკითხე:

— რით არის ეროსის დედა ავად?

— შენ რა, არ იცი? რამდენი წელია ლოგინზეა მიჯაჭული.

გავოგნდი. ეროსი თითქოს სხვა თვალით დავინახე, დაუცლელი ჭიქა დავცალე. ვუყურებდი ეროსის და სულ იმას ვფიქრობდი: როგორ უძლებს ამხელა დარდს, რამხელა ტკივილი ჰქონია და არაფერს იმჩნევდა. ღვინო მომეძალა. ეროსის სადღეგრძელო დალეული იყო, ავიტეხე, მეორედ დავლიოთ-მეტქი, დავლიეთ. კიდევ მომინდა ეროსის სადღეგრძელო, რაღაც ავიზირე..

— რა ეროსობანა აგიტყდა — მითხრა გურამა.

ეროსი იცინოდა და არაფერს ამბობდა, იცინოდნენ სხვებიც, მე კი სულ ეროსი და ეროსი მეკერა პირზე... ახლა რომ ამ ამბავს ვიგონებ, ვაუა ფშაველას წრუნუნა მახსენდება, კარგად რომ შეთვრა და თავისთვის იქაჩებოდა. ალბათ, მეცისეთ შთაგებჭილებას ვტოვებდი. სენტიმენტულ ხასიათზე დავდექი, ნაღველი შემომანვა, დედაჩემი ნარმოვიდგინე ასეთ მდგომარეობაში. ემოცია უფრო მომეძალა. ეროსის თვალს არ ვაშორებდი. ეროსი რამდენჯერმე გავიდა დედამისთან ოთახში, დედამისს არ დაუძახია, მაგრამ მაინც გადიოდა ხოლმე.

მეორე დღეს ეროსისთან მოვიბოდიშე ჩემი მომეტებული მგრძნობელობა. დედამისის შესახებ ვკითხე, მაგრამ შევატყე საუბარი არ სიამოვნებდა, ტკივილს აყენებდა... მოვეჭვი, მის თვალებში კი მუდამ იგრძნობოდა ღრმა სევდა...

მაშინ არც კი ვიცოდი, რომ ეროსის მამა ერთხანს რეპრესირებული იყო.

ეროსი მანჯგალაძის შესახებ პირველი წერილი 1956 წელს გამოვაქვეყნე უურნალ „საბჭოთა ხელოვნებაში“ (№4). უკვე თეატრში ვმუშაობდი, გაუხარდა, „მანჯგალავედი ხარო“ — მითხრა და თითქოს ამით მიმანიშნა, რომ მომავალშიც უნდა დამეტერა. თეატრმცოდნისთვის კი, მართლაც კარგი „მასალა“ იყო. მაშინ ვწერდი, რომ ეროსი შემთხვევით არ იყო აკაკი ხორავას დიდი ხელმიწის დუბლიორი. თეატრის ხელმძღვანელებმა — ხორავამ და ვასაძემ ამ ფაქტით ახალგაზრდა მსახიობისადმი დიდი ნდობა გამოხატეს.

ეროსიმ გაამართლა ნდობა.

50-იანი წლების მეორე ნახევარი, როგორც საერთოდ საბჭოთა ქვეყანაში, ასევე თეატრშიც, მკვეთრად პოლიტიზირებული ტრატალიტარული სისტემის ატმოსფერო იყო. ამ დროს თეატრში დაიდგა: ვ. კარსანიძის „მარადმზვანე ქედები“, თ. დონჭაშვილის „გამოქვაბულთა დუმილი“, პ. პავლენკოს და მ. ჭიაურელის „დიადი მომავლისათვის“, შ. დადაიანის „ნაპერნკლიდან“, ი. მოსაშვილის „მისი ვარსკვლავი“, ვ. ვიმჩევესის „დაუკინებარი 1919 წელი“, ი. პოპოვის „ოჯახი“, ი. ჭავჭავაძის „თბილისელი ქალიშვილი“, გ. მდივნის „კეთილი ნების ადამიანები“.

სრული პოლიტიკური კონიუნქტურა. თეატრი სახელმწიფოსთვის იდეოლოგიური ტრიბუნა იყო და არავინ არ მისცემდა გადახვევის უფლებას. ასეთ დროს პირდაპირ სულის მოთქმა იყო კლასიკა.

ამ პერიოდში დ. ალექსიძემ დადგა გ. სუნდუკიანის „პეპო“, რომელშიც შეიქმნა ბრწყინვალე აქტიორული ანსამბლი (ე. მანჯგალაძე, მ. ჩახავა, ნ. ჩხეიძე, კ. მახარაძე, ბ. კობაძიძე და სხვები). ეროსი ნამდვილი არტისტული ქინით თამაშობდა ზიმზიმოვს, მას ძალით უყვარდა ეს სახე. ყოველთვის სიხარულით იგონებდა ამ როლს. თამაშობდა შთაგონებით, ხალისით, ვნებით. სცენაზე ერთი მთლიანი, გაბმული სიხარულის წუთები იყო, სიცოცხლე რომ უხარის კაცს, ასეთი სიხარულით ცხოვრობდა სცენაზე მისი ზიმზიმოვი. ათასანირი შეუმჩნეველი ნიუანსებით ავსებდა სახეს. ეროსი სწორედ განსახიერება იყო ქართული არტისტიზმისა. სულით ხორცამდე ქართველი-გამომსახველი კომედიის თეატრის დიდი ეროვნული ტრადიციისა. ზიმზიმოვის ხასიათის ამოსახსნელად ყველაზე მეტად ორი მომენტი იყო მნიშვნელოვანი: მ. ჩახავასა და ე. მანჯგალაძის დიალოგი, რომელიც ცეკვით მთავრდებოდა და ის სცენა, როცა ეროსი-ზიმზიმოვს არაკაცობაში ამხელდნენ.

აი, იმართება ზიმზიმოვისა და ფეფელას „დისკუსია“, ვითომდა შეუთავსებლობა აზრისა და პრინციპებისა, მ. ჩახავა-ფეფელა ეროსი-

სცენა სპექტაკლიდან „ხანუმა“



ზიმზიმოვისთვის ყველაზე ძვირფასია, მისთვის არაფერი ეშურება, თუმცა, სრულიადაც არ არის ხელგაშლილი კაცი. „დისკუსია“ ალერსში გადადის, რაღაცით ლუარსაბისა და დარეჯანის ურთიერთობას ჰგავს მათი დამოკიდებულება, თვით შინაგანი რიტმიც კი. თანდათან ექსტაზი შედიან. ეროსი-ზიმზიმოვს სული გაეხსნება, ბედნიერი წამები დაუდგება, როცა მისი საყვარელი ფეფელა ფეხს აუწყობს მოარშიყენარს.

მდიდრულად, მაგრამ უგემოვნოდ მოწყობილ ოთახში კედელზე ორი სურათი ჰყიდია, სურათიდანაც საგრძნობია მათი ხასიათები. ოთახში შემოდის ე. მანჯგალაძის ზიმზიმოვი, ის ცოცხალი ხატია სურათისა: შეღებილი თმა, ხშირი წარბები, სახის კომპოზიციიდან ამოვარდნილი წითური ცხვირი, არწივისებური მზერა და შესატყვისი ჩაცმულობა ხაზგასმით ამხელენ ზიმზიმოვის მტაცებლურ ბუნებას. ზიმზიმოვი დიდხანს ტრიალებს სარკის წინ, თვითკმაყოფილება იპყრობს: ... „არა, ჯერ კიდევ ახალგაზრდა ვარ! რა მაკლია? ტანი ალვის ხეს მიგავს, ლოყები წითელ ვარდა და თმები — გიშერს... რა ვუყოთ, რომ შეღებილია... ინტიმურად წარმოთქვამს მონოლოგს, მერე უცემ მრავლისმეტყველ პაუ-

ზას აკეთებს, ფეფელას სურათისაკენ გაიხედავს და უცნაურად შეცვლილი ინტონაციით განაგრძობს: „ადამიანის ხნოვანებაც, ქეიფიც სულ ცოლზეა დამოკიდებული... შემდეგ ეალერსება სურათს ისე, როგორც ფეფელას ცოცხალ სახეს. ამ დროს შემოდის ფეფელაც. ე. მანჯგალაძე, რომელმაც ცოლის სურათს დაუწყო ალერსი ექსტაზში შედის, უკრავს მუსიკა, მღერიან ორივენი, მღერიან და ცეკვავენ, მხიარულობენ ისე, როგორც უბედნიერესი ადამიანები, რომელთაც სული დამშვიდებული აქვთ... მღერის უბედნიერესი ცოლ-ქმარი, მაგრამ საქმარისია წარმოთქვას სიტყვა, „ფული“, ყველაფერი თავუკულმა დგება, ცუდი გზით ნაშოვნი ფული კლავს გულწრფელსა და ჭეშმარიტ სიხარულს.

ეროსი-ზიმზიმოვი მაინც ცდილობს ცოლის წინაშე შეინარჩუნოს ღირსება, დაუმალოს მეუღლეს ავკაცობა. სცენაზე იქმნება კომიკური უხერხულობაცა და მოჩვენებითი პათეტიკურობაც, აქ არის გზნება, ექსტაზი და წამიერი ჩაფიქრებაც.

ეროსის რეპერტუარიდან კომედიის თეატრის ნამდვილი ფეიერვერკი იყო ლოპესი — ჯ. ფლეტჩერის „ესპანელ მღვდელში“.

„ესპანელ მღვდელი“ ულამაზესი სპექტაკლი

იყო. მჩქეფარე თავისი სიხალისით, ზეიმური თეატრალობით. გონებამახვილობის ფეიერვერკები ანათებდა ყოველ სცენას. ე. მანჯგალაძისა და ე. აფხაძის არტისტიზმის დაწყვილება რაღაც ექსტაზის სახეს იძენდა. მაინც, რა ქმნიდა ამდენ სიხალისეს, ამდენ მეტაფორულ სახეებს, რომელიც შიგნიდან, მსახიობთა სულის სიღრმიდან იბადებოდა, მსახიობთა არტისტიზმის ნარმოსაჩენად და არა ლამაზი დეკორაციისათვის. „ჭადრაკის სცენა“ სიყვარულის ნოველას ჰგავდა. ეს იყო სიყვარულის პოეტური, ზეანეული და ხატოვანი გახსნა.

სიყვარულმა გაიმარჯვა, ლეანდრომ და ამარანტამ ჯვარი უნდა დაინერონ. ე. მანჯგალაძელოპესმა შეახვედრა ისანი და მანვე უნდა დალოცოს. როცა ჯვრისკენ წაილო ხელი, უცებ შეცბა, ჯვარი არ ეკიდა, საგრიმიოროში დარჩენდა. „ვაი!“ – თქვა საოცრად გულუბრყვილოდ და ხელი ჩაიქნია (მერე რა მოხდაო!), ხელით გადასახა პირჯვარი. დეტალი მაყურებელმა ასე გაიგო: ლოპესისათვის ჯვარს არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, როგორმა მდვდელიც არის, ისეთივე მორწმუნება. დარბაზში ატყდა სიცილი, ტაში, არავინ იცოდა, რომ მსახიობს შემთხვევით დარჩა ჯვარი საგრიმიოროში. სპექტაკლის გასინჯვის შემდეგ, როცა ეს ამბავი შეიტყვეს, ურჩიეს, დეტალი ასევე დაეტოვებინა, რადგან ლოპესის ბუნების კიდევ ერთი სამხილი ფაქტი იყო. ასედაც დარჩა შემდეგ სპექტაკლებში.

შეიქმნა ლოპესის დიდი მხატვრული სახე, კომიკური ნიღაბი. კომედიური ხელოვნების ამ შედევრში ძნელია დავინახოთ პირდაპირი კავშირები ქართული კლასიკური თეატრის ტრადიციებთან, თუმცა მის სათავეებთან დგას გენიალური ვასო აბაშიძე, რომელმაც დიდი გავლენა მოახდინა ქართული რეალისტური სამსახიობო ხელოვნების განვითარებაზე. ეროსი უფრო პირდაპირ სახახაობითი კულტურის ფესვებთან არის შენივრებული.

როცა ლეანდროსთან შეხვედრის დროს შეიტყობდა, რომ ჭაბუკს ცოტა ფული ჰქონდა, ე. მანჯგალაძის ლოპესი ფართოდ გაახელდა თვალებს (თითქოს უნდოდა დაენახა სად ჰქონდა ფული) და შესძახებდა: „ლეანდრო, შვილო, მომეცი ხელი! ოჳ, დმერთო ჩემო, რარიგ დაგვცინის დრო და უამი, ყმანვილო კაცო!“... ამ უკანასკნელ სიტყვებს მკაფიო აქცენტით გამოჰყოფდა, მახვილს უკეთებდა, თითქოს რალაცაში ამტყუნებდა კიდეც ლეანდროს, რომ ასეთია წუთისოფელი, თითქოს ეფერებოდა კიდეც. ერთი სიტყვით, აქ ყველაფერი იყო იმისთვის, რომ ფული ჩაეგდო ხელში. რომელი სცენაც არ უნდა გავიხსნოთ, ყველა გამოდგება მსახიობის ღრმა აზროვნებისა და უზაღო არტისტიზმის ქმედითი იუმორისა და იმპროვიზაციების საილუსტრაციოდ.

ეროსი, როგორც ალვინშენე, ფართო დიაპაზონის მსახიობი იყო. დრამისა და კომედიის მონაცემების საშუალებას აძლევდა ყოველმხრივ მოესინჯა თავისი შესაძლებლობანი, აღმოჩენა ახალი შრეები, სიღრმისეული ნაკადები, ერთ დიდ არტისტულ მთლიანობას რომ ქმნიდნენ. მრავალსახოვანი იყო ეროსის შემოქმედებითი ძიებანი, როცა იგი ოიდიპოსის ტრაგიული გმირის გამოსახვას შეუდგა. ოიდიპოსამდე მას უკვე ნათამაშები ჰქონდა ივანე მრისხანე და ზიმზიმოვი, მათ გარდა სხვა დიდი თუ პატარა როლები, მაგრამ მაინც სხვა „საჯილდაო ქვა“ იყო ოიდიპოს მეფე.

ეროსისათვის ბედნიერი იყო 1956 წელი. შემოქმედებით ბედნიერებას კი თითქოს მაშინ ვერც გრძნობდა. ასეა! ბედნიერების გაცნობიერება ხდება მაშინ, როცა მას კარგავ. ეროსი თითქოს ჩვეულებრივი რიტმით, ჩვეულებრივი განწყობილებით (გარეგნულად) ცხოვრობდა ამ წელსაც, შემოქმედებითი ინტერესებით სავსე იყო მისი ყოველი დღე. რეპერტუარში იმდენი სპექტაკლი ჰქონდა, რომ თითქმის ყოველ საღამოს უნევდა თამაში. სპექტაკლის წინ ხმირად შემოვლიდა ხოლმე ჩემს პატარა ოთახში, „ლიტნანილის კაბინეტი“ რომ ერქვა და მერე მიღიოდა საგრიმიოროში. ვცდილობდი კარგი განწყობა გამეყოლებინა და რაღაც ერთ-ორ საქებარ სიტყვას ვეტყოდი ხოლმე, მაგ. „გუშინ საინტერესოდ ითამაშე“, „რა საინტერესო დეტალი გაჩნდა“ და როცა ერთხელ მკითხა შთაბეჭდილება, ვუპასუხე — საინტერესო იყო-მეთქ.

— ესე იგი არ ვარგებულა, - მითხრა და როგორც ჩვეოდა, თვალებში არ შემოუხედავს.

— მაგას რატომ ამბობ, ეროსი?

— რატომ და გუშინ სწორედ საძაგლად ვითამაშე, თავიდანვე ვერ აეწყო საქმე, რალაცნაირი მაყურებელი იყო, ნერვები მომეშალა. პარტერში ვილაცა ისე გაუთავებლად ახველებდა, ერთი სული მქონდა მეყვირა: გრაიანებს და ბრონხიტანებს რა უნდათ თეატრში-მეთქი. შენ კი იძახი „საინტერესო“ იყო, თუ სხვა როლებსაც ასე ვთამაშობ, კარგად ყოფილა საქმე...

ეროსი მანჯგალაძის იოდიპოსი კლასიკური თეატრის ესთეტიკურ პრინციპებს ემყარებოდა. შესრულების სტილისტიკაში იგრძნობოდა ამ პრინციპისადმი ერთგულება. მისი შესრულების სასცენო ლექსიკაში არ იყო „რაიმე სიახლე“, მაგრამ იყო შემოქმედებითი პროცესი, რომელიც მონუმენტურისა და ღრმა ფსიქოლოგიურის შერწყმის მაგალითს გვიჩვენებდა. ასეთი სინთეზი იმუშამინდელი რუსთაველის თეატრში მიმდინარე პრიცესების თავისებურებაზე მიგვანიშნებდა. არსებითად თვით ასეთი ტებდენცია ანახლებდა გმირულ-რომანტიკული თეატრის პრინციპებს, რომელიც პირდაპირ უკავშირდებოდა ს. ახმეტელის თეატრალურ ეს-

თეატრიკას. ასე რომ, თვით ლექსიკური განახლების ცნებაც გარკვეულად პირობითი ხასიათისაა, როცა ამას ეროსის თიდიპოსის მისამართით ვამბობთ.

დღიდი მსახიობების ბედი ხშირად ერთმანეთს ჰყავს, ფინალი დრამატულია.

ასე დაემართა ეროსი მანჯგალაძესაც, თეატრის ახალი ძიებებიდან „ამოვარდა“, რომელსაც ძალიან განიცდიდა.

1982 წლის 26 იანვარს, გარდაცვალების დღეს, დილით, ასე ათის ნახევარზე თეატრალური ინსტიტუტის შესასვლელთან სკოლის მეგობარს შევხვდი. ხუთიოდე წუთის შემდეგ ეროსიც მოვიდა მანქანით, შორიდან ამინია ხელი, მომესალმა, მანქანა დააყენა და ჩემსკენ ნამოვიდა. მეგობარი ზურგით იდგა და ვერ შეამჩნია ვინ იყო, ეტყობა შინაური, ინსტიტუტელი ეგონა და მოსვლისთანავე მომაძახა: ვასია!...

უცნობი რომ შენიშნა, ტონი შეცვალა: ვასილ პავლოვიჩ!

მივუხვდი, რომ უცხოსი მოერიდა და ღიმილით ვუთხარი: გაიცანი, სკოლის მეგობარი, ერთმანეთი გაიცნეს.

— წელს რუსული ჯგუფი თუ აგყავთ?

— რად გინდა ეროსი რუსული ჯგუფი?

— ერთმა მთხოვთა ყაზახეთიდან, გადასახლებულის შვილია, ქართული არ იცის...

— წელს არ არის ეროსი რუსული ჯგუფი...

— აბა, რა ეშველება...მივწერ როგორც არის...

მერე ჩაფიქრდა, პაუზა გააკეთა და სხადაბლა, თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა: სხვაგან არ უნდა ნასვლა, საქართველოში უნდა...

შევწუხდი, გული მეტენა, რომ ბედუულმართ ქართველს არც აქ გაულიმა ბედმა.

ეროსიმ ისევ გაიმეორა: აბა, მაგ საქმეს წყალი არ გაუვა?

— ჯერ ასეა და რა ვიცი...

— ნავედი მე თეატრში, რუსთაველის თეატრში საქმე მაქვს, მერე თუმანიშვილთან - თეატრში... აკეთებ რამეს? — თქვა და ნავიდა. ორიოდე ნაბიჯიც არ ჰქონდა გადადგმული, მობრუნდა და მითხრა: გულის ნამლები თუ დაგჭირდეს მითხარი, სავსე მაქვს უჯრა, არ მოგერიდოს...

— ბედი მქონია, ეროსი გავიცანი, - გახარებული ამბობდა მეგობარი.

რას ნარმოვიდგენდი, რომ უკანასკნელად ვხვდებოდით. იმავე დღეს გარდაცვალა.

ჩვენი კულტურის ისტორიის ვრაგმენტები

ვასილ პირაძე

გასაოცარ ეპოქებში ვიცხოვრე. მოვესწარი სტალინური დიქტატურის ეპოქას, თუმცა, მაშინ არაფერი არ ვიცოდით მასობრივი რეპრესიების შესახებ. „ხალხის მტრის“ ცნება იმდენად ორგანულად იყო ჩევნს ძვალსა და რბილში გამჯდარი, რომ ეჭვის თვალითაც არასოდეს შეგვიხედავს. ადვილია წინარე ისტორიაზე ლაპარაკი, როცა მოვლენები უკვე მომხდარია, მაგრამ სიმართლის დადგენა მხოლოდ მოცემული კონკრეტულ-ისტორიული პირობების ახსნით შეიძლება.

ძნელი გასარკვევია, გორბაჩივი, როცა ქვეყნის გარდაქმნას იწყებდა, ლრმად გრძნობდა თუ არა, რომ საპქოთა სისტემის საფუძვლების დანერევა მოუწევდა.

გახსნა „კაგებეს“ არქივები და ჯოჯოხეთში ჩაგვასედა, მაგრამ მანამდე, 1955 წელს, თბილისში (რკინიგზელთა კლუბში) მოეწყო საქართველოს ძელი ჩეკისტების სასამართლო პროცესი, რომელიც სსრკ-ს გენერალურ პროკურორს რუდენკოს მიჰყავდა..

ბედმა გაულიმა ჩემს სოფელს და მასობრივი რეპრესიების დროს არავინ დაუჭერიათ. ერთი

„ხალხის მტერიც“ რომ დაეჭირათ, შემდეგ მას „მტრების“ მთელ სიას შეადგენინებდნენ. გამომძიებელი ეტყოდა: ჩამოწერეთ თქვენი უახლოესი ადამიანების გვარებიო... ჩამოწერდა...

ეს უკვე საკმარისი იყო, რომ იმ სიიდან, ვინც უნდოდათ, იმას დაიჭირდნენ. ეტყოდნენ, ხალხის ამა და ამ მტერმა დაგასახელათო. სავსებით საკმარისი საბაზი იყო რეპრესირებისათვეს. მაგნდება შემთხვევა, როცა „სუკის არქივში“ (რომელიც დაიწვა თბილისის ცნობილი ომის დროს 1992 წელს), ვნახე მსახიობ ხათუნა ჭიჭინაძის დაკითხვის იქმი, სადაც თანამოაზრები იყო დასახელებული სესილია თაყაიშვილი.

ქალბატონი სესილია სრულიად არაპოლიტიკური აზროვნების ადამიანი იყო. ქ-ნი სესილია გაოგნდა, როცა ვუთხარი, რომ ხათუნა ჭიჭინაძის ჩვენების მიხედვით, თითქოს ბერიას მოკვლას აპირებდნენ ის, სესილია და აკაკი კვანტალიანი.

დაკითხვის დროს „დანაშაული“ ანუ ტერორისტული განზრახვა „აღიარა“ ხათუნა ჭიჭინაძემ. აღიარა ექვსი თვის საშინელი ნამების

შემდეგ, მაგრამ თვით „სუკშიც“ კი არ დაიჯერეს და ხელი არ ახლეს ქ-ნ სესილიას და ბ-ნ აკაკი კვანტალიანს.

განცვიფრებული დავრჩი, როცა 1955 წელს „რკინიგზელთა კლუბის“ სასამართლო პროცესზე პატიმრებს შორის დავინახე ყოფილი ფეხბურთელი ფაჩიულია.

თეატრალური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, ცოტა ხანს უმუშევარი ვიყავი. გამანანილეს ბათუმის თეატრის სალიტერატურო ნაწილის გამგედ. ჩავედი ბათუმში, მაგრამ სალიტერატურო ნაწილის გამგის თანამდებობა თეატრის რეჟისორს შალვა ინასარიძეს ჰქონდა შეთავსებული. შალვა წესიერი, ნიჭიერი კაცი იყო. მგონი, დოდო ალექსიძესთან ერთად სწავლობდა მოსკოვში თეატრალურ ინსტიტუტში. დოდო შალვას კარგად ახასიათებდა ხოლმე.

დავბრუნდით ბილისში. გამ. „ლელოს“ რედაქტორის მ. კაკაბაძის რჩევით ნავედი ბაკურიანში სპორტული სკოლის (რომელიც ბაკურიანში ვარჯიშობდა) კულტმუშავად. მოსწავლეებს ტკბილეულს (ძირითადად „პეჩენიებს“) ვურიგებდი და გაზეთში დაბჭედილ ოფიციალურ ინფორმაციებს ვაცნობდი. ეს იყო 1954 წლის ზაფხული.

ბანაკში ფეხბურთის სკოლა იყო, ფაჩიულია სპორტის მასწავლებლად მუშაობდა, საოცარი მორიდებით იქცეოდა. თითქოს „რენიოლს არ დაადგამდა ფეხს“ (როგორც ხალხში იტყოდნენ ხოლმე უწესიერეს ადამიანზე). დავახლოვდით, გულაბდილად ვსაუბრობდით. მაშინ ყველა ერიდებოდა პოლიტიკაზე საუბარს. გვიან მივხვდი, რომ მასობრივი რეპრესიების დროს ხალხში გაჩენილი ინერცია გრძელდებოდა, ხალხი ერიდებოდა საკუთარი აზრის გამოთქმას. კრებებზე თითქმის ყოველთვის დაწერილ ტექსტს კითხულობდნენ, ტექსტი წინასწარ მოწმდებოდა. ასე გაგრძელდა დიდხანს, თვით 70-იან წლებამდეც კი. კარგად მახსოვეს, როცა პრორექტორად დამნიშნეს, ჩემი პირველი „რეფორმა“ ის იყო, რომ ავკრძალე „დაწერილი ლექციების“ კითხვა. ლექციების კურსი მტკიცდებოდა კათედრაზე. პედაგოგს ვერავინ ვერ შეედავებოდა ასე რატომ თქვიო. ორივე მხარე თავს იზღვევდა...

ბაკურიანის ბანაკში ყოფნის (1954) შემდეგ, თითქმის ექვსი წელი გავიდა. დრო რადიკალურად შეიცვალა. 6. ხრუშჩოვმა შური იძია სტალინზე და ბერიაზე, ძირფესვიანად ამოთხარა მათი სახელები „პირვენების კულტის“ კრიტიკის საფარქვეშ. ეს პერიოდი ევროპამ და აშშ-მ „დათბობის ეპოქად“ შეაფასა. მასობრივი რეპრესიების მხილებას ლოგიკურად მოჰყვა სისტემის მხილება და შემორჩენილი ძველი „ჩეკისტები“ დაიჭირეს.

მე ვნახე ისინი „რკინიგზელთა კლუბში“ სასამართლოზე. მახსოვს წერეთელი, გოგლიძე,

კრემიანი, მოულოდნელად მათ ჯგუფში დავინახე ფაჩიულია, რომელთანაც ერთად გავატარებაკურიანში ერთი თვე. ეს „ქველი“ ფეხბურთელი თურმე რას არ სჩადიოდა, „კაგებეში“ აბეზ-ლებდა ხალხს. შემეშინდა.. ვისთან მიხდებოდა ურთიერთობა.

ყველაზე მეტად მაინც კრემიანის გაქვავებული სახე დამამახსოვრდა, ნამდვილი სადისტი იყო. მაშინ არ ვიცოდი ახმეტელის ნათქვამი ფრაზა - „კრემიანი სულიერი სადისტიაო“...

ალბათ, ანამებდა ახმეტელს...

რეაბილიტაციის პროცესი საბჭოთა კავშირში ყველაზე ადრე საქართველოში დაიწყო. ამბობდნენ, რომ ეს ვასილ მუავანაძის დამსახურება არისო. მან გამოიჩინა ინიციატივა და საქართველოში დაიწყო მასობრივი რეაბილიტაციის პროცესი. მაშინ პრეზიდენტი იყო ზვიად გამსახურდია. შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალურად ვთხოვე ეჩვენებინათ სანდორ ახმეტელის საქმე. ცნობილი იურისტის ვახტანგ შვანიასაგან ვიცოდი, რომ არქივში იდო მრავალტომეული „ახმეტელის საქმე“.

არ დამავიწყდება დიდი ემოციური შთაბეჭდილება, როცა არქივის თანამშრომელმა მაგიდაზე დამიწყო „ახმეტელის საქმის“ ტომეულები, მინდოდა ყველაფერი ერთდროულად წამეკითხა. ჩემს დაინტერესებას მართლაც არ ჰქონდა საზღვარი.

* * *

ნახევარი საუკუნის წინ ინტენსიურად ვწერდი დღიურებს. ვფურცლავ ამ გაცრეცილ ფურცლებს და ციონცხლდებიან ადამიანთა სახეები, რომლებიც ცოცხლები აღარ არიან.

სევდის მომგვრელია მათი სახელების გახსენება. თითქოს ისეა, ჩევნი გენიალური ზღაპრები რომ იწყება: „იყო და არა იყო რა“...

იყო ერთი გენიალური მსახიობი და ბავშვის გულის ადამიანი...

აკაკი ხორავაზე ვლაპარაკობ.

ეჭვიანი კაცი იყო ბატონი აკაკი. კრიტიკოსმა გიორგი მარგველაშვილმა იხუმრა: ხორავას იმიტომ გამოუვიდა ოტელოს გენიალური შესრულება, რომ თავადაც ეჭვიანი კაციაო.

ერთხელ დოდო ალექსიძის კაბინეტში ვსაუბრობდით დოდო, აკაკი ხორავა და მე. შემოვიდა გურამ სალარაძე: ვასო, წავიდეთ კინო რუსთაველში...

ნავედით.

ფილმის დამთავრების შემდეგ თეატრში დავბრუნდით. აკაკი ხორავა მოღუმული დაგვხვდა.

— მე კი არ წამიყანეთ...

— ვერ გაგიბედეთ...

მაინც წაწყენი დარჩა.

ბავშვივით უხაროდა ან სწყინდა პატარა რამეც კი...

ორმოცდათი წლის წინათ (1965. 17. I.) დღი-ურში ჩამინერია: „დღეს აკაკი ხორავას სანახავად ვიყავით, „ლეჩიკომბინატში“ წევს, ვიცოდი, გაუხარდებოდა, რატომ მოვაკლო ადამიანს სიხარული, თუ ჩემი დანახვა გაუხარდება?“. დ. ალექსიძე, ე. გუგუშვილი და მე მივედით, საათის 5 იყო დაწყებული. აკაკი დაბნეული სიხარულის-გან აღელვებული დაგვხვდა..

— არ ველოდი, რომ მოხვიდოდით, „მალადეც“, - ამბობს და პალატაში სკამებს გვთავაზობს.

— ოხ. რა კარგი ქენით, რომ მოხვედით, - ნარამარა იმეორებს,

— როგორ ხარ ვასო, მეკითხება.

— კარგად - ვპასუხობ.

— კარგად უნდა იყო, დრო თქვენია. შენი იმ-ედი მაქვს.

მერე იწყებს თავის აგადმყოფობაზე საუბარს, ჩვენ ვუმსუბუქებთ, თითქოს ექიმები ვიყავით.

— ვინალამ კიბო მქონდა მეგონა, - ამბობს ბ-ნი აკაკი და რაღაც გამომცდელად გვიყურებს. რუსუდანი ჩამციებია, მოსკოვში წადიო. რა მინდა იქ, რა მჭირს ასეთი, - თითქოს ნაწყენი ამბობს. სწუხს ინსტიტუტზე, თავის კურსზე, რომ-ლებთანაც სპექტაკლი უნდა დაედგა.

— თავს მოუარეთ, ერთმანეთს გაუფრთხილდით, - დღოდადრო წამსვლელი კაცივით იბარებდა. მე ეს არ მომენონა. შინაგანი სევდა ვიგრძენი მის ინტონაციაში. ნახევარი საათის შემდეგ ვშორდებით, კარამდე გვაცილებს: ოხ, რა გამახარეთ, - ამბობს და მხარზე ხელს მხვევს, მეფერება.

— თეატრში თუ საქმე ასე გაგრძელდა, ზაქარიაძეს მოუწევს ხელმძღვანელობა — ვეუბნები.

— ეს არ მოხდება, კოლექტივი არ დაუშვებს, - მეუბნება ბ-ნი აკაკი.

— მოხდება! - ვეუბნები დაბეჯითებით.

უსიამოვნოდ იშმუშნება“....

ახლა ვფიქრობ, რომ უტაქატოდ მოვიქეცი. რამდენი დაფიქრება გინდა კაცს, მით უფრო, როცა ავადმყოფის სანახავად მიხვედი. შენ უბრუნდები ცხოვრებას, მას კი მარტო ტოვებ, ლოგინში, თავის თავთან...

ისევ დღიურიდან: „ხორავა გავაცილეთ მოსკოვში. სადგურზე მოვიდა ხალხი, რუსთაველის თეატრიდან ცოტანი იყვნენ, არ იყო ეროსი, მე-დეა, გოგი, გურამი და სხვანი, ხორავას ცრემლი მოერია, ფანჯრიდან ხელს გვიქნევს, პაპიროსს აბოლებს. ნუთუ გრძნობს, რომ კიბო აქვს, რა 70 წელი უსრულდება. ეპა, შავბედო!“...

* * *

საბჭოთა ეპოქაში საოცარი ამბავი მოხდა, ორი მინისტრი გადადგა მათი ხელმძღვანელის, ცეკას მდივნის დ. სტურუას ანტიდემოკრატიუ-

ლი, ვინწრო პარტიული აზროვნების გამო.

საბჭოთა პერიოდში მინისტრის გადადგომა ნამდვილი სენსაცია იყო, — ისიც 80-90-იან წლებში, თორემ 60-იან წლებში ამაზე ფიქრიც კი არ შეიძლებოდა — ვინ გაბედავდა მინისტრის პოსტიდან გადადგომას.

ასე რომ, 1965 წელს საქართველოში მოხდა საოცარი ფაქტი: ერთდროულად გადადგნენ კულტურის მინისტრი თენგიზ ბუაჩიძე და კინემატოგრაფიის კომიტეტის თავმჯდომარე (იგივე მინისტრი) ოთარ ქინქლაძე.

მაშინ კულტურის სამინისტროში ახალი დაწყებული მქონდა მუშაობა. სამინისტროც და კინოკომიტეტიც იმ შენობაში იყო, დღეს რომ თეატრისა და კინოს უნივერსიტეტია განთავსებული.

კულტურის მინისტრის მოადგილემ აკ. დვალიშვილმა ჩვენს დიდ მეცნიერს პავლე ინგოროვას ერთი ოთახი გამოიუყო სამუშაოდ. ბ-ნი პავლე თითქმის ყოველდღე მოდიოდა სამინისტროში თავისი დღი პორტფელით, კიბეზე ვხვდებოდით ხოლმე, პორტფელს ჩამოვართმევდით, მსუბუქად რომ ამოსულიყო. მაშინ სამინისტროში ლიფტი არ იყო. შევიდოდა თავის კაბინეტში ბ-ნი პავლე, მაგიდაზე გაშლიდა ათასგარ დოკუმენტს და გატაცებით მუშაობდა. შესვენების დროს ბ-ნი აკაკის ოთახში ვიკრიბებოდით და ვსაუბრობდით. ბ-ნი პავლე ცოცხალი ენციკლოპედია გახლდათ, რას არ გვიყვებოდა დამოუკიდებელი საქართველოს წლებზე, ნორ უორდნიას მთავრობაზე, ქვეყნის ბედზე, დიდი პატრიოტი იყო.

ჩემს მაშინდელ დღიურში ჩამინერია: „თ. ბუაჩიძე და ო. ქინქლაძე გადადგნენ, წავიდნენ, როგორც გმირები, მე არ ვიცი საბჭოობრივი იდეა-მე, რომელიმე მინისტრს უარი ეთქვას პოსტზე. პირდაპირ საოცარი ამბავია“.

მაინც რა მოხდა საქართველოში თითქმის ნახევარი საუკუნის წინათ? დღეს ძალიან ადვილია კომუნისტური ეპოქის კრიტიკა. რამდენიც არ უნდა ვაგინოთ, ყველაფრის ლირსია, რადგან იგი, ფაქტიურად, რუსული საბჭოური იმპერია იყო, ხოლო საქართველო მისი ნანილი. მოდი და ნუ აგინძე. ამიტომ აგინძეს ყველა, აგინძები ძველ ფუნქციონერებს, პარტიულ მუშაკებს, მთავრობის წევრებს. ერთი სიტყვით, თითქმის ყველაფრის, როგორც ეს გვჩვევია ქართველებს. ჩვენ ხომ არაფერში არ ვიცით ზომიერება. ჩვენი დამაცეველი რადიკალიზმით ჭეშმარიტებას რომ ვერ დავადგენთ, ამაზე არასოდეს ვფიქრობთ. ცხოვრება კი არასოდეს არის ერთი ფერისა. განა მაშინდელი საბჭოთა ფუნქციონერები დღეგანდელი თავისუფალი საქართველოს ფუნქციონერებზე ნაკლები პატრიოტები იყვნენ? ასე რომ ყოფილიყო, მაშინ გაუგებარი იქნებოდა როგორ მოხდა, რომ



თენგიზ ბუაჩიძე

კომუნისტური პარტიის ათიათა-სობით წევრმა და ასიათასობით კომკავშირელმა საქართველოს დამოუკიდებლობას მისცა ხმა? ხომ დავინახეთ, რომ დამოუკიდებლობისა და თავისუფლების წლებში ჩვენ, ქართველები ბევრად უფრო აგრძესიულები აღმოჩნდით ერთმანეთის მიმართ, ვიდრე ეს

თუნდაც 60-80-იან წლებში ვიყავით? ან არადა, თუ საბჭოთა წლებში ყველაფერი საშინელი იყო, მაშინ როგორ შეიქმნა დიდი ხელოვნება და დიდი მეცნიერება, რომელიც ტოლს არ უდებდა მსოფლიოს დიდ ქეყნებს. ასე რომ, საცა ღამეა, იქ დღეც არის. ერთ-ერთ ასეთ გამონათებაზე მინდა საუბარი.

ყველაფერი ასე დიანყო: ერთ დღეს შეიკრიბნენ ცეკას მდივანი (იდეოლოგის დარგში) დ. სტურუა, კულტურის მინისტრი თ. ბუაჩიძე, მოადგილე აკ. დვალიშვილი და კინოკომიტეტის თავ-რე ო. ქინქლაძე და ერთად ნახეს მოსფილძის სურათი „თავმჯდომარე“. მთავარი გმირის როლს დიდი წარმატებით ასრულებდა გამოჩენილი მსახიობი მ. ულიანოვი.

ფილმის ჩევნების შემდეგ დ. სტურუამ განაცხადა: „ფილმი ძალიან კრიტიკულია, საბჭოთა სინამდვილე მეტისმეტად მუქ ფერებშია დახახტული, მე მიზანშენონილად არ მიმარისა საქართველოს ეკრანებზე ამ ფილმის ჩვენებაო. თუ მაინცადამაინც განდათ, ერთ კინოთეატრში ვაჩვენოთ. ცეკას მდივანს არ დაეთანხმნენ დახარჩენები. ატყდა ცხარე კამათი, მაგრამ მინისტრის უშუალო უფროსი იყო ცეკას მდივანი. მისი განკარგულება წყვეტდა ფილმის გაშვების ბედს. დევი სტურუა კი პოზიციას არ თმობდა. მან სამივეს უსაყვედურა, რომ ისინი იდეურად არ იყვნენ მართალი, ეკავათ ლიბერალური პოზიცია.

ასე დაშორდნენ ერთმანეთს.

დევი სტურუას წასვლის შემდეგ თ. ბუაჩიძემ, ო. ქინქლაძემ და აკ. დვლიშვილმა შეადგინეს განცხადების ტექსტი ცეკას ბიუროს წევრების სახელზე და არა პირადად ვასილ მუგანაძის მისამართით. განცხადებაში დაგმეს დ. სტურუას, როგორც იდეოლოგიური დარგის ხელმძღვანელის პოზიცია კულტურის დარგში,

გააკრიტიკეს მისი მუშაობის სტილი. კონცრეტული ფაქტებიდან დაასახელეს ფილმ „თავმჯდომარის“ ორგვლივ მომხდარი ინციდენტი და რუსთაველის თეატრის საქმებში უხეში ჩარევის ფაქტები. განცხადებაზე ბ-ნ აკაკის ხელი არ მოაწერინეს, ჩვენ მინისტრები ვართ და ჩვენვე შევებრძოლებითო. აკ. დვალიშვილი ნაწყენი დარჩა ამ ფაქტის გამო, მაგრამ მინისტრებმა მაინც თავისი გაიტანეს.


მეორე დღეს ბ-ნებმა თ. ბუაჩიძემ და ო. ქინქლაძემ ცეკას ბიუროს წევრებს ჩამოურიგეს განცხადებები. ტაქტიკური თვალსაზრისით ალბათ შეცდომა იყო, როცა წერილით ცეკას პირველ მდივანს, პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატს ვ. მუავანაძეს კი არ მიმართეს, არამედ ბიუროს წევრებს, ვ. მუავანაძე თურმე ამის გამოც განაწყენდა, ამ ფაქტში მან მისადმი ერთგვარი უნდობლობა დაინახა. სწორადაც მიხვდა, რადგან დევი სტურუა მუსავანაძის ფავორიტი იყო. მას განსაკუთრებით მფარველობდა მუსავანაძის მეუღლე. მაშინ ეს ყველამ კარგად ვიცოდით. მიუხედავად ამისა, მინისტრებმა მაინც ბრძოლა გამოუცხადეს დ. სტურუას.

განცხადების შეტანის შემდეგ, აკ. დვალიშვილის წინადადებით, მინისტრის კაბინეტში ჩატარდა რეპეტიცია, ვითომ ბიუროს სხდომაზე იყვნენ, რეპეტიციას მინისტრების გარდა, ვესწრებოდით ბ. ინგოროვა და მე. აკ. დვალიშვილი მუსავანაძის როლს ასრულებდა და მინისტრებს მწარე შეკითხვებს აძლევდა დევის დასაცავად როგორც ეს იყო მოსალოდნელი. თ. ბუაჩიძე და ო. ქინქლაძე კი თავს იცავდნენ. მერე ხან ვითომ ბიუროს რომელილაც წევრი შეკითხებოდა რალაცას, ხან მეორე წევრი და ასე გაგრძელდა „ბიურობანა“ თითქმის ორი საათი.

რეპეტიციის ბოლის აკ. დვალიშვილმა განაცხადა: ჩვენ ამ ბრძოლაში დაგმარცხდებით, თქვენი პასუხები ძალიან ინტელიგენტური და დემოკრატიულია, ამის დრო კი ჯერ არ დამდგარა. დ. სტურუა პარტიულ სიფხიზლესა და იდეურობას იცავს, ეს მისთვის მომგებიანი პოზიციაა, ბიუროს წევრებს შეეშინდებათ რაიმე თქვან ასეთი პოზიციის წინააღმდეგ.

ასეთი იყო ბიუროზე საკითხების გადაწყვეტის წინასწარი პროცენზი, მაგრამ მინისტრებს გამარჯვების იმედი მაინც ჰქონდათ.

რეპეტიციიდან მოიმდევ დღის



ოთარ ქინქლაძე

შემდეგ მართლაც, გაიმართა ცეკვას ბიუროს სხ-ლომა, სადაც განიხილეს თ. ბუაჩიძისა და ო. ქინ-ქლაძის განცხადება.

ბ-ნი პავლე ინგოროვა და მე აკ. დვალიშვილის კაბინეტში დიდი მღელვარებით ველოდით მინისტრების დაპრუნებას, ბიუროს შედეგებს. საღამოს ასე რვა საათი იქნებოდა, როცა თ. ბუა-ჩიძე და ო ქინქლაძე ცეკადან დაპრუნდნენ — დავმარცხდით, — თქვეს მინისტრებმა. ვასილ მუავანაძემ მოგვიწოდა შეკერებილიყავით დ. სტურუასთან. დ. სტურუა დათანხმდა შეკერებას, ახლა ნადით და განაგრძეთ მუშაობაო — გვითხრა ვ. მუავანაძემ, მაგრამ ჩვენ ვერ შე-ცურიგდებით, პოზიციებს არ დავთმობთ. ხვალ ოფიციალურ განცხადებას შევიტანთ ვ. მუავა-ნაძის სახელზე გა-დადგომის შესახებ, — განაცხადეს მინ-ისტრებმა.

ფანტასტიკური ამბავია, — ეს ამ-ბავი თავის შედეგს გამოიღებს. ასეთ ცენზურას ვეღარ გაბედავენ — გა-ნაცხადა ბ-ნმა პავ-ლე ინგოროვამ.

მეორე დღეს შეიტანეს განცხ-ადება გადადგომის შესახებ.

ჭავლე ინგოროვა

შესახებ. ვ. მუავანაძემ დააკმაყოფილა მათი თხ-ოვნა. საბჭოთა მინისტრებმა ნამდვილი დიდი ზნეობრივი გმირობა გამოიჩინეს.

აკ. დვალიშვილი უაღრესად კეთილშობილი, ზნეობრივი პიროვნება გახლდათ. ისიც ხომ უშუ-ალოდ მონაწილეობდა დ. სტურუას ნინაადმდეგ ბრძოლაში, ამიტომ მინისტრების გადადგო-მიდან თრიოდე დღის შემდეგ დამიბარა თავის კაბინეტში და მითხრა: ვასო, შენ ჩემი მექობარი ხარ, მაგრამ მიუხედავად ამისა, სადღაც გულის სიღრმეში შენც არ მოგეწონება, თუ მე გავა-გრძელებ მუშაობას. ჩემგან ეს არ იქნება ღირ-სეული საქციელი, მეც უნდა გადავდე, — თქვა და ვ. მუავანაძის სახელზე დანერილი განცხ-ადების ტექსტი წამიკითხა. ამის შესახებ ჩემს დღიურში მაშინ ჩამინერია: „აკაცი დვალიშვილ-მა განცხადება დანერა გადადგომის შესახებ, მეცოდება კაკო. რამდენი წელი დაკარგა სამინ-ისტროში თეატრიდან რომ ნამოვიდა. ნეტავ რა მოხდება? ალბათ, განთავისუფლებენ. ნეტავი, რუსთაველის თეატრში მაინც გადაიყვანონ, მა-გრამ ამას ს. ზაქარიაძე არ იზამს, იქ ის ლიდე-რია. ბ. ულენტი შემხვდა, შენუხებულია კაკოს განცხადების გამო, განცხადებას პროტესტად ჩაუთვლიანო. ბესოს ვთხოვე, იქნებ დ. სტურუას უთხრას, რომ არ გაუშვან კაკო“. 17. II. 65.



ისევ დღიურიდან: „აკ. დვალიშვილი განცხ-ადებით მივიდა ვ. მუავანაძესთან, შედგა თბილი საუბარი. ივ. მუავანაძეს კაკოსთვის უთქვაშს, შენ რეჟისორი ხარ, პროფესიონალი და შენს აზრს ჩვენ ანგარიშს გავუნევთ, ანი შენს გარეშე თეატრის საკითხები აღარ გადაწყდებაო“. 16. II. 65.

მთელი ეს ისტორია იმის მაგალითა, რომ საბჭოთა პერიოდშიც იყო სიმართლისა-თვის ბრძოლა და თავდადება. მათ შორის იყო სახელმიწოდოს არაერთი „ჩინოვნიკი“. დღეს კი, როცა ტელეგადაცემებს ვუყურებ და ზოგიერთ საგაზეთო წერილებს ვკითხულობ, პირდაპირ გაოცებული ვარ — ან ვყელაფერს წარსულს აბ-რალებენ ან კიდევ იმ დროს, თუ ვინმეს ბზიკმა უქიმნა, დღეს ყველას უნდა თავი გმირად წარ-მოაჩინოს.

ისტორია ყოველთვის არ არის სამართლიანი, თუ სიმართლეს არ ვიტყვით ...

ნახევარი საუკუნის გადასახედიდან დღეს ბევრი რამ სხვაგვარად ჩანს, მაგრამ არ შეი-ძლება ისტორიის ჩასწორება. ისტორია კი ასეთი იყო!...

* * *

ვასილ მუავანაძეს საბჭოთა ეპოქის „დათბო-ბის პერიოდში“ მოუწია მოღვაწეობა. ბუნებით უბორობო კაცი იყო, თუმცა, გინება მაინც არ მოჰკულებია. რუსი თუ უკრაინელი მეუღლე ჰყავ-და და მისი საშუალებით ხდებოდა ჩანყობები, ვისაც მასთან მიესვლებოდა.

ამ პერიოდში პირდაპირ აყვავდა მექრთამ-ება, თითქმის ცხოვრების წესად იქცა. როცა მუავანაძე გაანთავისუფლეს, მასთან სახლში მივიდა ჩემი მასნავლებელი და უფროსი მეგო-ბარი ნინო შეანგირაძე. როგორც ნინომ მიამბო, შენაურულ საუბარში თურმე ვასილ მუავანაძე უთხრა:

— საქართველოს კარგად არ ვიცნობდი, პატარა ვიყავი ბიძიამ რომ რუსეთში წამიყ-ვანა. შემდეგ სამხედრო სასწავლებელი და გენერალ-ლეიტენანტის ჩინამდე მივაღწიე. ნიკიტამ მთხოვა საქართველოში დაბრუნება. პირველ მდივნად დაგებრუნდი. მოვიარე მთელი საქართველო, შემზარა, ისეთი სიღარიბე ვნახე-ქართლში პირდაპირ ნაკელით შელესილ სახ-ლებში ცხოვრობდნენ, დასავლეთში - ისლის კონებითა და ყავრით გადახურულ სახლებში. ცემენტი მაღაზიებში არ იყიდებოდა, არავი-თარი საშუალება არ იყო ახალი სახლის ასაშენე-ბლად. იმ პერიოდში დაიწყო ენგურჲესის დიდი კაშხალის მშენებლობა.

დასავლეთ საქართველოშიც დაიწყო სახ-ლებისა და სასახლეების მშენებლობა. უს-აზღვროდ იზრდებოდა ენგურჲესის ფონდები. მოსკოვში სამინისტროში ერთი ყუთი კონიაკის



აკაკი დვალიშვილი

ვანი აღარ იყო, მაშინ მიამბო: ცეკას ბიუროზე გამოიტანეს ენგურჰესის მშენებლობის ხელმძღვანელის მოხსნის საკითხი. სხდომაზე ბიუროს ყველა წევრი მკაცრად გამოვიდა. დირექტორს პირდაპირ დასაჭერად ჰქონდა საქმე. სხდომის ბოლოს თურმე მუავანაძემ ჰქითხა: კაცო, ხომ ხედავ მარტო მოხსნას არ გაკმარებენ, გულახდილად თქვი- სად წაიღე ამდენი ცემენტი?!

— ვასილ პავლოვიჩ, დასავლეთ საქართველოში, სადაც ახალი ოჯახი შეიქმნა და სახლი აიშენა, ყველა ენგურჰესის ცემენტით აშენდა..უარს ვერ ვეუბნებოდი...

დ. სტურუამ მითხრა: მუავანაძე ბიუროს წევრებს მოგვდგა და მოგვდგა, სულ მიწასთან გაგვასწორა.

- რას ვერჩით ამ კაცს, მთელი დასავლეთ საქართველო ააშენა, ხალხი წელში გაიმართა, ზღვაში ხომ არ გადაუყრია ცემენტი!...

ბიუროს სხდომის შემდეგ, მუავანაძემ თურმე შინაურულად, ვითომ სასხვათაშორისოთ თქვა: რუსეთი მდიდარია და გაუძლებსო...

გვიდა დრო. ვ. მუავანაძე მოხსნეს — პესიაზე გაუმვეს. იმ პერიოდში ქობულეთში თეატრალური საზოგადოების დასასვენებელ სახლში ვასვენებდით მე და გვივი ბერიკაშვილი. ოზურგეთიძან (მაშინ მახარაძე ერქვა) ჩამომაკითხა ჩემმა ყოფილმა სტუდენტმა, ნიჭიერმა რეჟისორმა და საიმედო კაცმა ვასილ ჩიგოგიძემ, სადილად მიგვიწვია ოზურგეთში. გვითხრა, რომ ვ. მუავანაძე ქობულეთში ისვენებს და მისი მეგობარი პატიუებს ოზურგეთში, ალბათ საინტერესო ამბებს მოგვიყვებაო..

- გივი, წავიდეთ? — ვკითხე ბერიკას.
- ნამცეცობაზე ჩავიდეთ!...

მართლაც „ნამცეცობაზე“ წავედით. ჩემმა სეხნიამ გვიამშო მუავანაძის მონათხორი: ერთ დღეს თურმე მის კაბინეტში შევიდა შინაგან საქმეთა მინისტრი და სოხოვა:

— ვასილ პავლოვიჩ, ამაღამ რაიკომის მდივანს ქრთაშვილის მისცემენ და ნება მოგვეცით ქრთაშვილის აღების ფაქტზე დავიჭიროთ.

- რა თანხას შესთავაზებენ?!
- დაუსახელებია დიდი თანხა.

— დაიჭირეთ! — მიუცია ნებართვა.

როცა მინისტრი კაბინეტიდან გავიდა, მუავანაძეს უფიქრია, ხომ შეიძლება აქამდე ქრთაში არ აუღია, მაგრამ ამდენ თანხას რომ შესთავაზებენ, ნასცდეს ხელი და აიღოს... იქვე დაურეკა მდივანს: ფულს მოგიტანენ და არ აიღოო....

საოცარი ფაქტია. სსრკ-ს პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა რაიკომის მდივანი გააფრთხილა — ოცერაცია გასცა...

მდივანმა ფული არ აიღო, უშიშროების მინისტრს კი მკაცრი საყვედური უთხრა: პატიოსან ხალხს აცდუნებთ, სახელს უტეხთო...

ვ. მუავანაძის დროს ხალხმა ეკონომიურად, მართლაც, სული მოითქვა. შალვა განერელია და მე ხშირად ვკამათობდით იმ ეპოქის პარადოქსებზე. შალვა რადიკალური იყო, მუავანაძის პოზიცია უზნეობაო, - ამბობდა.

მასსოვს, ერთხელ მოსკოვიდან მოვდიოდი მატარებლით. ოთხადგილიან კუბეში ვიყავით მე და სამი რუსი სამხედრო ჩინოსანი. ერთი კაპიტანი იყო, ორი კი — უფროსი ლეიტენანტი. ინტელიგენტი რუსები. ქართველი მეგობრის მიერზესტაფონში იყვნენ მიპატიუებულნი. როცა მატარებელი საქართველოს ტერიტორიაზე შემოვიდა, სამხედროები ფანჯარას არ მოშორებიან, რაღაცას ჩურჩულებდნენ, კამათობდნენ. ერთ-ერთმა დამიძახა და მეთხა:

— აი, ის რა არის — სკოლა? კანტორა?...

— საცხოვრებელი სახლია!...

— ის?... ის?.. და ა. შ.

როცა გაიგეს, რომ დიდი სახლები საცხოვრებელი იყო, სულ გადაირივნენ. ორი დღე და ლამე გამოვიარეთ რუსეთი და ხალხი სულ მიწურებში ცხოვრობდა. რუსები უცებ სხვა სამყაროში მოხვდნენ, ისე გაცოფდნენ, რომ ჩემი დანახვა აღარ უნდოდათ...

გამახსენდა დიდი მწერლის ჯ. სტეინბეკის მოგზაურობა აჭარაში. აღტაცებული და გაოცებული წერს, რომ სსრ კავშირის სამოთხეაო ბათუმში შემთხვევით დაესწრო სოფოკლეს „ოიდიპოს მეფეს“ (არჩ. ჩიარტიშვილის დადგმა), აღფრთოვანებული დარჩა პატარა ქალაქში რომ დიდი ხელოვნება ნახა!...

რუსთაველის თეატრის ცნობილი კონფლიქტის დროს (1964), რომელსაც თეატრიდან დოდო ალექსიძის ნასვლა მოჰყვა, ვ. მუავანაძემ დაიბარა დ. ალექსიძე.

ვასილ მუავანაძეს უნდოდა დოდოსა და თეატრის დირექტორის დ. კიტიას შერიგება. როცა დოდო ცეკადან, მუავანაძესთან შეხვედრის შემდეგ დაბრუნდა, უცნაური ამბავი მიამბო: დოდო, - უთხრა თურმე მუავანაძემ - ხელკავს გაგიკეთებ და აქედან თეატრამდე ფეხით გავიაროთ. ხალხი რომ დაინახავს, ჩემი ახლობელი კაცი ეგონები. ამის შემედევ ველარავინ ვერ გაგიბედავს რამესო — მკლავში ხელი გაუყარა. დოდო

თურმე ხელი გააშვებინა. მუავანაძეს გაუკვირდა: დევიმ შენზე მითხრა რბილი კაციაო, შენ კი თურმე რა მაგარი ვინმე ყოფილხარ!... მითხრა და ორი თითი მკერდზე მომადო.

მუავანაძე გაოცებული დარჩა დოდოს სიმტკცით.



ვასილ მუავა-
ნაძის გულუ-
ბრყვილობისა და
რბილი ხასიათის
რამდენიმე ფაქტს
შევესწარი. ჩვენ-
ში დამკვიდრდა
სტერეოტიპი, რომ
პარველი კაცის
თანამდებობიდან
განთავისუფლების
შემდეგ მასზე
დადებითის თქმა

კარგ ტონად აღარ ითვლებოდა, მის წინააღმდეგ
იწყებოდა კამპანია. ეს ხომ პოლიტიკური პრო-
ვინციალიზმი იყო და მეტი არაფერი!...

...მარჯანიშვილის თეატრში გიგა ლორთქი-
ფანიძემ დადგა ვ. გაბესკირიას „უფსკრულ-
თან“. სპექტაკლში ბავშვი კვდებოდა ფილტვე-
ბის ანთებით. პენიცილინი ახალი შემოსული
იყო, მაგრამ „შავ ბაზარშიც“ არ იშოვებოდა,
მთავრობას კი ჰქონდა შემონახული მთავრობის
წევრებისა და მათი ოჯახისათვის.

სცენაზე კი ფილტვების ანთებით კვდებოდა
ბავშვი...

სპექტაკლს დაესწრო ვ. მუავანაძე. მან-
ამდე წარმოდგენა რამდენჯერმე შეაჩერეს, არ
გაუშვეს, როგორც პოლიტიკურად მიუღებელი,
ამიტომ მოიწვიეს ვასილ მუავანაძე.

— ძალიან გთხოვთ ნუ მოკლავთ ბალანას, —
თქვა მუავანაძემ. დრამატურგი ვ. გაბესკირია
და რეჟისორი გ. ლორთქიფანიძე პოზიციებს
არ თმობდნენ, მაგრამ სპექტაკლი მაინც არ
გაუშვეს, ვიდრე არ ჩაამატეს ფრაზა, რომელსაც
კულისებში ყვიროდნენ - „ვიშვეთ წამალ!“...

გიგამ გოხივრულად იმუშავა და ამ ტექსტის
ჩამატებით მოხსნას გადაარჩინა სპექტაკლი, ვ.
გაბესკირია ნერვიულობდა, არ იყო ჩასწორე-
ბის მომხრე. გიგამ დაამშვიდა: სამ, ოთხ სპექ-
ტაკლზე დაიყვირებენ კულისებში, მერე ვითომ
მსახიობს დაყვირება დაავინყდებოდა..

ასე შერჩა სპექტაკლი რეპერტუარს!...

ჩვენს თეატრს რა არ გადახდენია თავს, მა-
გრამ მაინც შეიქმნა დიდი თეატრალური კულ-
ტურა.

ერთხელ გერონტი ქიქოძემ თქვა: ხელოვნე-
ბას ქარიშხლები უფრო უხდება, ვიდრე სარწყ-
ულის შეცვებით...

ასეც არის!...

რამდენი წელია საქართველო დამოუკიდებე-

ლი ქვეყანაა, მაგრამ იგი ხელოვნების ტრიუმფა-
ლური წარმატების გარანტი არ არის.

ხელოვნება თავისი არსით დისიდენტური
მოვლენაა. სულ სხვა რაკურსით წარმოაჩენს
ცხოვრებას, მაგრამ მე არ მიყვარს სისასტიკისა
და სულიერი სიბენელის წარმოჩენის ხელოვნებას. ხელოვნებამ იმედი და რჩმენა უნდა ჩაუნერგოს
ადამიანს, უნდა გაამხნევოს...

ქართველები უცხოთა მოყვარენი ვართ,
როგორც ცნობილი „საუცხოო“ სიტყვაც დამ-
კვიდრდა ჩვენს ლექსიკონში, უცებ ვითავისებთ
უცხოურს, ახალს, უცებ ვრეაგირებთ სიახ-
ლეზე. შეგვიძლია სიტუაციას ისე უცებ ავულოთ
ალლო, რომ მნახველი გავაოცოთ. მაგონდება
აკაეკი ვასაძის მოგონებებიდან ერთ-ერთი ტიპ-
იური ფაქტი. რუსთაველის თეატრის უკრაინაში
გასტროლების დროს თურმე თეატრს დიდი ბან-
კეტი გადაუხადეს უკრაინის თავკაციის ნ. ხრუშ-
ჩინის თამადობით.

შუა ქეიფის დროს საბანკეტო დარბაზში
შემოვიდა ცნობილი მეჩაიე ქიონია სარსანია.
თავზე ყაბალახი ჰქონდა მოხვეული, ჯარისკა-
ცივით წელგამართული მივიდა ხრუშჩოვთან,
მიესალმა „ჩესტი“ გაუკეთა და სუფრასთან და-
ჯდა. ხრუშჩოვს ირონიულად ჩაეცინა სარსანიას
„ჩესტზე“.

ქეიფი გაჩაღდა, უკრაინები გამოთვრნენ.
თურმე ხრუშჩოვმა მაგიდაზე დაჰკრა ხელი და
იყვირა: გახედეთ რა ხდება სუფრაზე. ქიონია
რომ შემოვიდა, არცყი იცოდა როგორ უნდა მო-
ქცეულიყო. ორი საათია ლორდივით ზის და ქეი-
ფობს, ჩვენი აკადემიკოსები კი გამოთვრნენ და
იატაკზე გორაობენო.

— გვასახელა ქიონიამ, — თქვა ბატონმა
აკაეკი.

ტიციან ტაბიძემ თქვა: ქართველებს სულ
გვინდა რომ სხვა ვიყოთ.

მართლაც, ძლიერია სხვადექცევის ფენომენი
ანუ უკეთ წარმოჩენის სურვილი. არასოდეს არ
მავიზყდება პირველი დღები, როცა რუსთავე-
ლის თეატრის სალიტერატურო წანილის გამ-
გედ დავინიშნე. თანამდებობა მეტი იყო ვიდრე
იმ წელს ინსტიტუტის კურსდამთავრებულის
ავტორიტეტი, ამიტომ პირველივე დღეებიდანვე
დავინებე თავის წარმოჩენა. დღესაც გულგრი-
ლად ვერ ვუყურებ რუსთაველის თეატრის მარ-
ჯვენა ლოჟას. ყოველ სპექტაკლზე შევდილი
ლოჟაში და ფეხებში მივჩერებოდი მსახიობებს,
ვინერდი შენიშვნებს და მეორე დღეს მსახიობთა
ფონები ვაკრავდი....

მთელ ამ ამბავის იყო რაღაც პროექციული
— იმაზე მეტის ჩვენების სურვილი, ვიდრე სი-
ნამდვილები ხარ.



გიორგი ერისთავის სახელობის კომედიის ფესტივალი – 2015

ნომინაციების გამარჯვებულები:

გორის მუნიციპალიტეტის რჩეული სპექტაკლი
თავისუფალი თეატრი
„ვალსი ძილის ნინ“
რეჟისორი ავთანდილ ვარსიმაშვილი

ფონდი „რეგარტი“-ს სპეციალური პრიზი
საუკეთესო მუსიკლური გაფორმება-
საქართველოს სახელმწიფო პანტომიმის თეატრი
„პრიმანშტული“

რეჟისორი და მუსიკალური გამფორმებელი ამირან შალიკაშვილი

ფონდი „რეგარტი“-ს სპეციალური პრიზი
საუკეთესო სცენოგრაფია

გორის გიორგი ერისთავის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი
„მ უ ს უ ს“
მხატვარი თამარ ჭავჭანიძე

სპეციალური უიურის გადაწყვეტილებით
საუკეთესო დრამატურგი

მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა პროფესიული თეატრი
ნინო მირზიაშვილი
პიესისათვის „მაცეკვე ტანგო“

**საუკეთესო ახალგაზრდა მსახიობი ქალის როლი
გორის გიორგი ერისთავის სახელობის პროფესიული
სახელმწიფო დრამატული თეატრის სპექტაკლში
„გ უ ს უ ს ი“**

კატოს როლის შესრულებისთვის
მსახიობი **მარი არლუთაშვილი.**

**საუკეთესო ახალგაზრდა მსახიობი კაცი როლი
რკინის თეატრის სპექტაკლში
„სულ ხვა ოკერა“
ცელია პირების როლის შესრულებისთვის
მსახიობი **ნოდარ სიმიშვილი****

**საუკეთესო მსახიობი ქალის როლი
მესხეთის (ახალციხის) პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის სპექტაკლში
„აივანი“ - ფერმონიას როლის შესრულებისთვის,
მსახიობი **ლია სულუაშვილი.****

**საუკეთესო მსახიობი კაცი როლი
ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელმწიფო პროფესიული დრამატული თეატრი
„ჯაზი მხოლოდ ქალიშვილები არიან“
დათო როინებვილი როლისთვის უოზეფინა
და ზვიად სვანეაძე როლისთვის დაფნა.**

**საუკეთესო რეჟისორული ნამუშევარი
სოხუმის კონსტანტინე გამისახურდიას სახ. სახელმწიფო დრამატული თეატრის სპექტაკლი
„მილიონერები“
რეჟისორი **დავით საყვარელიძე****

**გრან-პრი საუკეთესო კომედიური სპექტაკლი
მიხეილ თუმანიშვილის თეატრის სპექტაკლი
„მაცეპვე ტანგო“
რეჟისორი **მამუკა ტყევალაძე****

„თეატრალური იმპერატი“ - დღესასწაული მათთვის, ვისაც თეატრი უყვარს

ლელა ოჩიაშვილი

ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო პროფესიულ დრამატულ თეატრში, 2015 წლის 21 მაისიდან 6 ივნისის ჩათვლით, მეორედ (საერთო ჯამში, მეტუთედ, რამდენიმეწლიანი წყვეტის შემდეგ) გაიმართა იმერეთის რეგიონის თეატრების ფესტივალი „თეატრალური იმპერატი — 2015“, რომელმაც კვლავ მოუწყო 2-კვირიანი დღესასწაული თეატრის მოყვარულებს, იმერეთის 12 მუნიციპალიტეტის 14 - პროფესიული და სახალხო - თეატრების მონაწილეობით.

როგორი უცნაურიც უნდა იყოს - ფესტივალს 3 ადამიანი აკეთებს (თან საკმაოდ მნირი დაფინანსებით) - სთა იმერეთის განყოფილების თავმჯდომარე, ლირსების ორდენის კავალერი, ფესტივალის დამფუძნებელი და დირექტორი ლევან როხვაძე და მისი ერთგული თანამოაზრები - მაია პაქსაშვილი და გელა ძაგნიძე. 3 ადამიანი და თან ისე, რომ ეჭვი არ შეგეპარება ორგანიზატორების დიდი გუნდისა და დიდი ბიუჯეტის არსებობაში.

ამ სამეულს სხვას ვერაფერს უწოდებ, თუ არა - ენთუზიასტებს, საქმისთვის თავდადებულებს, უანგაროებს, რომლებიც მუშაობენ ორგანიზებულად, მწყობრად, მშვიდად, ყოველგვარი აჟიოტაშისა და ამბიცის გარეშე და თეატრალურ ზეიმზე ინვევენ რეგიონის მოსახლეობას და არა მარტო მათ - ნებისმიერ მსურველს, ქუთაისის სტუმრებსა თუ ახლომდებარე რეგიონში, ქალაქებსა თუ სოფლებში მცხოვრებლებს.

ფესტივალის სახელმწიფებაც ძალიან ზუსტი და გამართლებულია. ალბათ საქართველოს არცერთ რეგიონში არა ა ამდენი თეატრი (და არა მხოლოდ იმიტომ, რომ თვითონ რეგიონია დიდი), რამდენიც იმერეთში - პროფესიული თუ სახალხო (მოყვარულთა) და ალბათ ეს ბუნებრივიცაა - ახალს არაფერს ვიტყვი - იმერეთი და ქუთაისი ქართული კულტურის ისტორიული ცენტრია. ქუთაისისა და რეგიონების თეატრების ისტორია მრავალ წელს (ზოგის, რამდენიმე ათეული) ითვლის და რაოდენ სასიამოვნოა, რომ ტრადიცია დღესაც ასევე გრძელდება.

ორი კვირის განმავლობაში, თოთქმის ყოველ დღე, 18 საათზე, ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის თეატრის კარი ღია იყო ფესტივალის მონაწილებისთვის და მაყურებლისთვის

(სპექტაკლებზე დასწრება თავისუფალი იყო) ერთადერთი და მნიშვნელოვანი მიზნით - მონაწილებისა და მაყურებლისთვის სიხარულის მისანიჭებლად.

„თეატრალური იმპერატი“ სამხარეო ადმინისტრაციის, იმერეთში სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორისა და ქალაქ ქუთაისის მერის ფინანსური მხარდაჭერითა და იმერეთის მუნიციპალიტეტების ხელშეწყობით ტარდება.

უიურის შემადგენლობაში იყვნენ: თეატრმცოდნე, თანამედროვე თეატრის კვლევის ცენტრის ხელმძღვანელი ლაშა ჩხარტიშვილი (თავმჯდომარე), ცნობილი მწერალი და დრამატურგი თეიმურაზ ლანჩავა და თეატრმცოდნე ნერონ აბულაძე. თეატრმცოდნე და ტელეწამყვანი ნიკოლოზ წულუკიძე ფესტივალის პოპულარიზაციას ენეოდა (ტელე თუ რადიოგადაცემებში) და დახურვის ცერემონია მიჰყავდა.

21 მაისს, გახსნის საზეიმო ცერემონიას დაესწრენ და მაყურებელს სიტყვით მიმართეს - ქუთაის-გაენათის მიტროპოლიტმა, მეუფე კალისტრატემ, რომელმაც დალოცა ფესტივალი, მისი ორგანიზატორები და დამსწრე საზოგადოება; იმერეთში სახელმწიფო რწმუნებულის პირველმა მოადგილემ, პაატა ნადირაძემ, ვიცე გუბერნატორმა იოსებ ხახალეშვილმა, ქუთაისის მერმა შოთა მურლულიამ; საქართველოს თეატრის მოღვანეთა კავშირის თავმჯდომარემ, რეჟისორმა და მსახიობმა, გოგი ქავთარაძემ და ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო პროფესიული დრამატული თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა, რეჟისორმა გიორგი სიხარულიძემ. ანსამბლმა „კვალი ნათელი“ საგალოობლები შეასრულა.

გახსნის საღამო მიჰყავდა და შემდეგ მაყურებელს ყველა სპექტაკლის დაწყების წინ მოკლე შესავალი სიტყვით მიმართავდა ლევან როხვაძე (რომელიც არა მარტო ქუთაისისა თუ რეგიონისთვის, საქართველოს მთელი თეატრალური სამყაროსთვის კარგად ცნობილი და საყვარელი პიროვნებაა), რომლის მრავლისმეტყველი, მჭევრმეტყველური და ენერგიული გამოსვლები ყოველ ჯერზე ინვევდა საზოგადოების ცოცხალ ინტერესსა და აღტაცებას.

„თეატრალური იმპერატი“, ერთი მხრივ, ესაა ფესტივალი-დათვალიერება, რომელიც რე-

გიონში არსებულ 14 (როგორც პროფესიულ, ასევე სახალხო, როგორც უნიდებდნენ, სამოყვარულო და შეიძლება ასე ვთქვათ, „შერეულ“) თეატრებს ერთ სივრცეში უყრის თავს და ყველას (და მათ შორის, თავად თეატრებსაც) შესაძლებლობას აძლევს გაეცნონ, დაინახონ, შეაფასონ ამა თუ იმ დასში არსებული შემოქმედებითი ძალები, თითოეულის ცალ-ცალკე და საერთო ინტერესები.

„თეატრალური იმერეთი“ საშუალებას აძლევს იმერეთის მუნიციპალიტეტების თეატრებს სეზონის განმავლობაში შექმნილი სპექტაკლები საზოგადოების ბევრად უფრო ფართო წრეებს უჩვენონ, ვიდრე ეს ამა თუ იმ შობლიური ქალაქის მასშტაბებშია შესაძლებელი. თვითონაც ნახონ კოლეგების ნამუშევრები, ამ ფონზე სხვისიც შეაფასონ და საკუთარიც. დაინახონ ზოგადად, ქართულ თეატრში არსებული ტენდენციები, ადრეულ წლებში შექმნილი დრამატურგიის თანამედროვე ინტერპრეტაციებს და ახალ ქართულ დრამატურგიასაც სწორედ სცენაზე წარმოდგენით გაეცნონ.

„თეატრალური იმერეთი“ პირობას უქმნის დასებს შევდნენ ახალ მაყურებელს, აუდიტორიის შემადგენლობისა და თავისებურებების გათვალისწინებით, განსხვავებული ემოციითა თუ განწყობით წარუდგინონ მას ახალი დადგმები. შემდეგ, შედეგების შეჯამებისას - გამარჯვების სიხარულით დატყობინენ, გაითვალისწინონ, რამ მოუტანათ წარმატება და ვერგამარჯვების მიზეზებზეც იფიქრონ.

უმეტეს შემთხვევაში, თეატრების ხელმძღვანელებმა და რეჟისორებმა იციან, რა უნდა მაყურებელს და რა შეიძლება შესთავაზო მას. მთლიანობაში და ცალ-ცალკე რეპერტუარი მრავალფეროვანია, როგორც თანადროული პრობლემების წამოჭრის, სათქმელის გამოხატვის, უანრული გადაწყვეტის მხრივ, ასევე პიესების შერჩევის კუთხითაც - ქართული თუ მსოფლიო კლასკიდან თანამედროვე ქართულ და უცხოურ დრამატურგიამდე, კომედიდან დრამამდე, ტრაგედიიდან ფარსამდე; მასალის ინტერპრეტაციიდან სარეჟისორო და სამსახურო გადაწყვეტის, ფორმების, სტილების სხვადასხვაობამდე.

მაყურებელი ყოველთვის ითხოვდა და ითხოვს თეატრისგან, ერთი მხრივ, მისთვის, საზოგადოებისთვის მნიშვნელოვან, მტკიცნეულ, თანადროულ საკითხებზე საუბარს, პრობლემებზე, რომელიც გამოხატავენ დროს და შესატყვის გამომსახველ ფორმებს, ხერხებს საჭიროებენ დიალოგის წარსამართად.

მეორე მხრივ, ადამიანი, ნებისმიერ ეპოქასა და ნებისმიერ ქვეყანაში (დედაქალაქებსა თუ რეგიონებში) თეატრისგან ელის სანახაობას, ელის გართობას, ისეთ სპექტაკლებსა და პერ-

სონაფებს, ისეთ ატმოსფეროსა და ვითარებაში მოქცეულებს, რაც და რომლებიც დაავინებენ ყოფას, ყოველდღიურობის ერთფეროვნებას და სიხალულს მიანიჭებენ. გაახალისებენ, გაართობენ და თვით პრობლემებსაც მსუბუქად, პოზიტიურად და ოპტიმისტური განწყობითი წარუდგენენ.

სწორედ ამგვარი სახე აქვს დღეს იმერეთის რეგიონის (მთლიანად ქართულ) თეატრს, რაშიც დარწმუნდა ყველა, ვინც სისტემატურად ესწრებოდა (და ასეთი ბევრი იყო) ფესტივალს, ვინც რამდენიმე სპექტაკლი მაინც ნახა, აქედან გამომდინარე, შესაძლებლობა პქონდა ერთიანი პროცესებისთვის თვალი ედევნებინა და ყველაფერი შეეჯრებინა.

ფესტივალი 21 მაისს ქუთაისის ლადონ მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო პროფესიული დრამატული თეატრის სპექტაკლით „მარწვის ცივი ტორტი“ გაიხსნა. ალექსანდრე ქოქრაშვილის პიესა გიორგი თავაძემ (იმარინდო) დადგა თეატრის წამყვანი მსახიობების მონაწილეობითა და თავისებური მხატვრული ფორმით.

შემდეგ დღეებში „თეატრალური იმერეთის“ პროგრამაში სპექტაკლები წარმოადგინეს:

განის სახალხო თეატრმა - დავით კლდიაშვილის „დარისპანის გასაჭირი“, რეჟისორი - კოტე აბაშიძე;

ჭიათურის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო პროფესიულმა დრამატულმა თეატრმა - მიხეილ ჯავახაშვილის „მუსუსი“, რეჟისორი - კახა გოგიძე;

ზესტაფონის უშანგი ჩხეიძის სახელობის სახელმწიფო პროფესიულმა დრამატულმა თეატრმა - ტენესი ულიაშვილის „ვარდის სვირინგი“, რეჟისორი - ნინო ლიპარტიანი;

ტყიბულის მუნიციპალიტეტის თეატრმა - გურამ იდიშარის „დაბრუნება სოხუმში“, რეჟისორი ლალი კუბლაშვილი;

ქუთაისის ახალგაზრდულმა თეატრმა - უანდატის მოლიერის „დონ უზანი“, რეჟისორი - ზურაბ ფხავაძე;

თერჯოლის სახალხო თეატრმა - თამაზ მეტრეველის „ბზარი“, რეჟისორი - გია ნიკოლაძე;

საჩხერის სახალხო თეატრმა - აკაკი წერეთლის „გამზრდელი“, რეჟისორი - გიორგი მეტონიძე;

წყალტუბოს სახალხო თეატრმა - გივი გოგინიაშვილის „მეცამეტე შეხვედრა“, რეჟისორი - ვაჟა გელენიძე;

ქუთაისის ნიღბების თეატრმა - დავით ჯიშვარიანის „მოხუცი ჯამბაზები“, რეჟისორი - დავით ჯიშვარიანი;

ბადდათის სახალხო თეატრმა - დათო ტურაშვილის „დოდოს მოლოდინში“, რეჟისორი - პალიკო აბულაძე;

სამტრედიის ეროსი მანჯგალაძის სახელობის

დორამატულმა თეატრმა - ალექსანდრო კასონას „ველური“, რეჟისორი - ვეფხია ნადირაძე;

ხონის კულტურის ცენტრის სახალხო თეატრმა - აკაკი წერეთლის „ბუტიაობა“, რეჟისორი - პეტრე ჩარგეეშვილი;

ხარაგაულის ოთარ აბაშიძის სახელობის სახალხო თეატრმა - დავით კლდიაშვილის „დარისპანის გასაჭირი“, რეჟისორი - ირინე ჩხეიძე.

არაერთხელ ითქვა, რომ ძნელია და არასასურველიც, როდესაც ერთ სიბრტყეზე განიხილება პროფესიული და სახალხო თეატრების ნამუშევარი, ვინაიდან, სტატუსი და აქედან გამომდინარე, მდგომარეობა, ვითომ არათანაბარ პირობებს ქმნის.

არ ვიცი, სწორია ეს მოსაზრება თუ არა, მაგრამ იმერეთის რეგიონის თეატრების კიდევ ერთი თავისებურება ისიცაა, რომ დასები მსახიობებს ხშირად „ცვლიან“ და სპექტაკლებში არაპროფესიონალების გვერდით, პროფესიონალი მსახიობები მონაბილებენ; ზოგი მოყვარული იმდენად დაოსტატებულია, ზოგ პროფესიონალს არ ჩამოუვარდება; ყველაზე პატარა სახელმწიფო თეატრის არტისტი კი საქართველოს ყველაზე დიდი აკადემიური თეატრის მსახიობებსაც არ უდებს ტოლს. რაც მთავრია, მათთან როგორც ადგილობრივი, ასევე მიწვეული, სხვადასხვა ხელნერის, სტილის, მიმართულების პროფესიონალი რეჟისორები მუშაობენ. ეს კი, ბუნებრივია, პროფესიული ზრდის, გამოცდილების დაგროვებისა და შემოქმედებითი ხარისხს ამაღლებას უზრუნველყოფს ხელს.

მნიშვნელოვანია, რომ „თეატრალურ იმერეთში“ მონანილე თეატრების უმეტესობას ეროვნული დრამატურგიის, მწერლობის ნიმუშები ჰქონდა სცენაზე გაცოცხლებული. მთავარი დერძის შენარჩუნებითა და მასალისადმი თავისითავადი მიდგომით.

მათ შორისაა დავით კლდიაშვილი (ორ თეატრში), მიხეილ ჯავახიშვილი, აკაკი წერეთელი (ასევე ორ თეატრში) და მათ გვერდით - გურამ ოდიშარია, თამაზ მეტრეველი, ალექსანდრე ქოქრაშვილი თუ დათო ტურაშვილი.

ასევე თანამედროვედ და თავისებურად ულერს უცხოური დრამატურგია - მოლიერიდან კასონამდე თუ ტენესი უილიამსამდე.

ხაზგასასმელია, რომ რეჟისორები კარგად გრძნობენ დროისა და მაყურებლის მოთხოვნებს, მის ინტერესებს და რა თქმა უნდა, თანადროულად აქცევენ ქართულ კლასიკასა თუ თავისითავად სახეს ანიჭებენ თანამედროვე ავტორების ნამუშევრებს.

ფესტივალი 6 ივნისს საზეიმოდ დაიხურა და გამარჯვებულებიც გამოავლინა. მათ ფულად ჯილდოსთან ერთად დამადასტურებელი დიპლომები და საჩუქრები გადაეცათ.

ბუნებრივია, როდესაც „შეჯიბრია“, გამარ-

ჯვებული და შესაბამისად, კმაყოფილი ყველა ვერ იქნება, მაგრამ, იმედია, „თეატრალური იმერეთი“ კვლავ გაგრძელდება და ახალ-ახალ გამარჯვებულებს გამოავლენს. თუ, რა თქმა უნდა, საქართველოს ხელისუფლება ქართულ კულტურასა და კონკრეტულად, თეატრს მეტ ყურადღებას დაუთმობს. მის განვითარებაზე იზრუნებს და ყველა გზას მოძებნის დასებითავის ნორმალური სამუშაო პირობების შესაქმნელად. გასათვალისწინებელია, რომ რეგიონების თეატრებს ძალიან პატარა ბიუჯეტი აქვთ, შემოქმედებით ჯგუფებსა და ტექნიკურ პერსონალს - მიზერული ხელფასები. ზოგიერთ თეატრს კი ნორმალური შენობაც არ გააჩნია.

დახურვის ცერემონიას იმერეთის გუბერნატორი გივი ჭიჭინაძე და ქუთაისის მერი შოთა მურდულია ესწრებოდნენ, რომლებმაც დადგებითად შეაფასეს ფესტივალის მუშაობა და საზოგადოებას დაპირდნენ, რომ მომავალშიც გააგრძელებენ მის ხელშეწყობას. იმედია, დაპირება დაპირდნებად არ დარჩება. იმედია, „თეატრალურ იმერეთს“ ბიუჯეტსაც გაუზრდიან. ფინანსური პრობლემის მოგვარება ბევრ სხვა პრობლებას გადაჭრის, ფესტივალის ორგანიზატორებს მეტ საშუალებას მისცემს, ჩანაფიქრი ბოლომდე და სრულფასოვნად მიიყვანონ. უშუალოდ რეგიონის თეატრებს კი - განვითარებაში, შესაძლებლობების უკეთ გამოხატვაში შეეწყობათ ხელი.

ფესტივალის ორგანიზატორები მხოლოდ სპექტაკლების ჩვენებით არ შემოიფარგლნენ. მათი თხოვნით, ლაშა ჩხარტიშვილმა დაჯილდოების წინ, დახურვის ცერემონიაზე დასაწერებად ჩასულ დასებს მასტერკლასი ჩაუტარა თემაზე - თანამედროვე თეატრი და ზოგადი მიმოხილვისა და პროცესების ანალიზის პარალელურად, პარაქტიკული მაგალითების მოხმობით, მსახიობებსა და რეჟისორებს უშუალოდ საკუთარი მუშაობის სტილზე, თანამედროვე მოთხოვნებზე გაამახვილებინ ყურადღება.

დაჯილდოების ცერემონია ნიკა წულუკიძეს, ჩვეულ შხიარულ, ენერგიულ და აქტიურ მანერაში მიჰყავდა. უიურის წევრები, ორგანიზატორები, მსახიობები კი გამარჯვებულებს დიპლომებსა და საჩუქრებს გადასცემდნენ.

უიურის გადაწყვეტილებით, უყურადღებოდ არც ერთი თეატრი არ დარჩენილა. ყოველ მათგანს თავისი ლირება და სხვისგან განსხვავებული თვისებები, ამოცანები, მიზნები და შედეგები აქვს, რაც წარმოდგენილმა სპექტაკლებმა კიდევ ერთხელ გამოავლინეს. მნიშვნელოვნად ვთვლი, რომ პროფესიულ და არაპროფესიულ თეატრებში თანაბრად დაიღდა როგორც ხარისხი, ისე, უხარისხო სპექტაკლები და ორივე კატეგორიაში მონაბილე მსახიობებმაც თანაბრად აჩვენეს როგორც ოსტატობის მაღალი,

ასევე ნაკლები კლასი. უიურიმაც საინტერესო სარეჟისორო, სამსახიობო, ქორეოგრაფიულ თუ სცენოგრაფიულ გამორჩეულობასთან ერთად სწორედ იმ მთავარ, თავისებურ მახასიათებლებს მიაქცია ყურადღება, რომლებიც რეგიონების თეატრებს ერთმანეთისაგან გამოარჩევს. პრიზები სხვადასხვა ნომინაციაში გამარჯვებულებისთვის ასე გადაანანილა:

ნომინაცია - **თანამედროვე ქართული მწერლობის მხარდაჭერისთვის სათეატრო სივრცეში** – სპექტაკლი „დაბრუნება სოხუმში“, ტყიბულის მუნიციპალიტეტის თეატრი;

ნომინაცია - **მაყურებლის სიმპატია** - თერჯოლის სახალხო თეატრის მსახიობი თინათინ პატარიძე ბებიას როლის საუკეთესო შესრულებისთვის, სპექტაკლში „ბზარი“;

ნომინაცია - **მაყურებლის სიმპატია** - წყალტუბოს სახალხო თეატრი, სპექტაკლი - „მეცამეტე შესველრა“;

ნომინაცია - **საუკეთესო მუსიკალური გაფორმება** - სამტრედის ეროსი მანჯაღალაძის სახელობის დრამატული თეატრის სპექტაკლი „ველური“;

ნომინაცია - **ანსამბლური სპექტაკლი** - ხარაგაულის ოთარ აბაშიძის სახელობის სახალხო თეატრის სპექტაკლი - „დარისპანის გასაჭირი“;

ნომინაცია - **თანამედროვე ქართული დრამატურგის მხარდაჭერისა და პოპულარიზაციისთვის** - ბალდათის სახალხო თეატრის სპექტაკლი - „დოდოს მოლოდინში“;

ნომინაცია - **ქართული კლასიკური დრამატურგის საუკეთესო ინტერპრეტაციისთვის** - ხონის კულტურის ცენტრის სახალხო თეატრის სპექტაკლი - „ბუტიოაბა“;

ნომინაცია - **უიურის ფავორიტი სპექტაკლი** - ვანის სახალხო თეატრის სპექტაკლი „დარისპანის გასაჭირი“;

ნომინაცია - **საუკეთესო ქორეოგრაფიული გადაწყვეტა** - ქუთაისის ახალგაზრდული თეატრი, სპექტაკლი „დონ შუანი“;

ნომინაციაში - **მამაკაცის როლის საუკეთესო ახალგაზრდა შემსრულებელი** გაიმარჯვა საჩერების სახალხო თეატრის მსახიობმა გოჩალურსმანაშვილმა, საჩერების თეატრის სპექტაკლში „გამზრდელი“;

პრემია ნომინაციაში - **მამაკაცის როლის საუკეთესო შესრულებისთვის** - მიენიჭა ჭიათურის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო პროფესიული დრამატული თეატრის მსახიობს ამირან ნასყიდაშვილს, სპექტაკლში „მუსუსი“, პეტრეს როლისთვის;

ამავე ნომინაციაში გაიმარჯვა ზესტაფონის უშანგი ჩხეიძის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობმა გიორგი გლოველმა, სპექტაკლში „ვარდის სვირინგი“ ალვაროს

როლის შესრულებისთვის;

ნომინაციაში - **ქალის როლის საუკეთესო ახალგაზრდა შემსრულებელს** ზესტაფონის უშანგი ჩხეიძის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობს – ნინო აბესაძეს როზა დელა როზას როლისთვის სპექტაკლში „ვარდის სვირინგი“.

ნომინაციაში - **ქალის როლის საუკეთესო შესრულებისთვის**, გამარჯვებული აღმოჩნდა ვანისა და ქუთაისის ახალგაზრდული თეატრების მსახიობი სოფიო ჩირაძე, სპექტაკლში „დონ შუანი“ ლედი ანასა და „დარისპანის გასაჭირში“ მართას როლებისთვის;

ნომინაცია - **საუკეთესო რეჟისორული ნამუშევარი** - სპექტაკლისათვის „მარწყვის ცივი ტორტი“ - მიენიჭა რეჟისორ გიორგი თავაძეს.

მასვე, ქეთევან ციციშვილთან ერთად მიენიჭა პრემია ნომინაციაში - **საუკეთესო სცენოგრაფიული გადაწყვეტა**.

ნომინაციაში - **ფესტივალის საუკეთესო სპექტაკლი** - გაიმარჯვა ჭიათურის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო პროფესიულმა დრამატულმა თეატრმა, სპექტაკლით, „მუსუსი“.

ამავე დროს, დაჯილდოვდნენ - აჭარის ტელევიზიისა და რადიოს დირექტორი სოსო სტურუა რეგიონის თეატრების მხარდაჭერისა და პოპულარიზაციისათვის და იგივე საქმიანობისთვის - ტელე-რადიო კომპანია „რიონი“ და ტელეკომპანია „მეგატივი“.

გამოყენებული რამდენიმე სპექტაკლს (მხოლოდ ერთი მიზეზით), რომლების ნახვაც მოვახერხება და როგორც შემდეგ შევიტყვე, მათგან სამი აღმოჩნდა მთავარ ნომინაციებში ჟიურის (და პირადად ჩემიც) რჩეული.

საინტერესო მხატვრული და სამსახიობო გადაწყვეტა აქვს კახა გოგიძის „მუსუსი“ (მუსიკალური გამფორმებელი - კახა გოგიძე, სცენოგრაფი - ლელა ფერაძე, კოსტუმების მხატვარი - ნანა ყორანაშვილი), რომელიც არაერთ თანადროულ პრობლემაზე ამახვილებს ყურადღებას და თანამედროვე ადამიანების ურთიერთობებში არსებულ ნინაღმდებობებზე, სტერეოტიპულ აზროვნებაზე იუმორითა და სატირის მეშვეობით მოგვითხრობს. სპექტაკლი ლალად, დინამიურად, ცოცხალ ტემპ-რიტმში მიმდინარეობს. სხვადასხვა თაობის მსახიობები - გიორგი ჩაჩანიძე, როდერ ჩაჩანიძე, ქეთევან შარიქაძე, არჩილ ხვედელიძე, გიორგი კენჭოშვილი, ამირან ნასყიდაშვილი, თინა მიქაუტაძე, მაკა ცუცქირიძე, სოფიკო გოგოლაძე, სოფო ლეთოდიანი, თამაზ ფანჩულიძე, გიორგი ბრეგვაძე, გიორგი მუყმანიანი, ლილი თავაძე, შალვა ხვედელიძე, გელა მოდებაძე, გურამ შუკავიძე, იური ბინაძე, გურამ ბრეგვაძე - საინტერესო, სახასიათო სახეებს ქმ-

ნიან, ერთიან ანსამბლს წარმოადგენენ და მრავალფეროვანი შტრიხებით აწყობენ ამ სახეებს.

გიორგი თავაძის „მარწყვის ცივი ტორტი“ (სცენოგრაფი და მუსიკალური გამფორმებელი - გიორგი თავაძე, კოსტუმების მხატვარი - ქეთევან ციციშვილი) სოციალურ, პოლიტიკურ საკითხებს წამოსწევს და უღრმავდება, რომელთა ფონზე მნიშვნელოვნად იყითხება ადამიანის ბედის ისტორია, ადამიანების, რომლებიც სხვადასხვა მიზეზით საზოგადოებას აღარ დასჭირდა და გარიყა. რეჟისორი იყენებს მეტაფორების, პოეტური სახეებისა და სატირის თავისთავად ფორმას, სინთეზს. მრავლისმეტყველ სიმბოლოებს, რომლებსაც ადამიანებივით გრძნობები, ტკივილები თუ სიხარულები ამოძრავებთ, ადამიანებივით იქცევიან და ლაპარაკობენ და სინამდვილეში - მაცივრები არიან. ამ სახე-სიმბოლოებს - მარიკა სამანიშვილი, თენგიზ ჯავახაძე, ირინე გუშელაძე და გორჩა ნემსინვერიძე - თავისთავადი მანერით, ქმედებით, მეტყველებით ასახიერებენ და მათთვის უწვეულო ამპლუაში წარსდგებიან. მხატვრული სისტემის შეორე ფენას ქმნიან მათი ჯალათები - უტყვი და მექანიკური, აგრესიული მოძალადები - აბელ სოსელია, გიორგი ქართველიშვილი, რეზი ქაროსანიძე, გაგი შენგელია, ნიკა ძნელაძე.

კოტე აბაშიძის „დარისპანის გასაჭირი“ (რომლის პრემიერა ფესტივალზე გაიმართა), სოფიო ჩირაძის, მაგდა გერაძის, სოფიო ნანაძის, აბელ სოსელიას, თინათინ არაბიძის, მურთაზ პირველაშვილის, გიგა ბუბუტერიშვილის მონაზილეობით (დამდგმელი მხატვარი - ნათია ჯაოშვილი, მხატვარი - თამაზ ნიკოლაიშვილი, კომპოზიტორი - გოგი ჩილაძე, ქორეოგრაფი - ზურაბ საკანდელიძე) ერთი შეხედვით, თითქოს ნაცნობ, მაგრამ არაორდინარულ გარემოშია წარმოდგენილი - პერსონაჟები სამი ჩარჩოდან გადმოდიან და მის სივრცეში გადანაწილდებიან. მშვიდი, ყოველგვარი გარე ეფექტებისა და ტრიუკების გარეშე შექმნილი მძიმე, სევდით გამსჭვალული ატმოსფერო ერთი მხრივ, გამოუვალობის შეგრძებას იწვევს და მეორე მხრივ - გადაწყვეტის თავისებურებებიდან, დასმული აქცენტებიდან გამომდინარე, მაინც იმედსა და გადარჩენის რწმენას იძლევა.

ქალის ტრაგიკული, ბნელი და ნათელი ფერების, რთული შინაგანი წინააღმდეგობებითა და საკუთარ თავთან ბრძოლის ამბავს ასახავს ნინო ლიპარტიანის (რომელიც, ამავე დროს, სპექტაკლის დამდგმელი მხატვარი და მუსიკალური გამფორმებელიცაა. მხატვარი - ნათია ბერაძე) სპექტაკლი „გარდის სეირიზი“ - ნინო აბესაძეს (უფროსი), გიორგი გლოველის, ნინო აბესაძეს (უმცროსი), თემურ ფირცხალაიშვილის, ბადრი ტაბატაძის, სალომე დიდიძის, ნანა ისიანისა და

მარქეს აბესაძის მონაწილეობით. რეჟისორის მიერ შექმნილი ფსიქოლოგიური დრამა, რომელიც ერთი ადამიანის კონკრეტული ისტორიიდან დროისა და გარემოებების, საკუთარი შეცდომების გამო ხელიდან გაშვებული ცხოვრების მეტაფორად ყალიბდება, ისევე აღელვებს თანამედროვე მაყურებელს, როგორც მეოცე საუკუნის 50-იანი წლებში აღელვებდა.

ლალი კუბლაშვილის დრამა, გურამ ოდიშ-არიას ამავე სახელწოდების რომანის „დაბრუნება სოხუმში“ მიხედვით (ინსცენირების ავტორი - ლალი კუბლაშვილი) მეოცე საუკუნის საქართველოს უახლესი ისტორიის ყველაზე ტრაგიკული პერიოდის - აფხაზეთის ომის გამოძახილია, რომლის ცენტრშიც ერთი ქალის ამბავია მოქცეული - ომამდელი, ომისდროინდელი მოგონებებისა და დღევანდელობის სურათებით აწყობილი. რჩმენა და სასონარკვეთა, სიძულვილი და სიყვარული ერთმანეთს ცვლის და მეტაფორას რეალობის იმედიან გამოძახილად აქცევს. (მხატვარი - იაგო ხუციშვილი, კომპიუტერული გრაფიკა - დავით ყურულოვი, ქორეოგრაფები - ზურაბ ჭანკოტაძე და ჯემალ ბიცვაძე. მონაზილეობენ - მარინა ბრეგაძე, ფოთოლა მოწონელიძე-მეტონიძე, თათია ობოლაძე, მირანდა მიქიაშვილი, კობა კობახიძე; ქორეოგრაფიული ანსამბლები - „ცხრაჯვარი“ და „ოკრიბა“).

მაია პაქსაშვილმა სოციალურ ქსელში დაწერა: „6 ივნისს გაიმართა ფესტივალ „თეატრალური იმერეთის“ დახურვის საზეიმო საღამო. ფესტივალის საორგანიზაციო ჯგუფის სახელით, მინდა მადლობა ვუთხრა იმერეთის რეგიონის ყველა თეატრს, იმერეთის ყველა რეგიონის გამგებლებს, კულტურის სამსახურის უფროსებს, ქალაქ ქუთაისის მერს, ბატონ შოთა მურალულიას, იმერეთის სამხარეო ადმინისტრაციას, გუბერნატორს ბატონ გივი ჭიჭინაძეს, ჟიურის ნევრებს: ლაშა ჩხარტიშვილს, ნერონ აბულაძეს, თეიმურაზ ლანჩავას, ფესტივალის პიარს ნიკოლოზ ნულუკიძეს, ერთგულ მაყურებელს ანი ანაკიძესა და ალექს თევდორაძეს, მაყურებელს, ვინც დაესწრო სპექტაკლებს, განსაკუთრებული მადლობა ჩემს მესხიშვილის თეატრს - გიორგი სიხარულიძეს, თამარ ლორთქიფანიძეს, ტექნიკურ პერსონალს, რომ არა თქვენ, ეს ფესტივალი არ შედგებოდა. ნომინანტებს ვულოცავ გამარჯვებას“.

ყოველ დღე ქუთაისის თეატრის დიდი დარბაზი მაყურებლით იყო სავსე. მოდიოდნენ არა მხოლოდ ქუთაისელები, არამედ რეგიონის სხვა ქალაქებისა თუ სოფლების მაცხოვრებლები, ახალგაზრდები და ხანდაზმულები, ბავშვები და მოხუცები. მოდიოდნენ ამა თუ იმ თეატრის, მსახიობის, რეჟისორის, დრამატურგის გულშემატკიცვები და ზოგადად - ქართული თეატრის

თაყვანისმცემლები.

იშვიათია ასეთი მაყურებელი (არაპროფესიონალებს ვგულისხმობ), რომელიც ასე ადეკვატურად რეაგირებდეს ყოველ სცენაზე, ასე ზუსტად აფასებდეს სარეჟისორ სვლებს, მსახიობის ნამუშევარს, უმცირესი ნიუანსების გათვალისწინებით, აფასებდეს ხარისხს და სათანადოდ გამოხატვდეს დამოკიდებულებას - მოწონება-არმოწონებას.

ქუთაისელები გვიამბობდნენ თეატრის ოქროს ხანაზე, როდესაც მოქალაქები (სხვადასხვა პროფესიისა თუ სოციალური ფენის) „მესხიშვილში“ ოჯახებით დადიოდნენ, საკუთარი, მუდმივი ადგილები ჰქონდათ და არც ერთ სპექტაკლს არ აცდენდნენ. შემდეგ წლების განმავლობაში სათეატრო (საერთოდ, კულტურის) პროცესებში არსებულმა წყვეტამ ტრადიცია დაარღვია. თეატრმა ერთგული მაყურებელი ფაკარგა, მაგრამ, როგორც დავინახეთ, ისტორიამ კიდევ ერთი ბრუნი გააკეთა და დაკარგულმა ჩვევებმა ნელ-ნელ კვლავ დაიწყეს აღდგენა.

ასეთი მაყურებლისთვის თამაში მიმზიდველი, საინტერესო და შედევრიანია. ალბათ ამიტომაც იყო, რომ თითოეული თეატრის მსახიობმა, დიდ თუ პატარა როლებში, პროფესიონალმა თუ მოყვარულმა, ასაკოვანმა თუ ახალგაზრდამ კიდევ ერთხელ და მაქსიმალურად გამოავლინეს შესაძლებლობები და სათქმელი, პოზიცია, პერსონაჟების თავისებურებები თუ სპექტაკლების სპეციფიკა მაყურებლამდე სრულფასოვნად მიიტანეს.

შარშან „თეატრალურ იმერეთს“ 14000 მაყურებელი დაესწრო. წელს - კიდევ უფრო მეტი. რაც ნიშნავს, რომ საზოგადოებას (რა გასაკვირია ეს იმერეთში - ქართული თეატრის, ფაქტობრივად, მთავარ კერაში) აინტერესებს, უყ

ვარს, იზიდავს თეატრი და მის გარეშე არსებობა ვერ წარმოუდგენია.

ფესტივალი არა მხოლოდ მაყურებლის, მედიის ყურადღების ცენტრში მოექცა. სანფორმაციო პროგრამებს გარდა, მას რამდენიმე საგანგებო გადაცემა მიეძღვნა ტელევიზიებში, რომელთაგან განსაკუთრებული აქტივობით (ამისთვის კიდევაც დაჯილდოებული) „მეგატივი“ და „რიონი“ გამოირჩინენ.

„თეატრალური იმერეთი 2015“ დასრულდა. კიდევ ერთი ფესტივალი, რომელიც 2 კვირა ასაზრდოებდა და აცოცხლებდა ქალაქს, იქცა ისტორიად. ორგანიზატორების ჯგუფი უკვე მომავალზე ფიქრობს და მორიგ დღესასწაულს გეგმავს.

წარმოდგენილი სპექტაკლების, ერთანისურათის - პიესების შერჩევის, შინაური და მიწვეული რეჟისორებისა და ასეთივე მსახიობების, უკეთესი და უარესი პროდუქციის, ნომინაციებში გამარჯვებისა თუ დამარცხების მიუხედავად, ფესტივალზე ნათლად გამოჩნდა, რომ თეატრალური ცხოვრება იმერეთში აქტიურად მიმდინარეობს.

ისიც გასათვალისწინებელია, რომ იმერეთის მუნიციპალიტეტის თეატრების რეპერტუარში არა მხოლოდ ფესტივალში მონაწილე სპექტაკლებია და არც ერთი მუშაობის შეჩერებას (ზოგიერთ შემთხვევაში, უმძიმესი სამუშაო პირობების მიუხედავადც) არ აპირებს.

ფესტივალმა საზოგადობას ისიც დაანახა, როგორი მრავალფეროვანი, მრავალწახნაგა და საინტერესოა რეალობა, რომელსაც რეგიონის თეატრები ქმნიან და როგორ შეადგენენ ეს დასები (თავისი პლუსებითა და მინუსებით) თანამედროვე ქართული თეატრალური ხელოვნების სახეს, განუყოფელ და სრულფასოვან ნაწილს, მის ღირსებას.

მზია ჩიხლაძე — 80

თავიდან რეჟისორმა ეპიზოდური როლი შესთავაზა დამწყებ მსახიობს. რეპეტიციაზე გაირკვა, რომ მეტიც შეეძლო. მზია ჩიხლაძეს დავით ტაბიძის დადგმულმა, კლდიაშვილის „ირინეს ბედნიერებამ“ მოუტანა პირველი აღიარება, სამტრედის თვითმოქმედ დასს კი — ამ სპექტაკლით მიენიჭა სახალხო თეატრის წოდება 1970 წელს. მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა, შეიცვალა ის იდილია, რაც მაშინ სარეპეტიციოდ მისულს ხვდებოდა, კოლეგებიც შემოეცალნენ, მაგრამ ერთი რამ უცვლელი — დარჩა, დღემდე უყვარს სცენა და მაყურებელი.

60-მდე როლი ჩაიწერა მზია ჩიხლაძის სამსახიობო აქტივში, რთული იყო პრემიერის წინა დღით თეთრად გათენებულ ღამეებში ამა თუ იმ პერსონაჟზე ფიქრი, თუმცა ესეც ხომ იმ პროექტის ნაწილი იყო, ბავშვობი-დანვე მიზნად რომ ჰქონდა დასახული.

ფოსინე (კ. ბუაჩიძის „მვაცრი ქალიშვილები“), ასმათი (გ. წერეთლის „პირველი ნაბიჯი“), ჯენევრა (ა. დიუსოს „ღრმა ფესვები“), როზალინა (ბერაძის „ცდომილთა მსხვერპლი“), დადუნა (ნ. დუმბაძის „ნუ გეშინია დედა“), ბებია (ლ. თაბუკაშვილის „დარაბებს მიღმა გაზაფხულია“), დედა (ნ. დუმბაძის „საბრალდებო დასკვნა“), — ეს იმ როლების მცირე, არასრული ჩამონათვალია, რომელიც წლების მანძილზე შეუსრულებია.

80 წლის მზია ჩიხლაძეს ეამაყება ქართული თეატრის სწორუბოვარ ვარსკვლავებთან ერთად ნათამაშები როლები, ეროსი მანჯგალაძესთან „ხიდში“ და ვერიკო ანჯაფარიძესთან „მარგარიტა გოტიეში“.

ახალგაზრდული შემართება არ ტოვებს წლებით დახუნდლულ ქალბატონს, კულტურის დარგში განეული ნაყოფიერი მუშაობისათვის მინიჭებული ჯილდოები კვლავ სცენისაკენ უბიძგებს, ელის ახალს და იმედის თვალით შეჰყურებს ყოველ ნიჭიერ შემოქმედს.

ფიქრში, დარდა და სიხარულში გაფრენილა 80 წელი. ამ დღეებში მზია ჩიხლაძე იუბილარია. სიყვარულითა და პატივისცემით ვულოცავთ ლირსეულ თარიღს კეთილისმსურველთა სიმრავლით განებივრებულ ქალბატონს.



მოთა პაპავა

გამოთხოვება

ლემურა

ჯაყელი



ძალზე რთულია დაწერო მოზარდ მაყურებელთა თეატრის ისტორია და გვერდი აუარო ლემურა ჯაყელის მიერ განსახიერებულ სცენურ სახეებს. იგი 30 წლის მანძილზე მოღვაწე-ობდა ჩვენს თეატრში (1963-1993 წწ.). მისთვისაც და თეატრისთვისაც ეს იყო უბედნიერესი და უმნიშვნელოვანესი პერიოდი; მისი მეუღლის, შალვა განერელიას მიერ განხორციელებულ ლეგენდარულ სპექტაკლებში ბრწყინავდა იგი. დაუვიწყარია მისი ეკვირინე „ქამუშაძის გაჭირვებაში,“ ბერსენევა „რღვევაში,“ რებეკა „კუკარაჩაში,“ როდამი „ჩვენებურებში“...

სცენურად მომხიბვლელი, ინტელექტუალი, გემოვნებიანი და უაღრესად მოკრძალებული იყო ქალბატონი ლემურა. სამი ათეული წლის მანძილზე წარმოუდგენელი იყო ჩვენი თეატ-რის ცხოვრება ლემურა ჯაყელის გარეშე. იგი თავმდაბლობით გამოირჩეოდა. საკუთარ სამ-სახიობო მიღწევებზე საუბარს უფრო მეუღლის წარმატებებზე საუბარი ერჩია. გვახსოვს, რა ბედნიერი იყო, როდესაც „კუკარაჩა“ აღვადგინეთ. სწორედ ამ სპექტაკლის ერთ-ერთი რიგითი წარმოდგენის დაწყების წინ მოვიდა თეატრში მისი გარდაცვალების ამბავი. მსახიობებმა განსაკუთრებული აღმაფრენით ითამაშეს ეს სპექტაკლი. თითქოს ქალბატონ ლემურას ხს-ოვნას მიუძღვნეს იგი, ხსოვნას, რომელიც არასოდეს ჩაქრება ჩვენს თეატრში.

**ცოდარ დუმბაძის სახელობის
მოზარდ გაყურებელთა თეატრი**

პოტე



თოლორდავა

სრულიად ახალგაზრდა წავიდა ამ ქვეყნიდან... 35 წლისაც არ იყო... თავზარდამცემი იყო მისი გარდაცვალება ყველასათვის, ვინც კოტე თოლორდავას იცნობდა, განსაკუთრებით – მისი კოლეგებისათვის. მოზარდ მაყურებელთა თეატრის თანამშრომლები ჯერც გონჩე ვერ მოვსულვართ, სრულად ვერც გაგვიცნობიერებია მისი სიკვდილი.

თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის სამსახიობო ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ კოტე თოლორდავა აქტიურად და ნაყოფიერად მუშაობდა ქართულ თეატრსა და კინოში, 30-ზე მეტი როლი განასახიერა თეატრალური ინსტიტუტის, მარჯანიშვილის, თეატრალური სარდაფის, მეტების, ჯიბის, მოზარდ მაყურებელთა და თავისუფალი თეატრების სცენაზე: ადიკო (შ.დადიანი „გუშინდელნი“) და მასკარილი (მოლიერის „სასაცილო ქალები“), ბალზამინოვი (ა.ოსტროვსკის „ბალზამინოვს ქორწინება“) და ალიოშა (ფ.დოსტოევსკის „დამცირებული და შეურაცხყოფილნი“), მიტრო (შ.არაგვისპირელის „გილიჟ“) და ჯორჯი (ა.მილერის „ყველა ჩემი შვილია“), მურგალო (ნ.დუმბაძის „კუკარაჩა“) და ბატონი მონატეგი (უ.შექსპირის „რომელ და ჯულიეტა“), რომელშიც წლის საუკეთესო მამაკაცი მსახიობის პრემია დაიმსახურა. მისი უკანასკნელი როლი იყო დაიმი იყო სპექტაკლში „პრინცესა, ბაყაყი, ჰერცელი და გრეტელი.“ 9 აპრილს პრემიერა ითამაშა. ორ დღეში მისი სიცოცხლე შეწყდა.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია მისი სამსახიობო ნამუშევარი ქეთევან ხარშილაძისა და გურამ ვაშაკიძის სპექტაკლში „ტანგო ნაბიჭვართან“, „სადაც კოტე თოლორდავა, ერთმანეთისაგან განსხვავებულ რამდენიმე პერსონაჟს თამაშობდა. ძალიან საინტერესო სცენური გმირი განასახიერა ხათუნა მილორავას სპექტაკლში „დეჟა ვიუ“ (ა.გელმანის პიესის მიხედვით), სადაც მისი და ნინო ლეჟავას დუეტმა მოხიბლა არ მარტო ქართველი, არამედ რუსი თეატრალებიც.

სპექტაკლმა სანკტ-პეტერბურგის საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალზე ლაურეატის წოდება და მაყურებლის სიმპატიის პრიზი დაიმსახურა. როგორ უხაროდა ამ ჯილდოვების მიღება, რა ბედნიერი იყო.

ძნელია შეეგუო იმ აზრს, რომ შენს გვერდით აღარ არის ახალგაზრდა, ნიჭიერი მსახიობი, კეთილი და გულისხმიერი ადამიანი, რომელსაც კიდევ დიდხანს უნდა ეცოცხლა, ოჯახური ბედნიერებით დამტკბარიყო, მრავალი ახალი როლი ეთამაშა... სამწუხაროდ, ასე არ მოხდა.

**ნოდარ დუმბაძის სახელობის
მოზარდ მაყურებელთა თეატრი**

ბარეკანის პირველ გვერდზე:
სამეცო უბნის თეატრი, სპექტაკლი „მოახლენი“. პლაყატი

ბარეკანის მეოთხე გვერდზე:
ვანო იანტბელიძე თელავის თეატრის სპექტაკლში
„ვინ გატეხა ქოთანი?“

„თეატრი და ცხოვრება“ „THEATRE AND LIFE“

№3, 2015

**დამკაბადონებელი
გიორგი მალხასიანი**

**კორექტორი
მარინე ვასაძე**

ელექტრო ფოსტა: TEATRIDACXOVREBA@GMAIL.COM

**ფასი — სახელშეკრულებო
რედაქციის მისამართი: თბილისი 0107, გ. ლეონიძის ქ. №11°.**

აინტ და დაკაბადონდა ჟურნალ „თეატრი და ცხოვრებას“ რედაქციაში



თეატრი
და
ცხოვრება

№ 3
2015

